

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

7/2023

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



7/2023

შვედარეგონთი სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



in collaboration with
Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2023

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2023

© ავტორები, 2023

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. ტანელ კერიკმაე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუპფელდი
ხათუნა დიასამიძე
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
დოქ. არჩილ ჩოჩია
პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
რაჟდენ კუპრაშვილი
სულხან გველესიანი
ნატალი გოგიაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

მატერიალური ზიანის გამოთვლა ავტოსაგზაო შემთხვევების დროს გერმანიაში <i>ულრიხ ჰაგენლოხი</i>	7
„სხვისი საქმეების გაძლოლის ხელშეკრულება“ (Geschäftsbesorgungsvertrag) და საკუთრების მინდობა <i>გიორგი რუსიაშვილი</i>	43
კრიტიკული ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის სუბიექტებისა და ინფორ- მაციული უსაფრთხოების დაცვის საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები <i>ოთარ ჩახუნაშვილი</i>	58
სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი <i>თემურ ცქიტიშვილი</i>	73
საერთაშორისო ფინანსური სანქციების რეჟიმების მნიშვნელობა და მათი გამოყენების პრაქტიკა <i>მარიამ რობაქიძე</i>	76

მატერიალური ზიანის გამოთვლა ავტოსაგზაო შემთხვევების დროს გერმანიაში*

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი

I. კანონისმიერი რეგულაციების შედარება საქართველოსა და გერმანიაში

1. მოთხოვნის საფუძვლების მოკლე მიმოხილვა გერმანულ სამართალში

ავტოსაგზაო შემთხვევაში რამდენიმე პირის მონაწილეობისას დელიქტური პასუხისმგებლობის აუცილებელი წინაპირობებისა (რომლებიც დეტალურად არ იქნება განხილული ამ სტატიის მიხედვით) და პასუხისმგებლობის შენონადობის მიზნით, გერმანიაში არსებობს საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის სპეციალური დებულებები. მოცემულ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **მოსარგებლის პასუხისმგებლობა**, რომელიც მოწესრიგებულია საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის (StVG) §§ 7, 19 მუხლებში. აღნიშნული მუხლების მიხედვით, ავტოსატრანსპორტო საშუალებით (§ 7 StVG) ან მისაბმელით (§ 19 StVG) მოსარგებლე პირი ვალდებულია, ააზღაუროს ზიანი, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების ან მისაბმელის ექსპლუატაციისას ადამიანი გარდაიცვლება, ადამიანის სხეულს ან ჯანმრთელობას მიაღებავს ზიანი ან ნივთი დაზიანდება.

მოსარგებლეში მოიაზრება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იყენებს

ასეთ სატრანსპორტო საშუალებას **საკუთარი ანგარიშით** და ფლობს **განკარგვის ფაქტობრივ უფლებამოსილებას**, რომელსაც ასეთი გამოყენება მოითხოვს.¹ გადამწყვეტი არის არა საკუთრება, არამედ ფაქტობრივი, უპირველესად ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსივობა ავტომობილის ექსპლუატაციასთან.² კომპენსაციის გადახდის ეს ვალდებულება **გამორიცხულია** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეულია **ფორსმაჟორით** ან თუ ავარია მოხდა ე.წ. ბრალის გარეშე უკანონოდ მართვის დროს, მაგალითად, ავტომობილის ქურდობის შემდეგ, რომელიც საკმარისად არის დაცული მესამე პირის არაუფლებამოსილი წვდომისგან (დანვრილებით უკანონოდ მართვისას პასუხისმგებლობის საკითხის შესახებ § 7 III StVG).

ავტოსაგზაო შემთხვევა ჩაითვლება ავტომობილის **ექსპლუატაციისას** მომხდარ ფაქტად, თუ ზიანის გამომწვევი მიზეზი ადგილმდებარეობისა და დროის თვალსაზრისით მჭიდროდ არის დაკავშირებული ექსპლუატაციის პროცესთან ან ავტოსატრანსპორტო საშუალების კონკრეტული ექსპლუატაციისთვის საჭირო მონეობილობასთან.³ ექსპლუატაცია გრძელდება მა-

* გერმანულიდან თარგმნა ნატალი გოგიაშვილმა.

¹ BGH, Urteil vom 26. November 1996 - VI ZR 97/96 - NJW 1997, 660, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 3. Dezember 1991 - VI ZR 378/90 - BGHZ 116, 200, juris Rn. 18

² BGH, Urteil vom 22. März 1983 - VI ZR 108/81 - BGHZ 87, 133, juris Rn. 12

³ BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 87/22 - openJur 2023, 3630, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 24. Januar 2023

ნამ, სანამ მძლოლი სატრანსპორტო საშუალებას ტოვებს მოძრაობაში და გრძელდება აღნიშნულით შექმნილი სახიფათო სიტუაცია (**ე.წ. საგზაო-ტექნიკური მოსაზრება**).⁴

ავტოსატრანსპორტო საშუალების მძლოლის პასუხისმგებლობა საგზაო მოძრაობის შესახებ კანონში (StVG) რეგულირდება სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებულად, რამდენადაც მძლოლმა უნდა ახსნას და დაასაბუთოს, რომ იგი არ იყო დამნაშავე ავარიაში (§ 18 StVG). შესაბამისად, აღნიშნული ინვეს იმას, რომ მოსარგებლე ხდება პასუხისმგებელი, რადგან მას არ შეუძლია დაამტკიცოს ფორსმაჟორული გარემოება, მაგრამ მძლოლს (რომელიც განსხვავდება მოსარგებლისგან) შეუძლია თავის გამართლება და, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებისგან თავის არიდებაც.

საგზაო მოძრაობის შესახებ კანონი (StVG) ასევე შეიცავს სპეციალურ რეგულაციებს ავარიაში რამდენიმე მონაწილის არსებობის შემთხვევაში **გამომწვევი მიზეზის კონტრიბუციის გასაზომად**, კერძოდ, § 17 StVG. მოცემულ რეგულაციებს პრიორიტეტი გააჩნიათ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამის დებულებებთან, მაგალითად, შერეული ბრალის კონტრიბუციის შესაფასებელ ნორმებთან.⁵ თუმცა, ეს ნორმები და მათზე დაფუძნებული სასამართლო პრაქტიკა ემყარება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის დებულებების შინაარსს, მაგალითად, შერეული ბრალის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შენონადობის დროს ან როდესაც ბრალის გარეშე და ბრალეული პასუხისმგებლობა ერთმანეთს ემთხვევა. შედეგად, როგორც წესი, ეს სპეციალური რეგულაციები არ ინვევენ რაიმე დიდ გადახრას გერმანიის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შენონადობის ზოგადი პრინციპებიდან. გამომწვევი მიზეზის კონტრიბუციის გაზომვისას,

მთავარ გადამწვეტ ფაქტორს წარმოადგენს ავარიაში მონაწილე პირთა ბრალი და მისი სიმძიმე, ისევე, როგორც ავარიაში მონაწილე ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან მომავალი რისკი, მაგალითად, როდესაც ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაჭარბებულად განიერია გზაზე არსებულ სივრცესთან შედარებით შემხვედრ მოძრაობაში მომავალ მანქანასთან შეჯახებისას. თუ მძლოლს ან სატრანსპორტო საშუალებით მოსარგებლეს ბრალი არ მიუძღვის, მისი ობიექტური წვლილი მიზეზში (მოიხსენიება როგორც „**ოპერაციული რისკი**“⁶) ხშირად სრულიად უკან იხვევს ავარიაში მონაწილე მეორე მხარის მნიშვნელოვანი ბრალის გამო.⁷

საქართველოს კანონმდებლობასთან მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ გერმანიაში **პასუხისმგებლობის დაზღვევა** უნდა იყოს გაფორმებული მანქანებზე (ე.წ. სავალდებულო დაზღვევა) და რომ დაზარალებულს ავტოსატრანსპორტო საშუალების მოსარგებლის და/ან მძლოლის პასუხისმგებლობის შემთხვევაში **პირდაპირი მოთხოვნა აქვს მზღვეველის წინააღმდეგ** - § 115 სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ კანონი, VVG (და არა ველოსიპედის ან ფეხით მოსიარულეთა პასუხისმგებლობის დამზღვევის წინააღმდეგ). ამ პირდაპირი მოთხოვნის გათვალისწინებით, ჩვეულებრივ შეიძლება დამატებით „და/ან მისი პასუხისმგებლობის მზღვეველის“ ნაკითხვაც, როდესაც „დაზარალებული მხარე“ არის ნახსენები. სპეციალური რეგულაციები მოქმედებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალება მონაწილეობს ავარიაში, რომელსაც არ აქვს ვალდებულების საწინააღმდეგოდ (და დასჯადად) დაზღვევა ან თუ უცხოური რეგისტრაციის მქონე მანქანა ხვდება ავარიაში, ან თუ ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე პირის დადგენა შეუძლებელია (§§ 12 და შემდგომი მუხლები, სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონი).

-VI ZR 1234/20 - openJur 2023, 3338, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 20. Oktober 2020 - VI ZR 319/18 - VersR 2021, 597, juris Rn. 7
⁴ BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 87/22 - openJur 2023, 3630, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 11. Februar 2020 - VI ZR 286/19 - VersR 2020, 782, juris Rn. 10

⁵ შდრ. BGH, Urteil vom 18. November 1993 - III ZR 178/92 - NJW-RR 1994, 603, juris Rn. 11
⁶ ნაგულისხმევია ავარიაში მონაწილე ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან მომავალი რისკი.
⁷ შდრ. შეფასების კრიტერიუმების მიმოხილვა: Scholten in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 17 StVG (Stand: 14.04.2023) Rn. 48 ff.

დეტალები შეგიძლიათ იხილოთ (ასევე ინგლისურად) ავტოსატრანსპორტო საშუალების მსხვერპლთა დაცვის გაერთიანების ვებსაიტზე.⁸

2. ზიანის საკითხების მოკლე მიმოხილვა

საგზაო მოძრაობის შესახებ კანონი შეიცავს გარკვეულ დებულებებს ამ სტატიით განხილული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლების შესახებ, მათ შორის სხეულის ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საკითხებზე, თუმცა, აღნიშნული მეტწილად შეესაბამება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესაბამის დებულებებს. შესაბამისად, ამ სტატიის კონტექსტში განხილული იქნება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის დებულებები.

ა) ნატურით რესტიტუციის პრიორიტეტულობა და ფორმები

თუ სატრანსპორტო საშუალების დაზიანების გამოსწორება ტექნიკურად შესაძლებელია, საქართველოსა და გერმანიის სამართლებრივ სისტემებში ნატურით რესტიტუცია (სსკ-ის 408 მუხლის 1-ელი ნაწილი, გსკ-ის § 249 1), ანუ **შენარჩუნების ინტერესის დაცვა (Schutz des Integritätsinteresses)** არის ძირითადი პრინციპი. შესაბამისად, აღნიშნულს აქვს პრიორიტეტი წმინდად ქონებრივ (სააღრიცხვო) კომპენსაციასთან შედარებით გსკ-ის § 251 მუხლის მიხედვით (იხ. ქვემოთ I. 2. ბ) გგ)), რომელიც შეესაბამება სსკ-ის 409 მუხლს.⁹ **შეკეთება ან ექვივალენტური სატრანსპორტო საშუალების** შესყიდვა შეიძლება ჩაითვალოს ნატურით რესტიტუციის ფორმად.

გერმანიაში ნატურით რესტიტუციას თითქმის ყოველთვის ასრულებს დაზარალებული მხარე და არა ზიანის მიმყენებელი. ეს პროცესი

- რომელიც ძირითადი სამართლებრივი კონცეფციისგან გადახვევას წარმოადგენს - ეფუძნება იმ ფაქტს, რომ დაზარალებულს, როგორც წესი, სურს თავად გადაწყვიტოს, ვის ხელში (მაგ., რომელ ავტოსატრანსპორტო სახელოსნოს ენდობა) სურს ზიანის გამოსწორება ან რომელი მანქანის, როგორც ჩამნაცვლებლის, შერჩევა უნდა. ამ მიზნით, გსკ-ის § 249-ე II 1 მუხლი დაზარალებულ მხარეს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს თანხის ანაზღაურება ზიანის გამოსწორების ნაცვლად (ე.წ. **ჩანაცვლების უფლება-მოსილება**). ეს მოთხოვნა ფულადი კომპენსაციის შესახებ მაინც რჩება **ნატურით რესტიტუციის ფორმად**.¹⁰ ის მხოლოდ ფიზიკური აღდგენის თავდაპირველი მოთხოვნიდან გარდაიქმნება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნად.¹¹

ბ) პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ხარჯების ანაზღაურება

მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს გსკ-ის § 249 II მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში გსკ-ის § 251 I მუხლით დარეგულირებული ფულადი კომპენსაციის მოთხოვნისაგან, რომელსაც შეესაბამება სსკ-ის 409 მუხლი, და რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ განცდილი ფინანსური დანაკლისის კომპენსაციას.

აა) ტექნიკური თვალსაზრისით სრული ზიანი

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევა სახეზეა, თუ შეკეთება უტოლდება სრულიად ახლის შექმნას¹² და, შესაბამისად, წარმოიქმნება სრულიად ახალი რამ,

⁸ <https://www.verkehrsofferhilfe.de/en/compensation-fund/>

⁹ BGH, Urteil vom 23. Mai 2017 - VI ZR 9/17 - NJW 2017, 2401, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 9. Juni 2009 - VI ZR 110/08 - BGHZ 181, 242, juris Rn. 15

¹⁰ BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 16 f.; BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 67/91 - BGHZ 115, 375, juris Rn. 10

¹¹ Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 75

¹² BGH, Urteil vom 10. Juli 1984 - VI ZR 262/82 - BGHZ 92, 85, juris Rn. 10

რომელიც არ არის ექვივალენტური ავტოსაგზაო შემთხვევის სატრანსპორტო საშუალებასთან კონსტრუქციული, ტექნოლოგიური და ფუნქციურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.¹³ ასეთი ე.წ. ტექნიკური თვალსაზრისით სრული ზიანი ასევე წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ შეკეთება არ მოიცავდა სრულიად ახლის შექმნას, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებებისთვის საჭირო საგზაო უსაფრთხოება ვეღარ იქნება საიმედოდ უზრუნველყოფილი და ამდენად, შეკეთებით ფუნქციური ექვივალენტობის მიღწევა შეუძლებელია.¹⁴

ბ) არაპროპორციული ძალისხმევა, სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალებები

გსკ-ის § 251 II მუხლის მიხედვით, ტექნიკური თვალსაზრისით სრულ ზიანს ასევე შეიძლება გაუთანაბრდეს ის შემთხვევა, როდესაც აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ არაპროპორციული ძალისხმევით. გადამწყვეტი კავშირის დადგენა საბაზრო ღირებულებას/ჩანაცვლების ღირებულებას შორის, ერთი მხრივ, და აღდგენის ხარჯებს შორის, მეორე მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია მანქანებისთვის, რომელთა წარმოებაც მოხდა როგორც ერთგვარი „უნიკალური“ ან ასეთად გადაკეთდა,¹⁵ ან გამოიყენეს სპეციალური მონოპოლიტები ან განსაკუთრებული აღჭურვილობები.¹⁶

„უნიკალურობის“ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი ბაზარი არ არსებობს, არაპროპორციულობის დასადგენად ვერ იქნება გამოყენებული არითმეტიკული ოდენობა იმისა, თუ დაზარალებულმა რა ხარჯები გაიღო მასალისთვის და სამუშაოს შესრულებისთვის, არამედ რა საბაზრო ღირებულება ექნებოდა მსგავს, თუნდაც არა ექვივალენტურ პროდუქტს.¹⁷ ასეთი

„საყვარელი ნივთების“ შემთხვევაში, აღდგენაზე შეიძლება უარი ითქვას გსკ-ის § 251 II მუხლის შესაბამისად, თუ ამისათვის საჭირო ძალი-სხმევა არ არის გონივრულ კავშირში შესაძარბელი ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაზრო ღირებულებასთან, ანუ არსებობს შეუსაბამობა ძალისხმევასა და ობიექტურად მისაღწევი ღირებულების შექმნას შორის. ამის მიუხედავად, დაზარალებულის მიერ ფაქტობრივად შესრულებული შეკეთების შემთხვევაში, ხარჯების ანაზღაურება, თუ აღემატება შესაძარბელი პროდუქციის საბაზრო ღირებულებას, ასევე შეიძლება არ მოხდეს 130%-იან ზღვარს ზემოთ (იხ. ქვემოთ II. 2. ა) აა) (1.2.2)).

თუ, მეორე მხრივ, საუბარია უბრალო მონოპოლიტზე ან სპეციალურ აღჭურვილობაზე, რაც დამახასიათებელია ჩვეულებრივი საბაზრო მანქანებისთვის, საჭირო ჩაშენების დამატებითი ღონისძიებები წარმოადგენს ინვოისის უბრალო დამატებით პუნქტს აღდგენის ხარჯის ოდენობის განსაზღვრისას. მოცემულ შემთხვევაში უმნიშვნელოა, ეს მონოპოლიტა ან სპეციალური აღჭურვილობა სტანდარტიზებულია თუ წარმოადგენს სპეციალურად მორგებულ პროდუქციას, რომელიც მიმართულია კონკრეტულად გამოსაყენებელ მიზანზე. ერთი მხრივ, აღნიშნული ნიშნავს, რომ სახეზეა აუცილებელი - და შესაბამისად ასანაზღაურებელი - ხარჯები იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ჩამნაცვლებელი ავტომანქანის ექვივალენტობის მიღწევა. თუმცა, მეორე მხრივ, ეს დამატებითი ხარჯები თავიდანვე უნდა ჩაითვალოს ჩამნაცვლებლის ღირებულებასა და აღდგენის ხარჯებს შორის (ასევე 130%-იანი ლიმიტის გამოთვლისას) ურთიერთკავშირის გაანგარიშებაში. მოცემულ შემთხვევებში ექცევა მაგალითად, სპეციალური აღჭურვილობის ან სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის აღჭურვილი მანქანები,

¹³ BGH, Urteil vom 25. Oktober 1996 - V ZR 158/95 - NJW 1997, 520, juris Rn. 6, მშენებლობისთვის
¹⁴ შდრ. Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 88
¹⁵ შდრ. BGH, Urteil vom 2. März 2010 - VI ZR 144/09 - NJW 2010, 2121, juris Rn. 7, მესაკუთრისთვის „ხელოვნების ნუმიზმად“ კლასიფიცირებული ავტომობილისთვის.

¹⁶ შდრ. BGH, Urteil vom 23. Mai 2017 - VI ZR 9/17 - NJW 2017, 2401, juris Rn. 10, ტაქსის აღჭურვილობისთვის
¹⁷ დეტალურად: BGH, Urteil vom 10. Juli 1984 - VI ZR 262/82 - BGHZ 92, 85, juris Rn. 7 ff., insb. Rn. 17, „საყვარელი ხელსაქმით“ დამზადებული მოდელირებული ნავისთვის.

ტაქსი და ა.შ.) გადაკეთების ხარჯები ან სპეციალური გადაღება, ან სარეკლამო დიზაინი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მიერ, როგორც კორპორატიული იდენტობის ნაწილი.¹⁸ სატრანსპორტო საშუალების ტუნინგის შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ განასხვავებს ავტომობილის შეკეთების ხარჯების შეუსაბამობას, როგორც ასეთს, და მანქანის ნაწილების შეცვლის ხარჯების შეუსაბამობას, მაგალითად, საკმაოდ ძველი მანქანის პულვერიზატორით შეღებვის ხარჯებს.¹⁹ თუმცა, ავტომობილის როგორც ასეთის შეკეთებასა და შესაცვლელი ნაწილების (რომელთა აღდგენა არ ხდება არაპროპორციული ძალისხმევით გამო) ჩამნაცვლებელ ღირებულებას შორის ასეთი გამიჯვნისას გათვალისწინება არ უნდა მოხდეს იმ ფაქტის, რომ დატუნინგებული მანქანა წარმოადგენს ფუნქციურ ერთეულს დაზარალებულისთვის.²⁰

თუ არსებობს სპეციალური მანქანებისთვის საკუთარი ბაზარი, მაგალითად, იმიტომ, რომ ისინი (როგორცაა ავტობუსები ან სახანძრო მანქანები) თავიდანვე ინარმოება, როგორც ასეთი და მათი ნატურის გამო ვერ გადაკეთდება, არ არსებობს სამართლებრივი თავისებურებები ან განსაკუთრებული პრაქტიკული სირთულებები პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისთვის საჭირო თანხობრივი ოდენობის განსაზღვრისთვის.

გგ) ფინანსური კომპენსაცია

როგორც უკვე აღინიშნა (ზემოთ I. 2. ა)), გსკ-ის § 251 მუხლზე დაფუძნებული მოთხოვნა არ იცავს შენარჩუნების ინტერესს (*Schutz des*

Integritätsinteresses). პირიქით, ის ემსახურება ზოგადი ფინანსური ინტერესის დაცვას, იმიტომ, რომ წარმოშობილი ქონებრივი დანაკარგისთვის²¹ ის ითვალისწინებს ფინანსურ კომპენსაციას და შესაბამისად, მიზნად ისახავს ზიანის გამოთვლას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ხარჯების საფუძველზე.

გ) იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალებები

დამატებითი პრობლემები წარმოიქმნება იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, ვინაიდან ზიანის მომტანი შემთხვევის შედეგად ილახება მეიჯარის, როგორც მესაკუთრის, ისევე როგორც მოიჯარის, როგორც კანონიერი მფლობელის დაცული უფლებები²² და, შესაბამისად, ორივე შეიძლება ჩაითვალოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კრედიტორად.

მოთხოვნათა კონკურენცია არ არსებობს, თუ მხოლოდ მოიჯარის ინტერესზე მოქმედებს სარგებლობის დაკარგვის შედეგად წარმოშობილი ზიანი, მაგალითად, მანქანის დაქირავების ხარჯები ან სარგებლობის დაკარგვა (იხ. II. 2. დ) ქვემოთ). თუმცა, ნივთის დაზიანების შემთხვევაში, მოთხოვნათა კონკურენცია ნებისმიერ შემთხვევაში თანაარსებობს, როდესაც - რაც ჯერ კიდევ არ არის გადანყვეტილი გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში - უფლებამოსილ მფლობელს ასევე შეუძლია მოითხოვოს ნივთისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.²³

¹⁸ BGH, Urteil vom 23. Mai 2017 - VI ZR 9/17 - NJW 2017, 2401, juris Rn. 10, ჩამნაცვლებელი სატრანსპორტო საშუალების გადაკეთება ტაქსის აღჭურვილობით; OLG Hamm, Urteil vom 24. Juni 2022 - I-7 U 30/21 - NJW 2023, 22, juris Rn. 53, კანალიზაციის შემონგების მანქანისთვის; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 18. Juni 2020 - 4 U 90/19 - juris Rn. 28, (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის აღჭურვილი მანქანები; OLG Düsseldorf, Urteil vom 31. August 2021 - I-1 U 173/20 - DAR 2022, 27, juris Rn. 25 ff., für Bodykit

¹⁹ Thüringer Oberlandesgericht, Urteil vom 16. März 2017 - 1 U 493/16 - NJW 2017, 3008, juris Rn. 11 f.

²⁰ შედეგად ასევე OLG Düsseldorf, Urteil vom 31. August

2021 - I-1 U 173/20 - DAR 2022, 27, juris Rn. 25 ff. für sog. Bodykit

²¹ BGH, Urteil vom 23. Mai 2017 - VI ZR 9/17 - NJW 2017, 2401, juris Rn. 6; Staudinger/Höpfner (2021) BGB § 251 Rn. 2; Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 75

²² შდრ. უფლებამოსილი მფლობელის დასაცავად: BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 481/17 - NJW 2019, 1669, juris Rn. 14

²³ პრობლემის ყოველმხრივი წარმოჩენა და მოსაზრება ამის შესახებ: BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 481/17 - NJW 2019, 1669, juris Rn. 16 ff.

აბსტრაქტულად წარმოშობილი პრობლემები პრაქტიკაში აშკარად მცირდება იმით, რომ იჯარის ხელშეკრულებები შეიცავენ რეგულაციებს, რომლებიც ხელშეკრულების პროცედურების შესაბამისად ადგენენ ზიანის გამოსწორების ერთგვაროვან ფორმას. თუმცა, თუ უფლებამოსილი მფლობელი გსკ-ის § 249 II 1 მუხლის საფუძველზე ჩანაცვლების უფლებას იყენებს მეიჯარის თანხმობის გარეშე და აიჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევით, კონკურენციის პრობლემებს ეძლევათ უკვე პრაქტიკული მნიშვნელობა.

დადგენილი სასამართლო პრაქტიკა მოიჯარეს არ აძლევს უფლებას მფლობელობის უფლების დარღვევისთვის წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამო მეიჯარის თანხმობის გარეშე გამოიყენოს **ჩამნაცვლების მოთხოვნის უფლება** გსკ-ის § 249 II 1 მუხლის მიხედვით ფიქტიური აღდგენის ხარჯების საფუძველზე.²⁴ აღნიშნული უფრო მეტად უნდა მოქმედებდეს მაშინ, როდესაც მოიჯარე ითხოვს ნატურით რესტიტუციას ჩამნაცვლების შესყიდვის სახით, თუნდაც ფიქტიური ანგარიშსწორების შემთხვევაში.

არსებითად, ფედერალურმა სასამართლომ დამაჯერებლად გაამართლა ეს მოსაზრება იმით, რომ მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში, (ბუნებრივად ერთგვაროვანი) გადაწყვეტილება ჩამნაცვლების მოთხოვნის შესახებ ეკუთვნის მესაკუთრეს, რადგან ის უფლებამოსილ მფლობელთან შედარებით ნივთზე დისპოზიციური უფლებამოსილებიდან გამომდინარე ყოვლისმომცველი ბატონობის უფლების მქონე პირია.²⁵

II. გაანგარიშების საკითხები

1. ზოგადი პრინციპები

ა) ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი/სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფასება

აა) ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპის საფუძვლები

ზიანის გამოსწორების ხარჯები ფასდება იმ **ძალისხმევის მიხედვით, რომელიც ზიანის გამოსწორების მიზნით მიზანშეწონილად და საჭიროდ უნდა იქნეს მიჩნეული გონივრული, ეკონომიურად მოაზროვნე პირის თვალსაზრისით, დაზარალებული პირის მდგომარეობაში ყოფნისას.**²⁶ ამიტომ დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს აღდგენისთვის ობიექტურად საჭირო თანხის ოდენობა.²⁷ თუმცა, ეკონომიკურად გონივრული ზიანის გამოსწორების მოთხოვნა არ მოითხოვს დაზარალებული მხარისგან მოიქცეს ყველა შემთხვევაში ისე, თითქოს ზიანზე პასუხისმგებლობა მას ეკისრება.²⁸

ისეთი ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც დაზარალებულ მხარეს მიემართებიან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დაზარალებულის მდგომარეობა, კერძოდ, მისი ცოდნის და გავლენის მოხდენის შესაძლებლობები, ისევე, როგორც მის წინაშე არსებული ნებისმიერი სირთულე, (ე.წ. ზიანის სუბიექტთან დაკავშირებული კონცეფცია ან ე.წ. **სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფასება**).²⁹ ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებული დამოკიდებულია მესამე პირების მხრიდან ზიანის აღდგენაზე, რომლებსაც მან

²⁴ BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 481/17 - NJW 2019, 1669, juris Rn. 20 ff.

²⁵ BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 481/17 - NJW 2019, 1669, juris Rn. 23

²⁶ BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 137/22 - openJur 2023, 4229, juris Rn. 52; BGH, Urteil vom 26. April 2022 - VI ZR 147/21 - NJW 2022, 2840, juris Rn. 12

²⁷ BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 137/22 - openJur 2023, 4229, juris Rn. 52; BGH, Urteil vom 26. April 2022 - VI ZR 147/21 - NJW 2022, 2840, juris Rn. 12; BGH,

Urteil vom 17. Dezember 2019 - VI ZR 315/18 - NJW 2020, 1001, juris Rn. 14

²⁸ BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 314/90 - BGHZ 115, 364, juris Rn. 13

²⁹ სრულად: BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 137/22 - openJur 2023, 4229, juris Rn. 53; BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 324/21 - NJW 2023, 1057, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 22. Juli 2014 - VI ZR 357/13 - NJW 2014, 3151, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 4. April 2014 - V ZR 275/12 - BGHZ 200, 350, juris Rn. 17

უნდა მიმართოს ავარიაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შესაკეთებლად და სხვა დაზიანების აღმოფხვრის ღონისძიებებისთვის.³⁰ რაც შეეხება სტანდარტს, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს დაზარალებული პირის ქცევის შეფასებებისთვის, მხედველობაშია მისაღები ასევე ის, რომ ის იყო საგანგებო ან გადაუდებელ მდგომარეობაში³¹ (მდრ. ბუქსირების ხარჯები ქვემოთ II. 2. ვ)) ან მისი ქმედების ალტერნატიული შესაძლებლობები შეიძლება შეზღუდული იყო ტრავმებისა და დაავადებების გამო.³²

ბბ) სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფასებასა და შერეულ ბრალს შორის კავშირი

სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფასებისას ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის დადგენისთვის უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის ასპექტები ემთხვევა გსკ-ის § 254 (2) მუხლის მიხედვით (შეესაბამება სსკ-ის 415 II მუხლს) ზიანის შემცირების ვალდებულების დარღვევის გამო (რაც მოითხოვს უფრო მაღალი ზიანის წარმოშობისთვის განმაპირობებელ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემცირების ასპექტებს. ეს იწვევს ნაწილობრივ ბუნდოვან პროცესებს და გარკვეულ დოგმატურ გაურკვევლობებს.³³ თუმცა, ზოგადად გამიჯვნა შეიძლება მოხდეს იმის მიხედვით, რომ უფრო ზოგადად გამოსაყენებელი ასპექტები, როგორებიცაა ეკონომიკურად მოაზროვნე დამკვირვებლის (კონკრეტულ სიტუაციაში დაზარალებულის) თვალსაზრისი, ეკონომი-

კური ეფექტიანობის მოთხოვნის დონე და კონკრეტულ ინდივიდუალურ საქმესთან დაკავშირებული ასპექტები, როგორებიცაა ზიანის აღმოფხვრის არატიპურად ხელსაყრელი გზის შესაძლებლობა, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ზიანის შემცირების ვალდებულების ეტაპზე.³⁴

გგ) ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპის დარღვევა

თუ დაზარალებული მხარე არღვევს ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპის მოთხოვნას ზიანის გამოსწორებისას, მისი მოთხოვნა კომპენსაციის თაობაზე არ ქრება, არამედ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპის მოთხოვნისთვის აუცილებელი, შემცირებული ოდენობით.³⁵

თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შედგება ზიანის სხვადასხვა ელემენტისგან, თავდაპირველად უნდა დადგინდეს დაარღვია თუ არა დაზარალებულმა საერთოდ ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი და რამდენად მაღალია სხვაობა. თუ, მაგალითად, დაზარალებულის მიერ არჩეულმა შეკეთებამ გამოიწვია საჭიროზე მაღალი ხარჯები, თუმცა შეკეთება შეიძლება მოხერხდეს უფრო სწრაფად, ვიდრე ნაკლები ხარჯების შემთხვევაში, შედარების ოდენობის გამოთვლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ რაც უფრო ძვირია იჯარით აღებული მანქანის შეკეთება, მით უფრო ნაკლებია მისი გამოუყენებლობის გამო შემოსავლების დაკარგვა (იხ. ქვემოთ II 2. დ) და ე)) და/ან მცირეა მიუღებელი შემოსავლის ოდენობაც. ეკონომი-

³⁰ BGH, Urteil vom 26. April 2022 - VI ZR 147/21 - NJW 2022, 2840, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 29. Oktober 1974 - VI ZR 42/73 - BGHZ 63, 182, juris Rn. 9

³¹ BGH, Urteil vom 9. März 2010 - VI ZR 6/09 - NJW 2010, 2569, juris Rn. 16;

³² ზოგადად ინდივიდუალური სირთულეების გათვალისწინება: BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 137/22 - openJur 2023, 4229, juris Rn. 53; BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 324/21 - NJW 2023, 1057, juris Rn. 11

³³ მაგალითად: BGH, Urteil vom 12. Februar 2019 - VI ZR 141/18 - NJW 2019, 2538, juris Rn. 21, „ყველაზე ხელსაყრელი“ მანქანის დაქირავებით სარგებლობისთვის; იხ. Wern, ZfSch 2015, 304 unter A I. 1.

³⁴ მდრ: BGH, Urteil vom 29. April 2003 - VI ZR 398/02 - BGHZ 155, 1, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 26. Mai 2020 - VI ZR 321/19 - NJW 2021, 234, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 25. September 2018 - VI ZR 65/18 - NJW 2019, 852, juris Rn. 6

³⁵ BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 5. Februar 2013 - VI ZR 363/11 - NJW 2013, 1151, juris Rn. 12

კური ეფექტიანობის პრინციპის დარღვევა შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, თუ ერთობლივი დაბალანსების შედეგად ერთობლივი ხარჯი უფრო მაღალი იქნებოდა. სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფასებისას, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ დაბალი ჯამური სალდოთი, თუ დაზარალებულ მხარეს შეეძლო გაეთვალისწინებინა მისი მხრიდან წინასწარ პროგნოზირებადი შეფასებისას აღნიშნული ფაქტორები ზიანის მიმდინარეობა და მისი ურთიერთქმედება.

ბ) ზიანის შეფასების დრო

ვინაიდან ზიანის განვითარება დინამიური პროცესია, ზიანის ანაზღაურების ფულადი სახით შესრულებისას, ზიანის შეფასება არ უნდა დაეფუძნოს ზიანის მომტანი შემთხვევის დროს, არამედ ზიანის კონკრეტული მიმდინარეობისას იმ დროს, როდესაც **მოთხოვნა სრულად იქნება დაკმაყოფილებული**. თუ ზიანის განვითარება ჯერ არ დასრულებულა, სამართლებრივი დავა უნდა ეფუძნებოდეს პროცედურულად ბოლო შესაძლო შეფასების დროს, ანუ, როგორც წესი, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ზეპირი მოსმენის დასასრულს.³⁶ ეს პრინციპები ასევე ვრცელდება ფიქტიური შეკეთების ან ხელახლა შესყიდვის ხარჯების ანგარიშსწორებაზეც. კონკრეტული ზიანის გამოთვლისას ის დროა გადამწყვეტი, როდესაც თავდაპირველი მდგომარეობა გსკ-ის § 249 მუხლის მნიშვნელობით აღდგა.³⁷

ამ პრინციპის კიდევ ერთი შედეგია ის, რომ ზიანის მომტან მოვლენასა და ზიანის გამოსწორებას შორის წარმოქმნილი ფასების ზრდის ტვირთი ეკისრება ზიანის მიმყენებელ მხარეს;³⁸ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნებები

გამონვეულია იმ ვალდებულებების დარღვევით, რომლებზეც პასუხისმგებელია დაზარალებული მხარე (იხ. ქვემოთ II. 2. კ)).

გ) ახსნა-განმარტებისა და მტკიცების ტვირთი

ზოგადი პრინციპების მიხედვით, დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს მის სარჩელს, ხოლო ზიანის მიმყენებელმა პირმა უნდა წარმოადგინოს და დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებიც აქარწყლებს ან ამცირებს მოთხოვნას.

ზიანის გამოსწორების მიზნით (დაზარალებული მხარის კონკრეტულ სიტუაციაში) განხორციელებული ღონისძიებების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა წარმოადგენს დაზარალებული მხარის მიერ წარსადგენ და დასამტკიცებელ მოთხოვნებს; ასევე მაშინაც, როდესაც კონკრეტულ სუბიექტთან დაკავშირებულ ასპექტებს ეხება საკითხი (ამის შესახებ ზემოთ II. 1 ა) ბბ)).³⁹ მეორე მხრივ, ზიანის, როგორც წესი, ხელსაყრელ ფასად გამოსწორების გონივრული შესაძლებლობის უგულვებელყოფის, ასევე ზიანის შემცირების ვალდებულების სხვა დარღვევების ჩვენების ტვირთს ზიანის მიმყენებელი მხარე ატარებს.⁴⁰

დ) სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელოვანი პრინციპების შეჯამება

სანამ გერმანიის სასამართლო პრაქტიკის პრინციპები ქვემოთ იქნება წარმოდგენილი, მანამდე უნდა მოხდეს ფედერალური სასამართლოს გადანყვეტილების ნაწყვეტების ციტირება, როგორც პირველადი ზოგადი მიმოხილვა,

³⁶ BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 20. Juli 2021 - VI ZR 533/20 - NJW 2021, 3594, juris Rn. 29; BGH, Urteil vom 20. Juli 2021 - VI ZR 575/20, juris Rn. 30
³⁷ BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 18. Februar 2020 - VI ZR 115/19, VersR 2020, 770, Rn. 13
³⁸ BGH, Urteil vom 18. Februar 2020 - VI ZR 115/19 - NJW 2020, 1795, juris Rn. 11

³⁹ სრულად: BGH, Urteil vom 26. Mai 2020 - VI ZR 321/19 - NJW 2021, 234, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 9. April 2019 - VI ZR 89/18 - NJW 2021, 234, juris Rn. 26
⁴⁰ BGH, Urteil vom 25. September 2018 - VI ZR 65/18 - NJW 2019, 852, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 7. Februar 2017 - VI ZR 182/16 - NJW 2017, 2182, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 28. April 2015 - VI ZR 267/14 - NJW 2015, 2110, juris Rn. 10

რომლებშიც შეჯამებული იქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:⁴¹

„გსკ-ის § 249 II 1 მუხლის თანახმად, დაზარალებულ მხარეს, რომელიც ნივთის დაზიანების შემდეგ საკუთარ თავზე აიღებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ვალდებულებას, უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის მიმყენებლისგან საჭირო თანხა. ზიანის მიმყენებელ მხარეს შეუძლია დაზარალებულს მიუთითოს ფულად კომპენსაციაზე განცდილი ღირებულებითი ზარალის ანაზღაურების მიზნით, თუ აღდგენა შეუძლებელია ან კომპენსაციისთვის არასაკმარისია (გსკ-ის § 251 I), ან მოითხოვს არაპროპორციულ ხარჯებს (გსკ-ის § 251 II 1). შესაძლო ნატურით რესტიტუციის შემთხვევაში არაპროპორციულობა ქმნის ზღვარს, საიდანაც დაზარალებული მხარის მხრიდან კომპენსაციის მოთხოვნა აღარ არის მიმართული აღდგენისკენ (ნატურით რესტიტუციის კენ), არამედ მხოლოდ ქონებრივი ზარალის ღირებულებითი კორექტირებისკენ (კომპენსაცია). ამ მხრივ, ნატურით რესტიტუციას აქვს პრიორიტეტი კომპენსაციასთან შედარებით (BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 314/90, BGHZ 115, 364, 367; BGH, Urteil vom 15. Februar 2005 - VI ZR 70/04, BGHZ 162, 161, 163 f.).

ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს, ნატურით რესტიტუცია შეუძლია მიიღოს ორი გზით: მას შეუძლია მოითხოვოს შეკეთების ან (ექვივალენტური) ჩამნაცვლებელი სატრანსპორტო საშუალების შესყიდვისთვის განეული ხარჯების ანაზღაურება. ზიანის აღდგენის ეს უკანასკნელი სახე ასევე წარმოადგენს, როგორც სენატმა არაერთხელ განაცხადა და აგრძელებს აღნიშნული პოზიციის დაცვას, ნატურით რესტიტუციის ფორმას, (BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 67/91, BGHZ 115, 375, 378 mwN; BGH, Urteil vom 29. April 2003 - VI ZR 393/02, BGHZ 154, 395, 397). რადგან რესტიტუციის მიზანი არ შემოიფარგლება მხოლოდ დაზიანებული ნივთის (ხელახალი) დამზადებით; არამედ ის უფრო ყოვლისმომცველად მოიცავს გსკ-ის § 249 I

მუხლის მიხედვით ისეთი სიტუაციის შექმნას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით შეესაბამება მდგომარეობას, რომელიც არსებობდა ზიანის გამომწვევ მოვლენამდე (BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 314/90, BGHZ 115, 364, 368; BGH, Urteil vom 15. Februar 2005 - VI ZR 70/04, BGHZ 162, 161, 164; BGH, Urteil vom 6. März 2007 - VI ZR 120/06, BGHZ 171, 287 Rn. 6). დაზარალებული მხარე, ზიანის შესახებ სამართლებრივად აღიარებული პრინციპების შესაბამისად, არსებული დისპოზიციურობის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, თავისუფალია გამოიყენოს ის საშუალებები, რომლებიც მას შეუძლია მოითხოვოს ზიანის მიმყენებლისგან ზიანის ასანაზღაურებლად. შესაბამისად, ის არ არის ვალდებული, შეაკეთოს თავისი მანქანა ან რეალურად შეიძინოს მისი შემცვლელი (...BGH, Urteil vom 5. vom 29. April 2003 - I ZR 393/02, BGHZ 154, 395, 398; BGH, Urteil vom 15. Februar 2005 - VI ZR 70/04, BGHZ 162, 161, 165 f.; BGH, Urteil vom 9. Juni 2009 - VI ZR 110/08, BGHZ 181, 242 Rn. 13).

2. თუ დაზარალებული პირი გადანყევტს - როგორც მოცემულ შემთხვევაში - ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაქვითვისთვის სავარაუდო ჩამნაცვლებელი ავტომობილის შესყიდვისთვის გათვალისწინებული ხარჯების მოთხოვნას, მისი აღნიშნული მოთხოვნა ჩამნაცვლებელთან მიმართებით დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ... განისაზღვრება ჩამნაცვლების ღირებულების დანახარჯების მიხედვით, ანუ დაუზიანებელ მდგომარეობაში მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალების ხელახლა შესყიდვის ღირებულებასა და დაზიანებული ავტომობილის ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობით (...). გადამწყვეტი მნიშვნელობა ზიანის ოდენობის გაანგარიშებისთვის არის ჩამნაცვლების შესყიდვის ღირებულება. ეს არის მეორადი ავტომობილის ფასი, რომელიც უნდა განისაზღვროს მეორადი ავტომობილების ბაზრის პირობების მიხედვით, რომელიც დაზარალებულმა უნდა გადაიხადოს სანდო დილერისგან შე-

⁴¹ ნაწყვეტი: BGH, Urteil vom 23. Mai 2017 - VI ZR 9/17 - NJW 2017, 2401, juris Rn. 6 ff., ციტატები მცირედი ცვლილებით.

მცვლელი მანქანის შესაძენად, რომელიც შეესაბამება ავარიაში დაზიანებულ ავტომობილს (...). მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ შემცვლელის შესყიდვის ეკონომიკური ექვივალენტობა უნდა განისაზღვროს ობიექტური თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი ფაქტორი ის კი არ არის, თუ როგორ აფასებს დაზარალებული მხარე თავისი ძველი სატრანსპორტო საშუალების და შემცვლელი მანქანის ღირებულებას, არამედ ობიექტური ღირებულებითი მასშტაბით გაკეთებული შეფასება იწვევს თუ არა ეკონომიკური ექვივალენტობის დადგენას (...). მაშასადამე, აღჭურვილობის სპეციფიური მახასიათებლები და განსაკუთრებული ფუნქციები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ობიექტურად გაზრდიან ღირებულებას ბაზარზე. მეორე მხრივ, ეკონომიკური ექვივალენტობა სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფასების კონტექსტში მოცემულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემცვლელ მანქანას შეუძლია ჩაანაცვლოს დაზიანებული მანქანა მისი სპეციფიკური, დაზარალებული მხარისთვის ობიექტურად გასაგები და ეკონომიკურად შესაბამისი ფუნქციით.

ყოველივე ამის შემდგომ და გსკ-ის § 251 მუხლის შესაბამისად, უბრალო ღირებულებითი კომპენსაციისგან განსხვავებით, გადამწყვეტი არ არის არც ცვეთის ღირებულება და არც ფასი, რომელსაც დაზარალებული მხარე მიიღებდა, თუ იგი ავარიაში მოხვედრილ მანქანას დაუზიანებელ მდგომარეობაში გაყიდიდა (დროისან გასხვისების ღირებულება), არამედ ფუნქციონირებადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში გარკვეული პირობების არსებობისას უფრო მაღალი ფასი, რომლის გადახდაც დაზარალებულ მხარეს მოუწევს ექვივალენტური სატრანსპორტო საშუალების შეძენისას”.

2. ზიანის გამოსასწორებლად იძულებითი ან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება

ა) სატრანსპორტო საშუალების მატერიალური დაზიანება

რამდენადაც ზიანის გამოსწორება ხდება ნატურით რესტიტუციის ძირითადი პრინციპების შესაბამისად (იხ. ზემოთ I. 2. ა)), დაზარალებულ მხარეს შეუძლია, აირჩიოს ის გზა, რომელიც, მისი გადმოსახედით, საუკეთესოდ ემსახურება მის ინტერესებს, რამდენადაც ზიანის ანაზღაურების სამართლის მიზანია ისეთი მდგომარეობის აღდგენა, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით შეესაბამება ჰიპოთეტურ მდგომარეობას ზიანის მომტანი მოვლენის არარსებობის შემთხვევაში.⁴² ერთი მხრივ, ავარიაში მოხვედრილი სატრანსპორტო საშუალების შეკეთებისას და, მეორე მხრივ, „ექვივალენტური“ შემცვლელი ავტომობილის შეძენისას საკითხი ეხება ზიანის გამოსწორების ან ზიანის გამოთვლის იურიდიულად ექვივალენტურ მეთოდებს.⁴³

გსკ-ის § 249 II 1 მუხლის შესაბამისად (იხ. ზემოთ I. 2. ა)), პირვანდელი მდგომარეობის აღსადგენად საჭირო თანხის ოდენობის გამოთვლა ჩამნაცვლებლის შეძენის თუ შეკეთების ხარჯებს ეფუძნება, გავლენას ახდენს მხოლოდ **გაანგარიშების მოდალობაზე**. ანუ საკითხი ეხება იმას, გამოთვლა უნდა მოხდეს ექსპერტის მოსაზრებების, ანუ ე.წ. ექსპერტიზის დასკვნის, თუ კონკრეტულად რეალურად განეული ხარჯების მიხედვით.

თუმცა, გაანგარიშების ეს ორი ტიპი არ უნდა იყოს ერთმანეთში შერეული „აღუბლის კრეფის“⁴⁴ გაგებით (ე.წ. **კომბინაციის აკრძალვა**). თუმცა, გამოთვლის ალტერნატიული მეთოდები - და თითოეულ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელი გზის არჩევა - შესაძლებელია სასამართ-

⁴² BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 137/22 - openJur 2023, 4229, juris Rn. 52; BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 324/21 - NJW 2023, 1057, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 17. Dezember 2019 - VI ZR 315/18 - NJW 2020, 1001, juris Rn. 14
⁴³ შდრ. BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 16 f.; BGH, Urteil vom 17. Oktober 2006 - VI ZR 249/05 - BGHZ 169, 263, juris Rn.

14; BGH, Urteil vom 5. Dezember 2006 - VI ZR 77/06 - NJW 2007, 588, juris Rn. 9
⁴⁴ აღნიშნული გამოთქმა წარმოადგენს მეტაფორულ გამოთქმას, რომელშიც მოიაზრება პირის ეგოისტური მცდელობა, მოცემულობიდან მხოლოდ მიმზიდველი ნაწილები აარჩიოს, იმისთვის, რომ არამიმზიდველი ნაწილები სხვა პირს დაუტოვოს (თარჯიმნის შენიშვნა).

ლო პროცესის ფარგლებშიც (ამის შესახებ ქვემოთ II. 2. ა) აა) (2.1)).⁴⁵ კომბინაციის ეს აკრძალვა გავლენას ახდენს არამხოლოდ რეალურ სარემონტო და ჩამნაცვლებლის შექმნის ხარჯებზე, არამედ მოიცავს ყველა შემდგომში დამდგარ ზიანს. ამიტომ დაზარალებულს, რომელიც ფიქტიურად გადახდილი ხარჯების საფუძველზე ანგარიშობს, შეუძლია, მაგალითად, მოითხოვოს დაქირავებული მანქანის ხარჯების ანაზღაურება ან სარგებლობის კომპენსაცია (იხ. ქვემოთ II. 2. დ) და ე)) მხოლოდ ზიანის აღმოფხვრისთვის ფიქტიურად (ჩვეულებრივ) საჭირო ხანგრძლივობისთვის, მაგრამ არა რეალურად არსებული გამოყენების შესაძლებლობის დაკარგვის უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის.⁴⁶ დაზარალებულმა მხარემ ასევე უნდა აირჩიოს ზიანის გაანგარიშების ერთიანი გზა მანქანის გადაყვანის ხარჯებისთვის (იხ. ქვემოთ II. 2. ვ)) და ჩამნაცვლებლის შექმნის ხარჯებისთვის (იხ. ქვემოთ II. 2. კ)).⁴⁷

თუმცა, იმ მეთოდების სამართლებრივი ექვივალენტობა, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს ზიანის გამოსასწორებლად, არ ნიშნავს, რომ დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს აირჩიოს ისე, როგორც მას სურს.⁴⁸ პირიქით, დაზარალებულმა ყოველთვის უნდა აირჩიოს ზიანის გამოსწორების ის ფორმა, რომელიც ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს. **ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპისა და კომბინაციის აკრძალვის** ეს ურთიერთქმედება მიზნად ისახავს, ხელი შეუშალოს იმ გარემოებას, რომ დაზარალებულმა ზიანის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად **უსაფუძვლოდ გამდიდრების აკრძალვის** უგულვებელყოფით აირჩიოს მისთვის ხელსაყრელი გაანგარიშების ტიპის ცალკეული ელემენტები და

ამით შეძლოს ზიანის მომტანი შემთხვევის შედეგად მოგების მიღება. გარდა ამისა, ეს არის ერთადერთი გზა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი გაანგარიშების მეთოდების თანმიმდევრულობა.⁴⁹

ა) შეკეთების ხარჯები

(1) რეალურად განეული შეკეთების ხარჯების ანაზღაურება

(1.1) შეკეთების ხარჯები არ აღემატება ჩამნაცვლებლის შესყიდვის ღირებულებას

თუ დაზიანებული მხარე მანქანას რეალურად გაარემონტებინებს, შეუძლია მოითხოვოს შეკეთების ხარჯების ანაზღაურება იმ პირობით, რომ ისინი არ აღემატება ჩამნაცვლებლის შესყიდვის ღირებულებას.⁵⁰ არ აქვს მნიშვნელობა, დაზარალებულ მხარეს აქვს თუ არა **შენარჩუნების დაცვის ინტერესი (Schutz des Integritätsinteresses)**. ამიტომ, მას შეუძლია ზიანის გამოთვლის ასეთი მეთოდი აირჩიოს მაშინაც კი, თუ რემონტის ჩატარების შემდეგ თავად აღარ გამოიყენებს სატრანსპორტო საშუალებას და გაყიდის მას.⁵¹

(1.2) შეკეთების ხარჯები აღემატება ჩამნაცვლების შესყიდვის ღირებულებას

თუმცა, თუ შეკეთების ხარჯები აღემატება ჩამნაცვლების შესყიდვის ღირებულებას, რემონტისთვის განეული ხარჯები, როგორც წესი, არ ანაზღაურდება. ასეთ შემთხვევაში ავტოტრანსპორტის შეკეთება აღარ ღირს, შესაბამისად, დაზარალებულ პირს ზიანის მიმყენებლისგან შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ **ჩამნაცვლების**

⁴⁵ შდრ. BGH, Urteil vom 5. April 2022 - VI ZR 7/21 - NJW 2022, 1884, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 2. Oktober 2018 - VI ZR 40/18 - NJW-RR 2019, 144, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 17. Oktober 2006 - VI ZR 249/05 - BGHZ 169, 263, juris Rn. 15

⁴⁶ LG Saarbrücken, Urteil vom 15. Mai 2015 - 13 S 12/15 - NJW-RR 2015, 143, juris Rn. 28

⁴⁷ BGH, Urteil vom 30. Mai 2006 - VI ZR 174/05 - NJW 2006, 2320, juris Rn. 11

⁴⁸ BGH, Urteil vom 17. Oktober 2006 - VI ZR 249/05 - BGHZ 169, 263, juris Rn. 14

⁴⁹ vgl. BGH, Urteil vom 5. April 2022 - VI ZR 7/21 - NJW 2022, 1884, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 18

⁵⁰ BGH, Urteil vom 5. Dezember 2006 - VI ZR 77/06 - NJW 2007, 588, juris Rn. 9. f.

⁵¹ BGH, Urteil vom 5. Dezember 2006 - VI ZR 77/06 - NJW 2007, 588, juris Rn. 9 f.

შესყიდვის ხარჯები, ანუ ჩამნაცვლების შესყიდვის ღირებულებას უნდა გამოაკლდეს ნარჩენი ღირებულება.⁵²

(1.2.1) ძირითადი პრინციპი

გსკ-ის § 249-ითგათვალისწინებული იმანენტური ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი, რომელსაც შეესაბამება სსკ-ის 408-ე მუხლი, შეკეთების ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას უფრო ძლიერად ზღუდავს, ვიდრე გსკ-ის § 251(2) მუხლით, რომელსაც შეესაბამება სსკ-ის 409-ე მუხლი, განსაზღვრული ნატურით რესტიტუციით დადგენილი არაპროპორციულობის ზღვარი. ფედერალურმა სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, გამიჯვნის ამ პრობლემასთან დაკავშირებით მიუთითა შემდეგზე:⁵³

ა) დაზარალებული მხარე, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს ნივთის დაზიანების შემდგომ მისი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის საკითხს, გსკ-ის § 249 II მუხლის შესაბამისად (შენიშვნა: გადანყვეტილება ეხება გსკ-ის § 249 მუხლის ადრინდელ ვერსიას; თუმცა მოსაზრებები მიემართება გსკ-ის § 249 II მუხლის ამჟამინდელი ვერსიასაც) უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის მიმყენებელი მხარისგან საჭირო ფულადი თანხა. ზიანის მიმყენებელს განცილებილი ღირებულებითი დანაკარგისთვის ფულად კომპენსაციაზე მაშინ შეუძლია მიუთითოს, როდესაც აღდგენა შეუძლებელია ან კომპენსაციისთვის არასაკმარისია (გსკ-ის § 251 I მუხლი), ან მოითხოვს არაპროპორციულად დიდ დანახარჯებს (გსკ-ის § 251 II 1 მუხლი). ნატურით რესტიტუციის შემთხვევაში, არაპროპორციულობის საკითხი ანებს ზღვარს, საიდანაც დაზარალებულის მხრიდან კომპენსაციის მოთხოვნა აღარ არის მიმართული აღდგენისკენ (ნატურით რესტიტუციისკენ), არამედ მხოლოდ ქონებრივი ზარალის ღირებულებითი კორექტირებისკენ (კომპენსაცია). ამ მხრივ, ნატურით რესტიტუციას აქვს პრიორიტეტი კომპენსაციასთან შედარებით.

ბ) ზიანის მომწესრიგებელი სამართლის ამ სისტემიდან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში, დაზარალებულმა შეიძლება ყოველთვის შეაკეთოს თავისი მანქანა არაპროპორციულობის ზღვრამდე, ზიანის მიმყენებელი პირის ხარჯზე. შედარება რესტიტუციის ხარჯებსა და დაზიანებული ნივთის უბრალო ღირებულებას შორის, რომელიც დაზარალებული პირის ქონებრივ ბალანსში ხვდება, გსკ-ის § 251 II 1 მუხლის მიხედვით, მნიშვნელოვანია იმ ზედა ზღვრის დადგენისთვის, სადამდეც ზიანის მიმყენებელს შეუძლია დაზარალებულს შეუმციროს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისთვის საჭირო ხარჯები (...). შესაბამის კითხვაზე პასუხის გაცემისას, შეუძლია თუ არა და რა ოდენობის დანახარჯებით დაზარალებულს ზიანის მიმყენებლის ხარჯზე სატრანსპორტო საშუალების შეკეთება, როდესაც უფრო მცირე დანახარჯებით იმავე ღირებულების ჩამნაცვლებელი მანქანის შექენას შეეძლებს, საკითხი არ ეხება, როგორც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება ახსნილი, რესტიტუციისა და კომპენსაციას შორის ზღვრის გავლებას. სარემონტო ხარჯების ზღვარს არ ადგენს გსკ-ის § 251 II 1 მუხლით გათვალისწინებული არაპროპორციულობა, არამედ მისი ზღვარი უკვე დადგენილია გსკ-ის § 249 I მუხლით განსაზღვრული პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით და გსკ-ის § 249 II მუხლით გათვალისწინებული აუცილებლობით (შენიშვნა: ამჟამად გსკ-ის § 249 I და § 249 II მუხლები).“

(1.2.2) 130% ლიმიტი

თუმცა, დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი განიცდის მოდიფიკაციას, რათა დაიცვას დაზარალებულის **შენარჩუნების ინტერესი (Schutz des Integritätsinteresses)**, იმ მიმართულებით, რომ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება რეალურად

⁵² BGH, Urteil vom 17. Oktober 2006 - VI ZR 249/05 - BGHZ 169, 263, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 30. November 1999 - VI ZR 219/98 - BGHZ 143, 189, juris Rn. 22

⁵³ ამონარიდი BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 314/90 - BGHZ 115, 364, juris Rn. 9 f.; ციტატა ამოღებულია.

განეული სარემონტო ხარჯებისთვის, რომლებიც აღემატება 30%-ით ჩამნაცვლების შეძენის ღირებულებას.⁵⁴

(1.2.2.1) შენარჩუნების ინტერესის (Integritätsinteresse) სპეციფიკური დაცვა

შენარჩუნების ინტერესის ეს სპეციფიკური დაცვა (Schutz des Integritätsinteresses) ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ სატრანსპორტო საშუალებას, როგორც წესი, დაზარალებული მხარე არ აღიქვამს როგორც სასურველ დროს გაცვლად ეკონომიკურ საქონელს, რომლის ღირებულებაც მას მხოლოდ აქტივების თვალსაზრისით გადაეცემა.

ერთი მხრივ, თითოეული სატრანსპორტო საშუალება გარკვეულწილად ინდივიდუალურია და შეძენილია მეტ-ნაკლებად მომხმარებლის პირადი წარმოდგენების მიხედვით. მეორე მხრივ, სპეციფიკური საფუძველი გამომდინარეობს იქიდან, რომ ყველა სატრანსპორტო საშუალებას აქვს საკუთარი - უკეთესი თუ უარესი - მახასიათებლები, რომლებსაც დაზარალებული მხარე, ანუ მომხმარებელი, შეეგუა და რომლებთანაც შეუძლია გამკლავება. შედეგად, ჩამნაცვლების შეძენა, რომელიც ღირებულების თვალსაზრისით ექვივალენტურია, დაზარალებული მხარისთვის ავტომატურად არ აღიქმება ექვივალენტად, ვინაიდან შემცვლელი მანქანა მისთვის, ანუ მომხმარებლისთვის „უცხოა“.

ეს ასპექტები მოითხოვენ შენარჩუნების ინტერესის (Schutz des Integritätsinteresses) განსაკუთრებულად დაცვას და მის შესაბამის ბალანსში მოყვანას ეკონომიკური ეფექტიანობის

პრინციპთან. სასამართლო პრაქტიკა ადგენს ამ ბალანსს ისე, რომ შენარჩუნების ინტერესი (Integritätsinteresse) ჭარბობს მაშინ, თუ შეკეთების ხარჯები შეადგენს ჩამნაცვლების შეძენის ღირებულების მაქსიმუმ 130%-ს.⁵⁵ ამ ლიმიტის შეფასება სასამართლო პრაქტიკაში მყარად არის დამკვიდრებული, მაგრამ, ოდენობის თვალსაზრისით, იგი უფრო ერთჯერად თანხად „წარმოდგება“ ხოლმე.⁵⁶ 130%-ს ამ სახელმძღვანელო ღირებულებამ შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში გადააჭარბოს ან შემცირდეს,⁵⁷ მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში თითქმის ყოველთვის თანმიმდევრულად გამოიყენება.

თუმცა, შენარჩუნების ინტერესი (Schutz des Integritätsinteresses) მხოლოდ იმ შემთხვევაში სარგებლობს ამ სპეციფიკური დაცვით, თუ ის რეალურად არსებობს და განხორციელებადია. ერთი მხრივ, ეს მოითხოვს მანქანის პროფესიონალურ შეკეთებას, ანუ აღდგენას პირვანდელ მდგომარეობაში.⁵⁸ მეორე მხრივ, ზიანის გაანგარიშება ამ საფუძველზე გულისხმობს, რომ დაზარალებულ მხარეს აქვს სურვილი, განაგრძოს ავტომობილის გამოყენება შეკეთების შემდეგ.⁵⁹ ვინაიდან ასეთი სურვილის დადგენა ხშირად ძნელია, სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა მტკიცების შემდეგი წესი, რომ, რემონტიდან, როგორც წესი, ექვსთვიანი გამოყენების პერიოდი აუცილებელია, და ამასთან საკმარისია მყარი შენარჩუნების ინტერესის (Integritätsinteresse) ჩამოსაყალიბებლად (ე.წ. სარგებლობის პერიოდი).⁶⁰ ამ ექვსთვიანი სარგებლობის პერიოდის გამოყენება მხოლოდ ნიშანია შენარჩუნებისადმი ინტერესის

⁵⁴ BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 100/20 - NJW 2022, 539, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 2. Juni 2015 - VI ZR 387/14 - NJW 2015, 2958, juris Rn. 6; BGH, Beschluss vom 18. November 2008 - VI ZB 22/08 - BGHZ 178, 338, juris Rn. 12 ff.

⁵⁵ BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 100/20 - NJW 2022, 539, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 9. Juni 2009 - VI ZR 110/08 - BGHZ 181, 242, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 15. November 2011 - VI ZR 30/11 - VersR 2012, 75, juris Rn. 5

⁵⁶ ასევე BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 314/90 - BGHZ 115, 364, juris Rn. 19

⁵⁷ BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 314/90 - BGHZ 115, 364, juris Rn. 19

⁵⁸ BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 100/20 - NJW 2022, 539, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 9. Juni 2009 - VI ZR 110/08 - BGHZ 181, 242, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 15. November 2011 - VI ZR 30/11 - VersR 2012, 75, juris Rn. 5

⁵⁹ BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 100/20 - NJW 2022, 539, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 9. Juni 2009 - VI ZR 110/08 - BGHZ 181, 242, juris Rn. 15; BGH, Beschluss vom 18. November 2008 - VI ZB 22/08 - BGHZ 178, 338, juris Rn. 12

⁶⁰ BGH, Urteil vom 23. November 2010 - VI ZR 35/10 - NJW 2011, 667, juris Rn. 7; BGH, Beschluss vom 18. November 2008 - VI ZB 22/08 - BGHZ 178, 338, juris Rn.

(Integritätsinteresse) არსებობის,⁶¹ ანუ არ წარმოადგენს სარემონტო ხარჯების იმ ნაწილს მოთხოვნის წინაპირობას, რომელიც აღემატება ჩამნაცვლებლის შეძენის ღირებულებას.⁶²

დადგენილი სასამართლო პრაქტიკის 130%-იანი ლიმიტი შემოღებულ იქნა ავტომობილებისთვის, თუმცა ამასობაში ქვედა სასამართლოების პრაქტიკაში მისი ნაწილობრივი გავრცელება ხდება ველოსიპედებზეც.⁶³

(1.2.2.2) გაანგარიშების მეთოდი

მთავარ პრაქტიკულ ასპექტს წარმოადგენს ის, რომ **დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ნარჩენი ღირებულება არ უნდა იქნას გათვალისწინებული ჩამნაცვლების შეძენის ღირებულების გაანგარიშებისას.** რეალურად განხორციელებული შეკეთების შემთხვევაში, ეს მხოლოდ წარმოადგენს ჰიპოთეტურ ინვოისის პუნქტს, რომელსაც დაზარალებული მხარე ვერ აანალიზებს და რომელიც, შესაბამისად, არ უნდა აისახოს ზიანის ბალანსში.⁶⁴ კიდევ ერთი არგუმენტი ნარჩენი ღირებულების გათვალისწინების წინააღმდეგ არის ის, რომ ეს ჩვეულებრივ დამოკიდებულია სარემონტო ხარჯებზე. მეორე მხრივ, რემონტის შემდეგ წარმოშობილი ნებისმიერი მერკანტილური შემცირებული ღირებულება (იხ. ქვემოთ II. 2. ზ)) მხედველობაში უნდა იქნას მიღებული 130%-იანი ლიმიტის განსაზღვრისას, ისე, რომ შეკეთების ხარჯებს დამატებული მერკანტილური შემცირებული ღირებულება მაქსიმუმ შეიძლება 30%-ით აღემატებოდეს ჩამნაცვლებლის შეძენის ღირებულებას.⁶⁵

თუ სარემონტო ხარჯები აღემატება 130%-იან ზღვარს, დაზარალებულ მხარეს შეუძლია ზიანის მიმყენებლისგან მოითხოვოს მხოლოდ ჩამნაცვლებლის შეძენის ღირებულების ხარჯების ანაზღაურება, ანუ ჩამნაცვლების შეძენის ღირებულებას უნდა გამოკლდეს ნარჩენი ღირებულება, მაშინაც კი, თუ შეკეთება ფაქტობრივად მოხდა მის მიერ. ამის შემდგომ შეკეთების ხარჯები არ შეიძლება დაიყოს ჩამნაცვლებლის შეძენის ღირებულების 130%-იანის წილობრივი ოდენობით, რომელიც ზიანის მიმყენებელმა მხარემ უნდა გადაიხადოს და ზედმეტ თანხად, რომელიც თავად დაზარალებულმა უნდა აანაზღაუროს.⁶⁶

(1.2.2.3) საპროგნოზო რისკი

თუმცა, ამ პრინციპებს ემყარება სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფასების პრინციპები (იხ. II. 1. ა) ზემოთ).

ამრიგად, 130%-იანი ლიმიტის გადაჭარბება შესაძლებელია, თუ შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაზარალებული მხარე ირჩევს შეკეთების გზას, რომელმაც, სავარაუდოდ, არ უნდა გადააჭარბოს ჩამნაცვლებლის შეძენის ღირებულების 130%-ის დანახარჯებს და თუ მაინც შეკეთება უფრო ძვირი აღმოჩნდება, ისე, რომ დაზარალებულს არ დაეკისრება (არჩევის-) ბრალის ტვირთი.⁶⁷ და ამის საპირისპიროდ, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს სარემონტო ხარჯების სრული ანაზღაურება, თუ ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ ჩამნაცვ-

13; BGH, Urteil vom 23. Mai 2006 - VI ZR 192/05 - BGHZ 168, 43, juris Rn. 11
 61 BGH, Beschluss vom 18. November 2008 - VI ZB 22/08 - BGHZ 178, 338, juris Rn. 14
 62 BGH, Beschluss vom 18. November 2008 - VI ZB 22/08 - BGHZ 178, 338, juris Rn. 13; BGH, Beschluss vom 26. Mai 2009 - VI ZB 71/08 - RuS 2009, 434, juris Rn. 5; თუმცა, ამ მხრივ, ალბათ, გადახვევად წარმოდგენა აღნიშნული პასაჟი, რომელიც არ უჭერს მხარს წარმოდგენილ გადაწყვეტას: BGH, Urteil vom 23. November 2010 - VI ZR 35/10 - NJW 2011, 667, juris Rn. 8 f.
 63 OLG München, Urteil vom 16. November 2018 - 10 U 1885/18 - MDR 2019, 286, juris Rn. 8; AG Berlin-Mitte, Urteil vom 4. September 2006 - 105 C 3504/05 - juris Rn. 3

64 BGH, Urteil vom 2. Juni 2015 - VI ZR 387/14 - NJW 2015, 2958, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 314/90 - BGHZ 115, 364, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 29. April 2003 - VI ZR 393/02 - BGHZ 154, 395, juris Rn. 13; BGH, Beschluss vom 18. November 2008 - VI ZB 22/08 - BGHZ 178, 338, juris Rn. 11 f.
 65 BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 100/20 - NJW 2022, 539, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 2. Juni 2015 - VI ZR 387/14 - NJW 2015, 2958, juris Rn. 6
 66 BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 100/20 - NJW 2022, 539, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 2. Juni 2015 - VI ZR 387/14 - NJW 2015, 2958, juris Rn. 7
 67 BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 100/20 - NJW 2022, 539, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 314/90 - BGHZ 115, 364, juris Rn. 15

ლებლის შეძენის ღირებულება 130%-ს აჭარბებდა, მაგრამ დაზარალებულმა რეალურად მოახერხა სრული და პროფესიონალური შეკეთება 130%-ის ლიმიტის ფარგლებში.⁶⁸

(1.2.3) არაპროპორციულობის ზღვრის და რჩენილი გამოყენების ფარგლები

თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ თუ სარემონტო ხარჯები 130%-ის ფარგლებშია, არაპროპორციულობის ზღვარზე მითითება (გსკ-ის § 251 II, შესაბამისი მუხლი სსკ-ის 409) არის უსაფუძვლო.

ამ გაანგარიშების მეთოდის ტიპური გადმოსახედით, გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება მოხდეს ისე, რომ რემონტის შედეგად განეული მთლიანი ხარჯები გახდეს არაპროპორციული, მაგალითად, რადგან ისინი დაკავშირებულია არატიპურად მაღალ დამატებით ხარჯებთან (მაგალითად: რემონტს სჭირდება ძალიან დიდი დრო და იწვევს მანქანის დაქირავების დამატებით მნიშვნელოვან ხარჯებს) ან იმის გამო, რომ ამ გაანგარიშების მოდელში ნარჩენი ღირებულების გაუთვალისწინებლობისას (იხ. ზემოთ II. 2. ა) (1.2.2.2)) ცალკეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში იწვევს მნიშვნელოვან განსხვავებას მხედველობაში მისაღებ გაანგარიშების მეთოდებს შორის. თუმცა, ასეთი იშვიათი გამონაკლისი სიტუაციები არ იწვევს იმას, რომ ქონებრივმა კომპენსაციამ, დაიკავოს ნატურით რესტიტუციის ადგილი გსკ-ის § 251 II მუხლის შესაბამისად. პირიქით, მისი ერთადერთი შედეგი არის ის, რომ დაზარალებულ მხარეს შეუძლია მიიღოს შემცველი მხოლოდ ნატურით რესტიტუციის ფარგლებში ხელმისაწვდომი პროცედურების საშუალებით.⁶⁹

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი წინარე დაზიანების მქონე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში, გამონაკლისად შეიძლება წარმოიშვას

სიტუაციები, როდესაც ნატურით რესტიტუციის ნებისმიერი ფორმა არაპროპორციულია და, შესაბამისად, თავიდანვე რჩება მხოლოდ ქონებრივი დანაკარგის კომპენსაცია, რომელიც შეიძლება შეადგენდეს „ნულსაც“ (ამაზე ქვემოთ II. 2. აა) (1.4)).

(1.3) შეკეთების ხარჯების ოდენობა, მტკიცების პროცესუალური ტვირთი

(1.3.1) სარემონტო კომპანიის/სპეციალიზირებული სახელოსნოს არჩევა

შეკეთების ხარჯების შემთხვევაში დადგენილი პრეცედენტული სამართალი ისეა შემუშავებული, რომ ზიანის მიმყენებელმა დაზარალებულს სრულად უნდა აუნაზღაუროს შეკეთების ხარჯები, თუ დაზარალებულმა დაზიანებული მანქანა გადასცა სპეციალიზებულ სახელოსნოს რემონტისთვის.

(1.3.1.1) ზოგადი ვალდებულებები

წინაპირობას კი წარმოადგენს ის, რომ დაზარალებული სარემონტო კომპანიისთვის დავალების მიცემისას და მონიტორინგის დროს მოიქცა ეკონომიკურად გონივრულად, ანუ გაითვალისწინა ზიანის მომტანი მხარის ინტერესები და აღდგენის ხარჯები მინიმუმამდე შეამცირა.⁷⁰ თუმცა, ის არ არის ვალდებული ჩაატაროს რაიმე სახის ბაზრის კვლევა, რათა იპოვოს ყველაზე იაფი სპეციალიზებული სახელოსნო.⁷¹

ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ზოგადად გამოიყენება შემდეგი პრინციპები:⁷²

„სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით დაზარალებულ მხარეს, როგორც წესი, უფლება აქვს აუნაზღაუროდეს სარემონტო ხარჯები, რომე-

⁶⁸ BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 100/20 - NJW 2022, 539, juris Rn. 10

⁶⁹ შდრ. BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 314/90 - BGHZ 115, 364, juris Rn. 9 ff., insb. Rn. 14

⁷⁰ შდრ. BGH, Urteil vom 26. April 2022 - VI ZR 147/21 - NJW 2022, 2840, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 29. Oktober 1974 - VI ZR 42/73 - BGHZ 63, 182, juris Rn. 12

⁷¹ ექსპერტებისთვის: BGH, Urteil vom 5. Juni 2018 - VI ZR 171/16 NJW 2019, 430, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 11. Februar 2014 - VI ZR 225/13 - NJW 2014, 1947, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 23. Januar 2007 - VI ZR 67/06 - NJW 2007, 1450, juris Rn. 17

⁷² ამონარიდი: BGH, Urteil vom 25. September 2018 - VI ZR 65/18 - NJW 2019, 852, juris Rn. 6; ციტატა მცირედი ცვლილებებით.

ლიც განეულია ბრენდირებულ სპეციალიზებულ სახელოსნოში, იმის მიუხედავად, რეალურად დაზარალებულს მანქანა სრულად, არასრულფასოვნად თუ საერთოდ არ აქვს შეკეთებული (იხ. სასამართლო პრაქტიკა., შდრ. ბოლოს BGH, Urteil vom 7. Februar 2017 - VI ZR 182/16 - NJW 2017, 2183, juris Rn. 7). თუ ის ითხოვს ფიქტიური შეკეთების ხარჯების ანაზღაურებას, ზოგადად საკმარისია, რომ მან ზიანი გამოთვალოს მის მიერ მოპოვებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ დასკვნა საკმარისად დეტალურია და აჩვენებს ძალისხმევას, რომ კონკრეტული ზიანის გამომწვევი შემთხვევა ეკონომიურად მოაზროვნე დამკვირვებლის თვალსაზრისით მხედველობაშია მიღებული (შდრ. BGH, Urteil vom 29. April 2003 - VI ZR 398/02 - BGHZ 155, 1). მიუხედავად ამისა, დაზარალებული მხარე, რომელსაც აქვს უფრო იაფი და ექვივალენტური სარემონტო ვარიანტი და რომელიც მისთვის ადვილად ხელმისაწვდომია, ზიანის შემცირების ვალდებულებიდან გამომდინარე, გსკ-ის § 254, II მუხლის შესაბამისად, ვალდებულია აღნიშნული გამოიყენოს (BGH, Urteil vom 29. April 2003 - VI ZR 398/02 - BGHZ 155, 1; BGH, Urteil vom 20. Oktober 2009 - VI ZR 53/09 - BGHZ 183, 2, juris Rn. 9; ...). აღნიშნული შეესაბამება სენატის დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, რომ დაზარალებულმა უნდა გამოიყენოს უფრო იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი სპეციალიზირებული სახელოსნო, თუ ზიანის მიმყენებელი მხარე განმარტავს და ასევე დაამტკიცებს, რომ ამ სახელოსნოში შეკეთება შეესაბამება ბრენდირებულ სპეციალიზებულ სახელოსნოში შეკეთების ხარისხის სტანდარტს და თუ ის გააბათილებს დაზარალებული მხარის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ არაგონივრულია გარემონტება ბრენდირებული სპეციალიზებული სახელოსნოს მიღმა (BGH, Urteil vom 7. Februar 2017 - VI ZR 182/16 - NJW 2017, 2182, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 28. April 2015 - VI ZR 267/14 - VersR 2015, 861, juris Rn. 9 f.; BGH, Urteil vom 15. Juli

2014 - VI ZR 313/13 - NJW 2014, 3236, juris Rn. 8; ...).“

შემდგომ გადაწყვეტილებაში ფედერალურმა სასამართლომ დაადასტურა აღნიშნული მოსაზრებები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაზარალებულმა უნდა გამოიყენოს უფრო იაფი სარემონტო ვარიანტი და მიმართოს თავისუფალ სპეციალიზებულ სახელოსნოს, რომელიც ძალისხმევის გარეშე და მარტივად ხელმისაწვდომია, თუ აღნიშნული შეესაბამება ბრენდირებულ სპეციალიზებულ სახელოსნოში შეკეთების ხარისხს და ამასთან გონივრულია.⁷³ შემდგომ გადაწყვეტილებაში ფედერალურმა სასამართლომ ეს პრინციპები ისე დააკონკრეტა, რომ თავისუფალ სპეციალიზებულ სახელოსნოში შეკეთება, როგორც წესი, არაგონივრულია დაზარალებულისთვის, თუ დაზიანებული მანქანა ავარიის დროს სამი წლის არ იყო. სამ წელზე მეტი ასაკის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში, ტექნიკურად ექვივალენტური სარემონტო ვარიანტის მითითება თავისუფალ სპეციალიზებულ სახელოსნოში შეიძლება არაგონივრული იყოს, თუ დაზარალებული მხარე კონკრეტულად განმარტავს, რომ იგი ავტომობილის მომსახურების და შეკეთებისთვის სისტემატურად იყენებდა ბრენდირებულ სპეციალიზებულ სახელოსნოს. ცხრა წელზე მეტი ასაკისა და შედარებით მსუბუქად დაზიანებული ავტომობილის შემთხვევაში, თავისუფალ სპეციალიზებულ სახელოსნოზე მითითება ჩვეულებრივ მიზანშეწონილია მაშინაც კი, თუ ადრე რემონტი ჩაუტარდა ბრენდირებულ სპეციალიზებულ სახელოსნოში, მაგრამ მანქანას ამ ავარიამდე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული სახელოსნო აღარ ემსახურებოდა.⁷⁴

მეორე მხრივ, დაზარალებული თავად არ უნდა მიუთითებდეს ე.წ. „უკანა ეზოს სახელოსნოზე“, რომელიც უფრო მეტად არის შექმნილი, როგორც ჰობი სახელოსნო, მაშინაც კი, თუ საკითხი ეხება საკმაოდ ძველ და მოუწესრიგებელ მანქანას და/ან თუ დაზარალებულმა თავად უნდა გაიღოს ასეთი ხარჯი ამ სახელოსნოს მომსა-

⁷³ BGH, Urteil vom 18. Februar 2020 - VI ZR 115/19 - NJW 2020, 1795, juris Rn. 8

⁷⁴ BGH, Urteil vom 7. Februar 2017 - VI ZR 182/16 - NJW 2017, 2182, juris Rn.8 und 12

ხურებისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზარალებული ყოველთვის არ უნდა მოიქცეს ისე, თითქოს თავად უნდა აელო საკუთარ თავზე ზიანი, მიუხედავად მისი მოვალეობისა, ზიანი ეკონომიკურად გონივრულად გამოასწოროს.⁷⁵ ამიტომ, მან შეიძლება უპირატესობა მიანიჭოს პროფესიონალურ შეკეთებას, დარჩენილი რისკების გამო, რომლებმაც სხვაგვარად შეიძლება საფრთხე შეუქმნას მანქანის საგზაო უსაფრთხოებას, ვიდრე ხარჯების დაზოგვას; მაშინაც კი, თუ მას ეს რისკები მისთვის დაკისრებული ხარჯების გათვალისწინებით საკუთარ თავზე უნდა აელო.

(1.3.1.2) სახელოსნოს რისკი

თუ დაზარალებულმა შეასრულა ეს ვალდებულებები, შეკეთების ხარჯები უნდა ანაზღაურდეს ზიანის მომტანი მხარის მიერ მაშინაც კი, თუ ისინი არაგონივრულად მაღალია სარემონტო სახელოსნოს მუშაობის არასწორი ან არაეფექტიანი მეთოდების გამო. ასე რომ, ე.წ. სახელოსნოს რისკი რჩება ზიანის მომტან მხარეზე.⁷⁶

ასეთ სიტუაციაში, როგორც წესი, დაზარალებულს არ მოეთხოვება საკუთარი სახელით მოაგვაროს დავა სახელოსნოს მფლობელთან დაკისრებული სარემონტო ხარჯების გონივრულობის შესახებ.⁷⁷ არ იქნებოდა მიზანშეწონილი მისი დატვირთვა უსიამოვნებით და დავის რისკით, რომლის საწყის ნერტილს ზიანის მიყენება წარმოადგენს. გარდა ამისა, ასეთმა დავამ შესაძლოა დააზარალოს დაზარალებულ მხარესა და სარემონტო მაღაზიის მფლობელს შორის ადრე არსებული ნდობითი ურთიერთობა. თუ დაზარალებული მხარე იხდის ინვოისის თანხას, მიუხედავად მის მიზანშეწონილობაში გარკვეული

ეჭვისა, მან უნდა დაუთმოს ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს სარემონტო მაღაზიის მფლობელის მიმართ, სარგებლის გაზიარების პრინციპების შესაბამისად ზიანის მიყენებელ მხარეს ან მის პასუხისმგებლობის მზღვეველს.⁷⁸ ზიანის მიმყენებელი მხარე ან მისი პასუხისმგებლობის მზღვეველი თავისუფალია, პროცედურული რისკების გათვალისწინებით და საკუთარი ძალისხმევით მოითხოვოს სადავო განსხვავება.

იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, დაზარალებულმა მხარემ თავიდან აირიდოს დარჩენილი რისკები და, მეორე მხრივ, დაცული იყოს ზიანის მიმყენებელი ობიექტურად გადაჭარბებული ხარჯებისგან, გერმანიაში შეკეთების ხარჯების არსებობისას შემუშავდა ზიანის ანაზღაურების შემდეგი (აქ შემოკლებით გადმოცემული) პრაქტიკა:

არსებული სავალდებულო დაზღვევისა და პასუხისმგებლობის მზღვეველის მიმართ პირდაპირი მოთხოვნის არსებობის გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურება შეკეთების ხარჯებისთვის (ასევე სხვა ტიპის ზიანის დროსაც) ძირითადად ხდება უშუალოდ დაზარალებულსა და ზიანის მიმყენებლის მზღვეველს შორის. ზოგიერთ შემთხვევაში, დაზარალებული მხარე თავის მოთხოვნებს ზიანის მიმყენებლისა და მისი პასუხისმგებლობის მზღვეველის წინააღმდეგ უთმობს სარემონტო სახელოსნოს მფლობელს, რათა ამ უკანასკნელმა ფაქტობრივი ზიანი თავად გაქვითოს უშუალოდ პასუხისმგებლობის მზღვეველთან.⁷⁹ როგორც წესი, დაზარალებული მხარე ან მის მიერ აყვანილი ადვოკატი ან სარემონტო სახელოსნო ასევე უკავშირდება მზღვეველს (ყოველ შემთხვევაში, მცირე ზიანის შემთხვევაში) სარემონტო შეკვეთის გაფორმებამ-

⁷⁵ BGH, Urteil vom 15. Oktober 1991 - VI ZR 314/90 - BGHZ 115, 364, juris Rn. 13

⁷⁶ სრულად: BGH, Urteil vom 26. April 2022 - VI ZR 147/21 - NJW 2022, 2840, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 16. November 2021 - VI ZR 100/20 - DAR 2022, 84, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 15. Oktober 2013 - VI ZR 528/12 - VersR 2013, 1590, juris Rn. 31

⁷⁷ BGH, Urteil vom 26. April 2022 - VI ZR 147/21 - NJW 2022, 2840, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 29. Oktober 1974 - VI ZR 42/73 - BGHZ 63, 182, juris Rn. 13

⁷⁸ BGH, Urteil vom 26. April 2022 - VI ZR 147/21 - NJW 2022, 2840, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 29. Oktober 1974 - VI ZR 42/73 - BGHZ 63, 182, juris Rn. 13

⁷⁹ თავად დაზარალებულ მხარეს შეუძლია სასამართლოში მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სარემონტო მაღაზიის მფლობელის მხრიდან მინიჭებული უფლებამოსილებით პროცესუალური უფლებამონაცვლეობის საფუძველზე: BGH, Urteil vom 26. April 2022 - VI ZR 147/21 - NJW 2022, 2840 - juris Rn. 6

დე და ან ნარუდგენს შეკეთების ხარჯთაღრიცხვას, ან განსაკუთრებით დიდი ზიანის შემთხვევაში (ჩვეულებრივ, მზღვეველთან წინასწარი კონსულტაციის შემდეგ) ექსპერტიზის დასკვნას. მზღვეველი შემდგომში ამონებს ხარჯთაღრიცხვას ან ექსპერტიზის დასკვნას და, შესაბამისად ან გამოსცემს „რემონტის ჩატარების“ დოკუმენტს, ან აპროტესტებს ზიანის აღმოფხვრის განსაზღვრულ ტიპს ან სავარაუდო ხარჯების ოდენობას.

პრეტენზიების მოგვარებისადმი ასეთი ერთიანი მიდგომა პრინციპში ლოგიკურია, რადგან მას შეუძლია თავიდან აიცილოს შემდგომი დავები ანაზღაურებადი სარემონტო ხარჯების ოდენობისა და ავარიის ზიანის სათანადო შეკეთების შესახებ. ამასთან, არ არსებობს ვალდებულება, მოპოვებულ იქნეს ასეთი „რემონტის ჩატარების“ დოკუმენტი, იმისთვის რომ ზიანის გამოსწორების შეფერხებები მოხდეს დაზარალებულის რისკის სფეროში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მზღვეველი არ სთხოვს, რომ დაელოდონ ხარჯთაღრიცხვის ან ექსპერტიზის დასკვნის შემომწმებას შეკეთებასთან დაკავშირებული ბრძანების გაცემამდე.⁸⁰

(1.3.2) მტკიცებულებების წარდგენის და მტკიცების ტვირთის შესახებ მოთხოვნები

დაზარალებულ მხარეს, როგორც მოთხოვნის კრედიტორს, ეკისრება მტკიცებულებების წარდგენის და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ხარჯებთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი (იხ. II. 1. გ) ზემოთ).⁸¹

დაზარალებული მხარე, როგორც წესი, აკმაყოფილებს მტკიცებულების ამ ტვირთს, თუ იგი წარადგენს მის მიერ დაკვეთილი სარემონტო

კომპანიისგან მიღებულ (მის მიერ გადახდილ) ინვოისს. მოთხოვნის უბრალოდ უარყოფა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეჭვქვეშ დადგეს მოთხოვნილი ზიანის ოდენობის მიზანშეწონილობა.⁸² აღნიშნული მით უფრო მოქმედებს, როდესაც სახელოსნოს რისკი ეკისრება ზიანის მიმყენებელს და არ ანაზღაურდება ის ხარჯები, რომლებიც სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფასების გათვალისწინებით, არ იყო საჭირო ზიანის გამოსასწორებლად. ეს პრინციპი არ ცვლის იმას, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ არის გამიზნული ინვოისის თანხების ანგარიშსწორებაზე,⁸³ არამედ საჭირო ხარჯების ანაზღაურებაზე.

მისი განსაზღვრისთვის, შესაბამისად, მნიშვნელობა ენიჭება, როგორც სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფასების შედეგს, დაზარალებული მხარის მიერ ფაქტობრივად განხორციელებულ გადახდას და მასზე დაფუძნებულ (მაგ., კონკლუდენტურად მიღებული) ფასის შეთანხმებას სარემონტო კომპანიასთან, და, შესაბამისად, ასევე, ამის საფუძველზე შექმნილ ინვოისს, რომელიც წარმოადგენს საორიენტაციო ხასიათის მითითებას. თუ ზიანის მიმყენებელს სურს ამ ხარჯის აუცილებლობაზე დავა, მან უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არ უნდა ყოფილიყო საჭირო ფაქტობრივად განუული (ინვოისის თანხასთან შესაბამისი) ხარჯი, დაზარალებულის მდგომარეობისა და მისი შესაძლო შეზღუდული ცოდნის გათვალისწინებით.⁸⁴ თუ დაზარალებული მხარე დავობს სარემონტო ღონისძიების აუცილებლობაზე ან მის კავშირზე ზიანის გამომწვევ მოვლენასთან, ახსნა-განმარტებისა და მტკიცების ტვირთი ავარიის მიზეზობრიობის შესახებ რჩება დაზარალებულ მხარეზე.⁸⁵

⁸⁰ შდრ. OLG Celle, Urteil vom 1. Dezember 2021 - 14 U 83/21 - NJW-RR 2022, 464, juris Rn. 8 und 10

⁸¹ BGH, Urteil vom 5. Juni 2018 - VI ZR 171/16 - NJW 2019, 430, juris 16; vgl. BGH, Urteil vom 26. Mai 2020 - VI ZR 321/19 - NJW 2021, 234, juris Rn 10; BGH, Urteil vom 9. April 2019 - VI ZR 89/18 - NJW 2021, 234, juris Rn. 26

⁸² BGH, Urteil vom 5. Juni 2018 - VI ZR 171/16 - NJW 2019, 430, juris 16; BGH, Urteil vom 24. Oktober 2017 - VI ZR 61/17 - NJW 2018, 693, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 19. Juli 2016 - VI ZR 491/15 - NJW 2016, 3363 Rn. 20; საექსპერტო ხარჯებისთვის

⁸³ BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 137/22 - openJur 2023, 4229, juris Rn. 52; BGH, Urteil vom 26. April 2022 - VI ZR 147/21 - NJW 2022, 2840, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 17. Dezember 2019 - VI ZR 315/18 - NJW 2020, 1001, juris Rn. 14

⁸⁴ BGH, Urteil vom 5. Juni 2018 - VI ZR 171/16 - NJW 2019, 430, juris 16; BGH, Urteil vom 24. Oktober 2017 - VI ZR 61/17 - NJW 2018, 693, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 19. Juli 2016 - VI ZR 491/15 - NJW 2016, 3363 Rn. 20; საექსპერტო ხარჯებისთვის

⁸⁵ შდრ. LG Nürnberg-Fürth, Urteil vom 29. Juli 2022 - 8 O

თუ არსებობს კონკრეტული მიმანიშნებელი გარემოებები, რომ ავარია დაზარალებულ მხარესა და სარემონტო კომპანიის მფლობელს შორის **შეთანხმებული თანამშრომლობით** იქნება გამოყენებული, რათა გამოესწორებინათ ავარიამდე არსებული წინარე დაზიანებები ან ცვეთა, დაზარალებულმა მხარემ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით არ უნდა ისარგებლოს აღნიშნული მოგებით. შესაბამისად, თავიდანვე მას ეკისრება შეუზღუდავი ახსნა-განმარტებისა და მტკიცების ტვირთი, რომ განხორციელებული სარემონტო ღონისძიებები ფაქტობრივად ავარიის შედეგად იყო გამოწვეული და ობიექტურად აუცილებელი.⁸⁶

იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული არასაჭირო სარემონტო სამუშაოების წინასწარ ჩატარება ან შემდგომში განხორციელებული მანიპულაციების ამოცნობის მიზნით, ზიანის მიმყენებელ პირს შეიძლება ჰქონდეს უფლება ავარიაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალების **შემონმება** მის მიერ დაკვეთილი ექსპერტის მიერ მოხდეს როგორც შეკეთებამდე, ასევე მის შემდეგ. თუმცა, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ეს განსაზღვრავს კონკრეტულ მიმანიშნებელ გარემოებებს, რომ ან დაზარალებულის მიერ დაკვეთილ ექსპერტიზის დასკვნას აქვს ხარვეზები, ან შესაძლოა არსებობდეს ანომალიები რემონტის დროს,⁸⁷ მაგალითად, გარკვეული შეუსაბამობები გარე დაზიანებასა და

მოპოვებულ ექსპერტიზის დასკვნას ერთი მხრივ და ინვოისში ასახულ სარემონტო სამუშაოებს შორის მეორე მხრივ. მიღებული ზომების აუცილებლობასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი უფრო მეტად ეკისრება დაზარალებულ მხარეს, თუ არსებობს დამატებით კონკრეტული მიმანიშნებელი გარემოებები, ე.წ. ფიქტიური ან მანიპულირებული საგზაო შემთხვევის შესახებ.⁸⁸

(1.4) შეკეთების ხარჯები წინარე დაზიანების არსებობისას

გერმანიაში არსებობს ქვედა სასამართლოს გადანყვეტილებების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომლებიც არ წარმოადგენენ ფედერალური სასამართლოს „ნამყვან გადანყვეტილებებს“ და რომლებიც ეხება ზიანის მომწესრიგებელ სამართლებრივ საკითხებს წინარე დაზიანებების არსებობის დროს, რომლებიც არ იყო გარემონტებული ან არასწორად გარემონტდა.⁸⁹ საბოლოო ჯამში, ეს საკითხი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ზიანის შეფასება გერმანიაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 287 მუხლის მიხედვით მოწესრიგებულ ღია შეფასების (*eröffnete Schätzung*) მიხედვით, წარმოადგენს ფაქტობრივ გარემოებას, რომლის რევიზიის კომპეტენციაც ფედერალურ სასამართლოს შეზღუდული აქვს. არსებითად, ის მოიცავს შემდეგ კითხვებს:

4151/21 - RuS 2023, 91, juris Rn. 38

⁸⁶ შდრ. OLG Frankfurt, Urteil vom 7. Juni 2004 - 16 U 195/03 - ZfSch 2005, 69, juris Rn. 26; LG Frankenthal, Urteil vom 9. Juni 2021 - 1 O 4/20 - VersR 2022, 574, juris Rn. 39

⁸⁷ OLG Celle, Urteil vom 1. Dezember 2021 - 14 U 83/21 - NJW-RR 2022, 464, juris Rn. 9 ff., სრული დასაბუთებით; უფრო მეტი: OLG Düsseldorf, Urteil vom 16. Oktober 2018 - 1 U 162/17 - juris Rn. 61; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Beschluss vom 29. Mai 2018 - 4 W 9/18 - NJW-RR 2018, 1043, juris Rn. 14; LG Potsdam, Urteil vom 3. März 2015 - 11 O 166714 - juris Rn. 47

⁸⁸ OLG Frankfurt, Urteil vom 7. Juni 2004 - 16 U 195/03 - ZfSch 2005, 69, juris Rn. 26. მოცემულ სიმულირებულ საგზაო ავარიებში მონაწილე პირები პროვოცირებენ სავარაუდო მესამე პირის მიერ გამოწვეულ ავარიებზე დაზიანების დაბალი რისკით, მაგალითად, უკნიდან შეჯახებით დამუხრუჭების შედეგად, ზოლის შეცვლისას

მრავალ ზოლიან გზებზე, მრავალსართულიან ავტოსადგომებზე ან საპარკინგე ადგილებზე, რათა შემდეგ კარგ შემთხვევაში მოხდეს ზედაპირული შეკეთება, თუმცა პროფესიონალური რემონტისთვის ობიექტურად საჭირო ხარჯების დაფარვა; იხ. ტიპური მიმდინარეობები: Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Beschluss vom 20. Februar 2023 - 7 U 170/22 - juris Rn. 20; OLG Hamm, Urteil vom 21. Oktober 2022 - I-7 U 96/21 - VersR 2023, 171, juris Rn. 10 ff.; OLG Hamm, Anerkenntnisurteil vom 12. Februar 2020 - 11 U 44/19 - juris Rn. 33 ff.; OLG Dresden, Urteil vom 23. Oktober 2018 - 4 U 187/18 - NJW-RR 2019, 230, juris Rn. 21; OLG Stuttgart, Beschluss vom 21. September 2018 - 10 U 137/18, juris Rn. 10

⁸⁹ შეჯამებები, მაგალითად: Hanseatisches Oberlandesgericht Bremen, Urteil vom 30. Juni 2021 - 1 U 90/19 - NJW-RR 2021, 1468, juris Rn. 19 ff., KG Berlin, Urteil vom 27. August 2015 - MDR 2015, 1128 - 22 U 152/14 - juris Rn. 33 ff.; Nußgel, ZfSch 2020, 490

(1.4.1) სატრანსპორტო საშუალების ნაწილების წინარე დაზიანება, რომლებიც უშუალოდ არ იყო ზიანის მიმყენებელი მოვლენით გამოწვეული

იურიდიულად საკმაოდ უპრობლემაოა და, შესაბამისად, ქვემოთ არ არის განხილული, ის კონსტელაციები, რომლებშიც არ არსებობს წინარე დაზიანებასა და ავარიის ზიანს შორის კავშირი. ასეთ შემთხვევებში, წინარე დაზიანება მხოლოდ ამცირებს ავტომობილის ჩამნაცვლებლის ღირებულებას⁹⁰ და, შესაბამისად, მოქმედებს როგორც ნებისმიერი სხვა ღირებულების განმსაზღვრელი გარემოება, მხოლოდ შეფასების კრიტერიუმად, როდესაც განისაზღვრება რემონტის ან ჩამნაცვლებლის ღირებულების 130% ლიმიტი (იხ. ქვემოთ II. 2. ა) ბბ) (1.1)). ასევე, ზოგადად უნდა განიმარტოს და გაეცეს პასუხი სარგებლის გამოქვითვის პრინციპების მიხედვით (იხ. ქვემოთ II. 2. თ) ბბ.) არის თუ არა და, თუ არის, რამდენად მოქმედებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ოდენობაზე ის ფაქტი, რომ სატრანსპორტო საშუალების ნაწილების წინარე დაზიანება, რომლებიც უშუალოდ არ არის დაზიანებული სადავო შემთხვევის გამო, ასევე უნდა აღმოიფხვრას ავარიის დაზიანების აღდგენის პროცესში.⁹¹

(1.4.2) უკვე არსებული წინარე დაზიანება

(1.4.2.1) ნარდგენისა და მტკიცების ტვირთი

თუ ზიანის მიმყენებელი მხარე აცხადებს, რომ სადავო ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად

მანქანის ნაწილებს აქვთ მხოლოდ ის წინარე დაზიანებები, რომლებიც არ იყო ან სრულად არ იყო გარემონტებული (ე.წ. უკვე არსებული წინარე დაზიანება), დადგენილი სამართლო პრაქტიკის მიხედვით მოქმედებს ზოგადი პრინციპი, რომ დაზარალებულ მხარეს ეკისრება ახსნა-განმარტებისა და მტკიცების ტვირთი საგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის შესახებ (იხ. ზემოთ II.1. გ)). ამიტომ, დაზარალებულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ ასეთი წინარე ზიანი არ არსებობდა ან ჩამნაცვლებლის შესყიდვის ღირებულებას იმაზე ნაკლებად ამცირებს, ვიდრე დაზარალებული მხარე მიუთითებს.⁹² თუმცა, ახსნა-განმარტებისა და მტკიცების ეს ტვირთი, რომელიც მიმართულია ძნელად დასამტკიცებელ უარყოფით ფაქტებზე (ფაქტობრივი გარემოებების არარსებობა, აქ წინარე დაზიანება)⁹³, არ უნდა დაექვემდებაროს გადაჭარბებულ მოთხოვნებს (ზოგჯერ შესამჩნევ სასამართლო ტენდენციების საწინააღმდეგოდ), ყოველ შემთხვევაში იმ შემთხვევაში მაინც, თუ არ არის მიზანმიმართული მანიპულაციების ნიშნები.⁹⁴

(1.4.2.2) ნატურით რესტიტუციის უპირატესობა

ზიანის დადგენისას, უკვე არსებული წინარე ზიანის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებებში ზოგჯერ მოიძებნება მიუთითებები, რომლებიც მიდიან იმ მიმართულებით, რომ ზიანი არ არსებობს, თუ მანქანის ნა-

⁹⁰ შდრ. OLG Hamm, Beschluss vom 26. Mai 2021 - I-7 U 55/20 - MDR 2021, 1192, juris Rn. 16; OLG Hamm, Beschluss vom 16. Oktober 2019 - 31 U 115/19 - juris Rn. 1.
⁹¹ OLG Stuttgart, Urteil vom 16. Februar 2023 - 2 U 226/21 - openJur 2023, 3947, juris Rn. 24 f.; OLG Hamm, Urteil vom 28. Juni 2022 - I-7 U 45/21 - NJW 2023, 615, juris Rn. 8 f.
⁹² BGH, Beschluss vom 15. Oktober 2019 - VI ZR 377/18 - NJW 2020, 393, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 9. Juni 1992 - VI ZR 215/91 - NJW-RR 1992, 1214, juris Rn. 12 f.; OLG

Celle, Urteil vom 1. März 2023 - 14 U 149/22 - juris Rn. 25
⁹³ იხ. Hagenloch, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, Art. 102 Abschnitt 3. b) aa) (3.1), http://lawlibrary.info/ge/books/GIZ_CivilProcedureCode_Commentary.pdf
⁹⁴ ასევე: OLG Celle, Urteil vom 1. März 2023 - 14 U 149/22 - juris Rn. 26; OLG Hamm, Urteil vom 11. April 2022 - I-7 U 9/22 - NJW-RR 2022, 1336, juris Rn. 5; გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა: Hanseatisches Oberlandesgericht Bremen, Urteil vom 30. Juni 2021 - 1 U 90/19 - NJW-RR 2021, 1468, juris Rn. 19 ff.

წილი უკვე უსარგებლო იყო სადავო ზიანის მოვლენამდე წინარე დაზიანების გამო.⁹⁵ იურიდიული დოგმატიკის თვალსაზრისით, ასეთი არგუმენტი გარკვეულ მოსაზრებებს შეესაბამება. ერთი მხრივ, ზიანის შესაფასებლად ის იყენებს მანქანის იზოლირებულ ნაწილს, როგორცაა დაზიანებული ბამპერი, თუმცა, მანქანის ასეთი ნაწილი (გარდა ერთი ან რამდენიმე საკუთვნივლისა) ჩვეულებრივ არ არის ცალკე საკუთრებაში მოსაქცევი ნივთი, არამედ მისი ფუნქციური ერთიანობისთვის სატრანსპორტო საშუალების არსებით ნაწილს წარმოადგენს. თუ ავტომობილი იურიდიული თვალსაზრისით დაზიანებულია, ითვლება, რომ მთლიანი ზიანის შეფასება ამაზე უნდა იყოს დაფუძნებული. თუმცა, სპეციალიზებული ხელსაწყო შემცველი ღირებულება, რა თქმა უნდა, შეიძლება შემცირდეს, თუ მანქანის ნაწილი, რომელიც მთლიანად დანგრეულია (და, შესაბამისად, ცალსახად უსარგებლოა), მაგრამ მაინც ფუნქციონირებს, დაკარგავს თავის ფუნქციონირებას სადავო ავარიის შედეგად, მაგალითად, ადრე სრულიად გალუნული ბამპერი ახლა უკვე გზაზე დევს. მეორე მხრივ - და უპირველეს ყოვლისა - ეს შეხედულება არის წმინდად ფინანსური. იგი უგულებელყოფს ზიანის სამართლებრივ პრინციპს ნატურით რესტიტუციის პრიორიტეტის შესახებ, რომელიც მხოლოდ წმინდად მატერიალური ანაზღაურების საშუალებას იძლევა მხოლოდ მაშინ, თუ ზიანის გამოსწორება მოიცავს არაპროპორციულ ძალისხმევას.

აქედან გამომდინარე, სამართლებრივად პრიორიტეტულია ზიანის სამართლებრივი მოსაზრება, რომელიც წინარე ზიანის პრობლემას მხოლოდ ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპების საფუძველზე განიხილავს, კერძოდ, 130%-ის ლიმიტის და ხარჯების არაპროპორციულობის (გსკ-ის § 251 II), ისევე როგორც სარგებლის

გამოქვითვის პრინციპების (იხ. ქვემოთ II. 2. თ) ბბ)) გამოყენების ფარგლებში.⁹⁶

(2) ფიქტიური შეკეთების ხარჯების ანაზღაურება

სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს შეკეთებას, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მიყენებული ზიანის ოდენობა სარემონტო ხარჯების გამოთვლის ბაზისის საფუძველზე დაადგინოს რეალურად გაწეული სარემონტო ხარჯების ან აბსტრაქტულად ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით.

(2.1) შეკეთების ხარჯები არ აღემატება ჩამნაცვლების შესყიდვის ხარჯებს

თუ შეკეთების ხარჯები არ აღემატება ჩამნაცვლების შესყიდვის ხარჯებს, შესაძლებელია ანაზღაურების გამოთვლა მოხდეს **ექსპერტიზის დასკვნაზე დაფუძნებული** შეფასების საფუძველზე, იმისდა მიუხედავად, დაზარალებული მანქანას შეაკეთებს მთლიანად თუ მხოლოდ ნაწილობრივ, თავად გამოასწორებს დაზიანებას თუ მესამე პირს დაავალებს შეკეთებას ან შეიძენს თუ არა შემცველ მანქანას.⁹⁷ ის ასევე არ არის ანგარიშვალდებული განმარტოს, თუ რისთვის იყენებს ან გამოიყენა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიღებული კომპენსაცია.⁹⁸

კომპენსაციის ამ მეთოდის ბუნების შესაბამისად, ფიქტიური სარემონტო ხარჯების საფუძველზე ანაზღაურება ყოველთვის უნდა მოხდეს **დაქვითვის გარეშე ხარჯებით**.⁹⁹ ეს ეფუძნება იმ ფაქტს, რომ დამატებული ღირებულების გადასახადი, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ინვოისის პუნქტი, მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის რეალურად არის გაწეული (გსკ-ის § 249, II მუხლი).

⁹⁵ იხ. OLG Düsseldorf, Urteil vom 5. März 2019 - 1 U 84/18 - juris Rn. 21

⁹⁶ საფუძვლიანად გამოთვლის შესახებ bei OLG Hamm, Beschluss vom 11. April 2022 - I-7 U 33/21 - NJW-RR 2022, 1616, juris Rn. 5

⁹⁷ BGH, Urteil vom 5. April 2022 - VI ZR 7/21 - NJW 2022, 1884, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 17. September 2019 - VI ZR 396/18 - NJW 2020, 236,

juris Rn. 9; BGH, Urteil vom 3. Dezember 2013 - VI ZR 24/13 - NJW 2014, 535, juris Rn. 9

⁹⁸ BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 137/22 - openJur 2023, 4229, juris Rn. 41

⁹⁹ BGH, Urteil vom 5. April 2022 - VI ZR 7/21 - NJW 2022, 1884, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 13. September 2016 - VI ZR 654/15 - NJW 2017, 1310, juris Rn. 11

ეს გაანგარიშების მეთოდის კონცეფცია, რომელიც დაფუძნებულია ფიქციაზე და არა რეალურ მომსახურებაზე, მოქმედებს მაშინაც, როდესაც შეკეთება რეალურად განხორციელდა, დამატებული ღირებულების გადასახადი რეალურად დაირიცხა, თუმცა დაზარალებულ მხარეს არ აქვს გადასახადის წინასწარი გამოქვითვის უფლება¹⁰⁰. ამასთან, რადგან დაზარალებულ მხარეს კომბინაციის აკრძალვის საფუძველზე, არ შეუძლია ანაზღაურების ორი მოდელის შერევა (იხ. II. 2. ა) ზემოთ), ეს აკრძალვა მოქმედებს მაშინაც, თუ მხოლოდ ნაწილობრივი შეკეთება მოხდა. ეს ნიშნავს, რომ დაზარალებულ მხარეს არ შეუძლია ფინანსური ანაზღაურება მიიღოს დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით ზიანის აღდგენის იმ ნაწილზე, რომელიც კონკრეტულად ჩატარდა და, მეორე მხრივ, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე იმ ნაწილზე, რომელიც არ იქნა შეკეთებული.¹⁰¹

ვინაიდან დროის ბოლო შესაძლო მომენტად ზიანის შესაფასებლად გამოყენებული უნდა იყოს ყველაზე ბოლო დროის შესაძლო მონაკვეთი (იხ. II. 1. ბ) ზემოთ), დაზარალებული მხარე თავისუფალია გადავიდეს გაანგარიშების ერთი მეთოდიდან მეორეზე საპროცესო კანონმდებლობით და ხანდაზმულობით დადგენილ საზღვრებში და მისთვის უფრო ხელსაყრელი გაანგარიშების მეთოდი შეარჩიოს.¹⁰²

(2.2) ფიქტიური შეკეთების ხარჯების ოდენობის განსაზღვრა

ფიქტიური შეკეთების ხარჯების საფუძველზე ანგარიშსწორების პრაქტიკული სირთულეები სამართლებრივი პრინციპების ნაწილში ნაკლებია, ვიდრე რეალურ დონეზე, ვინაიდან მთელი გაანგარიშების მეთოდი ეფუძნება პროგნოზირებულ შეფასებებს - პრაქტიკაში ექსპერტების მიერ შედგენილს. მასთან დაკავშირებული გაუგებრობები, ერთი მხრივ, ეხება საკითხს, თუ

რა ფაქტობრივი ზომებია საჭირო ზიანის სრულად აღმოსაფხვრელად. მეორე მხრივ, ზოგჯერ საკმაოდ განსხვავებული ფასების სტრუქტურებია ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელოსნოებში, მაგრამ ასევე სათადარიგო ნაწილების შემთხვევაშიც, შესაბამისად წარმოიშობა დავა დაზარალებულ მხარესა და ზიანს მიმყენებელ მხარეს შორის, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ფიქტიური ხარჯები.

ზოგადად მოქმედებს იგივე კრიტერიუმები, რაც რეალურად ჩატარებულ რემონტზე (იხ. ზემოთ II. 2. ა) აა) (1.3)).

2.3) რეალურად უფრო იაფად შესრულებული რემონტის ფიქტიური ანგარიშსწორება

თუ დაზარალებულმა ავტომანქანა მთლიანად და პროფესიონალურად გაარემონტებინა სპეციალიზებულ კომპანიაში და ამისთვის განეული ხარჯები უფრო დაბალია, ვიდრე საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ანგარიშსწორებისას, ანაზღაურებადი თანხა შემოიფარგლება რეალურად განეული მთლიანი ხარჯებით. ეს ნიშნავს, რომ დაზარალებულს, მართალია, უარს არ ეუბნებიან ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ანგარიშსწორებაზე, მაგრამ მან უნდა მიიღოს დაფარვის ლიმიტი ამ გაანგარიშების მეთოდით:

როგორც უკვე განიმარტა, დაზარალებული მხარე ვალდებულია გამოიყენოს შესაძლო და გონივრული ვარიანტები არატიპურად იაფი, მაგრამ მაინც სრული და პროფესიონალური შეკეთებისთვის. ამიტომ კომპენსაციის ოდენობა შესაბამისად უნდა შეიზღუდოს, თუ დაზარალებულმა მხარემ რეალურად გაიღო უფრო დაბალი ხარჯები, ვიდრე პროგნოზირებული იყო ექსპერტის დასკვნაში.¹⁰³ განსხვავებული მიდგომა გამოიწვევდა დაზარალებული მხარის მიერ ფულის შოვნის საშუალებას ზიანის მოვლენის შე-

¹⁰⁰ BGH, Urteil vom 5. April 2022 - VI ZR 7/21 - NJW 2022, 1884, juris Rn. 13
¹⁰¹ BGH, Urteil vom 5. April 2022 - VI ZR 7/21 - NJW 2022, 1884, juris Rn. 13

¹⁰² BGH, Urteil vom 5. April 2022 - VI ZR 7/21 - NJW 2022, 1884, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 20
¹⁰³ BGH, Urteil vom 3. Dezember 2013 - VI ZR 24/13 - NJW 2014, 535, juris Rn. 11 f.

დეგად, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა ზიანის სამართლებრივი რეგულაციის შესაბამის უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვასთან.¹⁰⁴

ამ მიზეზით, აღდგენისთვის საჭირო თანხის ოდენობა ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ანგარიშსწორების კონტექსტში შემოიფარგლება ფაქტობრივად განწეული ხარჯებით გადასახადების ჩათვლით. კომბინაციის აკრძალვის გამო, დაზარალებულ მხარეს არ აქვს ექსპერტის მიერ განსაზღვრული თანხის მოთხოვნის უფლება გადასახადების გარეშე, დამატებული რეალურად გადახდილი დამატებითი ღირებულებების გადასახადით, რამდენადაც ეს თანხა აღემატება რეალურად გადახდილ შეკეთების ხარჯებს.¹⁰⁵

თუმცა, დაზარალებულ მხარეს არ უნდა ჰქონდეს საპროცესო ვალდებულება, წარმოადგინოს ასეთი იაფი შეკეთების ვარიანტი სამართლებრივ დავაში.¹⁰⁶ მტკიცების მეორადი ტვირთის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით,¹⁰⁷ საპირისპირო მოსაზრება შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული. ამის სასარგებლოდ მეტყველებს სამართლიანობის ასპექტებიც, ვინაიდან სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული მოსაზრება საბოლოო ჯამში გამოიწვევს იმას, რომ დაზარალებული მხარე დამალავს უფრო იაფი რემონტის შესაძლებლობას და ამით შეინარჩუნებს მიღებულ მოგებას (ზიანის სამართლებრივი რეგულაციით უსაფუძვლო

გამდიდრების აკრძალვა), ხოლო ქონების ზრდის შემცირების ტენდენცია ექნება ზედმეტად „პატიოსან“ დაზარალებულს. თუმცა აღნიშნული მოსაზრება არ არის მაინცდამაინც თანმიმდევრული იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებული მხარე ვალდებულია, (მართებულად) აცნობოს როგორც ექსპერტს, ასევე სასამართლოს ნებისმიერი წინარე ზიანის არსებობის შესახებ.¹⁰⁸

ბბ) ჩამნაცვლების შესყიდვა

ავტომობილების (და სხვა გვაროვნული ნივთების) შემთხვევაში, ნატურით რესტიტუცია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მნიშვნელობით (გსკ-ის § 249 I მუხლი, შესაბამისი მუხლი სსკ-ის 408 I) არ ხდება მხოლოდ ფიზიკურად იდენტური სატრანსპორტო საშუალების შესყიდვით - რაც პრაქტიკულად შეუძლებელია. პირიქით, საკმარისია ეკონომიკური და ფუნქციონალური ექვივალენტობა დაზიანებულ ავტომობილსა და მის სანაცვლოდ შეძენილ ავტომობილს შორის.¹⁰⁹

(1) ანგარიშსწორება ექვივალენტური მანქანის შესყიდვის საფუძველზე

ზოგადად, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ნატურით რესტიტუცია განახორციელოს

¹⁰⁴ BGH, Urteil vom 3. Dezember 2013 - VI ZR 24/13 - NJW 2014, 535, juris Rn. 11 f უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვაზე ზოგადად: BGH, Urteil vom 17. Januar 2023 - VI ZR 316/20 - MDR 2023, 494, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 5. April 2022 - VI ZR 7/21 - NJW 2022, 1884, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 29. April 2003 - VI ZR 393/02 - BGHZ 154, 395, juris Rn. 8

¹⁰⁵ BGH, Urteil vom 3. Dezember 2013 - VI ZR 24/13 - NJW 2014, 535, juris Rn. 11 f.

¹⁰⁶ დეტალურად OLG München, Urteil vom 17. Dezember 2020 - 24 U 4397/20 - NJW-RR 2021, 340, juris Rn. 12 ff.; KG Berlin, Urteil vom 14. Dezember 2017 - 22 U 177/15, juris Rn. 9; ასევე: BGH, Urteil vom 17. September 2019 - VI ZR 396/18 - NJW 2020, 236, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 19

¹⁰⁷ აღნიშნულთან Hagenloch, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, Art. 102 Abschnitt 2. b) aa) (3.2);

http://lawlibrary.info/ge/books/GIZ_CivilProcedureCode_Commentary.pdf

¹⁰⁸ OLG Hamm, Beschluss vom 2. September 2022 I-26 U 67/22 - juris Rn. 9; OLG Frankfurt, Urteil vom 21. April 2020 - 8 U 33/19 - juris Rn. 37

¹⁰⁹ BGH, Urteil vom 23. Mai 2017 - VI ZR 9/17 - NJW 2017, 2401, juris Rn. 6 ff., insb. Rn. 7; BGH, Urteil vom 5. Dezember 2006 - VI ZR 77/06 - NJW 2007, 588, juris Rn. 9; Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 78; so für Bauwerke: BGH, Urteil vom 25. Oktober 1996 - V ZR 158/95 - NJW 1997, 520, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 25. Juni 1992 - III ZR 101/91 - NJW 1992, 2884, juris Rn. 13; vgl. für ein Pferd: BGH, Urteil vom 9. November 2021 - VI ZR 87/20 - NJW-RR 2022, 401, juris Rn. 8

თანაბარი ღირებულების შემცველი სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის სახით და ჩამნაცვლებლის შესყიდვისას გსკ-ის § 249 II 1 მუხლის საფუძველზე (იხ. ზემოთ I. 2. ა)) მოითხოვოს ზიანის მიმყენებელი მხარისგან ფულადი ანაზღაურება.¹¹⁰

(1.1) გაანგარიშების მეთოდები

აღიშნული ფულადი მოთხოვნის შესაფასებლად, რომელიც რჩება ნატურით რესტიტუციის სახედ, დაზარალებული მხარის განკარგულებაშია გაანგარიშების ორი მოდელი, მსგავსად სარემონტო ხარჯების განსაზღვრისას. ერთი მხრივ, მას შეუძლია ზიანი კონკრეტულად გამოთვალოს, ანუ რეალურად შეძენილი, ეკონომიკურად და ფუნქციურად ექვივალენტური ავტომობილის ჩანაცვლების ხარჯების საფუძველზე. თუმცა, მას ასევე შეუძლია გამოიყენოს აბსტრაქტული ანგარიშსწორების მეთოდი, რომელიც ეფუძნება ექვივალენტური სატრანსპორტო საშუალების ფიქტიური ჩანაცვლების ხარჯებს, ანუ ანგარიშსწორებას ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.¹¹¹ ეს უკანასკნელი ასევე შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული იმ შემთხვევაშიც, თუ დაზარალებული მხარე გადაწყვეტს, საერთოდ არ შეიძინოს შემცველი ავტომობილი ან გამოიყენოს დაზიანების შემთხვევა სხვა არათანაბარი ღირებულების სატრანსპორტო საშუალების შესაძენად.

(1.2) ექვივალენტური ჩამნაცვლებელი მანქანის შესყიდვა და კონკრეტული ანგარიშსწორება

თუ დაზარალებული შეიძენს ჩამნაცვლებელ მანქანას, მას შეუძლია კონკრეტულად გამოქვითოს განუელი ხარჯები, იმ პირობით, რომ მანქანა ექვივალენტურია.

ერთადერთი, რაც აქ მნიშვნელოვანია, არის ჩამნაცვლებელი მანქანის შესყიდვის ეკონომიკური და ფუნქციური ექვივალენტობა. ერთი მხრივ, გადამწყვეტია, რომ ღირებულების ობიექტურ სტანდარტებზე დაფუძნებულმა შეფასებამ გამოიწვიოს **ეკონომიკური ექვივალენტობა**. ზოგადად, აღჭურვილობის გარკვეული მახასიათებლები და სპეციალური ფუნქციები მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ობიექტურად ზრდიან პროდუქტის ღირებულებას ბაზარზე. მეორე მხრივ, ჩამნაცვლებელი ავტომობილის შესყიდვამ როგორც სუბიექტზე დაფუძნებულმა ზიანის შეფასების შედეგმა, უნდა შეძლოს დაზიანებული ავტომობილის ჩანაცვლება მისი კონკრეტული, დაზარალებულისთვის ობიექტურად გასაგები და ეკონომიკურად შესაბამისი ფუნქციით,¹¹² ანუ უნდა არსებობდეს **ფუნქციური ექვივალენტობა**. ასეთი შემთხვევა არ არსებობს, თუ, მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევაში მონაწილე მანქანა იყო ახალი და საშუალო დონის სატრანსპორტო საშუალება, ხოლო ჩამნაცვლებელ ავტომობილს წარმოადგენდა ძველი, თუმცა ფუფუნების კლასის მანქანა (თუნდაც იგივე ღირებულების ყოფილიყო) ან სპორტული კაბრიოლეტი.

თუ ასეთი ექვივალენტური ავტომობილის ჩამნაცვლებლის (ფაქტობრივად განხორციელებული) შესყიდვას, ერიცხება **დამატებითი ღირებულების გადასახადი**, აღნიშნულიც უნდა ანაზღაურდეს. თუ ჩამნაცვლებლის შესყიდვა, მაგალითად, კერძო პირისგან ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე, ეს ფაქტობრივად არ არის ანაზღაურებადი.¹¹³

(1.3) კონკრეტული ჩამნაცვლებელი მანქანის შესყიდვის ბაზისზე ანგარიშსწორება საჭირო შეკეთების დროს

თუ დაზარალებული მხარე ანგარიშსწორე-

¹¹⁰ BGH, Urteil vom 23. Mai 2017 - VI ZR 9/17 - NJW 2017, 2401, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 15. Februar 2005 - VI ZR 70/04 - BGHZ 162, 161, juris Rn. 6 f.; BGH, Urteil vom 17. Oktober 2006 - BGH, Urteil vom 17. Oktober 2006 - VI ZR 249/05 - BGHZ 169, 263, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 9. November 2021 - VI ZR 87/20 - NJW-RR 2022, 401, juris Rn. 8, bei Tötung eines Pferdes

¹¹¹ BGH, Urteil vom 23. Mai 2017 - VI ZR 9/17 - NJW 2017, 2401, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 12. Oktober 2021 - VI ZR 513/19 - NJW 2022, 543, juris Rn. 16 f.

¹¹² BGH, Urteil vom 23. Mai 2017 - VI ZR 9/17 - NJW 2017, 2401, juris Rn. 8

¹¹³ BGH, Urteil vom 5. Februar 2013 - VI ZR 363/11 - NJW 2013, 1151, juris Rn. 16

ბას ახდენს ფაქტობრივად შესრულებული ჩამნაცვლებელი მანქანის შესყიდვის საფუძველზე, თუმცა ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი მოითხოვდა შეკეთებას, ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების საფუძველზე, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა შემოიფარგლება იმ თანხით, რომელიც გაიცემოდა შეკეთების შემთხვევაში.¹¹⁴ რამდენადაც დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოიქმნა ჩამნაცვლებელი ავტომობილის შესყიდვისას, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ იმ თანხის ანაზღაურება, რომელიც განეული იქნებოდა რემონტის ჩატარების შემთხვევაში.¹¹⁵

(1.4) ავარიაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალების ნარჩენი ღირებულების გათვალისწინება

გარდა ამისა, ასეთი კონკრეტული გაანგარიშებით, ავარიაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალების ნარჩენი ღირებულება ყოველთვის უნდა იყოს შეტანილი ზიანის ბალანსში, ანუ გათვალისწინებული იყოს ზიანის შესამცირებლად. ამასთან მიმართებით, ჩამნაცვლებელი მანქანის შესყიდვის დაანგარიშებისას ნარჩენი ღირებულების დასადგენად მითითება ხდება ექსპერტის დასკვნაზე.

(2) ე.წ. ანგარიშსწორება ახალი ავტომობილის საფუძველზე

ფაქტობრივად განხორციელებული რემონტის 130%-იანი ლიმიტის ანალოგიურად (იხ. ზემოთ II. 2. ა) ა) (1.2.2.)), ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი, დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ექვემდებარება გარკვეულ მოდიფიკაციას, თუ ახალი მანქანა მნიშვნელოვნად დაზიანებულია და დაზარალებული მხარე

გადანყვეტს ჩანაცვლოს სხვა ექვივალენტური ახალი ავტომობილით. ამ ჩანაცვლების შესყიდვის ხარჯები ითვლება „აუცილებლად“, მაშინაც კი, თუ შეკეთება უფრო ეკონომიური იქნებოდა.

ამის მიზეზი ის არის, რომ ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი ურთიერთქმედებს დაზარალებული მხარის შენარჩუნების ინტერესთან (Integritätsinteresse) და, შესაბამისად, გამონაკლის შემთხვევებში უკან იხევს ეს უკანასკნელი.¹¹⁶ თუ სრულიად ახალი მანქანა მნიშვნელოვნად დაზიანებულია და ის კარგავს ახლის ბუნებას, თუნდაც ის პროფესიონალურად შეკეთდეს, დაზარალებულ მხარეს შეუძლია, გსკ-ის § 251 II მუხლის ფარგლებში, დანახარჯების არაპროპორციულობიდან გამომდინარე, გამონაკლისად მოითხოვოს შეკეთების ხარჯებთან შედარებით ახალი ავტომობილის შესყიდვის უფრო მაღალი ხარჯები.¹¹⁷ ასეთი ახალი მანქანის არსებობის ზღვარი დადგენილია სასამართლო პრაქტიკით როგორც წესი, **1000 კმ-მდე გარბენით**.¹¹⁸ თუმცა, ზიანის გამოთვლის ეს მეთოდი - მისი მიზნის შესაბამისად - ხელმისაწვდომია დაზარალებულისთვის, თუ ის რეალურად შეიძენს ექვივალენტ ახალ ავტომობილს, რითაც მოახდენს შენარჩუნების ინტერესის (Integritätsinteresse) რეალიზებას.¹¹⁹

(3) ფიქტიურად ჩამნაცვლებელი ავტომობილის შესყიდვის ანგარიშსწორება ექსპერტის დასკვნის საფუძველზე

(3.1) დილერის გასაყიდი ფასი, როგორც შეფასების ბაზისი

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ჩამნაცვლებლის შესყიდვის გაანგარიშებისას ზარალი ფასდება ჩანაცვლების შესყიდვის ღირებულების მიხედვით, ანუ სხვაობა დაუზიანებელ

¹¹⁴ BGH, Urteil vom 1. März 2005 - VI ZR 91/04 - BGHZ 162, 270, juris Rn 13; BGH, Urteil vom 5. Februar 2013 - VI ZR 363/11 - NJW 2013, 1151, juris Rn. 12

¹¹⁵ BGH, Urteil vom 5. Februar 2013 - VI ZR 363/11 - NJW 2013, 1151, juris Rn. 17

¹¹⁶ BGH, Urteil vom 9. Juni 2009 - VI ZR 110/08 - BGHZ 181, 242, juris Rn. 15

¹¹⁷ BGH, Urteil vom 9. Juni 2009 - VI ZR 110/08 - BGHZ 181, 242, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 4. März 1976 - VI ZR 14/75 - NJW 1976, 1202, juris Rn. 14 ff.

¹¹⁸ BGH, Urteil vom 29. September 2020 - VI ZR 271/19 - NJW 2020, 3591, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 9. Juni 2009 - VI ZR 110/08 - BGHZ 181, 242, juris Rn. 18

¹¹⁹ BGH, Urteil vom 29. September 2020 - VI ZR 271/19 - NJW 2020, 3591, juris Rn. 8, BGH, Urteil vom 9. Juni 2009 - VI ZR 110/08 - BGHZ 181, 242, juris Rn. 26

მდგომარეობაში მყოფი ავარიაში მოყოლილი მანქანის შეცვლასა და დაზიანებული ავტომობილის ნარჩენ ღირებულებას შორის.¹²⁰ ეს ეფუძნება იმ ფასს, რომელიც დაზარალებულმა უნდა გადაიხადოს მეორადი ავტომობილების ბაზრის პირობების მიხედვით, რათა შეიძინოს ავტომობილი კარგი რეპუტაციის მქონე დილერისგან, რომელიც ექვივალენტურია ავარიაში მოხვედრილი ავტომანქანის (ე.წ. დილერის გასაყიდი ფასი).

(3.2) ავარიაში მოყოლილი სატრანსპორტო საშუალების ნარჩენი ღირებულება

ავარიაში მოყოლილი სატრანსპორტო საშუალების ნარჩენი ღირებულება უნდა იყოს შეტანილი ზიანის ბალანსში, რათა შემცირდეს მოთხოვნის ოდენობა. ფედერალური სასამართლო მიუთითებს.¹²¹

„დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით... დაზარალებულ მხარეს, რომელიც იყენებს გსკ-ის § 249 II 1 მუხლით გათვალისწინებულ ჩამნაცვლებლის შესყიდვის უფლებამოსილებას და არ სურს ზიანის აღმოფხვრა თავისი დაზიანებული ავტომობილის შეკეთებით, არამედ შემცველი მანქანის შეძენით, შეუძლია მოითხოვოს ჩამნაცვლებლის შეძენის ღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება, ანუ ჩამნაცვლებლის შესყიდვის ხარჯი (BGH, Urteil vom 27. September 2016 - VI ZR 673/15, VersR 2017, 56 Rn. 8; BGH, Urteil vom 1. Juni 2010 - VI ZR 316/09, VersR 2010, 963 Rn. 6;...). ამისთვის ჯერ უნდა დადგინდეს ნივთთან დაკავშირებული შესაბამისი კრიტერიუმები, თუ რა ოდენობით განიცადა დაზარალებულმა ფინანსური ზიანი ავარიის შედეგად მისი მანქანის ნარჩენი ღირებულების გათვალისწინებით (...). არსებობს თუ არა საერთოდ ქონებრივი ზიანი,

უნდა შეფასდეს, ე.წ. დიფერენცირების ჰიპოთეზის მიხედვით ფინანსური მდგომარეობის შედარებით, რომელიც ნარმოიშვა იმ მოვლენის შედეგად, რომელიც აფუძნებს პასუხისმგებლობას და ის, რაც იარსებებდა ამ მოვლენის გარეშე (...). იმისდა მიუხედავად, თუ რა ღონისძიებებს მიმართავს დაზარალებული მხარე ნარჩენ ღირებულებასთან მიმართებით ავარიის შემდეგ - რაც პრინციპში არ ეხება ზიანის მიმყენებელ მხარეს ...) - საგზაო შემთხვევის წინ და შემდეგ ფინანსური მდგომარეობის შედარებისას შეიძლება დადგინდეს, რომ ნარჩენი ღირებულების ოდენობით ზიანი არ ნარმოიშობილა (BGH, Urteil vom 7. Juni 2005 - VI ZR 192/04, BGHZ 163, 180, 185). ეს ასევე ეხება ეკონომიკური სრული ზარალის შემთხვევასაც (BGH; Urteil vom 12. Juli 2005 - VI ZR 132/04, BGHZ 163, 362, 365; BGH, Urteil vom 30. November 1999 - VI ZR 219/98, BGHZ 143, 189, 193).“

ნარჩენი ღირებულების რეალიზაციასთან დაკავშირებით დაზარალებული თავის ვალდებულებებს შეასრულებს, თუ ავარიაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალებას გაყიდის ექსპერტის მიერ დადგენილ ფასად, რომელიც მან რეგიონულ ბაზარზე დაზარალებულის ადგილის მიხედვით გამოიანგარიშა.¹²² პრინციპში, ის არ არის ვალდებული, ჩაატაროს საკუთარი ბაზრის კვლევა, მიიღოს შეთავაზებები გეოგრაფიულად დაშორებული პერსპექტიული მყიდველებისგან, გააანალიზოს ინტერნეტში უკვე დამკვიდრებული ნაავარიები მანქანების მყიდველებისთვის სპეციალური ბაზარი, ან მისცეს ზიანის მიმყენებელ მხარეს შესაძლებლობა, მოიძიოს უფრო მაღალი შესყიდვის შეთავაზებები.¹²³ თუმცა, განსაკუთრებულმა გარემოებებმა შეიძლება მისცეს ზიანის მიმყენებელ მხარეს შესაძლებლობა, ისარგებლოს უფრო ხელსაყრელი უტილიზაციის ვარიანტებით; განსაკუთრებით

¹²⁰ BGH, Urteil vom 23. Mai 2017 - VI ZR 9/17 - NJW 2017, 2401, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 30. November 1999 - VI ZR 219/98 - BGHZ 143, 189, juris Rn. 22

¹²¹ ამონარიდი BGH, Urteil vom 18. Juli 2017 - VI ZR 465/16 - NJW 2017, 3588, juris Rn. 9 (ციტატა მცირედი ცვლილებით)

¹²² BGH, Urteil vom 14. April 2021 - IV ZR 105/20 - NJW-RR 2021, 75, juris Rn. 11

¹²³ შტრ. BGH, Urteil vom 14. April 2021 - IV ZR 105/20 - NJW-RR 2021, 75, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 25. Juni 2019 - VI ZR 358/18 - NJW 2019, 3139, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 27. September 2016 - VI ZR 673/15 - NJW 2017, 953, juris Rn. 8 ff.; BGH, Urteil vom 12. Juli 2005 - VI ZR 132/04 - BGHZ 163, 362, juris Rn 11 ff.

იმ შემთხვევაში, თუ ზიანის მიმყენებელი კონკრეტულად უჩვენებს მას ასეთ შესაძლებლობებს.¹²⁴

ლიტერატურაში ზოგჯერ წამოჭრილია მოსაზრება, რომ დაზარალებულ მხარეს შეუძლია თავი დააღწიოს უხერხულობას, რომელიც დაკავშირებულია ავარიაში მოყოლილი სატრანსპორტო საშუალების გაყიდვასთან, ზიანის მიმყენებელი მხარისთვის მისი შესაძენის შეთავაზებით.¹²⁵ თუმცა, ზემდგომი სასამართლოების პრეცედენტულ სამართალს ჯერ არ უმსჯელია ამ (არც თუ ისე დისტანცირებულ) მოსაზრებებზე.

ბ) ექსპერტისთვის დაკვეთა

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყო ზიანის აღდგენა იმ გზით, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება მის ინტერესებს, დაზარალებულ მხარეს, როგორც წესი, უფლება აქვს მის მირერ შერჩეულ ექსპერტს დაავალოს დასკვნის მომზადება.¹²⁶ როგორც წესი, მხოლოდ ექსპერტის მიერ მიღებული ფაქტობრივი ცოდნის მეშვეობით აქვს მას საკმარისი საფუძველი შემდგომი შესაბამისი პროცედურები განახორციელოს ზიანის ანაზღაურებისთვის. მოცემულობა არ იცვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანის მიმყენებელმა თავის მხრივ ჩართო ექსპერტი; რამდენადაც დაზარალებულ მხარეს მის დასკვნებზე ვერ მიუთითებს.¹²⁷

ადვილად ამოსაცნობი მცირე ზიანის შემთხვევაში, რომლის ლიმიტი შეიძლება განისაზღვროს დაახლოებით 800 ევროდან 1000 ევრომდე,¹²⁸ დაზარალებული მხარე ვალდებულია დაკმაყოფილდეს სპეციალიზირებული სახელოსნოს უფრო დაბალი ხარჯების შეფასებით (როგორც წესი, უფასოა).¹²⁹ გარდა ამისა, უფრო ზომიერი ზიანის შემთხვევაში, შესაძლოა არ იყოს საჭირო ექსპერტის დასკვნის მიღება, თუ ზიანის მიმყენებელი პირი აცხადებს, რომ მზად არის ზიანის საკითხი მოაგვაროს სპეციალიზირებული სახელოსნოს ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე.¹³⁰

ექსპერტისთვის დაკვეთის შემთხვევაში, განსაკუთრებით მასთან შეთანხმებული ფასების არსებობისას, მოქმედებს სარემონტო დაკვეთის გაფორმებისას ზემოთ უკვე აღწერილი პროცედურები. შესაბამისად, დაზარალებული მხარე არ არის ვალდებული გამოიკვილოს მისთვის ხელმისაწვდომი ბაზარი, რათა მოძებნოს მაქსიმალურად იაფი ექსპერტი.¹³¹ თუმცა, ის პასუხისმგებელია გარკვეულ სისწორის კონტროლზე, რათა თავიდან აიცილოს აშკარად გადაჭარბებული ფასები.¹³²

გ) სამართლებრივი დევნის ხარჯები

საგზაო შემთხვევით გამოწვეული სასამართლოსგარეშე სამართლებრივი ხარჯები შეიძლე-

¹²⁴ BGH, Urteil vom 30. November 1999 - VI ZR 219/98 - BGHZ 143, 189, juris Rn. 24 ff.; BGH, Urteil vom 12. Juli 2005 - VI ZR 132/04 - BGHZ 163, 362, juris Rn 15

¹²⁵ შდრ. Freyermann/Rüßmann in: Freyermann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 93; zur Problemlage: Lafontaine, ZfSch 2015, 125

¹²⁶ BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 137/22 - openJur 2023, 4229, juris Rn. 52; BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 324/21 - NJW 2023, 1057, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 17. Dezember 2019 - VI ZR 315/18 - NJW 2020, 1001, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 5. Juni 2018 - VI ZR 171/16 - NJW 2019, 430, juris Rn. 14

¹²⁷ Freyermann/Rüßmann in: Freyermann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 234

¹²⁸ OLG Hamm, Urteil vom 28. Juni 2022 - I-7 U 45/21 - NJW 2023, 615, juris Rn. 12 ff; Freyermann/Rüßmann in:

Freyermann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 235

¹²⁹ BGH, Urteil vom 30. November 2004 - VI ZR 365/03 - NJW 2005, 356, juris Rn. 18; OLG Hamm, Urteil vom 28. Juni 2022 - I-7 U 45/21 - NJW 2023, 615, juris Rn. 13

¹³⁰ vgl. OLG Hamm, Urteil vom 28. Juni 2022 - I-7 U 45/21 - NJW 2023, 615, juris Rn. 13; Freyermann/Rüßmann in: Freyermann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 235

¹³¹ BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 137/22 - openJur 2023, 4229, juris Rn. 53; BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 324/21 - NJW 2023, 1057, juris Rn. 11

¹³² BGH, Urteil vom 7. Februar 2023 - VI ZR 137/22 - openJur 2023, 4229, juris Rn. 53 f.; BGH, Urteil vom 13. Dezember 2022 - VI ZR 324/21 - NJW 2023, 1057, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 17. Dezember 2019 - VI ZR 315/18, NJW 2020, 1001, juris Rn. 15

ბა ჩაითვალოს დაზარალებული მხარის ხარჯებად, რომლებიც ექვემდებარება კომპენსაციას გსკ-ის § 249 (1) მუხლის შესაბამისად.¹³³

თუმცა, ზიანის მიმყენებელმა პირმა არ უნდა აანაზღაუროს ზიანის მომტანი მოვლენით ადექვატურად გამოწვეული ყველა სამართლებრივი ხარჯი, არამედ მხოლოდ ის, რაც იყო საჭირო და მიზანშეწონილი, დაზარალებული მხარის თვალსაზრისით, მისი უფლებების განსახორციელებლად. სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფასების პრინციპის შესაბამისად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დაზარალებულის განსაკუთრებული მდგომარეობა, როგორცაა მისი საქმიანი უნარები, ჯანმრთელობა და ადგილზე ყოფნის საჭიროება.¹³⁴ თუმცა, კონკრეტულად, აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, იყო თუ არა ზიანზე პასუხისმგებლობა თავიდანვე იმდენად მკაფიო მიზეზითა და ოდენობით გამოხატული, რომ ადვოკატის ჩართვის საჭიროება არ ჩანდა, ყოველ შემთხვევაში, ზიანის პირველადი დადასტურებისთვის.¹³⁵ მეორე მხრივ, თუ ეს არ არის ზიანის გამომწვევი საკმაოდ მარტივი შემთხვევა, დაზარალებულ მხარეს, იქნება ეს კერძო პირი, საჯარო დაწესებულება თუ კომპანია, ჩვეულებრივ უფლება აქვს ადვოკატს მიანდოს ზიანის ანაზღაურების საკითხი თავიდანვე.¹³⁶ როგორც წესი, მისი ჩართვა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ ზიანის მიმყენებელი უარყოფს მიზეზს ან უარს აცხადებს წარმოშობილ ვალდებულებაზე, გადაიხადოს თანხა დაზარალებულის მიერ შედგენილი ზიანის პირველადი ოქმის შემდეგ.

ეს პრინციპები ასევე გამოყენებადია, თუ დაზარალებული მხარე ჩართავს ვალების შემგროვებელ სააგენტოს, რათა მიიღოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაბამისი თანხა ზიანის

მიმყენებელი მხარისგან.¹³⁷

დ) მანქანის დაქირავების ხარჯები

დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის აღმოფხვრის (შეკეთება, ჩამნაცვლების შესყიდვა) ხანგრძლივობისთვის მანქანის დაქირავებისთვის განეული ხარჯების ანაზღაურება ზიანის მიმყენებელი მხარისგან, როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისთვის აუცილებელი ხარჯები. ამის წინაპირობაა, რომ დაზარალებულის მდგომარეობაში მყოფმა გონივრულად, ეკონომიკურად მოაზროვნე პირმა მიიჩნიოს მანქანის დაქირავება მიზანშეწონილად და აუცილებელად.¹³⁸

აა) ეკონომიკური ეფექტიანობის მოთხოვნა

ადგილობრივ რელევანტურ ბაზარზე არსებული გასაქირავებელი მანქანის რამდენიმე ხელმისაწვდომი ტარიფიდან (გარკვეულ ფარგლებში) მხოლოდ ყველაზე ხელსაყრელი შეიძლება იქნეს არჩეული, რათა გადაადგილება ძველებურად აღდგეს.¹³⁹

თუმცა, დაზარალებული არ არის ვალდებული, ვრცელი გამოკვლევით მოძებნოს მისთვის ყველაზე დაბალი ტარიფი. განსაკუთრებით რთული (და არა ყოველთვის ძალიან გამჭვირვალე) მანქანების გაქირავების კომპანიების სატარიფო სტრუქტურის გათვალისწინებით, საკმარისია, თუ დაზარალებული მხარე განმარტავს, რომ არსებულ კონკრეტულ სიტუაციაში გონივრული ძალისხმევის გათვალისწინებით მისთვის

¹³³ BGH, Urteil vom 26. Mai 2020 - VI ZR 321/19 - NJW 2021, 234, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 29. Oktober 2019 - VI ZR 45/19 - NJW 2020, 144, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 11. Juli 2017 - VI ZR 90/17 - NJW 2017, 3527, juris Rn. 10
¹³⁴ BGH, Urteil vom 29. Oktober 2019 - VI ZR 45/19 - NJW 2020, 144, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 11. Juli 2017 - VI ZR 90/17 - NJW 2017, 3527, juris Rn. 10
¹³⁵ BGH, Urteil vom 29. Oktober 2019 - VI ZR 45/19 - NJW 2020, 144, juris Rn. 21
¹³⁶ BGH, Urteil vom 29. Oktober 2019 - VI ZR 45/19 - NJW

2020, 144, juris Rn. 21
¹³⁷ BGH, Urteil vom 10. Juni 2020 - VIII ZR 289/19 - ZIP 2020, 2068, juris Rn. 49
¹³⁸ BGH, Urteil vom 12. Februar 2019 - VI ZR 141/18 - NJW 2019, 2538, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 26. April 2016 - VI ZR 563/15 - NJW 2016, 2402, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 5. Februar 2013 - VI ZR 290/11 - NJW 2013, 1149, juris Rn. 13
¹³⁹ BGH, Urteil vom 12. Februar 2019 - VI ZR 141/18 - NJW 2019, 2538, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 26. April 2016 - VI ZR 563/15 - NJW 2016, 2402, juris Rn. 6

შეუძლებელი იყო გაცილებით იაფი ნორმალური ტარიფის მიღება.¹⁴⁰ გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტიც, თუ რამდენად სასწრაფო იყო დაქირავება და იყო თუ არა დაზარალებული გარკვეულ გადაუდებელ მდგომარეობაში.¹⁴¹ თუ ზიანის მიმყენებელი (ან მისი პასუხისმგებლობის დამზღვევი) ასახელებს მანქანის გაქირავების განსაკუთრებით ხელსაყრელ ვარიანტს, დაზარალებული მხარე ძირითად შემთხვევაში ვალდებულია ისარგებლოს ამ შესაძლებლობით ზიანის შემცირების მოვალეობის გათვალისწინებით.¹⁴² გარდა ამისა, საჭიროა მხოლოდ მსგავსი ტიპის მანქანის დაქირავება.¹⁴³

მანქანის დაქირავება შეიძლება არაეკონომიური იყოს, მცირე სავალი გზის გამო. ამ შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ან ჯამური ანაზღაურება, სარგებლობისთვის კომპენსაციის პრინციპების შესაბამისად (იხ. ქვემოთ II. 2. ე)), ან სარგებლობის დაკარგვის შედეგად განეული დამატებითი მგზავრობის ხარჯები, მაგალითად, ტაქსის ხარჯები.¹⁴⁴

თუ ჩამნაცვლებლის შესყიდვას უჩვეულოდ დიდი დრო სჭირდება, მაგალითად, შეძენილი შემცვლელი მანქანის ან სარემონტოდ საჭირო სათადარიგო ნაწილის მიწოდების ხანგრძლივი დროის გამო, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლოა დაზარალებულ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა, არ იქირაოს მანქანა ლოდინის დროისთვის, არამედ შეიძინოს სხვა მსგავსი მოკლე დროით ხელმისაწვდომი მანქანა, როგორც „შუალედური გადაწყვეტა“.¹⁴⁵ თუმცა, როგორც წესი, ეს წესი არ მოქმედებს, თუ ავარია მოხდა ხა-

ნგრძლივი მოგზაურობის დროს ან მის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე და შედეგად, დაქირავებული მანქანა გამოყენებული უნდა იყოს ბევრად უფრო დიდხანს, ვიდრე საჭიროა რეალური რემონტისთვის.¹⁴⁶

ბბ) ანგარიშსწორების საკითხები

სასამართლო და საადვოკატო პრაქტიკაში, მანქანის დაქირავების ანაზღაურებადი ხარჯების დასადგენად ხშირად გამოიყენება სიები და ცხრილები, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო საშუალება, რომლებშიც ჩამოთვლილია თითოეული სატრანსპორტო საშუალებისთვის არსებული ექვივალენტური მანქანის მოდელები და მათი დაქირავების ჩვეულებრივი ხარჯები (მაგ. ე.წ. „დაქირავების ფასების ინდექსი“ ან ე.წ. „Fraunhofer-Liste“). ზოგადი წინააღმდეგობები ამ სიების გამოყენებასთან დაკავშირებით არ არის განხილული ფედერალური სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, შესაბამისად, არ არსებობს ხარვეზების მიმნიშნებელი საკითხები ამ სიების გამოყენების დროს.¹⁴⁷

თუმცა, ეს ცხრილები და სიები არ ცვლის იმ ფაქტს, რომ სასამართლო პროცესებში ხშირად კამათობენ, იყო თუ არა მანქანის დაქირავების რეალურად განეული ხარჯები „აუცილებელი“; არა მხოლოდ დაზარალებულის მიერ არჩეული ტარიფის ოდენობის გამო, არამედ მის მიერ დაჯავშნილი „დამატებითი სერვისების“ გამო, მაგალითად, რამდენიმე მძღოლის მიერ მანქანით

¹⁴⁰ BGH, Urteil vom 14. Oktober 2008 - VI ZR 210/07 - NJW-RR 2009, 318, juris Rn. 6

¹⁴¹ BGH, Urteil vom 5. März 2013 - VI ZR 245/11 - NJW 2013, 1870, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 14. Oktober 2008 - VI ZR 210/07 - NJW-RR 2009, 318, juris Rn. 6

¹⁴² BGH, Urteil vom 12. Februar 2019 - VI ZR 141/18 - NJW 2019, 2538, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 26. April 2016 - VI ZR 563/15 - NJW 2016, 2402, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 2. Februar 2010 - VI ZR 139/08 - NJW 2010, 1445, juris Rn. 12 und 18

¹⁴³ BGH, Urteil vom 12. Februar 2019 - VI ZR 141/18 - NJW 2019, 2538, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 26. April 2016 - VI ZR 563/15 - NJW 2016, 2402, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 2. Juli 1985 - VI ZR 86/84 - NJW 1985, 2637, juris Rn. 18

¹⁴⁴ BGH, Urteil vom 5. Februar 2013 - VI ZR 290/11 - NJW 2013, 1149, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 10. März 2009 - VI ZR 211/08 - NJW 2009, 1663, juris Rn. 9

¹⁴⁵ BGH, Urteil vom 14. April 2010 - VIII ZR 145/09 - NJW 2010, 2426, juris Rn. 32; Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 180

¹⁴⁶ BGH, Urteil vom 2. Juli 1985 - VI ZR 86/84 - NJW 1985, 2637, juris Rn. 9

¹⁴⁷ დეტალურად: BGH, Urteil vom 18. Dezember 2012 - VI ZR 316/11 - NJW 2013, 1539, juris Rn. 10; BGH, Versäumnisurteil vom 17. Mai 2011 - VI ZR 142/10 - NJW-RR 2011, 1109, juris Rn. 7 f.

სარგებლობისას (მძლოლის დამატებითი გადასახადი),¹⁴⁸ დაქირავებული მანქანის ყოველსმომცველი დაზღვევის¹⁴⁹ ან ზამთრის საბურავებით აღჭურვის გამო.¹⁵⁰

დაზოგილი კუთვნილი ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით განმარტებები ქვემოთ II 2. თ) აა).

გგ) დროის საზღვრები

მანქანის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პერიოდზე, რა დროშიც ზიანის აღმოფხვრა ჭიანურდება დაზარალებულის მიერ ზიანის სწრაფად გამოსწორების ვალდებულების დარღვევის გამო (იხ. ქვემოთ II. 2. კ)).¹⁵¹

დდ) იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალება

იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს მანქანის დაქირავების ხარჯების ანაზღაურება. აღნიშნული გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ ავარიში მოყოლილი სატრანსპორტო საშუალების გამოყენების უფლება არ არის დაკავშირებული ნივთის ღირებულებასთან, არამედ პირდაპირი მფლობელის უფლებამოსილებას მიეკუთვნება.¹⁵²

ე) სარგებლობის/შენახვის ხარჯები

აა) სატრანსპორტო საშუალებები პირადი გამოყენების მიზნით

სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც დაზარალებული პირადი მიზნებისთვის იყენებს და რომელიც თავის დარღვეული სარგებლობის უფლებას შეკეთების ან ჩამნაცვლებლის შეძენის ხანგრძლივობის განმავლობაში მანქანის დაქირავებით არ ქვითავს ან არ აქვს ასეთი გაქვითვის უფლება, უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია გამოუყენებელი სარგებლობის გამო.

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ შეფასების თვალსაზრისით, დელიქტური დანაშაულის შედეგად გამონვეულმა ნივთის ჩამორთმევამ, რომლის მუდმივი ხელმისაწვდომობა და გამოყენება დაზარალებული მხარისთვის, როგორც წესი, მნიშვნელოვანია თვითგანსაზღვრებადი ცხოვრების წესისთვის, შეიძლება გამოინვიოს ფინანსური ზიანი.¹⁵³ ამ პრინციპიდან გამომდინარე, პირადი მიზნებით გამოყენებადი სატრანსპორტო საშუალების სარგებლობის დაკარგვის უფლება აღიარებულია ჩვეულებითი სამართლის მიხედვით.¹⁵⁴

(1) ზოგადი წინაპირობები

სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის შეფა-

¹⁴⁸ LG Wuppertal, Urteil vom 8. Juli 2021 - 9 S 41/21, juris Rn. 47 ff.

¹⁴⁹ აღნიშნულთან დაკავშირებით OLG Frankfurt, Beschluss vom 15. März 2021 - 7 U 214/20 - juris Rn. 23; OLG Dresden, Urteil vom 12. Juni 2020 - 4 U 2796/19 - juris Rn. 18; Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 211; აღნიშნული მიჩნეულია ანაზღაურებას დაქვემდებარებულად, რადგან უცხო და ძირითადად ახალი დაქირავებული მანქანის გამოყენება ავარიის შემთხვევაში იწვევს გაზრდილ ეკონომიკურ რისკს.

¹⁵⁰ dazu BGH, Urteil vom 5. März 2013 - VI ZR 245/11 - NJW 2013, 1870, juris Rn. 25; OLG Dresden, Urteil vom 12. Juni 2020 - 4 U 2796/19 - juris Rn. 19

¹⁵¹ სარგებლობის დანაკარგთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 5. Februar 2013 - VI ZR 363/11 - NJW 2013, 1151, juris Rn. 22; allgemein BGH, Urteil vom 17. November 2020 - VI ZR 569/19 - NJW 2021, 694, juris Rn. 6 ff.

¹⁵² შდრ. დეტალურად: BGH, Urteil vom 17. Januar 2023 - VI ZR 203/22 - VersR 2023, 468, juris Rn. 36; BGH, Urteil vom 24. Mai 2022 - VI ZR 1215/20 - NJW-RR 2022, 1386, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 481/17 - NJW 2019, 1669, juris Rn. 13 ff.

¹⁵³ საფუძვლიანად: BGH, Beschluss vom 9. Juli 1986 - GSZ 1/86 - BGHZ 98, 212, juris Rn. 23 ff.; ასევე: BGH, Urteil vom 11. Oktober 2022 - VI ZR 35/22 - NJW 2023, 47, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 23. Januar 2018 - VI ZR 57/17 - BGHZ 217, 218, juris Rn. 5; BGH, Urteil vom 6. Dezember 2018 - VII ZR 285/17 - BGHZ 220, 270, juris Rn. 30; ბინით სარგებლობისთვის: BGH, Urteil vom 20. Februar 2014 - VII ZR 172/13 - BGHZ 200, 203, juris Rn. 28; BGH, Urteil vom 13. Mai 2022 - V ZR 231/20 - NJW 2022, 2328, juris Rn. 28

¹⁵⁴ Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 214 mwN

სების ისეთი ზოგადი პრინციპები, როგორებიცაა ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი და ზიანის ნორმებით მონესრიგებული უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა, ვრცელდება სარგებლობის დაკარგვის უფლების გამო გამონეული ზიანის დადგომის და ანაზღაურების საკითხებზეც.¹⁵⁵

შესაბამისად, დაზარალებულ მხარეს უნდა შეეძლოს სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შეკეთების ან გამოცვლის ხანგრძლივობის განმავლობაში, თითქოსდა იგი არ დაზიანებულია. ეს არ ეხება იმ შემთხვევებს, თუ მხოლოდ დაზარალებული იყენებდა სატრანსპორტო საშუალებას და ასეთი გამოყენება მისთვის მაინც შეუძლებელი იქნებოდა, მაგალითად, ავადმყოფობის გამო, მათ შორის უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული ტრავმის გამო,¹⁵⁶ ან ადგილზე მისი არყოფნის გამო.¹⁵⁷ ვარაუდი (დაზარალებული მხარის მიერ გაძლიერებული) გამოყენების სურვილის არარსებობის შესახებ არსებობს, თუ დაზარალებული მხარე ელოდება რამდენიმე თვე, სანამ შეიძენს შემცვლელ მანქანას, რომელიც არ საჭიროებს შეკეთებას.¹⁵⁸

გარდა ამისა, **სარგებლობის შეუძლებლობა იქნებოდა „ხელშესახები“**, თუ დაზარალებულ მხარეს ნამდვილად დასჭირდებოდა სატრანსპორტო საშუალება მისი ყოველდღიური ცხოვრების წარმართვისთვის სხვა შესაფერისი სატრანსპორტო საშუალების არარსებობის შემთხ-

ვევაში.¹⁵⁹ სატრანსპორტო საშუალების გამოყენების შესაძლებლობის დროებით ჩამორთმევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ არსებობს, თუ დაზარალებულ მხარეს ხელთ აქვს სხვა სატრანსპორტო საშუალება, რომელიც შეიძლება გონივრულად მიჩნეული იყოს, როგორც მისი შემცვლელი.¹⁶⁰

სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში, რომლებიც ემსახურება წმინდად **დასვენების მიზნებს**, უფლებამოსილი პირის ცხოვრების წესი არ მიიჩნევა მათ ყოველდღიურ გამოყენებაზე დამოკიდებულად ზემოთ აღწერილი გაგებით. აღნიშნული ივარაუდება ასევე მაშინაც, თუ, მაგალითად, დაზარალებულს, გარდა ავარიაში მოყოლილი სახლის ტიპის მანქანის¹⁶¹ ან მოტოციკლეტისა¹⁶², დამატებით ჰყავს სხვა კერძო მანქანა, რომელიც ხელმისაწვდომია რეგულარული გამოყენებისთვის.¹⁶³

ანალოგიურად, ფედერალური სასამართლო უარყოფს კომპენსაციას **კომერციული მიზნით გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების** სარგებლობის დაკარგვისთვის, რომელიც გამოითვლება აბსტრაქტული თვალსაზრისით (იხ. ქვემოთ, ბბ).¹⁶⁴ ეს ემყარება იმ ფაქტს, რომ ექსკლუზიურად კომერციული მიზნებისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ოპერატიული მზადყოფნა, ანუ მისი მუდმივი ხელმისაწვდომობა და ოპერატიული შესაძლებლობები, არ არის დამოუკიდებელი ქონებრივი აქტივი.¹⁶⁵ როდესაც ავტომობილი გამოიყენება

¹⁵⁵ BGH, Urteil vom 10. März 2009 - VI ZR 211/08 - NJW 2009, 1663, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 10. Juni 2008 - VI ZR 248/07 - NJW-RR 2008, 1198, juris Rn. 7

¹⁵⁶ BGH, Urteil vom 7. Juni 1968 - VI ZR 40/67 - NJW 1968, 1778, juris Rn. 12 ff.; OLG Hamm, Beschluss vom 26. Juli 2022 - I-7 U 52/22 - NZV 2023, 171, juris unter Nr. 2

¹⁵⁷ BGH, Urteil vom 10. Juni 2008 - VI ZR 248/07 - NJW-RR 2008, 1198, juris Rn. 7

¹⁵⁸ OLG Dresden, Beschluss vom 17. Mai 2021 - 4 U 382/21 - juris Rn. 5; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 14. September 2017 - 4 U 82/16 - RuS 2018, 329, juris Rn. 37, jeweils mwN

¹⁵⁹ BGH, Urteil vom 10. Juni 2008 - VI ZR 248/07 - NJW-RR 2008, 1198, juris Rn. 7

¹⁶⁰ BGH, Urteil vom 11. Oktober 2022 - VI ZR 35/22 - NJW 2023, 47, juris Rn. 10 und 12, ავარიაში მონაწილე Porsche Turbo S Cabriolet-ის ნაცვლად, BMW 3-ით

დროებით სარგებლობისთვის, რომელიც ხელმისაწვდომია მეორე მანქანის სახით; თუმცა, ამ მანქანების არაექვივალენტურობის გამო ეს საკითხი არ არის ეჭვგარეშე

¹⁶¹ BGH, Urteil vom 10. Juni 2008 - VI ZR 248/07 - NJW-RR 2008, 1198, juris Rn. 10 ff.

¹⁶² BGH, Urteil vom 23. Januar 2018 - VI ZR 57/17 - BGHZ 217, 218, juris Rn. 9

¹⁶³ შდრ. სასამართლო პრაქტიკის შეჯამება BGH, Urteil vom 23. Januar 2018 - VI ZR 57/17 - BGHZ 217, 218, juris Rn. 7

¹⁶⁴ BGH, Urteil vom 6. Dezember 2018 - VII ZR 285/17 - BGHZ 220, 270, juris Rn. 27 ff.

¹⁶⁵ BGH, Urteil vom 6. Dezember 2018 - VII ZR 285/17 - BGHZ 220, 270, juris Rn. 28 ff.; BGH, Urteil vom 26. März 1985 - VI ZR 267/83 - NJW 1985, 2471, juris Rn. 12

კომერციული მიზნებისთვის, გამოყენების შესაძლებლობის არარსებობა არ აისახება საერთო ხელმისაწვდომობის დაკარგვაზე და მასთან დაკავშირებულ ცხოვრების ხარისხზე. პირიქით, კომერციულად გამოყენებული მანქანა არის მოგების მიღების უბრალო საშუალება სამეწარმეო განზრახვის რეალიზაციისთვის. აღნიშნული სარგებლობის მიზნის მიხედვით, ეკონომიკური აქტივის სარგებლობის კომერციულ გამოყენებაში დაკარგვის კომპენსაცია ასევე უნდა განხორციელდეს დაკარგული მოგების ჩანაცვლებით.¹⁶⁶ ამ კონტექსტში არარელევანტურია ის ფაქტი, ემსახურებოდა თუ არა გამოყენებისთვის არავარგისი მანქანა უშუალოდ მოგების მიღებას, ანუ სამეწარმეო შემოსავალი წარმოიქმნებოდა მხოლოდ სატრანსპორტო მომსახურებით, თუ ის მხოლოდ არაპირდაპირ ეხმარებოდა ან საშუალებას აძლევდა სხვა კომერციულ საქმიანობას.¹⁶⁷

ეს სასამართლო პრაქტიკა შემუშავდა ავტომობილების შესაძლო სარგებლობის საფუძველზე. თუმცა, გადაადგილების სხვა ალტერნატივებზე მსგავსი ზემოქმედების გამო, მისი ძირითადი მახასიათებლები ქვედა სასამართლო ინსტანციების მიხედვით ასევე გამოიყენება ველოსიპედებზე, რომლებიც რეგულარულად გამოიყენება სამსახურისკენ მიმავალ გზაზე,¹⁶⁸ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ელექტრო ეტლებზე.¹⁶⁹

(2) სარგებლობის დაკარგვით წარმოშობილი ზიანის შეფასება

ვინაიდან სარგებლობის შესაძლებლობის დაკარგვა გაგებულია, როგორც მატერიალური

ზიანი, მისი შეფასება არ უნდა დაეფუძნოს განცდილ „ტანჯვას“, როგორც ეს ხდება არამატერიალური ზიანის დროს, არამედ სისტემატური სარგებლობის შესაძლებლობის ქონებრივ გამოხატულებას. მისი შეფასებისთვის არ არის გადამწყვეტი ე. წ. შენახვის ხარჯები, რომლითაც დაზარალებულმა „იყიდა“ სარგებლობის შესაძლებლობა და რომელიც ამაო გამოდგა უბედური შემთხვევის გამო სარგებლობის დაკარგვის ხანგრძლივობისთვის (ე.წ. იმედგაცრუების ზიანი). უფრო მეტიც, პრაქტიკაში უზრუნველყოფის ხარჯებსა და გაცილებით მაღალი ფასით დაქირავებულ მანქანას შორის ღირებულება ჩვეულებრივ, დაახლოებით 3,5-ჯერ აღემატება უზრუნველყოფის ხარჯებს.¹⁷⁰ პრაქტიკაში, ამ თანხის დასადგენად, ანალოგიურად როგორც ჩვეულებრივი საბაზრო გაქირავების ხარჯების დასადგენად, გამოიყენება სია,¹⁷¹ რომელშიც ჩვეულებრივი ავტომობილების კლასიფიკაცია ხდება 11 ტიპის კლასად. ამ ჩამონათვალში თითოეული ტიპის კლასისთვის განსაზღვრულია კონკრეტული უცვლელი სარგებლობის ღირებულება. თუ ავტომობილი ხუთ წელზე მეტი ხნისაა, ის, როგორც წესი, ქვეითდება ერთი ტიპის კლასით; თუ ათ წელზე მეტი ასაკისაა, შესაძლოა ორი ტიპის კლასითაც. ამ გზით გამოთვლილი საფასო ფარგლები ამჟამად შეადგენს €23-ს დღეში ყველაზე დაბალი ტიპის კლასისთვის და €175-ს უმაღლესი ტიპის მანქანებისთვის და €10-დან €65-მდე მოტოციკლებისთვის. „საშუალო კლასის მანქანები“ ჩვეულებრივ მერყეობს €38-დან €50-მდე დღეში. ფედერალურმა სასამართლომ დაამტკიცა გამოთვლის ასეთი მეთოდი, როგორც შესაძლო, მაგრამ არა ერთადერთი სავარაუდო გზა ზიანის დადგენისათვის.¹⁷²

¹⁶⁶ BGH, Urteil vom 6. Dezember 2018 - VII ZR 285/17 - BGHZ 220, 270, juris Rn. 31
¹⁶⁷ BGH, Urteil vom 6. Dezember 2018 - VII ZR 285/17 - BGHZ 220, 270, juris Rn. 20
¹⁶⁸ LG Lübeck, Urteil vom 8. Juli 2011 - 1 S 16/11 - juris Rn. 5, KG Berlin, Urteil vom 16. Juli 1993 - 18 U 1276/92 - NJW-RR 1993, 1438, Kurzwiedergabe bei juris; AG Frankfurt, Urteil vom 16. Februar 1990 - 32 C 5136/89 - NJW 1990, 1918, Kurzwiedergabe bei juris. იგივე უნდა იყოს, თუ ველოსიპედი გამოიყენება სკოლაში ან უნივერსიტეტში რეგულარულად გადასაადგილებლად.

¹⁶⁹ LG Hildesheim, Beschluss vom 29. Juni 1990 - 5 O 57/90 - NJW-RR 1991, 798, Kurzwiedergabe bei juris
¹⁷⁰ Freyemann/Rüßmann in: Freyemann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 21.04.2023) Rn. 227
¹⁷¹ ე.წ. Schwacke-Liste nach Sanden, Danner & Küppersbusch
¹⁷² BGH, Urteil vom 23. November 2004 - VI ZR 357/03 - BGHZ 161, 151, juris Rn. 6 ff.; BGH, Urteil vom 25. Januar 2005 - VI ZR 112/04 - NJW 2005, 1044, juris Rn. 6 ff.

ბბ) კომერციული მიზნით გამოყენებული ავტომობილები, საჯარო დაწესებულების სპეციალური მანქანები

კომერციული მიზნით გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების ავარიასთან დაკავშირებული სარგებლობის დაკარგვის ხანგრძლივობის განმავლობაში, უფლებამოსილ პირს შეუძლია გამოთვალოს ზიანი რეალურად დაქირავებული სატრანსპორტო საშუალების დაქირავების ხარჯების, „შუალედური გადაწყვეტის“ სახით შეძენის ხარჯების, **სარეზერვო ავტომობილის უზრუნველყოფის ხარჯების ან დაკარგული მოგების** საფუძველზე.¹⁷³ თუმცა, ეკონომიურობის პრინციპისა და ზიანის შემცირების ვალდებულება მოითხოვს, რომ დაზარალებულმა აირჩიოს ყველაზე ხელსაყრელი ქმედებები. როგორც წესი, ეს ნიშნავს, რომ საბაზრო მანქანების დაზიანების შემთხვევაში, რომლებისთვისაც კომპანიას არ აქვს რეზერვი, საჭირო იქნება ჩამნაცვლებელი მანქანის დაქირავება ან საჭიროების შემთხვევაში დროებითი ავტომობილის შეძენა, რათა მუშაობა გაგრძელდეს შეზღუდვების გარეშე ან მოსალოდნელი მოგების დაკარგვა თავიდან იქნეს აცილებული.¹⁷⁴ წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა განვასხვავოთ ორი სიტუაცია:

(1) არსებული სარეზერვო მანქანა

განსაკუთრებით მსხვილ კომპანიებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან სპეციალური მანქანების (ავტობუსები, ნარჩენების გადასატანი მანქანები და ა.შ.) გამოყენებაზე თავიანთი კომერციული საქმიანობისთვის, ჩვეულებრივ, მზად აქვთ სარეზერვო მანქანები, რათა ნებისმიერ დროს ცალკეული მანქანების ავარიაში მოხვედრის, მათ შორის ნორმალური ტექნიკური

და სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას შეძლონ ოპერატიული მზადყოფნის უზრუნველყოფა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი სატრანსპორტო საშუალებათა რეზერვი არსებობს საბაზროდ გაყიდვადი ავტომობილებისთვისაც, მაგალითად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოყენებული მანქანები ყოველთვის შეესაბამებოდეს კომპანიის კორპორატიულ იდენტურობას.

თუ კომერციულად გამოყენებული მანქანა არ არის ხელმისაწვდომი ავარიის გამო, კომპანია ვალდებულია, რამდენადაც ეს კონკრეტულად შესაძლებელია, გამოიყენოს მანქანა მოცემული რეზერვიდან ავარიასთან დაკავშირებული სარგებლობის დაკარგვის ხანგრძლივობისთვის. ზიანთან დაკავშირებული პრობლემა (როგორც ზოგადად ხდება იმედგაცრუების ზარალთან დაკავშირებით) სხვა საკითხებთან ერთად მდგომარეობს იმაში, რომ ამ რეზერვის შენარჩუნების ხარჯები უკვე წარმოიშვა კონკრეტული ზიანის მოვლენამდე და იგივენაირად წარმოიქმნებოდა სადავო ავარიის გარეშეც.

მიუხედავად ამ (მკაცრად რომ ვთქვათ) მიზეზობრიობის არარსებობისა ხარჯებსა და კონკრეტულ ზიანის მოვლენას შორის, სასამართლო პრაქტიკა საშუალებას აძლევს დაზარალებულ მხარეს, ზიანის სახით მოითხოვოს რეზერვისთვის განეული ხარჯები თითო ავტომობილზე პროპორციულად, ანუ დღეში წლიური ხარჯების 1/365-ის ოდენობით.¹⁷⁵ თუმცა, ეს გულისხმობს, რომ რეზერვმა არა მხოლოდ ტექნიკური ან სარემონტო სამუშაოების ან უბედური შემთხვევის ან მათივე ბრალით გამოწვეული სარემონტო სამუშაოების შედეგად სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებლობა უნდა დააკომპენსიროს, არამედ ასევე მესამე მხარის მიერ გამოწვეული საგზაო შემთხვევებიც უნდა იყოს მხედველობაში მიღებული.¹⁷⁶ ეს უკანასკნელი

¹⁷³ BGH, Urteil vom 6. Dezember 2018 - VII ZR 285/17 - BGHZ 220, 270, juris Rn. 12 ff.

¹⁷⁴ შდრ. კომერციული გამოყენებისთვის მანქანის დაქირავების ხარჯების ანაზღაურებისთვის: BGH, Urteil vom 6. Dezember 2018 - VII ZR 285/17 - BGHZ 220, 270, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 4. Dezember 2007 - VI ZR 241/06 - NJW 2008, 913, juris Rn. 10

¹⁷⁵ BGH, Urteil vom 6. Dezember 2018 - VII ZR 285/17 - BGHZ 220, 270, juris Rn. 15 und 34; BGH, Urteil vom 26. März 1985 - VI ZR 267/83 - NJW 1985, 2471, juris Rn. 13

¹⁷⁶ BGH, Urteil vom 10.01.1978 - VI ZR 164/75 - BGHZ 70, 199, juris Rn. 10; 201; OLG Koblenz, Urteil vom 01.09.2014 - 12 U 1136/12 - NJW-RR 2015, 85, juris Rn. 32; OLG Frankfurt, Urteil vom 31. August 2021 - 26 U 4/21 - DAR 2021, 691, juris Rn. 32

ზოგადად შეიძლება ვივარაუდოთ მსხვილი სატრანსპორტო კომპანიების შემთხვევაში, სადაც, სტატისტიკურად რომ ვთქვათ, ავტოპარკის გარკვეული ნაწილი ხშირად არ არის გამოსაყენებლად მზად მესამე პირის მიერ გამოწვეული ავარიების დროს.

მოცემული ზიანის შეფასების ძირითადი იდეა არის ის, რომ განუღებელი ხარჯები დროით წინ უსწრებს კონკრეტული ზიანის მომტან მოვლენას და, შესაბამისად, არ შეიძლება პირდაპირ მას მიენერებოდეს. თუმცა, არსებობს ზოგადი კავშირი მესამე პირის მიერ გამოწვეულ ზიანთან, როდესაც აღნიშნული ზიანი შესამჩნევად ზემოქმედებს რეზერვში არსებული მანქანების რაოდენობაზე. თუ ასევე ჩაითვლება, რომ ზიანის შემცირების ვალდებულება,¹⁷⁷ ისევე, როგორც მუდმივი საოპერაციო მზადყოფნა, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე,¹⁷⁸ ხშირად მოითხოვს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების რეზერვის შენარჩუნებას სპეციალური მანქანებისთვის, უზრუნველყოფის ხარჯების პროპორციულად ანაზღაურების ვალდებულებაზე უარის თქმა არ იქნებოდა მიზანშეწონილი „მიზეზობრივი კავშირის პრობლემების“ გამო.

მოგების მიღების განზრახვის არარსებობის მიუხედავად, იგივე პრინციპები უნდა იყოს გამოყენებული, თუ საჯარო დანებსებულება ინახავს (და უნდა შეინახოს) სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების რეზერვი, რათა შეძლოს ნებისმიერ დროს სრულად შეასრულოს საჯარო სამსახურებრივი ვალდებულებები.¹⁷⁹

(2) როდესაც სარეზერვო მანქანა არ არის ხელმისაწვდომი

თუ სარეზერვო მანქანა არ არის ხელმისაწვდომი, კომერციულად გამოყენებული სპეცია-

ლური სატრანსპორტო საშუალების სარგებლობის დაკარგვისას (რომელიც დაქირავებით ან შუალედური შესყიდვით არ ნაცვლდება ან ვერ ჩანაცვლდა) ზიანი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მოგების დაკარგვის გზით. ავარიის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯები არც მიზეზობრივ კავშირშია და არც (რეზერვში არსებული სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯებისგან განსხვავებით) შინაგანად არის დაკავშირებული მესამე პირის მიერ გამოწვეული ზიანის მომტან მოვლენასთან. პირიქით, ავარიის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯები მხოლოდ საფუძველს უქმნის მის საოპერაციო შესაძლებლობებს და პირდაპირ თუ ირიბად გამიზნული მოგების მიღებას.¹⁸⁰

ვ) ბუქსირება/გადაყვანის ხარჯები

თუ სატრანსპორტო საშუალება აღარ არის მოძრაობისთვის გამართული ან სატრანსპორტო საშუალებებისთვის უსაფრთხო, ბუქსირების ხარჯები უნდა ანაზღაურდეს.

ანაზღაურებადი ხარჯები ჩვეულებრივ შემოიფარგლება პირდაპირი ტრანსპორტირებით შემთხვევის ადგილიდან უახლოეს ბრენდირებულ სპეციალიზებულ სახელოსნომდე.¹⁸¹ თუ საგზაო უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია შემთხვევის ადგილის რაც შეიძლება სწრაფად გასუფთავება, გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება საჭირო გახდეს ჯერ მხოლოდ მანქანის გადაწევა და მის უსაფრთხო ადგილას გაჩერება და მხოლოდ ამის შემდგომ სპეციალიზებულ სახელოსნოში მიყვანა.¹⁸²

ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი ჩვეულებრივ ზღუდავს ანაზღაურების მოცულობას ტიპურ ადგილობრივი ანაზღაურების ოდენობამდე. თუმცა, ხშირად არსებული საგანგებო

¹⁷⁷ მაგალითად, სარგებლობის დაკარგვის გამო მოგების მნიშვნელოვანი დაკარგვის შემთხვევაში.

¹⁷⁸ მაგალითად, მანქანებში, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოებრივ ინტერესებს, როგორცაა სასწრაფო დახმარების მანქანები, საზოგადოებრივი ავტობუსები, ნარჩენების გადასატანი მანქანები და ა.შ.

¹⁷⁹ შდრ. პოლიციის ჩამნაცვლებელი მანქანისთვის: OLG Hamm, Urteil vom 14. Dezember 2000 - 6 U 215/99 - OLGR Hamm 2002, 171, juris Rn. 9

¹⁸⁰ BGH, Urteil vom 6. Dezember 2018 - VII ZR 285/17 - BGHZ 220, 270, juris Rn. 33 f ნაგავსაყრელი მანქანისთვის ამნე მიმავრებით

¹⁸¹ AG Osterode, Urteil vom 20. Juli 2021 - 2 C 5/21 - juris Rn. 19; AG Frankfurt/M, Urteil vom 12. März 2020 - 30 C 246/19, juris Rn. 12

¹⁸² AG Osterode, Urteil vom 20. Juli 2021 - 2 C 5/21 - juris Rn. 20

ან გადაუდებელი აუცილებლობა ანესებს საზღვრებს დაზარალებული მხარის ინფორმირების ვალდებულების შესახებ.¹⁸³

გარდა ბუქსირების ხარჯებისა, შეიძლება ასევე არსებობდეს ე.წ. გადაყვანის ხარჯებიც, მაგალითად, თუ მანქანა სპეციალიზებული სახელოსნოდან, სადაც უტარდება მას რემონტი უნდა გადაიყვანონ შესაღებ დანებსებულებაში.¹⁸⁴ მეორე მხრივ, ავარიის გამო, შეუქცეებელი ავტომობილის დაზარალებულის სახლში მიყვანის ხარჯები, როგორც წესი, არ ანაზღაურდება.¹⁸⁵ სარემონტო სატრანსპორტო საშუალების გადაყვანის ხარჯები სარემონტო სახელოსნოდან დაზარალებულის საცხოვრებელ ადგილზე, პირიქით, ანაზღაურდება, რამდენადაც დაზარალებული ზიანის კონკრეტულ გამოქვითვას ახდენს¹⁸⁶ და დაცულია ეკონომიკური ეფექტიანობის პრინციპი. ფიქტიური ანგარიშსწორების შემთხვევაშიც კი, გაბატონებულია მოსაზრება, რომ ასეთი გადაყვანის ხარჯების ანაზღაურება დასაშვებია, თუ ისინი ხვდება სარემონტო ხარჯების განსაზღვრის ნაწილში ექსპერტის დასკვნის საფუძველზე და ადგილობრივი ჩვეულებების მიხედვით ბრენდირებულ სპეციალიზირებულ სახელოსნოში შექცეების დროს ეს ხარჯები განეული იქნებოდა.¹⁸⁷

ზ) მერკანტილური დაბალი ღირებულება

ავარიის შედეგად მიყენებული ზიანის გამოს-

წორების შემდეგაც კი ავტომობილის ღირებულება შეიძლება დარჩეს გაუფასურებული, რადგან ის კლასიფიცირდება როგორც „ნაავარიები მანქანა“ საზოგადოებრივი აზრის მიხედვით (ე.წ. ღირებულების მერკანტილური შემცირება).¹⁸⁸

ღირებულების მერკანტილური შემცირება ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ მიუხედავად ძლიერ დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების ობიექტურად სრული და სათანადო შეკეთებისა, საზოგადოების დიდ ნაწილს არ სურს შეიძინოს ამ გზით დაზიანებული ავტომობილი, რაც გავლენას ახდენს ღირებულებაზე.¹⁸⁹ ეს დათქმა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს იქიდან, რომ გავრცელებულია ვარაუდი, რომ ფარული დაზიანება და, შესაბამისად, ზიანისადმი უფრო მაღალი მიდრეკილების რისკი ვერ იქნება გამორიცხული „ნაავარიები სატრანსპორტო საშუალების“ შემთხვევაში. ეს შიში იწვევს ჩამნაცვლებელი მანქანის ღირებულების შემცირებას და, შესაბამისად, პირდაპირ ნივთობრივ ზიანს.¹⁹⁰ აღნიშნულის ნივთობრივ და არა როგორც სარგებლობის ზიანად კლასიფიცირება ასევე ნიშნავს, რომ იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში ის მხოლოდ მეიჯარის, როგორც მესაკუთრის, სამართლებრივ სფეროზე მოქმედებს (შდრ. იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალებების ზიანის ანაზღაურების შესახებ ზემოთ. I 2. გ) და II. 2. დ) დდ)).¹⁹¹

¹⁸³ BGH, Urteil vom 9. März 2010 - VI ZR 6/09 - NJW 2010, 2569, juris Rn. 16; vgl. LG Landshut, Beschluss vom 29. April 2022 - 13 S 278/22 - juris Rn. 17, LG Freiburg, Urteil vom 20. März 2020 - 5 O 71/19 - juris Rn. 37; AG Stade, Urteil vom 10. Januar 2012 - 61 C 946/11 - juris Rn. 5

¹⁸⁴ LG Kiel, Urteil vom 23. November 2021 - 17 O 249/20 - juris Rn. 32; LG Paderborn, Urteil vom 17. Dezember 2018 - 2 O 270/18 - juris Rn. 33; AG Bonn, Urteil vom 10. Januar 2023 - 114 C 119/21 - juris Rn. 47

¹⁸⁵ Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 21.04.2023) Rn. 271

¹⁸⁶ LG Saarbrücken, Urteil vom 15. Mai 2015 - 13 S 12/15 - NJW-RR 2015, 1437, juris Rn. 23; შდრ. კომბინაციის აკრძალვის შესახებ დამხმარე ხარჯებისთვის: BGH, Urteil vom 30. Mai 2006 - VI ZR 174/05 - NJW 2006, 2320, juris Rn. 11

¹⁸⁷ OLG Celle, Urteil vom 10. November 2021 - 14 U 136/20 - RuS 2022, 111, juris Rn. 30 mwN

¹⁸⁸ BGH, Urteil vom 20. Mai 2009 - VIII ZR 191/07 - BGHZ 181, 170, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 23. November 2004 - VI ZR 357/03 - BGHZ 161, 151, juris Rn. 16; BGH, Beschluss vom 26. April 2022 - VIII ZR 19/21 - openJur 2022, 20570, juris Rn. 32

¹⁸⁹ BGH, Urteil vom 23. November 2004 - VI ZR 357/03 - BGHZ 161, 151, juris Rn. 16; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 15. September 2022 - 4 U 110/21 - NJW-RR 2023, 243, juris Rn. 61

¹⁹⁰ BGH, Urteil vom 23. November 2004 - VI ZR 357/03 - BGHZ 161, 151, juris Rn. 16

¹⁹¹ OLG München, Urteil vom 24. Februar 2021 - 10 U 6484/20, juris Rn. 11; OLG Düsseldorf, Urteil vom 2. April

ვინაიდან ეს ზიანი პოტენციური მყიდველების დიდი ნაწილის შიშების შედეგია, მისი გამოსწორება მისი ბუნებიდან გამომდინარე შეუძლებელია ნატურით რესტიტუციის გზით. ამიტომ, თავიდანვე, წმინდად ქონებრივი კომპენსაცია უნდა მოხდეს გსკ-ის § 251 (1) მუხლის შესაბამისად, რომელსაც შეესაბამება სსკ-ის 409-ე მუხლი.¹⁹² რამდენადაც დაზარალებულს უფლება აქვს წინაწარ გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადი გამოქვითოს, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ზიანის დადგენისას უნდა გამოიქვითოს მოგების გადასახადის თანხა, ვინაიდან ჩამნაცვლებლის შესყიდვის ღირებულების (დილერის მიერ გაყიდვის ფასის) გაანგარიშება შეიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს, როგორც საანგარიშო ფაქტორს და შესაბამისად, ეს ასევე შედის ღირებულების მერკანტილური შემცირების გაანგარიშებაში (შდრ. დეტალურად: LG Dortmund, Urteil vom 8. November 2022 - 21 O 363/21 - juris Rn. 18 ff.).

ნათლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზიანი საგზაო შემთხვევასთან ერთად წარმოიშობა და არა მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული გაზომვადი ხდება დაზარალებულისთვის ავარიაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალების გაყიდვიდან ნაკლები შემოსავლის სახით. თუ დაზარალებული სატრანსპორტო საშუალებას გამოიყენებს მის საბოლოო ფუნქციონირებამდე, ის ინარჩუნებს ღირებულების მერკანტილური შემცირების გამო მიღებული ზიანის მოთხოვნას, მიუხედავად იმისა, რომ ღირებულების დანაკარგი, რომელიც მოხდა, რეალურად არ განხორციელებულა დაზარალებულისთვის. ეს ემყარება იმ ფაქტს, რომ ზიანის შეფასება ეფუძნება დროის იმ მომენტს, როდესაც იგი მთლიანად აღმოიფხვრა ან როდესაც გადახდილი იქნა კომპენსაციის ოდენობა (იხ. II. 1. ბ) ზემოთ) და შემდგომი

განვითარება, მათ შორის ფინანსური დანაკარგის შემცირება, ყურადღების მიღმა რჩება. სხვათა შორის, მსგავსი ვითარება წარმოიშობა, თუ დაზარალებულს არ ან ბოლომდე არ გაურემონტებია ავარიაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალება, აღრიცხავს მის დაზიანებებს ფიქტიური შეკეთების- ან ჩამნაცვლებლის ხარჯების საფუძველზე და შემდეგ აგრძელებს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების გამოყენებას, სანამ ის ჯართად არ იქცევა.

გერმანიაში არსებობს გაანგარიშების სხვადასხვა მოდელი ღირებულების მერკანტილური შემცირების დასადგენად, რაც, აქ, გერმანიის მეორადი მანქანების ბაზრის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დეტალურად არ იქნება წარმოდგენილი.¹⁹³ ამ გამოთვლების ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ მცირე დაზიანების შემთხვევაში (როდესაც შეკეთების ხარჯები ჩამნაცვლებლის შესყიდვის ღირებულების დაახლოებით 10%-მდეა) არ ხდება ღირებულების მერკანტილური შემცირება და ის ავარიის დაზიანების სიმძიმით (მზიდი ნაწილებია დაზიანებული თუ წმინდად „ძარის დაზიანება“), ავტომობილის მდგომარეობით, ასაკისა და გარბენის ურთიერთქმედებით გამოითვლება. ძველი მანქანების შემთხვევაში მაღალი გარბენით, ღირებულების მერკანტილური შემცირების შემთხვევები ზოგადად უარყოფილია.¹⁹⁴ ოდენობის კლასიფიკაციის საილუსტრაციოდ, უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, დაშვებული 3½ BMW X3, 265 კვტ, ავარიის დროს გარბენით თითქმის 42,000 კმ, რომლის სარემონტო ხარჯები დაახლოებით 8,000 ევროს შეადგენს, ღირებულების მერკანტილური შემცირების ოდენობა განისაზღვრა 900 ევროთი.¹⁹⁵

თ) სარგებლის გამოქვითვა

2019 - I-1 U 108/18, juris Rn. 38; LG Nürnberg-Fürth, Urteil vom 5. Januar 2023 - 2 O 6786/21, juris Rn. 79
¹⁹² vgl. Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 21.04.2023) Rn. 168
¹⁹³ ზოგადი მიმოხილვა: Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2.

Auf., § 249 BGB (Stand: 21.04.2023) Rn. 171
¹⁹⁴ შდრ. გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა: Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 21.04.2023) Rn. 170 f.
¹⁹⁵ LG Heilbronn, Urteil vom 31. Januar 2023 - 5 O 84/22, juris Rn. 21 ff.

როგორც ნებისმიერი სხვა დაზიანების შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების შემთხვევითმა დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ზიანის შედეგად დაზარალებულისთვის ეკონომიკური უპირატესობების მოპოვებაც.

სამართლებრივი თვალსაზრისით ეჭვგარეშეა, რომ ზიანთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს სარგებლის გამოქვითვის ზოგადი პრინციპების მიხედვით, რომლებიც გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან (გსკ-ის § 242 მუხლი). ამიტომ, გადამწყვეტი კრიტერიუმი უნდა იყოს ის, არის თუ არა ავარიით გამოწვეული უპირატესობები და დანაკარგები ერთ საანგარიშო ერთეულში გაერთიანებული ღირებულებითი შეფასების განხილვისას. სარგებლად ჩათვლება, თუ აღნიშნული შეესაბამება კომპენსაციის მოთხოვნის შესაბამის მიზანს, ანუ გონივრულია დაზარალებულისთვის და უსაფუძვლოდ არ ათავისუფლებს ზიანის მიმყენებელ მხარეს.¹⁹⁶

აა) შემცვლელი მანქანის დაქირავებისას დაზოგილი ხარჯები

ამ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე სამართლო პრაქტიკა ადგენს, რომ დაზარალებული მხარე, რომელიც ქირაობს შემცვლელ მანქანას ავარიის შედეგად დაზიანებული მისი ავტომობილის შეკეთების საჭირო დროის განმავლობაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი დაზოგილი ხარჯები. ეს მოიცავს სანავისა და საპოხი მასალების, ასევე საბურავების პროპორციულ ხარჯებს, ასევე შეკეთებისა და ინსპექტირებისაგან გათავისუფლებას, მაგრამ არა

მიმდინარე საოპერაციო ხარჯებს.¹⁹⁷ წარმოიშვა თუ არა გაზომვადი სარგებელი საკუთარ სატრანსპორტო საშუალებაზე განხორციელებული დაზოგვის შედეგად, ეს დამოკიდებულია ინდივიდუალური შემთხვევის გარემოებებზე, მაგალითად, გზის სიგრძეზე, რომლისთვისაც მანქანა ვეღარ გამოიყენება.¹⁹⁸

არსებობს სხვადასხვა მოდელი (პრაქტიკაში ყოველთვის უცვლელი) ამ დაზოგილი ხარჯების გაანგარიშებისთვის, რაც იწვევს მანქანის დაქირავების ხარჯების დაახლოებით 3%-დან 15%-მდე (ძირითადად 5%-10% დიაპაზონში) მერყეობას.¹⁹⁹ დაბალი კლასის (და, შესაბამისად, უფრო იაფი) მანქანის ქირაობისას, აღნიშნული დანაზოგის გამოქვითვა შეიძლება იქნეს უარყოფილი.²⁰⁰

ბბ) ცვეთისა და წინარე დაზიანების აღმოფხვრა შეკეთების დროს

რამდენად შეიძლება დაზარალებულ მხარეს ზიანის შემცირების ნაწილში გაეჭვითოს, ის, რომ ნაწილობრივ გაცვეთილი ან წინარე დაზიანებული ავტომობილის ნაწილები შეიცვალა ახლით შეკეთების ფარგლებში, დამოკიდებულია შეფასებაზე და არ შეიძლება უნივერსალური პასუხის გაცემა.

შეთანხმებული პოზიცია არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი (ე.წ. „ახალი ძველის სანაცვლოდ“) გამოქვითვის წინაპირობაა, სულ მცირე, ის გარემოება, რომ დაზარალებულის აქტივების გაზომვადი ზრდა იყოს სახეზე.²⁰¹ ეს ნიშნავს, რომ თავიდანვე გამორიცხულია

¹⁹⁶ BGH, Urteil vom 16. September 2021 - VII ZR 192/20 - NJW 2022, 321, juris Rn. 38; BGH, Urteil vom 25. Mai 2020 - VI ZR 252/19 - BGHZ 225, 316, juris Rn. 65

¹⁹⁷ BGH, Urteil vom 5. März 2013 - VI ZR 245/11 - NJW 2013, 1870, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 7. Mai 1996 - VI ZR 138/95, BGHZ 132, 373, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 19. Oktober 1993 - VI ZR 20/93 - NJW 1993, 3321, juris Rn. 16

¹⁹⁸ BGH, Urteil vom 10. Mai 1963 - VI ZR 235/62 - NJW 1963, 1399, juris Rn. 6

¹⁹⁹ შდრ. BGH, Urteil vom 2. Februar 2010 - VI ZR 139/08 - NJW 2010, 1445, juris Rn. 20; OLG Düsseldorf, Urteil vom 17. Januar 2023 - 1 U 208/20 - juris Rn. 93; KG

Berlin, Urteil vom 8. Mai 2014 - 22 U 119/13 - juris Rn. 19 ff.; Freyemann/Rüßmann in: Freyemann/Wellner, jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 22.02.2023) Rn. 212

²⁰⁰ BGH, Urteil vom 5. März 2013 - VI ZR 245/11 - NJW 2013, 1870, juris Rn. 26; OLG Köln, Urteil vom 14. März 2019 - I-15 U 109/18 - openJur 2020, 47529, juris Rn. 22; KG Berlin, Urteil vom 11. Juli 2019 - 22 U 160/17 - NJW 2019, 3390, juris Rn. 13 f., Ferrari California T-ის დაქირავებისთვის Rolls Royce Ghost ავარიის დროს

²⁰¹ OLG Hamm, Urteil vom 28. Juni 2022 - I-7 U 45/21 - NJW 2023, 615, juris Rn. 9

უპირატესობის გაქვითვა, თუ ავტომობილის „ძველ“ ნაწილს, რომელიც შეიცვალა ახალი ნაწილით, ჩვეულებრივ აქვს უფრო ხანგრძლივი მომსახურების ვადა, ვიდრე თავად მანქანას. მაგალითად, ტიპური სავალი ნაწილების შემთხვევაში აქტივების გაზომვადი ზრდა შესაძლებელია სახეზე იყოს ახალი ნაწილის გამოყენებით, თუ, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ნაწილების აუცილებლად საჭირო შეცვლა, მაგალითად, გაცვეთილი საბურავები,²⁰² აღარ არის საჭირო და დაზარალებული ამით ზოგავს საკუთარ სახსრებს დაზიანების აღმოფხვრის შედეგად.²⁰³

ავტომობილის იმ ნაწილების შემთხვევაში, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას, მაგრამ არ განიხილება ცვეთად ნაწილებად, როგორც წესი, რაიმე სარგებელის მიღება გამოირიცხება.²⁰⁴ მაშინაც კი, თუ, მაგალითად, საკმაოდ ძველი გადაცემათა კოლოფის ახლით ჩანაცვლებამ ავარიის შემდეგ შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების გაზომვადი ზრდა, თუმცა უსამართლო იქნებოდა დაზარალებული მხარის დატვირთვა ასეთი უპირატესობით. ზიანის მიმყენებლისთვის დაკისრებული ნატურით რესტიტუცია მიზნად ისახავს წინარე მდგომარეობის აღდგენას, ანუ ექვივალენტური **ნახმარი სათანადო ნაწილის** დამონტაჟებას.²⁰⁵ თუ ასეთი რამ ბაზარზე არ არის და, ამიტომ, თუ შეკეთება ხორციელდება ახალი გადაცემათა კოლოფის გამოყენებით იმ მიზეზების გამო, რომლებიც მიეკუთვნება ზიანის მიმყენებელი პირის პასუხისმგებლობას, ახალი გადაცემათა კოლოფის საშუალებით აქტივების ზრდა არ არის („განუყოფადად“) დაკავშირებული შეკეთებასთან, არამედ უფრო მეტად დაზარალებული მხარის იძულებასთან. ასეთ ვითარებაში უპირატესობები და დანაკლისები არ არის გაერთიანებული ერთ საანგარიშო

ერთეულში ისე, რომ უპირატესობა წარმოიქმნას არსებული დანაკლისისგან. აქედან გამომდინარე, უსამართლო იქნებოდა დაზარალებულ მხარეს ფინანსურად დაწოდება სარემონტო ხარჯების ნაწილით ავტომობილის ღირებულების გაზრდა, რისკენაც ის საერთოდ არ მიილტვოდა. აღნიშნული მითუფრო სწორია, რადგანაც აღნიშნული ფინანსური ზრდა მხოლოდ დროებითია; ის ქრება ექსპლუატაციის ვადის გასვლასთან ერთდ და, შესაბამისად, დაზარალებული მხარის მიერ მისი სრულად ან ნაწილობრივ რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ავტომობილი მალევე გაიყიდება.

ამ კრიტერიუმების მიხედვით (პრეცედენტულ სამართალში არსებული ზოგიერთი ტენდენციისგან განსხვავებით), ასევე აუცილებელია პასუხის გაცემა, უნდა იყოს თუ არა მხედველობაში მიღებული და რა მოცულობით მოთხოვნის შესამცირებლად ის ფაქტი, რომ არსებული წინარე დაზიანება გარდაუვლად იქნა შეკეთებული ავარიის დაზიანების შეკეთების ფარგლებში. ერთსულოვანი სამართლებრივი მოსაზრების თანახმად, ასეთი გაქვითვა გულისხმობს, რომ წინარე ზიანის აღმოფხვრა იწვევს აქტივების გაზომვად ზრდას, ანუ შეკეთების შედეგად ჩამნაცვლებლის შესყიდვის ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე განსახილველ ავარიამდე. თუ ასეთი შემთხვევა გვაქვს სახეზე, გაბატონებული სამართლებრივი მოსაზრების თანახმად, დაზარალებულს უნდა დაერიცხოს შემცირებული თანხა იმ ოდენობით, რომელიც არსებობდა ავარიამდე წინარე დაზიანების გამო (და აღმოფხვრილია რემონტით).²⁰⁶

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ზოგადად სწორია, ის მოითხოვს გარკვეულ დიფერენციაციას. არც ერთი დაზარალებული არ არის ვალდებული შეკეთების პროცესში გამოასწო-

²⁰² იხ. OLG Köln, Urteil vom 26. August 2019 - 22 U 134/17 - openJur 2019, 34416, juris Rn. 12
²⁰³ BGH, Urteil vom 4. April 2014 - V ZR 275/12 - BGHZ 200, 350, juris Rn. 20 f.
²⁰⁴ შდრ. სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებისას მომსახურების ვადის გასათვალისწინებლად: Oberlandesgericht des Landes Sachsen-Anhalt, Urteil vom 25. November 2015 - 12 U 85/15 - openJur 2020,

27791, juris Rn. 32; OLG Zweibrücken, Urteil vom 13. August 2014 - 1 U 71/12 - VersR 2015, 723, juris Rn. 37
²⁰⁵ BGH, Urteil vom 13. Mai 2022 - V ZR 231/20 - NJW 2022, 2328, juris Rn. 18
²⁰⁶ Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 3. März 2022 - 12 U 194/20 - DAR 2022, 448, juris Rn. 4; LG Saarbrücken, Urteil vom 2. Mai 2014 - 13 S 198/13 - juris Rn. 20; OLG Düsseldorf, Urteil vom 14. Februar 2005 - I-1 U 146/04 - juris Rn. 44

როს უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი.²⁰⁷ თუ იგი განაგრძობდა ავტომობილის გამოყენებას უბედური შემთხვევის გარეშე უკვე არსებულ დაზიანებულ მდგომარეობაში, შეკეთების შედეგად მიღწეული სატრანსპორტო საშუალების ღირებულების ზრდა მას, სულ მცირე, ქმედებების განხორციელებას აიძულებს, ვინაიდან დამატებითმა ავარიამ მანქანის ფუნქციონირება შეუძლებელი გახადა, და რემონტი ახლა უკვე ფაქტობრივად გარდაუვალი გახდა. ეს ეხება, მაგალითად, თუ სატრანსპორტო საშუალების კარი, რომელიც ძლიერ დაზიანდა, მაგრამ ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა, ველარ გაიხსნა ან დაიხურა სადავო ავარიის შედეგად, ან თუ საკმაოდ ძლიერად დაზიანებულ ბამპერს ავარიამდე შეეძლო მცირე დარტყმის გაძლება, ახლა კი დევს გზაზე და ველარ მონტაჟდება.

ნატურით რესტიტუციის მოთხოვნა მიმართული იქნებოდა ექვივალენტური, შესაბამისად უკვე დაზიანებული, ფუნქციონალური კარის დამონტაჟებაზე. თუ ამის ნაცვლად დამონტაჟდება დაუზიანებელი კარი, მაგალითად, იმის გამო, რომ ასეთი კარი არ არის ბაზარზე, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ - გადაცემათა კოლოფში მოცემული მაგალითის მსგავსად - აქტივების ზრდა მოხდა. თუმცა მოცემულ შემთხვევაში უპირატესობებისა და დანაკლისების არითმეტიკული ერთიანობა არ არსებობს და, შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი დაზარალებული მხარის ეკონომიკური მონაწილეობის დაშვება სარემონტო ხარჯებში. ეს უნდა გაიგვიდეს იმ ფაქტთან, რომ საგზაო შემთხვევით გამონეული ზიანის აღმოფხვრით აუცილებლად უნდა აღმოფხვრას წინარე ზიანიც, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული დავის საგნად ქცეულ ავარიასთან.

მეორე მხრივ, მოცემული მოსაზრებიდან უცვლელი რჩება ზიანის ის შემთხვევები, რომლებშიც დაზარალებული მხარე გადაწყვეტს, არ აღადგინოს ადრინდელი (წინარე ზიანის) მდგომარეობა, არამედ სადავო მოვლენის „შემთხვევითობიდან“ გამომდინარე მთლიანად აღმოფხვ-

რას ზიანი. ეს მოიცავს შემთხვევას, თუ, მაგალითად, დაზიანებული კარის ექვივალენტური, უკვე დაზიანებული კარი ხელმისაწვდომია ბაზარზე და მისი შექენა შესაძლებელია გონივრულობის ფარგლებში, მაგრამ დაზარალებული მხარე არჩევს ზიანის სრულად გამოსწორებას ახალი კარის დამონტაჟებით. მაშინ უკვე უსაფუძვლოდ აღარ გამოიყურება ის ფაქტი, რომ ჩაითვალოს, მან მოიპოვა ეკონომიკური უპირატესობა. უპირატესობისა და დანაკლისის არითმეტიკული ერთიანობა თავიდან არ არსებობდა, მაგრამ შემდგომში მას ქმნის თავად დაზარალებული მხარე.

ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება სათანადოდ განხილულ იქნეს ის შემთხვევები, როდესაც ავარიამ წინარე დაზიანებულ მანქანაში მანამდე უკვე აშკარად გაფუჭებული ვიზუალური გამოსახულების მხოლოდ ზომიერად გაუარესება გამოიწვია. ასეთ კონსტელაციებში, პირვანდელი მდგომარეობის ფაქტობრივი აღდგენის მოთხოვნა ხშირად წარუმატებელია 130%-იან ზღვარზე. რემონტზე ხშირად არაპროპორციული ძალისხმევის გამო შეიძლება უარი თქვან იმ შემთხვევაშიც, თუ სადავო ავარია არ შეხება დაზიანებული მანქანის ნაწილის ფუნქციონირებას და ვიზუალური გამოსახულების გაუარესება არ არის მნიშვნელოვანი. შედეგად, დაზარალებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების ჩამნაცვლებლის ღირებულების შემცირებისთვის (ეს არის ის, რაც მნიშვნელოვანია და არა დაზარალებული მანქანის ნაწილის ღირებულება). ცალკეული შემთხვევის სიტუაციიდან გამომდინარე, ეს სხვაობა შეიძლება „ნულიც“ იყოს.

ი) დროის დანახარჯი

როგორც წესი, ზიანის დადგენასა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებული დროის დანახარჯი, როგორც ზიანი,

²⁰⁷ აღნიშნულთან დაკავშირებით: OLG Stuttgart, Urteil vom 16. Februar 2023 - 2 U 226/21 - openJur 2023, 3947, juris Rn. 26

დაზარალებულს არ შეუძლია რომ მოითხოვოს.²⁰⁸ აღნიშნული დათქმა არ შეიცვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დაკავშირებულია დაზარალებულის გაზომვად ფინანსურ ძალისხმევასთან, მაგალითად, თუ კომპანიები ან დანესებულებები თანამშრომლებს ანდობენ პრაქტიკულად მხოლოდ ზიანის მოთხოვნებთან დაკავშირებულ შემთხვევებს ან ანაზღაურების სანაცვლოდ ზიანის შემთხვევების შემდგომი განვითარებისთვის მოთხოვნებს გადასცემენ შვილობილ კომპანიებს ან მომსახურების მიმწოდებლებს.²⁰⁹ თუმცა, აღნიშნული არ მოქმედებს ზიანის მიმყენებელი პირის ხარჯზე სამართლებრივი რჩევის მოპოვების უფლებაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ვალების შემგროვებელი სააგენტოს ჩართვაზე, თუ დაზარალებულ მხარეს არ შეუძლია თავად განახორციელოს სათანადო სამართლებრივი დევნა ან მოთხოვნის დაკმაყოფილება (იხ. II. 2. გ) ზემოთ).²¹⁰

ფედერალურმა სასამართლომ ეს პრინციპები გაამართლა პასუხისმგებლობის ნორმის დამცავი მიზნით და პასუხისმგებლობის სფეროებსა და პრაქტიკულობაზე დაფუძნებული შეფასებით. ის უშვებს გამონაკლისებს, თუ ცალკეულ შემთხვევაში საჭირო ძალისხმევა აღემატება ნორმალურ ფარგლებში განხორციელებულ ტიპურ ძალისხმევას.²¹¹ თუმცა, პრაქტიკაში, ასეთი გამონაკლისი სიტუაციები თითქმის არასდროს ხდება, რადგან ისინი საჭიროებენ ადვოკატის ჩართვას და მისი ხარჯების ანაზღაურება შესაძლებელია.

ფედერალური სასამართლოს ეს მსჯელობა ლოგიკურია იმდენად, რამდენადაც დროის დანახარჯი, რომელიც ვერ ანაზღაურდება დაზა-

რალეული მხარის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ნორმის დამცავი მიზნიდან გამომდინარე, იგი არ შეიძლება ანაზღაურებადი გახდეს „აუთოსორსინგის“ გამო, ანუ როდესაც საკითხი გადაეცემა მესამე პირს ანაზღაურების სანაცვლოდ და ამით აისახება აქტივების ბალანსში. თუმცა, ის არ პასუხობს წინასწარ კითხვას, რატომაა დაზარალებული მხარის მიერ დახარჯული დროის ანაზღაურება შეუძლებელი. აქ გადამწყვეტია ის, რომ დროის დანახარჯი, წმინდად ფინანსური თვალსაზრისით, არ იწვევს ზიანს და, შესაბამისად, ის ასოცირდება ღირებულებითი წარმოდგენის ფუნდამენტურ ცვლილებასთან და ძნელად განჭვრეტად შედეგებთან, თუ როდის უნდა ჩაითვალოს დროის დანახარჯი აქტივის ღირებულებაში, ფინანსური თვალსაზრისით. შესაბამისად, ფედერალურმა სასამართლომ მართებულად განაცხადა გარკვეულწილად განსხვავებულ კონტექსტში, კერძოდ, ავარიის გამო დაზარალებული ბავშვის გაზრდილი მზრუნველობის გამო, რომ დამატებითი დროის დახარჯვისთვის ფინანსური კომპენსაცია დააზიანებს საზღვრებს მატერიალურ ზიანსა და არამატერიალურ ზიანს შორის. საბოლოო ჯამში, ის უზრუნველყოფს საკუთარი ცხოვრების ჩამოყალიბების შესაძლებლობების შემცირების კომპენსირებას, რაც შეუთავსებელი იქნება კონკრეტული, სუბიექტთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების პრინციპებთან.²¹²

კ) ზიანის დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ვალდებულება/ზიანის აღმოფხვრის დაფინანსება

ზიანის აღმოფხვრის დაგვიანებამ შეიძლება გაზარდოს ხარჯები, მაგალითად, თუ მანქანის

²⁰⁸ BGH, Urteil vom 10. Juni 2020 - VIII ZR 289/19 - ZIP 2020, 2068, juris Rn. 45; BGH, Urteil vom 26. Juni 2019 - VIII ZR 95/18 - ZIP 2020, 323, juris Rn. 19; BGH, Beschluss vom 20. September 2016 - VIII ZR 239/15 - RdE 2017, 297, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 8. November 1994 - VI ZR 3/94 - BGHZ 127, 348, juris Rn. 10

²⁰⁹ BGH, Urteil vom 10. Juni 2020 - VIII ZR 289/19 - ZIP 2020, 2068, juris Rn. 49; BGH, Urteil vom 26. Juni 2019 - VIII ZR 95/18 - ZIP 2020, 323, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 8. November 1994 - VI ZR 3/94 - BGHZ 127, 348, juris Rn. 10

²¹⁰ BGH, Urteil vom 10. Juni 2020 - VIII ZR 289/19 - ZIP 2020, 2068, juris Rn. 49

²¹¹ BGH, Urteil vom 10. Juni 2020 - VIII ZR 289/19 - ZIP 2020, 2068, juris Rn. 45; BGH, Urteil vom 26. Juni 2019 - VIII ZR 95/18 - ZIP 2020, 323, juris Rn. 19

²¹² BGH, Urteil vom 22. November 1988 - VI ZR 126/88 - BGHZ 106, 28, juris Rn. 10; vgl. BGH, Urteil vom 8. Juni 1999 - VI ZR 244/98 - NJW 1999, 2819, juris Rn. 10; ამ დასაბუთებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს დახარჯული დრო: OLG Oldenburg, Urteil vom 6. Februar 2008 - 5 U 34/07 - VersR 2009, 797, juris Rn. 57

დაქირავება უფრო დიდი ხნის განმავლობაში უნდა მოხდეს ან სარგებლობის დაკარგვა ან მანქანის პარკირების ხარჯები წარმოიქმნება ან ფასების ზრდა ხდება. კომერციული სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში, დაკარგული მოგების ოდენობა შესაძლებელია საკმაოდ გაიზარდოს გაჭიანურებული ზიანის გამო.

ამიტომ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს კონსენსუსი იმის შესახებ, რომ დაზარალებულ მხარეს ზოგადად მოეთხოვება ზიანის დაუყოვნებლივ გამოსწორება ზიანის შემცირების მოვალეობის გამო.²¹³ თუმცა, მას გარკვეული პერიოდი უნდა მიეცეს **მოსაფიქრებლად**, რადგან მას შეიძლება მოუწიოს შორსმომავალი გადაწყვეტილებების მიღება ეკონომიკური თვალსაზრისით, როგორცაა, მაგალითად, სხვა ავტომობილის შეძენა და თუ ის ძალიან ნაჩქარევად იმოქმედებს, არსებობს საფრთხე, ვერ შეამჩნიოს ზიანის აღმოფხვრის უფრო ხელსაყრელი გზები. თუმცა, პრობლემურია საკითხი, რამდენად არის დაზარალებული ვალდებული ზიანის აღმოფხვრის დაჩქარების მიზნით საჭირო ფინანსური დანახარჯები საკუთარი ფინანსური რესურსებიდან ან სესხის აღებით **წინასწარ გაიღოს** ან ისარგებლოს არსებული ყოვლისმომცველი დაზღვევით.²¹⁴

საწყის ეტაპზე სასამართლო პრაქტიკა ხაზს უსვამს, რომ ზიანის აღმოფხვრა ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობაა და აღნიშნული მოიცავს მის დაფინანსებას.²¹⁵ აღნიშნული არ შეიცვლება იმ ფაქტის გამო, თუ დაზარალებული გამოიყენებს მისი ჩანაცვლების უფლებამოსი-

ლებას და თავისი სახელით დადებს ხელშეკრულებებს, რომლებიც საჭიროა ავარიაში მოხვედრილი სატრანსპორტო საშუალების შესაკეთებლად ან შემცვლელი მანქანის შესაძენად. შესაბამისად, დაზარალებული მხარე არ არის ვალდებული, აიღოს არსებული სრულად ყოვლისმომცველი სადაზღვევო პოლისი (რასაც ასევე შეიძლება მოჰყვეს გერმანიაში სატარიფო მიწუსები) ან წინასწარ დააფინანსოს ზიანის აღმოფხვრის ხარჯები საკუთარი ლიკვიდური სახსრებიდან ან თუნდაც სესხის მეშვეობით.²¹⁶

თუმცა, დაზარალებულს გამონაკლისად შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა არაკეთილსინდისიერი ქმედებისთვის, რომელიც გამოიხატება საკუთარი ფინანსური რესურსების გამოუყენებლობაში.²¹⁷ ზოგიერთ შემთხვევაში, დადგენილი სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ დაზარალებულს შეიძლება მიეთითოს წინასწარი დაფინანსების ვალდებულებაზე, თუ მას შეუძლია სესხის აღება უპრობლემოდ და უკან გადახდის შემთხვევაში მისი ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუარესდება.²¹⁸ თუმცა, ეს შეხედულება საკმაოდ საეჭვოა ნებისმიერი ტიპის კრედიტის ეკონომიკური შედეგების გამო, თუნდაც მხოლოდ აღნიშნული შეზღუდული ზოგადი საკრედიტო ჩარჩოს გამო. როგორც წესი, სასურველია, რომ დაზარალებულის მხრიდან წინასწარი დაფინანსება მხოლოდ თავისუფლად ხელმისაწვდომი და სხვაგვარად, დაუგეგმავი სახსრებიდან იყოს სავარაუდო, სხვა შემთხვევაში კი მას დაეკისროს ვალდებულება, დროულად აცნობოს ზიანის მიმყენებელ

²¹³ შდრ. OLG München, Urteil vom 11. Mai 2022 - 10 U 2165/21 - NJW-RR 2022, 1113, juris Rn. 26 f.; OLG Celle, Urteil vom 1. Dezember 2021 - 14 U 83/21 - NJW-RR 2022, 464, juris Rn. 9; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 27. Februar 2007 - 4 U 470/06 - MDR 2007, 1190, juris Rn. 25; vgl. BGH, Urteil vom 17. November 2020 - VI ZR 569/19 - NJW 2021, 694, juris Rn. 6

²¹⁴ BGH, Urteil vom 13. September 2016 - VI ZR 654/15 - NJW 2017, 1310, juris Rn. 23; OLG München, Urteil vom 11. Mai 2022 - 10 U 2165/21 - NJW-RR 2022, 1113, juris Rn. 26; OLG Celle, Urteil vom 1. Dezember 2021 - 14 U 83/21 - NJW-RR 2022, 464, juris Rn. 9; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 4. Januar 2022 - 7 U 59/21 - juris Rn. 20

²¹⁵ BGH, Urteil vom 17. November 2020 - VI ZR 569/19 - NJW 2021, 694, juris Rn. 8

²¹⁶ BGH, Urteil vom 17. November 2020 - VI ZR 569/19 - NJW 2021, 694, juris Rn. 6 ff.; BGH, Urteil vom 18. Februar 2020 - VI ZR 115/19 - NJW 2020, 1795, juris Rn. 15

²¹⁷ BGH, Urteil vom 17. November 2020 - VI ZR 569/19 - NJW 2021, 694, juris Rn. 8; BGH, Urteil vom 18. Februar 2020 - VI ZR 115/19 - NJW 2020, 1795, juris Rn. 15

²¹⁸ OLG München, Urteil vom 11. Mai 2022 - 10 U 2165/21 - NJW-RR 2022, 1113, juris Rn. 27; OLG Dresden, Beschluss vom 17. Mai 2021 - 4 U 382/21 - juris Rn. 6; OLG Düsseldorf, Urteil vom 16. Oktober 2018 - 1 U 162/17 - juris Rn. 55 und Rn. 57

მხარეს წინასწარი დაფინანსების შესაძლებლობების არარსებობის შესახებ.²¹⁹ ზიანის მიმყენებელ მხარეს ეცოდინება, რა შედეგები მოჰყვება ზიანის დაგვიანებულ აღმოფხვრას და შეუძლია მოემზადოს ამისათვის.

ლ) სხვა დამატებითი ხარჯები/დანახარჯების ერთიანობა

ცალკეული შემთხვევის სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს ავარიის შედეგად გამონვეული ზიანის აღმოფხვრის შემდგომი ხარჯების ანაზღაურება. ეს ეხება არა მხოლოდ ზოგად დანახარჯებს, როგორცაა ფოსტის ან ბეჭდვის ხარჯები, არამედ აუცილებელი მგზავრობის ხარჯებიც, როგორცაა შემთხვევის ადგილიდან სახლში წასვლა, ადვოკატთან შეხვედრები, მანქანის დაქირავება და მისი უკან დაბრუნება ან შეკეთებული მანქანის სარემონტო სახელოსნოდან წამოყვანა. გვერდითი ხარჯები შეიძლება ასევე წარმოიშვას სარეგისტრაციო ოფისში ავტომობილის რეგისტრაციის გაუქმებით ან ხელახალი რეგისტრაციით, ან შემცვლელი მანქანისთვის ახალი სანომრე ნიშნების შექმნისას. ამასთან, უნდა იქნას დაცული დამატებითი ხარჯების დროს კომბინირებული აკრძალვაც, რადგან, მაგალითად, ჩამნაცვლებლის შესყიდვის დამატებითი ხარჯების (რეგისტრაციიდან მოხსნა ან ხელახალი რეგისტრაცია, ახალი სანომრე ნიშნები და ა.შ.) ანაზღაურება

დასაშვებია, თუ დაზარალებულმა ჩამნაცვლებლის შესყიდვა რეალურად და არა ფიქტიურად განახორციელა.²²⁰

პრაქტიკაში, დაზარალებულთა უმეტესობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზიანის საკითხზე ადვოკატები მუშაობენ, დამლელი დოკუმენტაციისა და ასეთი, მცირე ზიანის შედეგის დოკუმენტირებაზე უარს ამბობს. როგორც წესი, ეს ხარჯები შეჯამებულია ეგრეთ წოდებულ ფიქსირებულ განაკვეთში რაიმე კონკრეტული ინვოისის გარეშე. ეს პრინციპულად აღიარებულია სასამართლო პრაქტიკაში. მისი ოდენობა დამოკიდებულია ზიანის საკითხზე სამუშაოს ფარგლებზე საჭირო დანახარჯების უხეში დათვალისა. თუმცა, როგორც წესი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დგინდება ერთჯერადი (საბოლოოდ ძალიან ზომიერი) თანხები, რომელთა ჩარჩო ჩვეულებრივ 20-დან 30 ევრომდე მერყეობს. სასამართლოების უმეტესობა აღიარებს დანახარჯად 25 ევროს დამატებითი ახსნის გარეშე.²²¹

სასამართლო პრაქტიკაში ეს ფიქსირებული დანახარჯების ოდენობა აღიარებულია იმისდა მიუხედავად, დაზარალებული მანქანასთან მიმართებით ზიანის ოდენობას კონკრეტულად თუ ფიქტიურად ანგარიშობს. თუმცა, დამატებითი ხარჯების ფარგლებში დაზარალებულმა მხარემ უნდა ამოარჩიოს კონკრეტული გაანგარიშება ან დამატებითი ხარჯების ფიქსირებული გადახდა.

²¹⁹ შდრ: Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 4. Januar 2022 - 7 U 59/21 - juris Rn. 23; Hanseatisches Oberlandesgericht in Bremen, Beschluss vom 26. März 2019 - 1 U 1/19 - juris Rn. 50; OLG Köln, Urteil vom 14. März 2019 - I-15 U 109/18 - juris Rn. 27; OLG Düsseldorf, Urteil vom 24. Mai 2011 - I-1 U 220/10 - NJW-RR 2012, 30, juris Rn. 25

²²⁰ შდრ. კომბინაციის აკრძალვა დამატებითი ხარჯების დროს: BGH, Urteil vom 30. Mai 2006 - VI ZR 174/05 - NJW 2006, 2320, juris Rn. 11

²²¹ შდრ. (მეტად აღარ არის აქტუალური) თანხების მიმოხილვა: Freymann/Rüßmann in: Freymann/Wellner,

jurisPK-Straßenverkehrsrecht, 2. Aufl., § 249 BGB (Stand: 21.04.2023) Rn. 266; უზენაესი სასამართლოს ბოლო გადანყვეტილებები: Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 24. März 2023 - 3 U 9/23 - juris Rn. 22 mit unstreitigen 25.- €; KG Berlin, Urteil vom 6. Juli 2022 - 25 U 139/21 - juris Rn. 44 mit 20.- €; OLG München, Urteil vom 11. Mai 2022 - 10 U 2165/21 - juris Rn. 31 mit 25.- €; OLG Celle, Urteil vom 30. März 2022 -14 U 143/21 - juris Rn. 24 mit 25.- €; OLG München, Beschluss vom 18. Oktober 2021 - 10 U 3808/21 - juris Rn. 46 mit 30.- €

„სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულება“ (Geschäftsbesorgungsvertrag) და საკუთრების მინდობა

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. დავალების ურთიერთობა და მისი სისტემატიკა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შექმნილია გერმანული, მაგრამ ნაწილობრივ ასევე ავსტრიული მოდელის მიხედვით და ამჟღავნებს მსგავსებას ასევე შვეიცარიული ვალდებულებითი სამართლის რეგულაციებთან, რაც, შეიძლება, არა პირდაპირი რეცეფციის, არამედ ამ გერმანულენოვან კოდექსებს შორის, ხანგრძლივი ურთიერთგადაცემადი ტრადიციის შედეგი იყოს. ის, თუ რამდენად გამართლებული იყო, გსკ-ის დანაწესების პირდაპირი გადმოღების მაგივრად, გარკვეული ნაზავის შექმნა სხვადასხვა ქვეყნის კოდიფიკაციებში გამყარებული რეგულატორული კომპლექსებიდან, სცდება მოცემული ტექსტის ფარგლებს. ქვემოთ რეცეფციის ისტორია მოცემული იქნება მხოლოდ იმ მასშტაბით, რამდენადაც ეს საჭიროა 709-ე-729-ე მუხლების სისტემატიკისა და კონკრეტული ნორმების შინაარსის ასახსნელად.

რომის სამართლიდან მომდინარე პრინციპი, რომ არ არსებობს სასყიდლიანი დავალება (mandatum nisi gratuitum nullum est¹) და სასყიდლის შეთანხმება არის არა მხოლოდ დავალების ხელშეკრულების მოდიფიცირება, არამედ ხელშეკრულების ცალკე ტიპი (locatio conductio), სრულად გაიზიარა გსკ-ის შემქმნელმა მეორე კომისიამ (განსხვავებით პირველი კომისიისაგან)² და ერთმანეთისაგან ტიპოლოგიურად გამიჯნა უსასყიდლო დავალების ხელშეკრულება (Auftrag, §§ 662-674 BGB) და მომსახურების ხელშეკრულება (Dienstvertrag, §§ 611-630 BGB). თუმცა 21.7.1999-ის „საბანკო გადარიცხვები კანონის“ (Überweisungsgesetz, BGBl. I 1642) საფუძველზე მოხდა გსკ-ის ამჟამინდელი რედაქციის 675-ე პარაგრაფის დავალების ხელშეკრულებიდან ამოღება და მისი ახალი ქვეთავის დასაწყისში დაყენება, რომელიც აწესრიგებდა სხვისი საქმეების სასყიდლიან გაძღოლას – Entgeltliche Geschäftsbesorgung³.⁴ ამგვარი რეგულირების მიზანს წარმოადგენდა მოცემული ნორმის მეშვეობით გზა გახსნილიყო

¹ MüKoBGB/Heermann, 8. Aufl. 2020, BGB § 675 Rn. 1.

² MüKoBGB/Heermann, 8. Aufl. 2020, BGB § 675 Rn. 1.

³ გერმანული „Geschäftsbesorgung“-ის ყველაზე ზუსტი ქართული შესატყვისი „სხვისი საქმეების მოვარებაა“, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ამ სიტყვათშეთანხმების სამართლებრივ-ტექნიკურ ტერმინად დამკვიდრება შეუძლებელია. „საქმეების შესრულება“ თუ „საქმეების განხორციელება“ არ გამოხატავს საკუთარი საქმის სხვისათვის გადადნობის ელემენტსა და ნიუანს,

ხოლო, მაგალითად, „საქმის დელეგირება“ (რაც არსობრივად ყველაზე ზუსტი იქნებოდა) უფრო სამ პირს შორის ურთიერთობასთან ასოცირდება. ამიტომაც, Geschäftsbesorgung-ის ყველაზე უფრო შესატყვის ტექნიკურ ტერმინად ქართულში „სხვისი საქმეების გაძღოლა“ მიგვაჩნია.

⁴ BeckOK BGB/Detlev Fischer, 63. Ed. 1.5.2022, BGB § 675 Rn. 1.

დავალების ხელშეკრულების ნორმების გამოყენებისაკენ იმ ტიპის მომსახურებისა და ნარდობის ურთიერთობებზე, რომელთა მიზანსაც არა მხოლოდ „უბრალოდ“ სხვისთვის რაიმე საქმიანობის შესრულება, არამედ თავდაპირველად სწორედ ამ სხვის მიერ თავად განსახორციელებელი საქმის საკუთარ თავზე აღება წარმოადგენდა („სხვისი საქმეების გაძღოლა“).⁵ ამგვარი მითითება დავალების ნორმებზე და მათი გამოყენებადად ცნობა ემსახურება, უმთავრესად, დავალების მიმცემის ინტერესების დაცვას.⁶

ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსი სასყიდლიანი დავალების რეგულაციებს მოიაზრებს გარკვეულ ჩარჩო-ურთიერთობად, რომლის ქვეტიპსაც წარმოადგენს მომსახურების ხელშეკრულება (ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის 1151-ე და მომდევნო მუხლები). ავსტრიის ზოგად სამოქალაქო კოდექსში დავალების სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოსავალ-დეფინიტორულ ნორმაში (ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის 1002-ე პარაგრაფი) საუბარია დავალებაზე, რომელსაც დავალბული (რწმუნებული) უძღვება დამვალბულის (მარწმუნებლის) სახელით, რაც გულისხმობს საქმეს, რომელიც არის დამვალბულის არა მხოლოდ „ინტერესებში“, არამედ თავდაპირველად მისი „მოსაგვარებელი“ იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია აპელირება „მისი სახელით“ მოქმედებაზე დავალბულის მხრიდან. ანუ, ამგვარად, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი დავალბების საკანონმდებლო ქრესტომათიულ მაგალითად ასახელებს პირდაპირ წარმომადგენლობას, როდესაც დავალბული გარე ურთიერთობაში მოქმედებს მარწმუნებლის სახელით, დებს გარიგებას, რომლის მხარეც ხდება მარწმუნებელი. ზუსტად ასევე, გსკ-ის 675-ე პარაგრაფი („სხვისი საქმეების სასყიდლიანი გაძღოლის“ ხელშეკრულება) ეხება საქმეს, რომელიც მეპატრონის სფეროს განეკუთვნებოდა და მოახდინა მისი მხოლოდ დელეგირება სხვა პირზე.⁷

ავსტრიული და გერმანული გადანყვეტადღეს ისტორიულად ყველაზე ახლოს დგას ერთმანეთთან – ორივე მართლწესრიგში არსებობს მომსახურების ხელშეკრულება და, გარდა ამისა, ჩარჩო-რეგულაციები (სასყიდლიანი დავალბების ნორმებისა თუ „სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულების“ სახით); მათი მიზანია დავალბების ხელშეკრულების ნორმების გავრცელება იმ ტიპის მომსახურების განევაზე, რომელიც ეხება თავდაპირველად მეპატრონის მიერ განსახორციელებელ საქმიანობას.

ამგვარად, გამომდინარე იქიდან, რომ გერმანულ-ავსტრიული რეგულატორული რეჟიმები დღეს მაქსიმალურად დაუახლოვდა ერთმანეთს და ორივე საერთო რეგულატორულ რეჟიმს იმეორებს, დამოუკიდებლად იმისა, ქართულ მართლწესრიგში კონკრეტულად რომელი ნორმა რომელი მართლწესრიგიდან მოხვდა, აქაც აუცილებელია ამ *locus communis* გამოვლენა. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ შეიცავს ნორმას, რომლის რეგულატორულ მატერიასაც, პირველ რიგში, ის შემთხვევები წარმოადგენენ, რომლებიც გერმანიაში „სხვისი საქმეების გაძღოლის“ ურთიერთობის ქვეშ ერთიანდება და რაზეც ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი.

II. სკ-ის 716-ე მუხლი – „სხვისი საქმეების გაძღოლის ურთიერთობა“

სკ-ის 716-ე მუხლი წარმოადგენს არა მხოლოდ პირდაპირ აპელირებას იმ შემთხვევებზე, რომლებიც გერმანიაში ერთიანდება „სხვისი საქმეების გაძღოლის“ კრებსითი ცნების ქვეშ, არამედ, დეტალური ნაკითხვისას, ნათელი ხდება, რომ ეს ასევე არის სპეციალური რეგულაცია ამ შემთხვევებისათვის და არ აქვს მნიშვნელობა, ეს ნორმა სკ-ში პირდაპირ გსკ-იდან მოხვდა თუ ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის გავლენით.

სკ-ის 716-ე მუხლით მონწესრიგებულ შემთხვევასაც დამვალბულის სფეროს მიკუთვნებული

⁵ BeckOK BGB/Detlev Fischer, 63. Ed. 1.5.2022, BGB § 675 Rn. 2.

⁶ Hopt, Interessenwahrung und Interessenkonflikte im Aktien-, Bank- und Berufsrecht – Zur Dogmatik des modernen Geschäftsbesorgungsrechts, ZGR 2004, 20.

⁷ BeckOK BGB/Detlev Fischer, 62. Ed. 1.5.2022, BGB § 675 Rn. 3.

საქმის გაძღოლის კონცეპტი უდევს საფუძვლად: მართალია, ამ შემთხვევაში დავალებული უკვე აღარ მოქმედებს დამვალებლის სახელით გარე ურთიერთობაში, თუმცა ასრულებს დამვალებლის მიერ შესასრულებელ საქმეს და ეს ჩანს უპირველესად მოცემულ ნორმაში „დამვალებლის ხარჯზე მოქმედების“ ხსენებიდან. კერძოდ: ჩვეულებრივი, სტანდარტული მომსახურების ტიპის დავალების შესრულებისას დავალებული არ მოქმედებს დამვალებლის „ხარჯზე“. გარდა ამისა, სკ-ის 716-ე მუხლში ნახსენები „დავალებულის ხარჯზე“ მოქმედება ვერ იქნება გაგებული იმგვარად, რომ აქ დამვალებლის მხრიდან დავალებულისათვის ამ უკანასკნელის საქმიანობიდან წარმომდგარი დანახარჯების ანაზღაურება იგულისხმება, რადგან ეს დანახარჯების ანაზღაურების ვალდებულება ცალკეა განერილი სკ-ის 717-ე მუხლში დათანაბრად ვრცელდება ყველა ტიპის დავალების ხელშეკრულებაზე. 716-ში კანონმდებლის მხრიდან ამის გამეორების და ცალკე გამოყოფის აუცილებლობა არ არსებობდა.

დავალებულის „ხარჯზე მოქმედება“, მართალია, მოიცავს დავალების სასყიდლიანობას, მაგრამ არ არის მისი იდენტური, არ ამოიწურება მხოლოდ სასყიდლიანობის ხაზგასმით და უფრო ფართოა, რადგან სასყიდელი აღნიშნავს მხოლოდ ექვივალენტურობას, იმას, რომ დამვალებელი გასცემს საპირისპირო შესრულებას დავალებულის მიერ დავალების შესრულების სანაცვლოდ, თუმცა ეს არ არის მის ხარჯზე მოქმედება. დამლაგებელი, რომელიც ალაგებს შემკვეთის სახლს, არ მოქმედებს მის ხარჯზე, არამედ უბრალოდ იღებს სასყიდელს განეული შრომისთვის. დამვალებლის „ხარჯზე“ მოქმედება გულისხმობს გარკვეული გადაკვეთის წერტილის არსებობას დამვალებლისა და დავალებულის სფეროებს შორის, როდესაც დავალებულის მიერ განხორციელებული აქტივობა ამ უკანასკნელის სფეროსაც განეკუთვნება. მაგალითად, იმით, რომ გარე ურთიერთობაში ეს უკანასკნელია მასზე დელეგირებული საქმის „ბატონ-პატრონი“, ის დამოუკიდებლად მოქმედებს, თუმცა შიდა ურთიერთობის ძალით მისი გადანყვეტილებების შედეგებს იმკის დამვალებელი, ზუ-

სტად ისე, როგორც მოიმკიდა საკუთარი წარმატებული თუ წარუმატებელი აქტივობის შედეგს. ზუსტად ეს შეესატყვისება გერმანულ თუ ავსტრიულ კონცეპტს სხვისი საქმეების გაძღოლისა, როდესაც ექვივალენტურობის ინტერესის მიღმა მდებარე რისკი გამომდინარეობს ერთი პირის ქმედებებიდან, თუმცა მის შედეგებს ატარებს მეორე პირი (დამვალებელი). ამიტომაც, სკ-ის 716-ე მუხლში განერილი „დამვალებლის ხარჯზე“ მოქმედების ქვეშ მოიაზრება: ამ დამვალებლის რისკის სფეროში შეჭრა, როდესაც ჯეროვანი შესრულების მიღმა მყოფი შედეგები (რისკი) განპირობებულია ერთი პირის (დავალებულის) ქმედებით, თუმცა ეხება და რეალიზდება მეორე პირის (დამვალებლის) სფეროში. მაგალითად, ოპერის მომღერალი ან დამლაგებელი, მართალია, იღებს სასყიდელს მისთვის დაკისრებული მოქმედების შესრულებისათვის და ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს ეს მოქმედება, მაგრამ ამ ჯეროვანი შესრულების შედეგებსა და რისკებს უკვე თავად დამვალებელი მართავს და განაგებს. თუ ოპერის მომღერალი ჯეროვნად შეასრულებს არიას, იმ რისკის რეალიზება, რომ ოპერაში მსმენელი მაინც არ მოვა, დამკვეთის სამართავია და მის ქმედებებზეა დამოკიდებული. ამიტომაც, არც ოპერის მომღერალი და არც დამლაგებელი ან რომელიმე სხვა „სუფთა ტიპის“ მომსახურების გამწვევი პირი არ მოქმედებს დამვალებლის რისკით, ანუ, მის „ხარჯზე“. ამის საპირისპიროდ, როდესაც ერთი პირი მეორეს გადააბარებს საკუთარი აქტივების მართვას, ამ უკანასკნელის ჯეროვანი შესრულების მიღმა მდებარე ზოგადი ცხოვრებისეული რისკი ერთი პირის (დამვალებლის) ქმედებებიდან გამომდინარეობს, მაგრამ მეორე პირის სფეროში რეალიზდება – დავალებულის სწორმა ნაბიჯებმა, საბოლოო ჯამში, მაინც შეიძლება აზარალოს დამვალებელი, იმ ფაქტორების გამო, რომელიც წინასწარ გათვლას არ ექვემდებარება. ანუ, დავალებული ამ შემთხვევაში სხვისი რისკით, ანუ სხვის „ხარჯზე“, მოქმედებს, რაც ერთმანეთისაგან განასხვავებს „სუფთა“ მომსახურების ტიპის ურთიერთობას „საკუთარი საქმის სხვისათვის გადაბარების“ („სხვისი საქმეების გაძღოლის“) ურთიერთობისაგან. ზოგადად,

როგორც ეს სკ-ის 709-ე-723-ე მუხლების ცნებით აპარატიდან და სისტემატიკიდან იკითხება, ქართველმა კანონმდებელმა, 709-ე, 716-ე მუხლებში სიტყვა „ხარჯზე“ სწორედ დამვალელების რისკის აღსანიშნავად გამოიყენა.

ამგვარად, როგორც ქართულ (სკ-ის 716-ე მუხლი), ისე ავსტრიულ (1002-ე პარაგრაფი) და გერმანულ (675 I პარაგრაფი) რეგულაციებს საერთო აქვს ის, რომ სამივე ეხება სხვისი საქმეების გაძლოლის შემთხვევას. ავსტრიაში ეს განპირობებულია ექსპლიციტური აპელირებით „გარე ურთიერთობაში“ მარნმუნებლის სახელით მოქმედებაზე, გერმანიაში „სხვისი საქმის გაძლოლის“ ცნების პირდაპირ ხსენებით მოცემულ ნორმაში, ხოლო საქართველოში, სკ-ის 716-ე მუხლში ამ ტიპის დავალებისათვის „დამვალელების ხარჯზე“ მოქმედების კონსტიტუციურ ნიშნად დაფიქსირებით. ამ ერთსულოვან კონცეპტუალურ მოცემულობაში ყველაზე მართებული ჩანს, რომ ქართულმა სამართალმა, დეტალებთან (კონკრეტულ წინაპირობებთან დაკავშირებით) გერმანული დოქტრინის მიერ გათვლილი გზა გაიზიაროს, რადგან, მიუხედავად კოდიფიკაციების ქრონოლოგიისა და დავალების ხელშეკრულების შემთხვევაში რეცეფციის ზუსტი ხაზისა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს იმ არქეტიპულ მართლწესრიგს, სადაც ყველა ეს პრობლემატიკა მაქსიმალურად სიღრმისეულად არის დამუშავებული, საიდანაც ავსტრიული მართლწესრიგი თავად იღებს ინსპირაციას და ნებისმიერი სხვა შვილობილი მართლწესრიგიც (როგორცაა ქართული) ვალდებულია იგივე გააკეთოს, თუ არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული მიზეზები, რაც მოცემულ შემთხვევაში არ შეიმჩნევა.

გარდა ამისა, სკ-ის 716-ე მუხლს ავსტრიულ თუ შვეიცარიულ კანონებში ანალოგი არ მოეპოვება და, სავარაუდოდ, სწორედ გერმანული 675-ე პარაგრაფის გავლენით (უფრო სწორად იმ გერმანული კანონპროექტის გავლენით, რო-

მელიც ამ ტიპის რეგულაციას შეიცავდა), რადგან, როგორც ცნობილია⁸, სკ-ის შემქმნელი ქართულ-გერმანული კომისია *Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts*-დან იღებდა ინსპირაციას, რის გამოც მთელი რიგი ნორმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ჯერ კიდევ მაშინ გაჩნდა, როდესაც გერმანიაში ისინი მხოლოდ კანონპროექტის სახეს ატარებდა.⁹ სამწუხაროდ, ქართულ-გერმანული კომისიის სამოქალაქო კოდექსის შექმნის მასალები და დოკუმენტაცია არ დაუტოვებია, რის გამოც რეცეფციის უფრო დეტალური ხაზის გამოკვლევა შეუძლებელია.

ამგვარად, სკ-ის 716-ე მუხლის წაკითხვას სწორედ გერმანული *Geschäftsbesorgung*-ის კონცეპტი უნდა დაედოს საფუძვლად და მას ალტერნატივა ვერ ექნება.

რაც შეეხება, ამ რეგულაციით პირდაპირ მოწესრიგებულ შემთხვევას, როდესაც დავალებულის მიერ დამვალელების ხარჯზე საკუთარი სახელით შეძენილი ან დამვალელების მიერ გადაცემული ქონება კრედიტორებთან ურთიერთობაში დამვალელების ქონებად ითვლება, ეს ეხება კონსტელაციას, როდესაც დავალების მიზანი ამ ქონების რაიმე ფორმით დამვალელების ხელში მოხვედრა იყო და არა იმ კონსტელაციას, როდესაც დამვალელები გარკვეულ სიკეთეებს მოიპოვებს „გზადაგზა“ ამ დავალების შესრულებისას და მათზე რაიმე უფლების მოპოვების მიმართ დამვალელებს არანაირი ინტერესი არ აქვს. მაგალითად, კრედიტორებთან ურთიერთობაში დამვალელების საკუთრებად არ ითვლება მატარებლის ბილეთი, რომელიც დავალებულმა შეიძინა დამვალელების საქმეების გაძლოლის მიზნით რეგიონში გამგზავრებისათვის ან როდესაც პირი ფულს აძლევს ბროკერს იმისათვის, რათა ამ უკანასკნელმა მომგებიანად დააბანდოს აქციებში წლების განმავლობაში – იყიდოს იმ მომენტში მომგებიანი აქციები, შემდეგ გაყიდოს და მოგებულით ახალი აქციები შეიძინოს – და, საბოლოოდ, ისევე გაზრდილი თანხა

⁸ შდრ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი 2020, მე-7 და მომდევნო გვერდები.

⁹ ამის ყველაზე ნათელი დასტურია ვალდებულების დარღვევის სამართალი 1997 წელს ძალაში შესულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელიც, მაგალი-

თად, უკვე შეიცავდა *culpa in contrahendo*-ს ნორმატიულ რეგულაციას (სკ-ის 317-ე მუხლი) და რეგულატორულ კომპლექსის ცენტრში აყენებდა გსკ-ის 280-ე პარაგრაფის შესაბამის ნორმას (სკ-ის 394-ე მუხლი), რაც გერმანიაში მხოლოდ 2002 წელს, ვალდებულებითი სამართლის რეფორმასთან ერთად, აისახა კანონში.

დაუბრუნოს, აქ დამვალელები, რა თქმა უნდა, არ მოიპოვებს შუალედში შექმნილ აქციათა პაკეტზე საკუთრებას.

გარდა ამისა, სკ-ის 716-ე მუხლი, რომელთანაც ყველაზე ახლო მდგომი რეგულაცია უცხოური მართლწესრიგებიდან გერმანიის სავაჭრო კოდექსის 392 II პარაგრაფია¹⁰, არეგულირებს მხოლოდ იმ პირებს შორის ურთიერთობას, რომლებიც იქ არიან ნახსენები (დამვალელები და დავალეზულის კრედიტორები), მხოლოდ ამ ნაწილში აქვს „გასანივთოებული“ ეფექტი¹¹ და არა ზოგადად ყველა სხვა პირს შორის. თავად დამვალელებსა და დავალეზულს შორის ურთიერთობაში ეს ქონება ამ უკანასკნელის საკუთრებად რჩება¹² მათი ცალკე სანივთო აქტით გადაცემამდე (სკ-ის 715 I მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება) და ასევე თავად დამვალელებსა და მის კრედიტორებს შორის ურთიერთობაში ეს ქონება, რა თქმა უნდა, არ ითვლება დამვალელების საკუთრებად.¹³ ამ ქონებიდან გამომდინარე საგადასახადო ვალდებულება არ ეკისრება დამვალელებს და ა. შ.

III. სხვისი საქმეების გაძღოლის წინაპირობები

1. „საქმეების გაძღოლის“ ცნება

გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო საქმეების სასყიდლიან გაძღოლას განმარტავს შემდეგნაირად: „საქმის გამძღოლი“ (დავალეზული) კისრულობს დამვალელების (მეპატრონის) წინაშე, მისი ქონებრივი ინტერესის განსახორციელებლად დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას.¹⁴ ეს ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ ამ სხვისი ინტერესის დამოუკიდებლად განხორციელების

დროს, როდესაც დავალეზული მოქმედებს და იჭრება სხვის ქონებრივ სფეროში, ანუ, აგვარებს იმ საქმეებს, რომლებიც თავდაპირველად თავად დამვალელების მოსაგვარებელი იყო. სწორედ ეს გამოარჩევს „საქმეების გაძღოლის“ ურთიერთობას, ჩვეულებრივი მომსახურებისა თუ ნარდობის კონსტელაციისაგან და ამართლებს მასზე დავალეზის ხელშეკრულების ნორმების გამოყენებას.¹⁵ მაგალითად, შემკვეთის მიერ არქიტექტორთან დადებული ხელშეკრულება შეიძლება მოიცავდა სხვადასხვა ტიპის შესრულებას; სტანდარტული ძირითადი ვალდებულებები, როგორცაა ნახაზების დამზადება, მშენებლების ზედამხედველობა და ა. შ., ატარებენ მომსახურების თუ ნარდობის ხასიათს და ამიტომაც სახეზე არ არის „საქმეების გაძღოლის“ ურთიერთობა და მხოლოდ „ჩვეულებრივი“ ნარდობა/მომსახურებაა სახეზე – არქიტექტორი არ ასრულებს შემკვეთის მაგივრად მის მიერ განსახორციელებელ საქმიანობას, რადგან ნახაზების დახაზვა და მსგავსი ტიპის მომსახურების განევა მხოლოდ არქიტექტორს ხელენიფება.¹⁶ ამის საპირისპიროდ, თუ არქიტექტორს დამატებით ევალება ასევე მესამე პირებთან (ხელოსნებთან) მოლაპარაკებები, ადგილის შერჩევა მშენებლობისათვის და მსგავსი ტიპის საქმიანობა, აქ უკვე სახეზეა დელეგირების მომენტი (ამ ტიპის საქმიანობა, პირველ რიგში, თავად მეპატრონის განსახორციელებელია), რის გამოც გერმანიაში ეს ურთიერთობა კვალიფიცირდება სხვისი საქმეების გაძღოლის ტიპის მომსახურების ხელშეკრულებად, რომელზეც მომსახურების მომწესრიგებელი ნორმების გარდა (გსკ-ის 611-ე და მომდევნო პარაგრაფები), გსკ-ის 675-ე პარაგრაფში დაფიქსირებული მითითების მეშვეობით, ვრცელდება ასევე დავალეზის ხელშე-

¹⁰ გერმანიაში ამ ტიპის დანაწესი არსებობს კომისიონერისათვის, სავაჭრო კოდექსის 392 II პარაგრაფის სახით, ანუ, იმ პირისათვის, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში არიან დაკავებული სხვისი ანგარიშით მისთვის ქონების შექმნილ თუ გაყიდვით, თუმცა ქართული სამართალი ამჟამად საერთოდ არ შეიცავს კომისიონერთან დაკავშირებულ რეგულაციებს და წარსულშიც ეს რეგულაციები (2008 წლამდე რედაქციის მენარმეთა შესახებ კანონის 11.1. III მუხლი, რომელზეც უთითებდა სკ-ის 723-ე მუხლი) მხოლოდ რეალიზატორ-კომისიონერს (Verkaufskommissionär) ეხებოდა.

¹¹ MüKoHGB/Häuser, 5. Aufl. 2021, HGB § 392 Rn. 2.

¹² MüKoHGB/Häuser, 5. Aufl. 2021, HGB § 392 Rn. 2.

¹³ MüKoHGB/Häuser, 5. Aufl. 2021, HGB § 392 Rn. 2.

¹⁴ BGH NJW 1966, 1452; BGH DB 1959, 168; BGH NJW 1989, 1217; BGH NJW-RR 1992, 560; BGH NJW-RR 2004, 989; Staudinger/Martinek/Omlor, 2017, § 675 Rn. A 9; Sprau, in Palandt BGB Kommentar, 81. Aufl., 2021, § 675 Rn. 2; BeckOK BGB/Detlev Fischer, 66. Ed. 1.5.2023, BGB § 675 Rn. 3.

¹⁵ BGH NJW 1966, 1452.

¹⁶ Staudinger/Martinek/Omlor, 2017, § 675 Rn. Rn. B 13 ff.

კრულების მარეგულირებელი ცალკეული ნორმები (გსკ-ის 662-ე და მომდევნო პარაგრაფები).¹⁷ საქართველოშიც ეს უკანასკნელი შემთხვევა წარმოადგენს სხვისი საქმეების გაძღოლის ურთიერთობას სკ-ის 716-ე მუხლის გაგებით, როგორც სასყიდლიანი დავალების სპეციალურ ფორმას.¹⁸

სხვისი საქმეების გაძღოლა უნდა გამოიხატებოდეს აქტიურ მოქმედებაში. მოცულია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი აქტივობა, თუმცა, ჩვეულებრივ, საქმეების გაძღოლა ამ უკანასკნელში მდგომარეობს. საქმის გამძღოლი უნდა მოქმედებდეს დამოუკიდებელად. ეს ნიშანი, პირველ რიგში, ეხება დავალებულსა და მეპატრონეს შორის ურთიერთობას. დავალებულს სწორედ მეპატრონის წინაშე უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ხარისხის დამოუკიდებლობა და პირადი გადანყვეტილების საფუძველზე მოქმედების შესაძლებლობა – დამოუკიდებელი მოქმედების ასპარეზი. იმ ტიპის სამსახურის განევა, რომელიც დავალებულის მხრიდან არ მოითხოვს დამოუკიდებელი ნების ფორმირებას, არ ექცევა საქმეების გაძღოლის ცნების ქვეშ.¹⁹

საქმიანობა უნდა ატარებდეს ეკონომიკურ ხასიათს.²⁰ პირველ რიგში, სხვისი ქონებრივი ინტერესის განხორციელება მოითხოვს „ქონებასთან მიმართებას“. არასაკმარისია, რომ შესრულებას, როგორც ასეთს, ჰქონდეს გარკვეული ეკონომიკური ღირებულება, რადგან ასევე ნებისმიერი მომსახურების თუ ნარდობის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობა, ჩვეულებრივ, მხოლოდ ფულის სანაცვლოდ შეიძლე-

ბა იქნეს ნაყიდი. ამგვარად, მათაც გააჩნიათ გარკვეული ქონებრივი ღირებულება. ამის საპირისპიროდ, „საქმეების გაძღოლის“ ურთიერთობის ფარგლებში განსახორციელებელ ქმედებებს უნდა ჰქონდეს პირდაპირი გავლენა მეპატრონის ქონებრივ სტატუსზე. არასავალდებულოა, რომ საქმე ეხებოდეს მეპატრონის ქონების გაზრდას ან მის მართვას – ქონების მხოლოდ „ჭერაც“, მისი საფრთხისაგან დაცვის მიზნით, ასევე მოცულია „საქმეების გაძღოლის“ ცნებით. „სხვის ინტერესებში/სხვის სასარგებლოდ“ საქმიანობის განხორციელებას არ გამოირიცხავს ის გარემოება, რომ საქმის გამძღოლს აქვს საკუთარი ინტერესი ამ საქმის მიმართ.²¹

2. დამავლების ინტერესი

როგორც ეს გერმანულ დოქტრინაში²² მსგავსი ტიპის სიტუაციებისათვის არის აღნიშნული და განზოგადებაუნარიანია (რაც ნაწილობრივ ზემოთ უკვე აღინიშნა), მეპატრონის ინტერესის განხორციელება არ არის იდენტური ხელშეკრულებით დათქმული კონკრეტული შედეგის გამოწვევისა, რომლის მიღწევაც ევალება საქმის გამძღოლს და რომლის მიუღწევლობაც მას ხელშეკრულების დარღვევად ეთვლება. კონკრეტული შედეგის გამოწვევა წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას უფრო შორს მიმავალი, მეპატრონის მიერ ნასურვები მიზნის მიღწევისა, რომლის გამოწვევის ვალდებულებაც საქმის გამძღოლს არ აქვს. სწორედ ამ საბოლოო მიზნის მისაღწევად მოქმედება გულისხმობს მეპატრონის ინტერესების განხორციელებას. ამ ინტერესის რეალური მატარებელი (მეპატრონე),

¹⁷ BGH NJW 1964, 1469.

¹⁸ ქართულ სამართალში არ არსებობს საჭიროება, გერმანული ორპრიანი კონსტრუქციის გამოყენებისა, როდესაც ურთიერთობა წარმოადგენს მომსახურების/ნარდობის ხელშეკრულებას და მასზე ამავდროულად ვრცელდება „საქმეების გაძღოლის“ ჩარჩოს მეშვეობით გსკ-ის 675-675Z-ე პარაგრაფები და დავალების ხელშეკრულების ცალკეული ნორმები. საქართველოში როგორც უსასყიდლო, ისე სასყიდლიანი დავალება (რომელიც არის გერმანული სამართლის გაგებით მომსახურების ხელშეკრულების ჩამნაცვლებელი), დავალების ხელშეკრულების გამოვლინების ფორმებია და „სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულება“ არის სასყიდლიანი დავალების ნაირსახეობა, რომელსაც სპეციალურად ეხება სკ-ის 716-ე მუხლი. ამიტომაც, მასზე პირდაპირ ვრცელდება სკ-ის 709-ე და მომდევნო მუხლების

რეგულაციები სასყიდლიან დავალებასთან და ხდება მათი მოდიფიცირება სკ-ის 716-ე მუხლის მიხედვით.

¹⁹ BGH DB 1959, 168.

²⁰ Staudinger/Martinek/Omlor, 2017, § 675 Rn. A 16.

²¹ BGH NJW 1956, 586; BGH DB 1959, 168; Staudinger/Martinek/Omlor, 2017, § 675 Rn. A 19; მაგალითად, სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულების ტიპურ კონსტელაციას წარმოადგენს ე. წ. „სანარმოს გაძღოლის ხელშეკრულება“ (Betriebsführungsvertrag, BGH NJW 1982, 1817; Staudinger/Martinek/Omlor, 2017, § 675 Rn. B 142 ff.), როდესაც ერთი საზოგადოება ავალებს მეორეს, გაუძღვეს მის კუთვნილ სანარმოს მისავე ხარჯზე.

²² შდრ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 725 ველი 24; Löhning, Treuhand, Tübingen 2006, 147.

როდესაც ის თავის ინტერესებს თავად უძღვეს, შეიძლება არ იყოს დარწმუნებული, მიაღწევს თუ არა დასახულ მიზანს. სხვა პირის ჩართვით, რომელიც მის მაგივრად ახორციელებს მის ინტერესებს, ის, მართალია, ზრდის მისი მიღწევის შანსებს, იყენებს რა ამ სხვა პირის კომპეტენციას, თუმცა ამ ფორმით მან სრულად არ უნდა გადააკისროს საქმის გამძღოლს იმ რეზულტატის მიღება-არმიღების რისკი, რომლის მიღებაც პირადად მის მიერაც სათუო იყო. სწორედ მოცემული პრინციპია დაფიქსირებული 716-ე მუხლში.

მხარეებს, რა თქმა უნდა, შეუძლიათ შეცვალონ რისკების ეს გადანაწილება და შემოიტანონ ნარდობის ელემენტი ურთიერთობაში, თუმცა ეს არ წარმოადგენს წესს და შეთანხმებისას განსაკუთრებული ხაზგასმა სჭირდება იმ ფაქტს, რომ საქმის გამძღოლმა პასუხი უნდა აგოს საბოლოო მიზნის მიღწევისათვის.²³ თუ საქმის გამძღოლი კისრულობს ვალდებულებას, რომ დროის კონკრეტულ მომენტში გაასხვისებს სახლს მეპატრონისათვის სასურველ ფასად, ეს წარმოადგენს სხვისი საქმეების გაძღოლის ურთიერთობას, რომელიც ფაქტობრივად იმეორებს ნარდობის ვალდებულებათა პროგრამას.

ნარდობის ელემენტის სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულების ვალდებულებათა სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება რისკების გადანაწილების მხრივ, ამ ტიპის ჩვეულებრივი (ნარდობის ელემენტის გარეშე) ურთიერთობისაგან.²⁴ ამ შემთხვევაში საქმის გამძღოლი არ კისრულობს კომპლექსურ და განუსაზღვრელ ვალდებულებას მეპატრონის ინტერესების განხორციელებისა, რომლის კონტურებიც მხოლოდ მართვის პროცესში უნდა გამოიკვეთოს, არამედ ჰპირდება თავიდანვე მყარად განსაზღვრული შედეგის მიღწევას. ეს შედეგის მიღწევის ვალდებულება მისი მიღწევის გზას პრინციპულად უინტერესოდ აქცევს, რადგან ამ შემთხვევაში საქმის გამძღოლის მთელი პასუხისმგებლობა შედეგის გამონვევისაკენ არის მიმართული და არა კომპლექსური და ზოგად მიზანზე ორიენტირებული ვალდებულებათა პროგრამის

შესრულებისაკენ, საქმის გამძღოლის ინტერესების დამოუკიდებლად განხორციელების ფარგლებში. საქმეების გაძღოლის ურთიერთობის ნარდობის ელემენტის საგამონაკლისო შემთხვევები გაცილებით მარტივად შეიძლება გადაწყდეს, რადგან აღარ არის აუცილებელი საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი კონკრეტული ვალდებულებების დადგენა, არამედ ვალდებულების დარღვევა განისაზღვრება პირდაპირ შედეგის მიღწევა-არმიღწევის კონტექსტში.

IV. გამიჯვნა „საქმეების გაძღოლის“ ურთიერთობასა და „მინდობის“ ურთიერთობას შორის

საქართველოში, სკ-ის 724-ე და მომდევნო მუხლებში მოწესრიგებულია საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, რომლის წარმოშობისათვისაც აუცილებელია, რომ მიმნდობი იყოს კონკრეტული ქონებრივი ობიექტის (სანივთოსამართლებრივი გაგებით) მესაკუთრე, სრულად გადასცეს მინდობილ მესაკუთრეს ეს სანივთო, „აბსოლუტური“ ძალმოსილება ამ ქონებაზე, რის შემდეგაც მინდობილ მესაკუთრე გარე ურთიერთობაში შეუზღუდავი მესაკუთრე ხდება და აკისრია მხოლოდ ვალდებულებები მიმნდობის წინაშე შიდა ურთიერთობის ძალით. ძირითადი მიჯნა მოცემულ შემთხვევასა თუ ზოგადად „საქმეების გაძღოლის ურთიერთობასა“ და საკუთრების მინდობის ურთიერთობას შორის გადის საკუთრების გადაცემაზე. თუ დამვალბელი დავალბულს არ გადასცემს (ამ „გადაცემის“ სანივთო სამართლებრივი გაგებით) საკუთრებას მის ნივთსა თუ სხვა ტიპის ქონებაზე, საკუთრების მინდობის ურთიერთობის წარმოშობა გამოირიცხულია. ამგვარად, საკუთრების მინდობის ურთიერთობის კონსტიტუციური მახასიათებელია – თავიდან ქონებაზე საკუთრებას ფლობდეს მიმნდობი, სანივთოსამართლებრივად სრულად გადასცეს ის მინდობილს, თუმცა შიდა ურთიერთობაში ჯერ კიდევ ის იყოს ფარდობითად

²³ „რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 725 ველი 25; Löhning, Treuhand, Tübingen 2006, 147.

²⁴ „რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 725 ველი 26; Löhning, Treuhand, Tübingen 2006, 149.

(მხარეთა შორის) „მესაკუთრე“, მიმდობის მიმართ არსებული ვალდებულებითი მოთხოვნების მეშვეობით. საქართველოში, განსხვავებით გერმანიისაგან, საქმეების გაძღოლა სკ-ის 716-ე მუხლის მიხედვით და საკუთრების მინდობა კონკრეტული ხელშეკრულებებია და არა გარკვეული ჩარჩო-რეგულატორული რეჟიმები, რომლებმაც შეიძლება გადაფაროს ერთმანეთი, მათ შორის ცალსახა მიჯნა უნდა გაივლოს – ერთი ურთიერთობა ვერ იქნება თან „საქმეების გაძღოლა“ და თან „მინდობა“.

1. საკუთრების მინდობის ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

ზოგადად, კიდევ ერთი ასპექტი, სადაც ქართულმა სამართალმა გერმანული მოძღვრება უნდა გაიზიაროს და უფრო ცალსახადაც კი, ვიდრე ეს თავად გერმანიაშია აღიარებული, არის „მინდობის ურთიერთობასა“ (Treuhand) და „სხვისი საქმეების გაძღოლის ურთიერთობას“ შორის მიჯნის დადება. გერმანიაში „მინდობის ურთიერთობა“ საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული არ არის, ამიტომაც ნაწილობრივ საუბრობენ ქონების/ქონებრივი აბსოლუტური უფლების მინდობის გარდა ასევე ე. წ. „ინტერესის მინდობის“ შესაძლებლობაზე (treuhänderische Verwaltung und Wahrung fremder Interessen, როდესაც ერთი პირი მოქმედებს სხვის ინტერესებში) და არაგაბატონებული მოსაზრება მიიჩნევა, რომ საქმეების გაძღოლის ურთიერთობა სწორედ ამ ინტერესის მინდობის ქვესახეობას წარმოადგენს. თუმცა გაბატონებული მოსაზრება ამას უარყოფს – საკუთარი საქმეების სხვაზე დელეგირება ავტომატურად არ გულისხმობს ინტერესის მინდობის ურთიერთობის წარმოშობას.²⁵ უფრო შორს მიდის მესამე მოსაზრება²⁶, რომლის მიხედვითაც, გერმანულ სამართალში საერთოდ არ არსებობს „მინდობის ურთიერთობის“ (როგორც საკუთრების, ისე ინტერესის მინდობის) გარკვეულ ზეპოზიტიურ სამართლად აღიარების აუცილებლობა. ყველა ის

შემთხვევა, რომლებსაც ცალკეული სამეცნიერო მოსაზრება მინდობის ურთიერთობის ქვეშ აქცევს, უკვე ისედაც ამომწურავად არის დარეგულირებული არსებული საკანონმდებლო რეგულაციებით.

ქართულ სამართალში სწორედ ეს უკანასკნელი მოსაზრებაა გასაზიარებელი. უფრო ზუსტად: ქართველმა კანონმდებელმა, გერმანელისაგან განსხვავებით, შეიმუშავა და ჩადო რა კანონში ექსპლიციტური ნორმები მხოლოდ საკუთრების მინდობასთან დაკავშირებით, ამით უკუადაგო, საკუთრების (ქონებრივი უფლების) მინდობის გარდა, რაიმე სხვა ტიპის, მათ შორის, ინტერესის მინდობის ურთიერთობის წარმოშობის შესაძლებლობა, რომელიც დამატებით რეგულატორულ ჩარჩოდ დაედგმებოდა „სხვისი საქმეების გაძღოლის ურთიერთობას“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, მისი ძალაში შესვლის მომენტიდანვე, დაფიქსირებულია საკუთრების მინდობასთან დაკავშირებული სპეციალური რეგულაციები, სკ-ის 724-ე-729-ე მუხლებში. ამით ქართველმა კანონმდებელმა გაიზიარა პოსტსაბჭოთა ქვეყნების კოდიფიკაციების მიერ არჩეული გზა.²⁷ რა თქმა უნდა, ამ რეგულაციების ბირთვი და ამოსავალი ისევ გერმანულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენდა, თუმცა ასევე ახალი კონტინენტურევროპული კოდიფიკაციების გავლენით ანგლოამერიკული trust-ის ადაპტაციის ან/და ალტერნატივის შექმნის მცდელობა. ნები-სმიერ შემთხვევაში, ქართველმა კანონმდებელმა კანონში დააფიქსირა მხოლოდ საკუთრების/აბსოლუტური ქონებრივი უფლების მინდობის ინსტიტუტი. ამით მან სრულებით უკუადაგო ყველა სხვა ტიპის მინდობის შესაძლებლობა და, მათ შორის, მინდობის ურთიერთობის წარმოშობა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ერთმა პირმა სხვას გადააბარა საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა.

²⁵ შდრ. *Löhning, Treuhand, Tübingen 2006*, 168 ff. და იქ მითითებული ლიტერატურა.

²⁶ BGH BB 1969, 1154; NJW 1966, 1116; RGZ 127, 345; Staudinger/Martinek/Omlor, 2017, § 675 Rn. B 214.

²⁷ შდრ. *რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანჭურია (რედ.), <https://gccs.tsu.ge/> (15.10.2022)*, მუხ. 725 28-ე და მომდევნო ველები.

ა) საკუთრების მინდობა სკ-ის 724-729-ე მუხლების მიხედვით – განსხვავება გერმანული სამართლისაგან

განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, სადაც მინდობილი საკუთრების ცნების კანონისმიერი დეფინიცია არ არსებობს,²⁸ ქართველმა კანონმდებელმა ეს ურთიერთობა 724-ე-729-ე მუხლებში მოაწესრიგა. ამ ინსტიტუტს ქართულ სამართალში წინარე ისტორია არ გააჩნია.²⁹ საბჭოთა სამოქალაქო კოდექსი მას ამ ფორმით არ იცნობდა. თავისი აგებულებით ეს ინსტიტუტი გერმანული მინდობილი საკუთრების მოდელს იმეორებს, მაგრამ პრობლემურია ის გარემოება, რომ გერმანიაში მინდობილი საკუთრების ერთიანი და ზოგადი კონცეპტი საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებული არ არის და მის დოგმატურ დასაბუთებასთან დაკავშირებით საკმაოდ ცხარე დისკუსია მიმდინარეობს, რის გამოც გერმანული სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინება მხოლოდ წინასწარი გაცხრილვის შემდეგ არის შესაძლებელი.

საკუთრების მინდობის ურთიერთობას ორი მხარე აქვს, ვალდებულებითი და სანივთო.³⁰ 724-ე-729-ე მუხლებში მხოლოდ ვალდებულებითი მხარეა მოწესრიგებული. სანივთო სამართლებრივად მინდობილი მესაკუთრე მოიპოვებს საკუთრების უფლებას მინდობილ ქონებაზე და აქვს ამგვარად განკარგვის სრული უფლებამოსილება.³¹ ვალდებულებითი შეთანხმების ძალით კი მისთვის ნებადართულია ამ შეუზღუდავი სანივთო სამართლებრივი უფლებამოსილების მხოლოდ შეზღუდულად გამოყენება. ქონება მას მხოლოდ დროებით და დასახული მიზნით

გამოყენებისთვის აქვს მინდობილი.³² საკუთრების მინდობა ხდება სანივთო პოზიციის (ნივთი ან უფლება) გადაცემის აქტით და სახელშეკრულებო დათქმით მინდობილი მესაკუთრის შეზღუდვით, როდესაც მას სანივთო-სამართლებრივად უფრო მეტი შეუძლია, ვიდრე ვალდებულებითი ურთიერთობის ძალით. მინდობილს სანივთო-სამართლებრივად შეუძლია განკარგოს ნივთი თავისუფლად, სახელშეკრულებო შეთანხმების სრული უგულვებლყოფით და ეს განკარგვა ნამდვილია, თუმცა ის ამით თავს გაიხდის ზიანის ანაზღაურების მოვალედ 394 I, 316 II მუხლების მიხედვით.³³ გარდა ამისა, მინდობილმა მესაკუთრემ, მიუხედავად იმისა, რომ მინდობილი ქონება მისი საკუთრებაა, უნდა მოუაროს მას ისე, როგორც ეს შეესაბამება მიმდობის ინტერესებს და დაიცვას ის ზიანისაგან.³⁴

ქართული საკუთრების მინდობის შესატყვისს გერმანულ სამართალში წარმოადგენს „ტროიჰანდი“ („ერთგული ხელი“), თუმცა ეს უფრო ფართო ცნებაა, მოიცავს არა მხოლოდ საკუთრების მინდობას, არამედ სხვისათვის ქონებრივი პოზიციების გადაცემის სხვა შემთხვევებსაც და არა მხოლოდ მესაკუთრის ინტერესებში. ამიტომაც მისი ზუსტი ქართული თარგმანი ან მხოლოდ ზოგადად „მინდობა“ ან „ქონების მინდობა“ უნდა იყოს. გერმანული იურიდიული ლიტერატურა ფართო გაგებით ტროიჰანდის ცნების ქვეშ ნაწილობრივ აერთიანებს არა მხოლოდ სახელშეკრულებო, არამედ ისეთ კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებსაც, როგორებიც არის მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა (მშობლის ზრუნვა) ან იურიდიული პირის

²⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 2; Schubert, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2015, § 164 Rn. 50.

²⁹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 2; ხეცურიანი, ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი პირველი, თბილისი 2001, მუხ. 724, გვ. 416.

³⁰ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 3; Henssler, Treuhandgeschäft - Dogmatik und Wirklichkeit, AcP 196 (196), 47.

³¹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 3; BGH NJW 1968, 1471; BGH NJW 1993, 1851; BGH NJW 1993 2041.

³² რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 3; BGH NJW 32, 70.

³³ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 3; RG 153, 366.

³⁴ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 3; BGHZ 32, 68.

ორგანოს მდგომარეობა,³⁵ ასევე მინდობის ურთიერთობა, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე წარმოიშობა (მეურვეობა, მზრუნველობა, გაკოტრების მმართველის დანიშვნა), ამიტომაც მინდობის ურთიერთობის ზუსტი კატეგორიზაციისათვის აუცილებელია იმის დაკონკრეტება, სახელშეკრულებო, თუ კანონისმიერ ტროიჰანდთან გვაქვს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ტროიჰანდის ცნების ქვეშ, ჩვეულებრივ, ხელშეკრულების საფუძველზე მინდობა იგულისხმება.

„ტროიჰანდი“ საკანონმდებლო დონეზე მონესრიგებული არ არის.³⁶ მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ის ძალზე მრავალფეროვან ვარიაციებში გვხვდება³⁷ და დოგმატური კუთხით ერთ-ერთ ყველაზე საკამათო ინსტიტუტს წარმოადგენს, რადგან ამოსავალი ნორმატიული დასაყრდენის არარსებობის გამო არ არსებობს ერთსულოვნება ცნებების დონეზეც კი.³⁸ თუმცა, მეორე მხრივ, გერმანელები მინდობილი საკუთრების ერთიანი ნორმატიული განსაზღვრების არარსებობას ამართლებენ იმით, რომ ამ ტიპის ურთიერთობის მრავალფეროვანი ხასიათიდან გამომდინარე, მათი გაერთიანება ერთი კონკრეტული ცნების ქვეშ შეუძლებელია, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც კანონისმიერი დეფინიციის არარსებობა მიიჩნევა ამ ცნების გამოკვეთის ხელშემშლელ ფაქტორად.³⁹ ქართველმა კანონმდებელმა განსხვავებული გზა აირჩია, რაც სამართლებრივი სიცხადის კუთხით ცალსახად მომგებიანია.

შინაარსის მიხედვით, გერმანულ სამართალში ერთმანეთისაგან მიჯნავენ „უფლების სრულ

მინდობას“ (*Vollrechtstreuhand*), რომელსაც ასევე „ნამდვილ მინდობას“ უწოდებენ, „განკარგვის უფლებამოსილების მინდობას“ (*Ermächtigungstreuhand*) – „არანამდვილი“ ან სხვაგვარად „არათავისთავადი მინდობა“ და „რწმუნებულებით მინდობას“ (*Vollmachtstreuhand*).⁴⁰ გერმანიაში აღიარებული საკუთრების მინდობის ამ სამი ფორმიდან საქართველოში მხოლოდ ერთი, „უფლების სრული მინდობა“, უნდა ვაღიაროთ. ამასთან, ცალსახად უკუსაგდება რწმუნებულებით მინდობის დაშვება, რადგან რწმუნებული სხვისი სახელით მოქმედებს და ამგვარად ვერ იქნება საკუთარი სახელით მოქმედი მინდობილი (725 I). „უფლების სრული მინდობისას“ მინდობილი იძენს მინდობილ ქონებაზე სრულ უფლებამოსილებას, რომლის გამოყენებაც მას შეზღუდული აქვს შიდა ურთიერთობის ძალით, მინდობთან დადებული შეთანხმების საფუძველზე. გარე ურთიერთობაში მინდობილი მოქმედებს საკუთარი სახელით, როგორც უფლების მფლობელი და განსხვავდება ამით არაპირდაპირი წარმომადგენლისაგან, რომელიც სხვისი სახელის გასხვისებისას, ჩვეულებრივ, მხოლოდ შესაბამისი განკარგვითი უფლებამოსილებით არის აღჭურვილი. უფლების სრული მინდობისას შეზღუდვა შიდა ურთიერთობაში, რომ მინდობილმა არ განკარგოს ეს უფლება ან არ განკარგოს ამ ფორმით, გარე ურთიერთობაში არანაირ შედეგს არ იწვევს, განკარგვა მაინც ნამდვილია (§ 137 გსკ).⁴¹ უფლების სრულად მინდობის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ გერმანულ სამართალში არ არსებობს ამ მიზნის მიღწევის სხვა გზა (განსხვავებით ანგლო-ამე-

³⁵ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 7; *Löhning, Treuhand, Tübingen 2006*, 206, 118, 135 და მომდევნო გვერდი.

³⁶ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 8; მხოლოდ ცალკეულ კანონებშია მონესრიგებული მისი სპეციალური ფორმები, იხ. *Henssler, Treuhandgeschäft - Dogmatik und Wirklichkeit, AcP 196 (1996)*, 39.

³⁷ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 8; *Schubert, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2015, § 164 Rn. 50*.

³⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ.

724 ველი 8; *Gernhuber, Die fiduziarische Treuhand, JuS 1988*, 355.

³⁹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 8; *Henssler, Treuhandgeschäft - Dogmatik und Wirklichkeit, AcP 196 (1996)*, 38; *Primaczenko, Treuhänderische Vermögensverwaltung nach russischem Recht, Tübingen 2010*, 19.

⁴⁰ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 20; *Schubert, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2015, § 164 Rn. 52*.

⁴¹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 18; *Schubert, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2015, § 164 Rn. 52*.

რიკული სამართლისაგან, იხ. ქვემოთ), ერთდროულად ორი პირი ვერ ისარგებლებს მესაკუთრისა და ვერც კვაზი მესაკუთრის უფლებამოსილებით.

ბ) დავალებისა და მინდობის ხელშეკრულების გამიჯვნა საკანონმდებლო დონეზე

როგორც დავალების (709-ე და მომდევნო მუხლები), ისე საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სხვის ინტერესებში საქმიანობა, იქნება ეს მარნმუნებელი, თუ საკუთრების მიმდობი. საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს დავალების ხელშეკრულების ქვეტიპს, რის გამოც მინდობილზე ვრცელდება დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი მთელი რიგი დანაწესები.

თუმცა, ზოგადად, დავალების ხელშეკრულებისაგან და, მათ შორის, „სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულებისაგან“ განსხვავებით, მინდობისას წინა პლანზე დგას არა კონკრეტული დავალების შესრულება, არამედ საკუთრებაში გადაცემული ქონების მართვა.⁴² აქედან გამომდინარე, დავალების ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს რწმუნებულის მიერ განსახორციელებელ ვალდებულებათა უფრო ფართო პროგრამას, ვიდრე მინდობა, თუმცა, მეორე მხრივ, მინდობილი, რომელსაც საკუთრებაში აქვს გადაცემული ქონება, მეტ ძალაუფლებას ფლობს მასზე და განსახორციელებელი აქვს მასთან დაკავშირებული გაცილებით მეტი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი მოქმედება.⁴³

დამავალბლის მიერ დავალების შესასრულებლად გადაცემული ქონება კრედიტორებთან რწმუნებულის ურთიერთობაში მარნმუნებლის ქონებად ითვლება (სკ-ის 716-ე მუხლი), ხოლო მინდობილის შემთხვევაში კი პირიქით, გარე

ურთიერთობაში ის ქონების მესაკუთრეა (სკ-ის 725 II 1 მუხლი).

რაც შეეხება დავალებისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულებების ფარგლებში შესასრულებელ მოქმედებათა ხასიათს, ორივე შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი მოქმედება. ამ გაგებით ვერ ვიტყვით, რომ დავალების ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელ მოქმედებათა სპექტრი უფრო ვიწროა, ვიდრე საკუთრების მინდობისა, თუ ეს თავად ხელშეკრულებით არ არის შემოსაზღვრული.

ქართველმა კანონმდებელმა საკუთრების მინდობის ხელშეკრულებაც (ისევე, როგორც სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულება, იხ. ზემოთ) კონკრეტული ხელშეკრულების ფორმით გაითვალისწინა 724-ე-729-ე მუხლებში. ის წარმოადგენს არა ზოგად ჩარჩოს, არამედ კონკრეტულ ხელშეკრულებას, რომელიც იდება ნერილობითი ფორმით და შეიძლება იყოს მხოლოდ ალტერნატივა და არა მისი მფარავი ზოგადი ფორმა. მინდობა წარმოადგენს ვალდებულებით გარიგებას, რომლის ფარგლებშიც ნაკისრი ვალდებულებათა პროგრამა სრულად არის განწერილი კანონმდებლის მიერ და რომელიც მის გვერდით სხვა ვალდებულებით გარიგებას არ საჭიროებს. გამომდინარე აქედან, კამათი,⁴⁴ უნდა იყოს თუ არა მინდობის ურთიერთობა ყოველთვის სხვა გარიგებასთან კომბინირებული, მაგალითად, ისევედასევე, „სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულებასთან“ (§ 675 გსკ), ქართულ სამართალში საგანს მოკლებულია⁴⁵. იმგვარი გაგება საკუთრების მინდობის ხელშეკრულებისა, როდესაც ის აღიქმება გარკვეული ტიპის გადამფარავ, ჩარჩო-ურთიერთობად, რომე-

⁴² რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 45; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 13 დეკემბრის № ას-398-377-2012 გადაწყვეტილება.

⁴³ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 45; შდრ. დავალებისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულების გამიჯვნისათვის საქართველოს

უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 4 დეკემბრის № 3კ/1205-02 განჩინება.

⁴⁴ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 38; იხ. მაგალითისათვის *Löhning, Treuhand, Tübingen* 2006, 168.

⁴⁵ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 8.

ლიც საკომისიო მომსახურებასაც მოიცავს, როგორც ეს გერმანიაში არის შესაძლებელი⁴⁶, ქართულ სამართალში არასწორია, რადგან ის კონკრეტულ ხელშეკრულებას წარმოადგენს და ამ გაგებით დავალებისა და საკომისიო მომსახურების ალტერნატივას, მაგრამ არა მათ საკუთარ თავში მომცველ ჩარჩო-ურთიერთობას.

2. საკუთრების გადაცემა – საკუთრების მინდობის კონსტიტუციური ნიშანი

ხელშეკრულების მხარეების მსგავსად 724-ე მუხლი არ აკონკრეტებს მის საგანსაც: მინდობის ხელშეკრულების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი გადაცემადი ქონებრივი სიკეთე (147), მოძრავი თუ უძრავი ქონება, წილი სამენარმეო საზოგადოებაში, მოთხოვნის უფლებები და ა. შ. მინდობილისათვის გადაცემული ქონება გამიჯვნადი უნდა იყოს როგორც მინდობის, ისე მინდობილის დანარჩენი ქონებისაგან. მართალია, ქართულ სამართალში, რუსულისაგან განსხვავებით⁴⁷ ეს პირდაპირ არ გამოდინარეობს კანონის შესაბამისი დანაწესიდან, თუმცა სრულებით გამართლებულია ამ ხელშეკრულების მიზნის გათვალისწინებით.⁴⁸ მინდობილის ქონების სახით შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული (კონკრეტიზირებული) ნივთის მინდობა და გადაცემადი ნივთების წრიდან უნდა გამოირიცხოს გვაროვნული ნივთები,⁴⁹ მაგალითად, ფული. „უფლების სრული მინდობისას“ მინდობილი ხდება მესაკუთრე საკუთრების გადაცემის წესების შესაბამისად (183, 186, 198). საკუთრების მინდობის ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია, რომ მიმდობი მისი დადების მომენტისათვის იყოს შესაბამისი ქონებრივი სიკე-

თის მესაკუთრე.⁵⁰ ეს გამომდინარეობს საკუთრების მინდობის, როგორც რეალური გარიგების ბუნებიდან, რომელიც ვერ დაიდება, სანამ მიმდობი არ გადასცემს მინდობილს ნივთზე საკუთრებას.

შესაბამისად, როგორ ზემოთ უკვე აღინიშნა, თუ სახეზე არ არის საკუთრების მინდობის ეს კონსტიტუციური ნიშანი – თავდაპირველად მიმდობის საკუთრებაში არსებული ნივთის („გარე ურთიერთობაში“) მინდობილის საკუთრებაში გადაცემა, აპრიორი გამოირიცხება სკ-ის 724-ე და მომდევნო მუხლების გამოყენება და მხოლოდ „საქმეების გაძღოლის“ ურთიერთობა შეიძლება გვექონდეს სახეზე. სამენარმეო ურთიერთობებში ერთ-ერთ გავრცელებულ კონსტელაციას წარმოადგენს საწარმოს შექმნისა და მართვის დავალება. აქ დავალებული დამვალელების ინტერესებში და მისი მითითებით, საკუთარი სახელით, იძენს რაიმე საწარმოს, რათა, მისი მართვიდან გამომდინარე, მიანიჭოს მას (დამვალელებს) გარკვეული სარგებელი (შემოსავალი, ექსკლუზიური მომსახურება და ა. შ.). საწარმოსთან დაკავშირებული უფლებების უშუალოდ არმოპოვების სურვილი, ჩვეულებრივ, განპირობებულია იმით, რომ საწარმოს მართვა არ წარმოადგენს დამვალელების პროფილურ საქმიანობას და მას არ უნდა საკუთარი ქმედებების რისკის აღება – მას ურჩევნია იმ პირის ქმედებებიდან გამომდინარე რისკი ატაროს, რომელიც შესაბამის პროფესიულ ცოდნას ფლობს. ეს წარმოადგენს ტიპურ კონსტელაციას „სხვისი საქმეების გაძღოლის“ ურთიერთობაში, ხოლო იმ გარემოების გამო, რომ დამვალელები დროის არც ერთ მომენტში არ მოიპოვებს არც საკუთრებას და არც რაიმე სხვა უფლებებს იმ სამართლებრივ სიკეთეებზე, რაც ქმნის საწარმოს, აქ საერ-

⁴⁶ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 38;

⁴⁷ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 63; შდრ. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 1018-ე მუხლი.

⁴⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 63; Steinhauff, Die Treuhand im Ertragsteuerrecht, SteuK 2010, 251.

⁴⁹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 63; Primaczenko, Treuhänderische Vermögensverwaltung nach russischem Recht, Tübingen 2010, 150.

⁵⁰ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 62; შდრ. Primaczenko, Treuhänderische Vermögensverwaltung nach russischem Recht, Tübingen 2010, 149.

თოდ ვერ გვექნება სახეზე საკუთრების მინდობა და მხოლოდ „საქმეების გაძღოლის“ სამართლებრივი კვალიფიკაციაა გამოსადეგი.

3. „საქმეების გაძღოლისა“ და საკუთრების მინდობის გამიჯვნის დამატებითი კრიტერიუმები

ა) საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ფორმასავალდებულოობა

727-ე მუხლი მოითხოვს საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ნერილობითი ფორმით დადებას, რაც წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ სავალდებულო ფორმას (სკ-ის 69 II მუხლის 1-ელი ვარიანტი) ამ ტიპის გარიგებისათვის. ამის საპირისპიროდ, დავალების ხელშეკრულება და, მათ შორის, მისი ქვესახეობა, „სხვისი საქმეების გაძღოლის ხელშეკრულება“, არაფორმასავალდებულოა.

მაშინაც კი, თუ საქმეების გაძღოლის ფარგლებში დავალება გულისხმობს საქმის გამძღოლის მიერ უძრავი ნივთის შექცენას, მართვას და მეპატრონისათვის ამ მართვიდან მიღებული სარგებლის მინიჭებას (მაგრამ არა – დამვალბლისათვის საკუთრების გადაცემას), ეს მას ფორმასავალდებულოდ არ აქცევს: სკ-ის 323-ე მუხლის მიხედვით, ფორმასავალდებულოა გარიგება, რომლის ძალითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, გასცეს ან შეიძინოს უძრავ ქონებაზე საკუთრება. ანუ, ფორმა ვრცელდება უძრავი ქონების ბრუნვის შეთანხმებაზე – იმ მხარეებს შორის მიღწეულ რეგულაციაზე, რომელთა შორისაც ხდება ეს ბრუნვა.⁵¹ სკ-ის 327 III მუხლს ეს ფორმასავალდებულოობა გადმოაქვს წინარე ხელშეკრულების ეტაპზე. ამით ამოიწურება უძრავი ქონებიდან გამომდინარე ფორმასავალდებულოობა. ამ დანაწესების ანალოგიით გამოყენება მხოლოდ იმის გამო, რომ გარიგების ერთი ან მეორე მხარე უძრავი ნივთის შემძენ-გამსხვისებლის დარად არის დასაცავი, დაუშვებელია.⁵² ფორმის დაცვა სჭირდება

მხოლოდ იმ გარიგებებს, რომელთა ძალითაც ერთი მხარე კისრულობს უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემას და მეორე კისრულობს მის შექცენას – ბოჭვა უძრავ ქონებაზე დადებული გარიგების ფარგლებში –, როდესაც ერთ მხარეს ემუქრება უძრავი ქონების დაკარგვის საფრთხე, ხოლო მეორეს მისი „მოპოვების საფრთხე“. კანონმდებელი ამ მომეტებული მნიშვნელობის სიკეთის მიმოქცევისას საჭიროდ მიიჩნევს მხარეთა დასაცავად ფორმასავალდებულოობის ფუნქციების გააქტიურებას (გაფრთხილება, მტკიცება).

თუ საქმის გამძღოლი არ კისრულობს მეპატრონისათვის უძრავ ქონებაზე საკუთრების გადაცემას, ის რისკები, რომელთა პრევენციასაც ცდილობს ფორმასავალდებულოობის დანაწესი, აქ არ აქტუალიზდება და მხოლოდ ის ფაქტი, რომ საქმის გამძღოლმა „რთული“ დავალება მიიღო, არ ხდის ამ დავალების ხელშეკრულებას ფორმასავალდებულოდ, რადგან არსებობს სხვა არანაკლებ „რთული“ და სარისკო ხელშეკრულებები, რომლებიც არ არის ფორმასავალდებულო, რადგან უშუალოდ არ უკავშირდება ამ მხარეებს შორის უძრავის ქონების ბრუნვას.

ბ) მეპატრონის მითითებების განსხვავებული ფარგლები

საკუთრების მიმდობი ვალდებულია მითითებების მიცემის გზით დააკონკრეტოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ჩარჩო-ვალდებულებები. მითითების გაცემის უფლება წარმოადგენს საკუთრების მინდობის, როგორც ე. წ. სუბსტიტუციური⁵³ ურთიერთობის, თავისთავად მახასიათებელს.⁵⁴ თუ მიმდობს უნდა ჰქონდეს საშუალება დროის ნებისმიერ მომენტში საკუთარ ხელში აიღოს მინდობილი ქონების მართვის სადავეები, მისთვის მითითების უფლების მინიჭება გარდაუვალია. მინდობილის კონკრეტული ვალდებულებები შეიძლება წარმოიშვას მიმდობის კონკრეტული მითითებებიდან, რომელმაც შეიძლება ნულამდე დაიყვანოს მისი

⁵¹ MüKoBGB/Ruhwinkel, 9. Aufl. 2022, BGB § 311b Rn. 54.

⁵² BGH NJW 1994, 3346.

⁵³ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 724 ველი 11.

⁵⁴ ისევე როგორც, მაგალითად, საკომისიო მომსახურებისათვის, რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 729 ველი 6; შდრ. BGHZ 1, 79.

მოქმედების თავისუფლება,⁵⁵ რადგან ისინი, ჩვეულებრივ, სავალდებულო შესასრულებელია. მითითებების გაცემის უფლება წარმოადგენს მინდობის ხელშეკრულების, როგორც ჩარჩოს, შინაარსით შემავსებელ ე. წ. „გარდაქმნით უფლებას“ (*Gestaltungsrecht*).⁵⁶ მიმნდობი შეზღუდული არ არის ხელშეკრულებით დასახული კონკრეტული მიზნებით, შეუძლია თავდაპირველად გათვალისწინებული სამსართულიანი სასტუმროს მაგივრად ორსართულიანის აშენება მოითხოვოს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ხდება მითითების სავალდებულოობის ფარგლების დავინროება მინდობილისაგან მოსათხოვ შესრულებამდე, ანუ იმ ზღვრამდე, რის იქითაც ამ უკანასკნელს მისი გათვალისწინება აღარ შეიძლება მოეთხოვოს.⁵⁷ საპირისპირო მითითების გაცემით მიმნდობს, ჩვეულებრივ, ნებისმიერ მომენტში შეუძლია გამოიხმოს თავისი წინარე მითითება. მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ყველა ტიპის მინდობის ურთიერთობაში ერთი წესი მოქმედებს: მიმნდობი რჩება მინდობილისათვის გადანდობილი საქმის ბატონ-პატრონად, რაც ნიშნავს იმას, რომ მინდობილმა მაშინაც კი უნდა შეასრულოს, როდესაც თვლის, რომ „მან უკეთ იცის“ ან დაასრულოს მინდობის ურთიერთობა. მიმნდობს შეუძლია საკუთარი ინტერესების განხორციელებისას ნებისმიერ რისკზე წავიდეს, რომლის შედეგებსაც ამ შემთხვევაში მხოლოდ ის იმკის.⁵⁸

მართალია, სკ-ის 712 I მუხლის მიხედვით, ასევე „საქმეების გაძლოლის“ ურთიერთობის ფარგლებში მეპატრონეს აქვს საქმის გამძლოლისათვის მითითებების მიცემის უფლება, თუმცა ეს მითითებები პრინციპულად განსხვავებული ხასიათისაა, ვიდრე მითითებები, რომლებსაც გასცემს მიმნდობი. კერძოდ, მიმნდობის მითითებები, მისი ეს კომპეტენცია შიდა ურთიერთობაში, მისი „მესაკუთრეობის“ გამომხატვე-

ლია. გამომხატველია იმისა, რომ შიდა ურთიერთობაში ქონებაზე ის ბატონობს და ზოგადად, მისი ეს უფლებამოსილება მხოლოდ მინდობის მიზნით და კონკრეტული სიტუაციური აუცილებლობით შეიძლება იყოს ზღვარდადებული.⁵⁹ ამის საპირისპიროდ, „საქმეების გაძლოლის“ დროს მეპატრონის მითითებების ფარგლები არის პრინციპულად უფრო ვიწრო, უფრო ზუსტად კი, არ არის ორიენტირებული ნივთზე ბატონობაზე. პირველ რიგში, „საქმეების გაძლოლის“ შინაარსს, ჩვეულებრივ, არ უკავშირდება ნივთზე საკუთრების გადაცემა და შემდეგ მისი მართვა, არამედ წინა პლანზე დგას დელეგირებული საქმიანობის განხორციელება. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ამ საქმიანობის განხორციელებისათვის რაიმე ნივთის გადაცემა ხდება, საქმის გამძლოლი ხდება ამ ნივთის სრულუფლებიანი და არა მხოლოდ მინდობილი მესაკუთრე. ნებისმიერ შემთხვევაში იმ კონსტელაციაში, როდესაც საქმის გამძლოლმა თავად უნდა მოიპოვოს ნივთზე საკუთრება, დამოუკიდებლად მართოს და საბოლოოდ გაასხვისოს ეს ნივთი და მხოლოდ აქედან მიღებული მოგების გადაცემა შეპირებული მეპატრონისათვის, აქ ამ მეპატრონეს ნივთზე ბატონობის არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი ბატონობის კომპეტენციები (მითითებების მეშვეობით) არ გააჩნია.

გ) ზიანის ანაზღაურება სკ-ის 718-ე მუხლის მიხედვით

საკუთრების მინდობის ურთიერთობის ფარგლებში, თუ მინდობილს მიმნდობის ინტერესის განხორციელებასთან დაკავშირებით ზიანი ადგება, მაშინ მას შეუძლია მიმნდობისაგან მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება, თუ ის მეორე მხარის მიერ ვალდებულების ბრალეული დარღვევით არის განპირობებული (სკ-ის 394 I მუხ-

⁵⁵ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 729 ველი 6; BGH WM 1976, 630.

⁵⁶ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 729 ველი 6; *Löhning, Treuhand*, Tübingen 2006, 206, პირველწყაროზე მითითებით.

⁵⁷ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ.

729 ველი 8; *Armbrüster*, in *Münchener Kommentar zum BGB*, 6. Aufl. 2012, § 665 Rn. 12.

⁵⁸ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 729 ველი 14; BGHZ 117, 285.

⁵⁹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gcc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 729 ველი 14.

ლი). მაგალითად, ზიანი მიმდობის მიერ დამცავი ან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.⁶⁰ გარდა ამისა, სკ-ის 729, 718 I მუხლების მიხედვით ანაზღაურებადია ასევე შემთხვევითი (ანუ ბრალისაგან დამოუკიდებელი) ზიანი, რომელიც წარმოეშვა რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესრულებისას, თუ ის დავალებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად მარწმუნებლის მითითების გამო დადგა. ამგვარ ზიანს წარმოადგენს, მაგალითად, მინდობილ ქონებასთან დაკავშირებით კრედიტორების მიერ პირადად მინდობილისათვის წაყენებული მოთხოვნები.⁶¹

მართალია, სკ-ის 718-ე მუხლი ვრცელდება ასევე „საქმეების გაძღოლის“ ურთიერთობაზეც, თუმცა აქ მეპატრონის პასუხისმგებლობის მასშტაბი არის განსხვავებული. უხეში და ზოგადი აღწერით: მიმდობი პასუხისმგებელია ქონებაზე, ხოლო „საქმეების გაძღოლის“ ფარგლებში პასუხისმგებელია და ატარებს დავალებული საქმიანობიდან გამომდინარე რისკებს, ამასთან, ეს პასუხისმგებლობა მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო ზოგადია ეს დავალება.

მაგალითად, ერთია, როდესაც მიმდობმა მინდობილს გადასცა საკუთრება ქარხანაზე, რომელიც მის საკუთრებაში იყო და მეორე, როდესაც დამვალებელმა მხოლოდ დაავალა დავალებულს ამ ქარხნის დამოუკიდებლად შესყიდვა, მისი ასევე დამოუკიდებლად მართვა და შემდეგ გაყიდვა. პირველ შემთხვევაში მართებულია, რომ მიმდობმა მინდობილის წინაშე სკ-ის 718-ე მუხლის მიხედვით პასუხი აგოს იმ თითოეული აგურისათვის, რომელიც ამ უკანასკნელს ამ ქარხანაში თავზე დაეცემა, რადგან ეს მისი სფეროდან მომავალი რისკია (ის ფლობდა მანამდე ამ ქარხანას და ა. შ.) და სრულად არის მოცული ამ დანაწესში დაფიქსირებული რისკების გადანაწილების პრინციპთან. აქ ეს ქონება ხელშეკრულების დადებამდე იყო მიმდობის საკუთრე

ბაში და შემდგომშიც შიდა ურთიერთობაში მის „საკუთრებად“ რჩება, ამიტომაც მთელი წინარე პერიოდიდან მომდინარე რისკებზე ის არის პასუხისმგებელი და ასევე შიდა ურთიერთობაში მას, არის რა ნივთის „პატრონი“, ხელწიფება სიტუაციის სრული მართვა, იქნება ეს მითითებისა და თუ პირდაპირი ჩარევის გზით (მაგ., ნივთის მართვის ფორმის დაკონკრეტება, მისი შეწყვეტა და ა. შ.). განსხვავებულადაა საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც დამვალებელმა დავალებულს მხოლოდ აბსტრაქტული მონახაზის სახით მისცა დავალება, რომლის განხორციელების კონკრეტულ გზასაც ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად შეიმუშავებს და მასთან დაკავშირებული ყველა რისკი უკვე მისი სატარებელია, გამომდინარე იქიდან, რომ დამვალებელი არ დავერ ერევა მის საქმიანობაში.

დ) საგადასახადო ვალდებულებები

რაც შეეხება, „საქმეების გაძღოლის ხელშეკრულების“ ფარგლებში საგადასახადო ვალდებულებების განაწილებას, გამომდინარე იქიდან, რომ მეპატრონე არც სანივთოსამართლებრივად და არც მხოლოდ ეკონომიკურად (განსხვავებით საკუთრების მიმდობისაგან) არ არის იმ საგნის მესაკუთრე, რომელსაც ყიდულობს, მართავს ან ყიდის დავალებული მისთვის დელეგირებული საქმეების ფარგლებში, მას საკუთრებიდან გამომდინარე საგადასახადო ვალდებულებები ვერ დაეკისრება. „საქმეების გაძღოლის ურთიერთობის“ ფარგლებში მეპატრონე სარგებელს იღებს არა ნივთიდან, არამედ საქმიანობიდან, არ აქვს ნივთთან პირდაპირი კავშირი არც სანივთოსამართლებრივად და არც ეკონომიკურად და ამიტომაც მისი საგადასახადო ვალდებულება უნდა განისაზღვროს ამ (სხვის მიერ მის ინტერესებში განხორციელებული) საქმიანობით მიღებული მოგების მიხედვით.

⁶⁰ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 729 ველი 39; Löhning, Treuhand, Tübingen 2006, 283.

⁶¹ რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ჭანტურია (რედ.), <https://gccc.tsu.ge/> (15.10.2022), მუხ. 729 ველი 39; Löhning, Treuhand, Tübingen 2006, 285.

კრიტიკული ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის სუბიექტებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები

დოქ. ოთარ ჩახუნაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, თსუ-ის მონვეული ლექტორი

1. შესავალი

თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ეტაპობრივად იზრდება ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მონაცემების სათანადოდ დაცვის მნიშვნელობა. არსებული გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები და რეფორმები განხორციელდა. მათ შორის გამორჩეულია 2012 წელს ამოქმედებული ორი კანონი - „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, რომელმაც დაარეგულირა ინფორმაციული უსაფრთხოების ორგანიზებისა და კიბერუსაფრთხოების ორგანიზების საბაზისო საკითხები და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, როგორებიცაა მონაცემთა დამუშავების პრინციპები და სამართლებრივი საფუძვლები, შემუშავდა მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის წესები. მითითებული კანონების დაცვის მნიშვნელობას ასევე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მათი დარღვევისთვის დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და განისაზღვრა შესაბამისი ადმინისტრაციულ სახდელეები.

ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობის ნაწილში აღსანიშნავია ბოლო

წლებში განხორციელებული ცვლილებები და გატარებული რეფორმები, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრენ კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტები, რომლებიც ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აღიჭურვენ მთელი რიგი ვალდებულებებით და მათი შესრულების მიზნით შეიქმნა შესაბამისი საზედამხედველო მექანიზმები. შესასრულებლად სავალდებულო მოქმედებების რაოდენობისა და მოცულობის გათვალისწინებით, მათი პრაქტიკაში სათანადოდ დანერგვის მიზნით კი კანონმდებლობით განისაზღვრა შესაბამისი ვადები და ეტაპები.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ რეგულაციებთან ერთად კვლევის ფარგლებში განხილული და აღწერილია დასახელებულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების მართვაში ჩართული უწყებების კომპეტენციები, კრიტიკული ინფორმაციული სუბიექტები, მათთვის დანესებული ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები, აგრეთვე, რისკების მართვასთან, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვასთან და საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემონახვასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა საკანონმდებლო რეგულაციები.

2. კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტები

საქართველოს კანონმდებლობაში ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში ბოლო პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებსა და არსებულ სიახლეებს შორის გამოსაყოფია 2021 წლის ბოლოს მიღებული მთავრობის დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხა. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონი, მათ შორის, გავრცელდა ისეთ კომპანიებზე, რომელთა ინფორმაციული სისტემის უწყვეტი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვის, ეკონომიკური უსაფრთხოების, ხელისუფლების ან საზოგადოებრივი ცხოვრების შენარჩუნებისათვის.

საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების თანახმად, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტები დაიყო 3 (სამ) კატეგორიად:

- **I კატეგორია** - სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები და სახელმწიფო საწარმოები;
- **II კატეგორია** - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიები;
- **III კატეგორია** - საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული კერძო კომპანიები.

აქვე აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ იურიდიულ პირს ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, რომელიც არ არის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი, უფლება აქვს, ნებაყოფლობით აიღოს ამ კანონიდან გამომდინარე ვალდებულებები.

3. კრიტიკული ინფორმაციული სისტემების მართვაში ჩართული უწყებები

ინფორმაციული სისტემების მართვაში ჩარ-

თულია არაერთი უწყება, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ქვეყანაში ინფორმაციული უსაფრთხოების სათანადო გარემოს შექმნას, მათ შორის, ხსენებული უწყებების საზედამხედველო სფეროს დაქვემდებარებული საჯარო თუ კერძო ორგანიზაციებისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი მითითებების დადგენის გზით.

3.1. ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო

სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო (შემდგომში – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო) არის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებების განხორციელებას და სახელმწიფო უწყებებისა და დანესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას.¹

ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს წამყვანი როლი აკისრია ქვეყანაში ინფორმაციული უსაფრთხოების ორგანიზებასა და უზრუნველყოფაში. აღნიშნულს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნები პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის განისაზღვრება ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის ბრძანებით. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში მთელი რიგი საკითხები დარეგულირებულია ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით, რომლებიც აღწერილია მოცემული კვლევის ფარგლებში.

3.2. ციფრული მმართველობის სააგენტო

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის

¹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს დებულების პირველი მუხლი,

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3625121?publication=1>> [05/12/2022].

სფეროში შემავალი სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო (შემდგომში - ციფრული მმართველობის სააგენტო), ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს შემდეგ წარმოადგენს იმ ძირითად უწყებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ინფორმაციული უსაფრთხოების სათანადო გარანტიების არსებობას, მათ შორის მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის შესახებ რეკომენდაციების მომზადების გზით. აღნიშნული გამოიხატება იმაშიც, რომ მინიმალური უსაფრთხოების მოთხოვნები მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტისთვის განისაზღვრება ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით.

3.3. თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო

კიბერუსაფრთხოების ბიურო არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ძირითადი მიზანია თავდაცვის სამინისტროს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში შექმნა და სტაბილური, ეფექტიანი და უსაფრთხო ინფორმაციული და საკომუნიკაციო სისტემების განვითარება.

ბიურო ახორციელებს ინფორმაციული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების, კიბერშეტევებისა და კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტების პრევენციულ და რეაქციულ მართვას.

კიბერუსაფრთხოების ბიურო განსაზღვრავს და შეიმუშავებს თავდაცვის სფეროში ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას და ადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს.²

3.4. კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფები

საქართველოს კიბერსივრცეში ინფორმაციული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული

ინციდენტების მართვას, აგრეთვე ინფორმაციული უსაფრთხოების კოორდინაციისკენ მიმართულ, მასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას, რომელიც კიბერუსაფრთხოების პრიორიტეტული საფრთხეების აღმოფხვრას ემსახურება, ახორციელებენ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფი (cert.ota.gov.ge), ციფრული მმართველობის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფი (cert.dea.gov.ge) და კიბერუსაფრთხოების ბიუროს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფი.³

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, კიბერუსაფრთხოების პრიორიტეტულ საფრთხეებს მიეკუთვნება:

- კიბერშეტევა, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფო ინტერესებს ან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას;
- კიბერშეტევა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული სისტემების წინააღმდეგ;
- კიბერშეტევა, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს, ორგანიზაციის ან კერძო პირის ფინანსურ რესურსებს ან/და საკუთრების უფლებას;
- სხვა ნებისმიერი ქმედება, რომელიც, მისი ხასიათიდან, მიზნიდან, წყაროდან, მოცულობიდან ან რაოდენობიდან ან მისი აღკვეთისათვის საჭირო რესურსების ოდენობიდან გამომდინარე, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საკმარისი საფრთხის შემცველია.

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს, ციფრული მმართველობის სააგენტოსა და კიბერუსაფრთხოების ბიუროს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფების ძირითადი მოვალეობებია: კომპიუტერული ინციდენტების დროული გამოვლენა და მათზე რეაგირება, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის შესახებ რეკომენდაციების გაცემა ან/და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სახელმძღვანელო

² <<https://mod.gov.ge/ge/page/59/cyber-security-bureau>> [05/12/2022].

³ ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

ლო მითითებების გაცემა, კომპიუტერული ინციდენტების ანალიზი და მათი შედეგების გამოსწორებისა და ზიანის მინიმუმამდე შემცირების პროცესში დახმარება და ის სხვა ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნებთან.

დახმარების ჯგუფების მეშვეობით ზემოაღნიშნულ უწყებებს შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ კომპიუტერული ინციდენტები და განახორციელონ რეაგირება. შესწავლის შედეგად დახმარების ჯგუფი სუბიექტს წარუდგენს შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს, რომელიც არ შეიძლება ითვალისწინებდეს მეორე ან მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ქსელურ სენსორზე, ან მეორე ან მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციულ აქტივზე, ინფორმაციულ სისტემაზე ან/და ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში შემავალ საგანზე წვდომის ვალდებულებას. კომპიუტერული ინციდენტების იდენტიფიცირების ან/და მათზე რეაგირების მიზნით ციფრული მმართველობის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფი უფლებამოსილია ჰქონდეს წვდომა მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ქსელურ სენსორებზე და ინფორმაციულ აქტივზე, ინფორმაციულ სისტემაზე ან/და ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში შემავალ საგანზე შესაბამისი სუბიექტის თანხმობით.

3.5. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველო, რომლის მთავარი ამოცანაა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი პრევენ-

ცია, გამოვლენა და აღკვეთა. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXV თავი ითვალისწინებს მთელრიგ კიბერდანაშაულებს (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა⁴, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება⁵ და ა.შ.) რომლის ჩადენის შემთხვევაშიც დადგენილია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობები, ხოლო აღნიშნული დანაშაულების გამოძიება სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენს.

3.6. საქართველოს ეროვნული ბანკი

კიბერუსაფრთხოების მიმართულებით კომერციული ბანკების დარგობრივ მარეგულირებელს საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს. „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომერციული ბანკი, რომელიც არ არის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი, ხელმძღვანელობს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებითა და მოთხოვნებით.

საგულისხმოა, რომ კომერციული ბანკების მიმართ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკისა და ინფორმაციული უსაფრთხოების შინაგანმსახურებრივი გამოყენების წესების დამატებით სტანდარტებსა და მოთხოვნებს ადგენს ეროვნული ბანკი⁶, რომელიც ასევე უფლებამოსილია მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტ კომერციულ ბანკებს მოსთხოვოს ინფორმაციული უსაფრთხოების შინაგანმსახურებრივი გამოყენების წესების განსახილველად წარდგენა და განახორციელოს კანონის შესაბამისად დადგენილი დამატებითი სტანდარტებისა და მოთხოვნების მიმართ შესასრულებლად სავალდებულო მითითებების ან/და რეკომენდაციების გაცემა.⁷

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლი.

⁵ ამავე კოდექსის 285-ე მუხლი.

⁶ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი

⁷ ამავე მუხლის მე-5 პუნქტი.

ამასთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულია კიბერუსაფრთხოების ჩარჩო⁸, რომლის შესაბამისად, ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებს უნევს ზედამხედველობას, რათა დააკმაყოფილონ ინფორმაციული უსაფრთხოების მათთვის განსაზღვრული მინიმალური სტანდარტი.

3.7. ეროვნული უსაფრთხოების საბჭო

ეროვნული უსაფრთხოების საბჭო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე უმაღლესი დონის გადაწყვეტილებების მისაღებად შექმნილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სათათბირო ორგანოა. საბჭო ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის სფეროში მთავარ მაკოორდინირებელ ერთეულს წარმოადგენს. მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს.⁹

ეროვნული უსაფრთხოების საბჭო 2019 წელს შეიქმნა. მისი ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“. აღნიშნული კანონის შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ საკითხებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინფორმირებისა და მის მიერ მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადების, სტრატეგიულ დონეზე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიზნით იქმნება ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.¹⁰

ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ინფორმაციული უსაფრთხოება წარმოადგენს ეროვნული

უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. შესაბამისად, საბჭოს ფუნქციებში შედის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის იმპლემენტაციის კოორდინაციაც.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების საკითხთა დეპარტამენტი¹¹, რომლის ფუნქციას ინფორმაციული უსაფრთხოების/კიბერუსაფრთხოების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის და კოორდინაციის განხორციელება და ამავე კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაციის მონიტორინგი და შესრულების კოორდინაციის უზრუნველყოფა წარმოადგენს. აგრეთვე, დეპარტამენტი, შესაბამის სექტორულ უწყებასთან შეთანხმებით, შესაძლოა ჩაერთოს კონკრეტული კომპიუტერული ინციდენტის მართვის პროცესში იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მოცემული მოვლენის მავნე შედეგების სამომავლო ესკალაცია.

4. თავდაცვის სფეროში არსებული პოლიტიკის დოკუმენტები

4.1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია¹² თავდაცვის სფეროში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესად კიბერუსაფრთხოებას განამტკიცებს. კონცეფციის მიხედვით, „საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ინფორმაციული სივრცის უსაფრთხოება და ელექტრონული ინფორმაციის დაცულობა. ინფორ-

⁸ „კომერციული ბანკების კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 22 მარტის №56/04 ბრძანება. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4515476?publication=1>> [05/12/2022].

⁹ <<https://nsc.gov.ge/ka/საბჭო/საბჭოს-შესახებ>> [05/12/2022].

¹⁰ „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“. საქართველოს კანონის მე-19¹ მუხლი.

¹¹ <<https://nsc.gov.ge/ka/საბჭოს-აპარატი/დეპარტამენტები>> [05/12/2022].

¹² <<https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NSC-GEO.pdf>> [05/12/2022].

მაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდება მათზე სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დამოკიდებულება. ამის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კიბერდანაშაულთან ბრძოლას და კიბერსივრცეში დივერსიული აქტებისგან თავდაცვას.¹³

ამასთან, კონცეფციის თანახმად, საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სათანადო კიბერუსაფრთხოების პოლიტიკის არსებობაა. ამავე დოკუმენტის მიხედვით: „საქართველოს მიზანია, შექმნას ინფორმაციული უსაფრთხოების ისეთი სისტემა, რომლის დროსაც ნებისმიერი კიბერთავდასხმის საზიანო შედეგები მინიმუმამდე იქნება შემცირებული და ასეთი თავდასხმის შემდეგ უმოკლეს დროში გახდება შესაძლებელი ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების სრული აღდგენა. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და სახელმწიფოს საინფორმაციო სისტემების დაცვას. იგი ქმნის შესაბამის საკანონმდებლო ბაზას და ინფრასტრუქტურას, რომელიც აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად და ინფორმაციის დაცულობის უზრუნველსაყოფად.“

4.2. საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში უზრუნველყოფილ იქნას სათანადო კოორდინაცია და თანამშრომლობა ჩართულ და დაინტერესებულ უწყებებს/მხარეებს შორის, შემუშავებულ იქნას შესაბამისი სტრატეგია და კონკრეტული სამოქმედო გეგმა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად.¹³

საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2021 წლის 30 სექტემბერს მიღებულ იქნა საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021–2024 წლების ეროვნული სტრატეგია და დამტკიცდა სამოქმედო გეგმა. საგულისხმოა, რომ ის რიგით მესამე დოკუმენტია და მის მიღებამდე მოქმედებდა საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 17 მაისის №321 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია და საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის განხორციელების 2013-2015 წწ. სამოქმედო გეგმა“, ასევე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 იანვრის №14 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა“. კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის თანახმად, აღნიშნული დოკუმენტების არსებობა ნათლად წარმოაჩენს ქვეყნის სისტემურ პოლიტიკას ეროვნულ დონეზე კიბერუსაფრთხოების განვითარების საკითხთან მიმართებით. ამდენად, რიგით მესამე სტრატეგია ასახავს წინა სტრატეგიების მიღების შემდეგ ქვეყნის კიბერუსაფრთხოების გარემოში მომხდარ ცვლილებებს და უახლოესი 3 წლის განმავლობაში აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს მის წინაშე არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებთან გამკლავების ეფექტიან მექანიზმებს.¹⁴

სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებს შორის კვლევის მიზნებისთვის გამოსარჩევია კრიტიკული ინფრასტრუქტურების კიბერუსაფრთხოების სპეციალისტებისთვის ცოდნისა და კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს მომზადება (skill pipeline), რაც გეგმის მიხედვით უნდა შესრულდეს 2023 წელს. ამასთან, 2024 წლის მე-4 კვარტალში უნდა დასრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებებისთვის ტექნიკური შე-

¹³ European Union Agency for Cybersecurity (ENISA), A Governance Framework for National Cybersecurity Strategies, 2023, 6 <<https://www.enisa.europa.eu/publications/a-governance-framework-for-national-cybersecurity-strategies/@@download/fullReport>> [05/12/2022].

¹⁴ „საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის. 2021 წლის 30 სექტემბრის №482 დადგენილება <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5263611?publication=1>> [05/12/2022].

საძლებლობების შექმნა/განვითარება კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ინფრასტრუქტურებში კიბერინციდენტებისა და კიბერსაფრთხეების მართვის მიზნით.

5. ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები

კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი ვალდებულია მიიღოს ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესები, რომლებიც ემსახურება „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა აღსრულებას და განსაზღვრავს ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას.

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა აკმაყოფილებდეს ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს. ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნები დგინდება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO), აშშ-ის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტის (NIST) და ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაციის (ISACA) მიერ დადგენილი სტანდარტებისა და მოთხოვნების მხედველობაში მიღების გზით, პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის ბრძანებით, ხოლო მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტისთვის – ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით.¹⁵

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობა კრიტიკული ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის სუბიექტებს ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დანერგვისთვის უწესებს შესაბამის ვადებს და ეტაპებს. ორგანიზაციებს აღნიშნული ვალდებულება აკისრიათ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის

№646 დადგენილებით განსაზღვრული წესით შესაბამისი კატეგორიის სუბიექტად განსაზღვრისთანავე და მათ კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა დანერგონ მინიმალური მოთხოვნები, ეტაპობრივად შეზღუდული დროის განმავლობაში.

კერძოდ, პირველი ან მეორე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი - მოიცავს თვრამეტ თვეს საქართველოს კანონმდებლით დადგენილი წესით ორგანიზაციის პირველი ან მეორე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტად განსაზღვრიდან;

ბ) მორე ეტაპი - მოიცავს ექვს თვეს პირველი ეტაპის დასრულებიდან.¹⁶

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2021 წლის 21 დეკემბრის №35 ბრძანებით დამტკიცებული „პირველი და მეორე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების“ მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის პირველ ეტაპზე ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს:

- ორგანიზაციის კონტექსტის განსაზღვრა, რაც მოიცავს ორგანიზაციის და მისი საქმიანობის კონტექსტის განსაზღვრას, დაინტერესებული მხარეების საჭიროებების და მოლოდინების განსაზღვრას, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლების განსაზღვრას, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დაფუძნებას, შენარჩუნებას და განგრძობად გაუმჯობესებას;
- ორგანიზაციის მენეჯმენტის მიერ განსახორციელებელი ქმედებების აღსრულებას, რაც მოიცავს მენეჯმენტის მხრიდან ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის მხარდაჭერის დემონსტრირებას, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკების დამტკიცებას, ორგანიზაციული როლების, პასუხისმგებლობების და უფლებამოსილებების განსაზღვრას;

¹⁵ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.
¹⁶ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2021 წლის 21 დეკემბრის №35 ბრძანებით დამტკიცებული პირველი და მეორე კატეგორიის კრიტიკული

ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების მე-3 მუხლი.

- დაგეგმვა, რაც მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასებას, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მოპყრობას, ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნების და მათი მიღწევის დაგეგმვას;

- სათანადო მხარდაჭერა, რაც მოიცავს შესაბამისი რესურსების გამოყოფას, კომპეტენციის და ცნობიერების დონის ამაღლებას, კომუნიკაციას და დოკუმენტაციის მართვას;

- ოპერირება, რაც მოიცავს ოპერაციულ დაგეგმვას და კონტროლს, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასებას დაგეგმილი ინტერვალებით და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მოპყრობის გეგმის აღსრულებას.

ხოლო, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის მეორე ეტაპზე ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს:

- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შეფასება, რაც მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის მონიტორინგს, გაზომვას, ანალიზს და შეფასებას, დაგეგმილი პერიოდულობით შიდა აუდიტის განხორციელებას, დაგეგმილი პერიოდულობით მენეჯმენტის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გადახედვას მისი ეფექტიანობის, შესაბამისობის და ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად;

- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის გაუმჯობესება, რაც მოიცავს შეუსაბამობებზე რეაგირებას, შეუსაბამობის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას, საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას და ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის განგრძობად გაუმჯობესებას.

ხსენებული მოქმედებების განსახორციელებლად ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2021 წლის 21 დეკემბრის №35 ბრძანების შესაბამისი დანართებით კი, დადგენილია დეტალური რეგულაციები.

რაც შეეხება მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მხრიდან მსგავს ვალდებულებებს, აღნიშნული დადგენილია ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 14 დეკემბრის №1 ბრძანებით და მოიცავს პირველ, მეორე და

მესამე წელს შესასრულებელ მთელ რიგ მოქმედებებს.

აღსანიშნავია, რომ კრიტიკული ინფორმაციული სუბიექტებისთვის ზემოაღნიშნული ვალდებულებების განსაზღვრას არ ექნებოდა ქმედითი ეფექტი, თუ მათი შეუსრულებლობისთვის კანონმდებლობით არ დაწესდებოდა შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა კანონის მოთხოვნათა დარღვევისთვის დარეგულირებულია „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ცალკე - III² თავით. განხილულ საკითხებთან მიმართებით პასუხისმგებლობებს შორის გამოსარჩევია ხსენებული კანონის 10⁴ მუხლი, რომლის თანახმად:

„1. პირველი/მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიერ ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დასაწინააღმდეგებლად ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის/ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული ვადის დარღვევა – გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირველი/მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიერ, რომელსაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისთვის 1 წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით“.

6. ფიზიკური და გარემო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

„პირველი და მეორე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების დადგენის შესახებ“ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2021 წლის 21 დეკემბრის №35 ბრძანებით დანართით დამტკიცებულია ინფორმაციული უსაფრთხოე-

ბის კონტროლები, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელო მითითებას ორგანიზაციებისთვის და საშუალებას აძლევს მათ, შეარჩიონ მათთვის საჭირო, საყოველთაოდ მიღებული, ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლები ან ამ კონტროლების გათვალისწინებით, შექმნან ახალი კონტროლები და სახელმძღვანელო მითითებები ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლების შერჩევის, დანერგვის და მართვის პროცესში.

აღნიშნული დოკუმენტით ორგანიზაციებს ევალუბრათ სხვადასხვა მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებისას და ბიზნეს პროცესის მიმდინარეობისას დაიცვან ფიზიკური და გარემო უსაფრთხოება. ამასთან, ორგანიზაციის ინფორმაციაზე და ინფორმაციის დამუშავების საშუალებებზე არაავტორიზებული ფიზიკური წვდომის, დაზიანების და ჩარევის შეზღუდვის მიზნით ხსენებული დოკუმენტით განსაზღვრულია უსაფრთხო ზონების (ფიზიკური უსაფრთხოების პერიმეტრები; ფიზიკური შესვლის კონტროლები; ოფისების, ოთახების და ობიექტების დაცვა; გარე და გარემო საფრთხეებისგან დაცვა და სხვა) და აღჭურვილობის (აღჭურვილობის განლაგება და დაცვა; კაბელების უსაფრთხოება; „სუფთა მაგიდის“ და „სუფთა ეკრანის“ პოლიტიკა და ა.შ.) დაცვასთან დაკავშირებით სახელმძღვანელო მითითებები.

რაც შეეხება მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მხრიდან ფიზიკური და გარემოს უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვით ხსენებული საკითხები რეგულირდება ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 14 დეკემბრის №1 ბრძანების დანართით - „კონტროლის მიზნები და მექანიზმები“.

7. რისკების მართვა

აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან მოქმედებს სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელ-

მძღვანელო, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს და შექმნილია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

სახელმძღვანელო მოიცავს რისკის მართვის არსს და მასში შემავალ კომპონენტებს, რომელთა გათვალისწინებით ცალკეული დაწესებულება შეიმუშავებს საკუთარი რისკის მართვის სისტემას, რომელიც შესაბამისობაში მოვა კონკრეტული დაწესებულების მიზნებთან და საქმიანობის სპეციფიკასთან. რისკის მართვა ხორციელდება არა შერჩევის პრინციპით, არამედ მთელი დაწესებულების მასშტაბით, მის ყველა სტრუქტურულ, თუ ორგანიზაციულ დონეზე. ამასთან, საუკეთესო შედეგის მისაღებად რისკის მართვის პროცესის ამოქმედება სასურველია საქმიანობის განხორციელებისა, თუ დასახული ამოცანის შესრულების დაწყებისთანავე.¹⁷

რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით. რისკის მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებად პროცესს, რომელშიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობას იღებს დაწესებულების თითოეული თანამშრომელი. რისკის მართვა წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.¹⁸

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №644 ბრძანებით დამტკიცებული „რისკების მართვის სახელმძღვანელო“ შესავალი.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1546971?publication=0>> [05/12/2022].

¹⁸ ამავე სახელმძღვანელოს მეორე თავი.

საგულისხმოა, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებთან ერთად კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის მოქმედი კანონმდებლობით¹⁹ დადგენილია ინფორმაციული რისკების მართვის მთელი რიგი წესები და პირობები, რომლებიც მოიცავენ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის პროცესის ზოგადი მიმოხილვას, კონტექსტის განსაზღვრას, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასებას (მათ შორის, რისკის იდენტიფიცირება, ანალიზი, ევალუაცია) რისკების მოპყრობას, მიღებას, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მონიტორინგს, გადახედვას და ა.შ.

8. ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი და კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად²⁰, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი ვალდებულია განსაზღვროს კონკრეტული პირი (პირები) ან თანამშრომელი (თანამშრომლები), რომელიც (რომლებიც) პასუხისმგებელია (პასუხისმგებელი არიან) კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებისათვის (ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი), რომელიც აღჭურვილია მთელი რიგი ვალდებულებებით (მათ შორის ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის შედგენის) და ანგარიშვალდებულია კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ხელმძღვანელის ან მის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი თანამშრომლის წინაშე.

პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერებად შესაძლებელია განისაზღვროს პირები, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებასთან და-

შვება. ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერისთვის მინიმალური სტანდარტები პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების მიმართ დგინდება ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის ბრძანებით, მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიმართ – ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, ხოლო თავდაცვის სფეროში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიმართ – საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით.

ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერთან ერთად, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი ასევე ვალდებულია განსაზღვროს კონკრეტული პირი (პირები) ან თანამშრომელი (თანამშრომლები), რომელიც (რომლებიც) პასუხისმგებელია (პასუხისმგებელი არიან) კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოების პრაქტიკული უზრუნველყოფისათვის (კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი).²¹

9. კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი და ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტი

მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებს მოქმედი კანონმდებლობით აქვთ ვალდებულება ჩაატარონ ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი და ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტი. პირველი კატეგორიის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების პირველად აუდიტს უსასყიდლოდ ატარებს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, ხოლო პერიოდულ აუდიტს, ამ სუბიექტის შერჩევით, ატარებს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ან

¹⁹ ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 14 დეკემბრის №1 ბრძანება; ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2021 წლის 21 დეკემბრის №35 ბრძანება; საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 8 ივლისის №46 ბრძანება.

²⁰ „ინფორმაციული უსაფრთხოების საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

²¹ „ინფორმაციული უსაფრთხოების საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

შესახებ“

შესახებ“

ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ ავტორიზებული ორგანიზაცია.

9.1. ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი

კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი ვალდებულია ჩაატაროს ინფორმაციული უსაფრთხოების პირველადი აუდიტი და პერიოდული აუდიტი – ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების შემდეგ დგება აუდიტის დასკვნა, რომლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა. ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი სრულდება ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის დასკვნის შედგენით.²²

– **პირველი კატეგორიის** კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების პირველად აუდიტს უსასყიდლოდ ატარებს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო. შემდგომ ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდულ აუდიტს ამ სუბიექტის შერჩევით ატარებს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ან ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ ავტორიზებული ორგანიზაცია;

– **მეორე კატეგორიის** კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების პირველად აუდიტსა და პერიოდულ აუდიტს ამ სუბიექტის შერჩევით ატარებს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ან ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ ავტორიზებული ორგანიზაცია;

– **მესამე კატეგორიის** კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების პირველად აუდიტსა და პერიოდულ აუდიტს ამ სუბიექტის შერჩევით ატარებს ციფრული მმართველობის სააგენტო ან ამ სააგენტოს მიერ ავტორიზებული ორგანიზაცია;

– **თავდაცვის სფეროში** შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების პირველად აუდიტსა და პერიოდულ აუდიტს ატარებს კიბერუსაფრთხოების ბიურო. საჭიროების შემთხვევაში

ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი ტარდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვა შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად.

ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების წესი და პერიოდულობა პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების მიმართ დგინდება ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის ბრძანებით, მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიმართ – ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, ხოლო თავდაცვის სფეროში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიმართ – საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით.²³

9.2. ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტი

ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტთან ერთად, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი განსაზღვრავს ინფორმაციულ სისტემაში შეღწევადობის (პენეტრაციის) ტესტის ჩატარების ვალდებულებას და წესს. კერძოდ, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს პენეტრაციის ტესტის ჩატარება წინასწარ დაგეგმილი და დოკუმენტირებული ამოცანის მიხედვით. პენეტრაციის ტესტის ჩატარების შემდეგ დგება პენეტრაციის ტესტის დასკვნა, რომლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა. პენეტრაციის ტესტი სრულდება პენეტრაციის ტესტის დასკვნის შედგენით.

პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის (გარდა საგადახდო, ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორებისა და რეზერვების მართვის სისტემებისა, აგრეთვე მონეტარული და სავალუტო ოპერაციებისთვის გამოყენებული კრიტიკული სისტემებისა) სუბიექტის პენეტრაციის ტესტს ატარებს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, მეორე კატეგორიის კრიტი-

²² „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

²³ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი.

კული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის პენეტრაციის ტესტს – კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის შერჩევით – ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო ან ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ ავტორიზებული ორგანიზაცია, მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის პენეტრაციის ტესტს – კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის შერჩევით – ციფრული მმართველობის სააგენტო ან ამ სააგენტოს მიერ ავტორიზებული ორგანიზაცია, ხოლო თავდაცვის სფეროში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის პენეტრაციის ტესტს – კიბერუსაფრთხოების ბიურო.²⁴

პენეტრაციის ტესტის ჩატარების წესი და პერიოდულობა პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების მიმართ დგინდება ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის ბრძანებით, მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიმართ – ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, ხოლო თავდაცვის სფეროში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიმართ – საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით.²⁵

აღსანიშნავია, რომ თუ ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარების შედეგად გამოვლინდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობა ან პენეტრაციის ტესტის ჩატარების შედეგად აღმოჩენილ იქნა ინფორმაციული სისტემის სისუსტეები, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი ატარებს ამ შეუსაბამობის/სისუსტეების ანალიზს და აღნიშნული შეუსაბამობის/სისუსტეების აღმოსაფხვრელად განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას. ეს სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს მისი შესრულების გრაფიკს. აღნიშნულ სამოქმედო გეგმას ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტის ან პენეტრაციის ტესტის

დასრულებიდან 1 თვის ვადაში პირველი და მეორე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტები შესათანხმებლად წარუდგენენ ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს, მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტები, გარდა ამ მუხლის მე-17 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, – ციფრული მმართველობის სააგენტოს, ხოლო თავდაცვის სფეროში შემავალი კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტები – კიბერუსაფრთხოების ბიუროს. ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, ციფრული მმართველობის სააგენტო და კიბერუსაფრთხოების ბიურო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ წარდგენილი სამოქმედო გეგმის შეფასებას, შესაბამისი რეკომენდაციების ან/და შესასრულებლად სავალდებულო მითითებების შემუშავებას და შეთანხმებული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს.²⁶

10. საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემოწმება

პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების შემოწმების მიზნით, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ სუბიექტის საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემოწმების ჩატარების შესახებ, ხოლო საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემოწმების ჩატარების წესი და პროცედურები დგინდება ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის ბრძანებით.²⁷

საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემოწმების ჩატარების უფლებამოსილების მქონე პირს უფლება აქვს, სპეციალური ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით შეამოწმოს პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის აპარატული ან/და

²⁴ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი.

²⁵ ამავე მუხლის მე-12 პუნქტი.

²⁶ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-14 პუნქტი.

²⁷ ამავე კანონის 9¹ მუხლი.

პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები ან/და ქსელური ინფრასტრუქტურა, ასევე შეამონმოს შესამონმებელ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები მათი განთავსების ადგილზე და გადაიღოს ამ დოკუმენტების ასლები, მოსთხოვოს პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის წარმომადგენელს/წარმომადგენლებს წერილობითი ან/და ზეპირი ახსნა-განმარტებები. საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემონმების დროს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს ხელი არ მიუწვდება ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული არ არის.²⁸

შემონმების ჩატარების უფლებამოსილების მქონე პირი დამტკიცებული ფორმის მიხედვით ადგენს საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემონმების შესახებ დასკვნას²⁹, რომელში ასახული მითითებული შესასრულებლად სავალდებულო ხასიათისაა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით დადგენილია ფულადი ჯარიმები შემდეგი სამართალდარღვევებისთვის:

- ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემონმებისთვის ხელის შეშლისთვის;
- საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შემონმების დასკვნით გათვალისწინებული შესასრულებლად სავალდებულო მითითების შეუსრულებლობისთვის;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაში დაგეგმილი ცვლილებების შეუთანხმებლობისთვის.

11. მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა

მონაცემთა უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებს შორის გამოსარჩევია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი³⁰, რომლის მე-

17 მუხლით დადგენილია მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის წესები, რაც სავალდებულოდ შესასრულებელია როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორისთვის. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. ამავე მუხლის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა, ხოლო მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამმუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს.

ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ განხორციელებულ ქმედებებს (მაგალითად, მონაცემების დათვალიერების, გადმონერის, წაშლისა და რედაქტირების ფაქტებს) მონაცემთა დამმუშავებლები რიგ შემთხვევებში არ აღრიცხავენ, ზოგჯერ კი - არასრულად. ხშირ შემთხვევაში დაწესებულების მიერ არ აღრიცხება მონაცემთა ბაზაზე პირდაპირი წვდომის გზით მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებები. აღსანიშნავია, რომ მათი სრულყოფილად აღრიცხვის გარეშე, მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ მონაცემთა უკანონო დამმუშავების, მათ შორის, გამჟღავნების შემთხვევაში, შესაძლოა, ვერ მოხდეს შესაბამისი ფაქტის დაფიქსირება და პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება. ამდენად, აღრიცხვა და პერიოდული მონიტორინგი წარმოადგენს მონაცემთა უკანონო დამმუშავების პრევენციის ეფექტიან საშუალებას. აქვე, აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია ელექტრონულ მონაცემთა მიმართ განხორციელებული ქმედებები აღრიცხოს ავტომატურად, რადგან

²⁸ ამავე მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁹ ამავე მუხლის მე-4 პუნქტი.

³⁰ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=23>> [05/12/2022].

ადამიანური რესურსის გამოყენებით, მექანიკურად (მაგალითად, „MS Excel“-ის ფორმატის დოკუმენტში შეყვანის გზით) მოქმედებების აღრიცხვის შემთხვევაში, მაღალია ინფორმაციის არასრულად/არასწორად მითითების ალბათობა.³¹

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, კერძოდ, გაფრთხილება ან დაჯარიმება 500 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში შეეფარდა ადმინისტრაციული სახდელი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის, გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

გასათვალისწინებელია, რომ კანონის მე-17 და 46-ე მუხლების შესაბამისად, მონაცემთა უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობის დადგენისათვის აუცილებელი არ არის სამართლებრივი შედეგის (მონაცემთა უკანონო გამჟღავნება ან სხვა ფორმით დამუშავება) დადგომა, საკმარისია მონაცემთა დამუშავებელმა არ გაითვალისწინოს მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესები, მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკები და თავისი ქმედებით ან უმოქმედობით შექმნას მონაცემთა უკანონო დამუშავების საფრთხე.³²

11.1. მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ შეტყობინება

2018 წლის 25 მაისს ძალაში შევიდა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია („General Data Protection Regulation“) (შემდგომში - „GDPR“). რეგულაციას პერსონალურ მონაცემთა დაცვა სრულიად ახალ საფეხურზე

გადაჰყავს და მიზნად ისახავს ტექნოლოგიური პროგრესისა და თანამედროვე გამოწვევების პირობებში ინდივიდების უფლებების სათანადო დაცვას.

„GDPR-ით“ განისაზღვრა პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ცნება, რომელიც გულისხმობს უსაფრთხოების დარღვევას, რომელიც იწვევს გადაცემული, შენახული ან სხვაგვარად დამუშავებული პერსონალური მონაცემების შემთხვევით ან უკანონო განადგურებას, დაკარგვას, შეცვლას, მათ უკანონო გამჟღავნებას ან მათზე არასანქცირებულ წვდომას.

თუ დაირღვა მონაცემთა უსაფრთხოება, ორგანიზაციამ დარღვევის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა უნდა შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა საზედამხედველო ორგანოს და დარღვევის შესახებ უნდა აცნობოს იმ პირებს, რომელთა მონაცემებსაც შეეხო ინციდენტი, თუ ეს დიდი ალბათობით გამოიწვევს ამ პირთა უფლების შელახვას.

„GDPR-ის“ 33-ე და 34-ე მუხლებით დადგენილია იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლებიც ინციდენტის დადგომის შემთხვევაში უნდა მიეწოდოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს და მონაცემთა სუბიექტს.

საზედამხედველო ორგანოსთვის განკუთვნილი შეტყობინება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ინფორმაციას:

ა) მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ხასიათის აღწერილობა, მათ შორის, თუ შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტების კატეგორიები და რაოდენობა, ასევე მონაცემთა კატეგორიები და რაოდენობას, რომელსაც შეეხო უსაფრთხოების დარღვევა;

ბ) მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან სხვა საკონტაქტო პირის ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები, რომელთაგანაც უფრო მეტი ინფორმაციის მოპოვება იქნება შესაძლებელი;

გ) დარღვევის მოსალოდნელი შედეგების აღწერა;

³¹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, 108 <<https://personaldata.ge/cdn/2023/04/პერსონალურ-მონაცემთა-დაცვის-სამსახურის-2022-წლის-საქმიანობის-ანგარიში.pdf>> [28/07/2023].

³² პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 13 ივლისის №გ-1/061/2022 გადაწყვეტილება.

დ) დარღვევის აღმოსაფხვრელად დამშუშავების მიერ მიღებული ან შეთავაზებული ზომები, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, დარღვევის შესაძლო უარყოფითი შედეგის შემამსუბუქებელი ზომების აღწერა.

მონაცემთა სუბიექტთან მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შესახებ კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს გასაგები და მარტივი ენით, უნდა აღწერდეს დარღვევის ხასიათს და მინიმუმ უნდა შეიცავდეს ზემოაღნიშნული 33-ე მუხლის, მე-3 პუნქტის, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დადგენილ ინფორმაციას და ზომებს.

შესაბამისად, აუცილებელია მონაცემთა დამშუშავებლების მიერ გატარდეს ყველა სათანადო ორგანიზაციული და ტექნიკური ზომა მონაცემების დასაცავად, ხოლო მათი უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნულის დაუყოვნებლივ დასადგენად. ამასთან, მნიშვნელოვანია კანონმდებლობით დადგინდეს, ინციდენტის დადგომისას საზედამხედველო ორგანოსა და მონაცემთა სუბიექტისთვის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულება, ხოლო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ იქნას მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის შეტყობინების პოლიტიკა, ინციდენტების გამოვლენისა და მათზე რეაგირების პროცედურა.

12. დასკვნა

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ კარგად ორგანიზებული კიბერ-სივრცის არქიტექტურა, სწორად გადანაწილებული უფლებამოსილებები და ანგარიშვალდებულებისა და კოორდინაციის დახვეწილი მექანიზმები წარმოადგენს კიბერ-სივრცის გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირების მთავარ წინაპირობას.³³

ევროკავშირის ქსელური და საინფორმაციო უსაფრთხოების სააგენტოს (ENISA) მიერ მომზადებულ ანგარიშში, ჩატარებული კვლევის სა

ფუძველზე, შემოთავაზებულია ძირითადი რეკომენდაციები კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ცნობიერების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით³⁴. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, აუცილებელია:

1. კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობების შექმნა;
2. კიბერუსაფრთხოების ტენდენციებისა და გამომწვევების რეგულარული შეფასება;
3. კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული ქცევის გაზომვა;
4. კიბერუსაფრთხოების თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხების სათანადოდ ორგანიზების მიზნით არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და სამართლებრივი საფუძვლები - „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის ნაწილში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი თუ სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტი -, აუცილებელია აღნიშნული დარგების მუდმივი განვითარება და მათი ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. ასევე, მნიშვნელოვანია დაწესებულებების მხრიდან მიღებულ იქნას სათანადო ზომები და სრულყოფილად შესრულდეს მათზე კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობები.

ამასთან, როგორც ნაშრომის შესავალში აღინიშნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების მზარდ განვითარებასთან ერთად, იზრდება უსაფრთხოების დარღვევის რისკები და, შესაბამისად, აუცილებელია უსაფრთხოების დაცვის სტანდარტების ასამაღლებლად ნორმატიული აქტების მუდმივი განახლება. ასევე, მონაცემთა დაცვის სათვის მიღებული ეფექტიანი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების პრაქტიკაში გატარება, რათა საჯარო და კერძო ორგანიზაციებმა სათანადოდ უპასუხონ თანამედროვე გამომწვევებს.

³³ „კიბერუსაფრთხოების რეფორმა საქართველოში: არსებული გამოწვევები, საერთაშორისო პრაქტიკა და გამომწვევები“. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2020, 7.

³⁴ Raising Awareness Of Cybersecurity, A Key Element of National Cybersecurity Strategies, 2021, 29. <https://www.enisa.europa.eu/publications/raising-awareness-of-cybersecurity> [05/12/2022].

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი (სსკ-ის მე-7 მუხლის განმარტებისათვის)

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

ოსუ, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

I. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის ცნება

სსკ-ის მე-7 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, რომელიც შედგება სამი ნიშნისგან. ესენია: კოდექსის კერძო ნაწილის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. იმისთვის, რომ ქმედება დანაშაულად დაკვალიფიცირდეს, ქმედება სამივე ნიშანს უნდა შეიცავდეს. ერთ-ერთი ნიშნის არარსებობა დანაშაულს გამორიცხავს. დანაშაულის აღნიშნული განმარტება კანონიერების პრინციპის გამოხატულებაა, რომელიც სისხლის სამართლის ქვაკუთხედი და გამორიცხავს ადამიანის დასჯას ანალოგიის წესით. საქართველოში ანალოგიის წესით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელი იყო 1958 წლამდე, სანამ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სათანადო ასახვა არ ჰპოვა კანონიერების პრინციპმა. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, დანაშაულად შეიძლება მხოლოდ ისეთი ქმედება იქნას მიჩნეული, რომელიც სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს, რასაც საგარანტიო მნიშვნელობა აქვს. თუ განხორციელებული ქმედება არ შეიცავს ქმედების შემადგენლობის ნიშნებს, ქმედება დანაშაულად ვერ დაკვალიფიცირდება. როცა ქმედება შემადგენლობის ნიშნებს სრულად არ შეიცავს, იგი შეიძლება დაკვალიფიცირდეს დაუმთავრებელ დანაშაულად.

ლადა არ შეიცავს, იგი შეიძლება დაკვალიფიცირდეს დაუმთავრებელ დანაშაულად.

1.1. ქმედების შემადგენლობა, როგორც დანაშაულის ნიშანი

ქმედების შემადგენლობა არის გათვალისწინებული სსკ-ის კერძო ნაწილის ნორმის იმ ელემენტით, რომელსაც დისპოზიციას უწოდებენ. თუ თვალს შევავლებთ კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებს, დავინახავთ, რომ თვალსაჩინოდ გამოიყოფა დისპოზიცია და სანქცია. თუ ქმედების შემადგენლობა დისპოზიციაში მოცემული, სანქცია ნორმის ის ნაწილია, რომლითაც კანონმდებელი შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედებისთვის სასჯელთა სახეს და ზომას განსაზღვრავს,¹ როგორც დანაშაულის იურიდიულ შედეგს. ქმედების შემადგენლობაში აღწერილია დასჯადი ქმედება, ე. ი. დასახელებულია ქმედების დასჯადობის წინაპირობები. მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლის თანახმად, ქურდობა არის „სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“. იმისთვის რომ ქმედება 177-ე მუხლით ქურდობად დაკვალიფიცირდეს, უნდა შეიცავდეს ყველა იმ ნიშანს, რომელიც დასახელებული შემადგენლობითაა გათვალისწინებული. აღნიშნული ქმედების მართლწინააღმდეგოდ და ბრალეულად განხორციელებისას ქმედების ჩამდენს შეეფარდება ის სას-

¹ გ. ტყეშელიაძე, სამართლის ნორმის შეფასებითი და აღწერილობითი ასპექტები, წიგნში: გივი ინკვირველი 70, საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 135-136.

ჯელი, რომელიც ამავე ნორმით არის გათვალისწინებული.

ქმედების შემადგენლობა არის დანაშაულის პირველი ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნების ერთიანობას. შესაბამისად, ქმედების შემადგენლობა იყოფა ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობად. ქმედების შემადგენლობა არის მსჯელობა ფაქტის შესახებ, დანაშაულის არაშეფასებითი ნიშანი, განსხვავებით მართლწინააღმდეგობისა და ბრალისგან.

1.2. ქმედების შემადგენლობის სახეები

ქმედების შემადგენლობა შეიძლება დაიყოს სახეებად: მარტივი, აღწერილობითი, კვალიფიციური, პრივილეგიური, ალტერნატიული, ბლანკეტური, მითითებითი, საკუთარი ხელით განსახორციელებელი, შეკვეცილი, შედეგიანი და შედეგარეშე დელიქტთა შემადგენლობები.

მარტივი ენოდება ისეთ შემადგენლობას, სადაც არ არის დასჯადი ქმედება აღწერილი საკანონდებლო დეფინიციის გზით. ასეთია სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა, სადაც დასჯადი ქმედებაა დასახელებული აღწერის გარეშე (განზრახ მკვლელობა) და ქმედების შემადგენლობის ნიშნად არ არის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის არც დამამძიმებელი და არც შემამსუბუქებელი გარემოება.

აღწერილობით შემადგენლობაში კანონმდებელი აღწერს დასჯად ქმედებას და იძლევა ქმედების განმარტებას. მაგალითად, 177-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა (ქურდობა).

კვალიფიციურ (რთულ) შემადგენლობაში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება (109-ე მუხ.), ხოლო პრივილეგიურში შემამსუბუქებელი გარემოება (110-114-ე მუხ.).

ალტერნატიულ შემადგენლობაში კანონმდებელი ჩამოთვლის იმ ქმედებებს, რომელთაგან ერთ-ერთის განხორციელება საკმარისია ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად და ქმედების შესაბამისი მუხლით დასაკვალიფიცირებლად (260-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ბლანკეტურ შემადგენლობაში მოცემულია მითითება იმ ნორმის თუ წესის დარღვევაზე, რომელიც სისხლის სამართლის კანონს გარეთაა. ბლანკეტურ შემადგენლობებს ვხვდებით სატრანსპორტო დანაშაულთა თავში. ბლანკეტურია 133-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობაც (უკანონო აბორტი). ბლანკეტურ შემადგენლობაში მოცემული მითითება ქმედების უკანონობაზე თუ წესების დარღვევაზე, ქმედების შემადგენლობის ნორმატიული, შეფასებითი ნიშანია.

მითითებით შემადგენლობაში გვხვდება გარკვეული მითითება სხვა მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაზე, რითაც კანონმდებელი აკონკრეტებს ქმედების შემადგენლობის მოცულობას. მაგალითად, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ცემა ან სხვაგვარი ძალადობა გულისხმობს ისეთ ქმედებას, რომელიც იწვევს დაზარალებულის ფიზიკურ ტკივილს, მაგრამ არ მოჰყვება კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

საკუთარი ხელით ჩასადენია ისეთი დელიქტი, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია შუალობითი ამსრულებლობით. ასეთია დაუხმარებლობა (129-ე მუხ.) და განსაცდელში მიტოვება (128-ე მუხ.). აღნიშნული დელიქტის განხორციელება დაკავშირებულია პერსონალური მოვალეობის შეუსრულებლობასთან, რომელიც სხვას ვერ გადაეკისრება.

შეკვეცილ შემადგენლობაში ქმედების შემადგენლობის სრულად განხორციელება არ უკავშირდება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომას. ქმედების შემადგენლობა განხორციელებულად ითვლება დანაშაულის მომზადების ან მცდელობის მაგვარ სტადიაზე. არსებობს დისპროპორცია ქმედების შემადგენლობის ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებს შორის.² სუბიექტური ნიშნები ჭარბობს ობიექტურს. დანაშაული დამთავრებულად ითვლება დამნაშავის მიერ გამიზნული შედეგის მიღწევამდე. ასეთია ყაჩაღობის (179-ე მუხ.) და ბანდიტიზმის (224-ე მუხ.) შემადგენლობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს შედეგარეშე და შედეგიან დელიქტთა შემადგენლობები. ხოლო ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ იყოფა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფ და

² Угрехелидзе М., Проблема неосторожной вины в уголовном праве, Тб., 1976, с. 101, 24-ე სქოლიო.

საფრთხის შემქმნელ დელიქტთა შემადგენლობადა. თუ შედეგგარეშე დელიქტთა შემადგენლობებში დანაშაულებრივი შედეგი ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ არის, შედეგიან დელიქტებში, პირიქით, ქმედების შემადგენლობის ერთ-ერთ ობიექტურ ნიშანს დანაშაულებრივი შედეგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის ან სიკეთისთვის კონკრეტული საფრთხის შექმნის სახით. საფრთხის დელიქტები იყოფა კონკრეტული და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებად.³ მაშინ როდესაც კონკრეტული სარფთხის დელიქტები შედეგიან დელიქტებს მიეკუთვნება, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი შედეგგარეშე დელიქტს წარმოადგენს.

1.3. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ქმედების შემადგენლობა იყოფა ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობადა. ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებია: ქმედება, შედეგი, მიზეზობრივი კავშირი, შედეგის ობიექტური შერაცხვა (ავტორთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით),⁴ დანაშაულის ხერხი, დრო, ადგილი, საშუალება.

1.3.1. ქმედება

ქმედების შემადგენლობა ხორციელდება ქმედებით. ქმედების ქვეშ იგულისხმება ის ქმედება, რომელიც ქმედების შემადგენლობითაა გათვალისწინებული, რომელიც შეიძლება სოციალურად საშიშად იქნას მიჩნეული და რომლისთვისაც მოქმედ პირს სასჯელი შეიძლება შეეფარდოს. ქმედება გვარეობითი ცნებაა და მოიცავს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობას. ქმედების შემადგენლობა შეიძლება

განხორციელდეს მოქმედებითაც და უმოქმედობითაც. უმოქმედობის დელიქტები თავის მხრივ იყოფა შერეული და წმინდა უმოქმედობის დელიქტად. შერეული უმოქმედობის დელიქტი შეიძლება მოქმედებითაც განხორციელდეს და უმოქმედობითაც, ამიტომ ეწოდება შერეული უმოქმედობის დელიქტი. ასეთია განზრახ მკვლელობა. ხოლო წმინდა უმოქმედობის დელიქტი მხოლოდ უმოქმედობით ხორციელდება. წმინდა უმოქმედობის დელიქტებს მიეკუთვნება დაუხმარებლობა (129-ე მუხ.), განსაცდელში მიტოვება (128-ე მუხ.), ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (130-ე მუხ.).

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეფუძნოს ადამიანურ ქმედებას და არა ბუნების მოვლენას ან ცხოველის ქმედებას. ქმედების განხორციელება ადამიანის გარდა იურიდიულ პირსაც შეუძლია თუ არა საკამათოდ ითვლება, მაგრამ საქართველოს სსკ-ი ვინაიდან იურიდიული პირის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, იურიდიული პირიც მიიჩნევა ქმედების სუბიექტად. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებით, იურიდიულ პირს არ შეუძლია ქმედების განხორციელება, ვინაიდან იურიდიული პირი არის არა ადამიანი, არამედ სამართლებრივი კონსტრუქცია.⁵

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეფუძნება კონკრეტულ ქმედებას და დაუშვებელია იმ ქცევების გათვალისწინება, რომლის მიზეზებიც მანამდე არსებობდა. არ შეიძლება დასჯის საფუძველი გახდეს ცხოვრების წესი. მაგალითად ალკოჰოლდამოკიდებულება. სხვაგვარად წყდება საკითხი, თუ ქმედების დადგენა წინარე ეტაპზე შესაძლებელია. მაგალითად, როცა ადამიანი შეგნებულად თვრება იმისთვის, რომ დანაშაული ჩაიდინოს.⁶

³ *Церетели Т.В.,* Деликты создания опасности, «Советское государство и право», 1970, №8; *მ. უგრეხელიძე,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982; *თ. ნერეთელი,* სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010; *თ. ცქიტიშვილი,* ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015; *მ. ჰაინრიხი,* შედეგის განხორციელების ადგილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, წიგნში: *ოთარ გამყრელიძე* 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, თბ., 2016.

⁴ *მ. ტურავა,* სამართლებრივად დასაძრავი საფრთხის მდგომარეობის „რისკის ამაღლებაში“ რეალიზაცია მოქმედებით და უმოქმედობით ჩადენილ დელიქტებში,

წიგნში: *მ. ტურავა,* (რედ.), სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, თბ., 2013, გვ. 1-79; *მ. ტურავა,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 215-258.

⁵ *Heinrich B.,* Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2012, S. 73, Rn. 197-198.

⁶ *Heinrich B.,* ebenda, S. 73-74, Rn. 199-200.

შეიძლება ბრალი, შესაბამისად, პასუხისმგებლობა გამოირიცხოს, თუ ქმედება განხორციელდა სიმთვრალეში (როდესაც პირი უგონოდ მთვრალი იყო და ადგილი ჰქონდა პათოლოგიურ სიმთვრალეს) ალკოჰოლდამოკიდებულის მიერ, მაგრამ როცა საქმე ეხება შეგნებულად თავის ჩაყენებას ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება.

პასუხისმგებლობის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედება. ქმედება მაშინ არის სისხლისსამართლებრივად რელევანტური, როცა მას გარკვეული ფორმით ზეგავლენის მოხდენა შეუძლია გარესამყაროზე. „განწყობის უმართლობა“ ანუ მხოლოდ ბოროტი განზრახვა არ ისჯება. თუ „ა“ სიკვდილს უსურვებს „ბ“-ს და ეს უკანასკნელი გულის შეტევით გარდაიცვლება, „ა“-ს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა არა იმიტომ, რომ სახეზე არ არის მიზეზობრიობა, არამედ იმის გამო, რომ განხორციელებული არ არის ქმედება. მხოლოდ სურვილი, რომელიც შინაგანია და არ ჰპოვებს გარეგულ გამოხატულებას, არ მიიჩნევა „ქმედებად“ სისხლისსამართლებრივი გაგებით.⁷ ადამიანს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება ქმედებისთვის და არა აზრისთვის, განწყობისთვის. სისხლის სამართალი არის ქმედების სამართალი. თუმცა, არის შემთხვევები, როცა აზრის გამოთქმა უკვე თავისთავად წარმოადგენს ქმედებას. ასეთად მიიჩნევა ნაქეზება,⁸ ინტელექტუალური დახმარება, როდესაც ადგილი აქვს ამსრულებლისთვის რჩევა-დარიგების მიცემას.

თ. ნერეთელიც აღნიშნავდა, რომ ყოველი ქმედება არ შეიძლება პასუხისმგებლობის ობიექტურ ნაწინამძღვრად მივიჩნიოთ. თ. ნერეთელის შეხედულებით, მოქმედებას არ ექნება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა, თუ „მას არ ჰქონდა რეალური შესაძლებლობა ზემოქმედება მოეხდინა მოვლენათა მსვლელობაზე იმ მიმართულებით, როგორცაა მიზეზობრივი კავშირი ფაქტიურად განვითარდა“.⁹

თუ აქტიური ქმედება იწვევს ცვლილებას

გარე სამყაროში, უმოქმედობის დროს შეიძლება საქმე ეხებოდეს გარე სამყაროში ცვლილების გამოწვევისგან თავის შეკავებას, მაშინ როცა არსებობს ამის ვალდებულება. გარე სამყაროზე ზემოქმედება გულისხმობს არა მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის სახით შედეგის გამოწვევას, არამედ ასევე საფრთხის შექმნასაც.¹⁰

სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედება არა მხოლოდ გარეგნული გამოხატულებით, ობიექტური თვალსაზრისით, არამედ სუბიექტურადაც უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნას. შეიძლება ქმედება იყოს გარე სამყაროზე ზეგავლენის მომხდენი ობიექტური თვალსაზრისით, მაგრამ სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედება მაინც გამოირიცხოს იმის გამო, რომ არ აკმაყოფილებს შესაბამის სუბიექტურ წინაპირობას. ქმედება მაშინ მიიჩნევა სისხლისსამართლებრივად რელევანტურად, როცა ის არა მხოლოდ ზეგავლენას ახდენს გარე სამყაროზე, არამედ გამოხატავს კიდევაც მოქმედი პირის ნებას. ქმედებად არ მიიჩნევა რეფლექსური მოძრაობა, ქმედება ძილში ან უგონო მდგომარეობაში.¹¹

ქმედება, რომელიც გარეგანი იძულების ქვეშ ხორციელდება („vis absoluta“), არ არის ქმედება სისხლისსამართლებრივად. ერთმანეთისგან განსხვავებენ გარეგანი იძულების ქვეშ განხორციელებულ ქმედებათა ორ კატეგორიას: ერთ შემთხვევაში საერთოდ გამოირიცხება სხვაგვარად მოქმედება და განხორციელებული ქმედება მოქმედის ნებას საერთოდ არ გამოხატავს („vis absoluta“), რის გამოც სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედება გამოირიცხება, ხოლო მეორე შემთხვევაში ასევე ადგილი აქვს გარეგანი იძულებას, მაგრამ არ გამოირიცხება ქმედება, რომელიც მართლზომიერად ან საპატიოდ მიიჩნევა („vis compulsiva“).¹²

ზემოთ აღნიშნულის გარდა ქმედება დამატებით კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით. შეიძლება ქმედება გარე სამყაროზე ახდენდეს გავლენას და შეესაბამებოდეს მოქმედი პირის

⁷ Heinrich B., ebenda, S. 74, Rn. 201.

⁸ თ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 163.

⁹ თ. ნერეთელი, ნიგნში: მაყაშვილი ვ., მაჭავარიანი მ., ნერეთელი თ., შავგულიძე თ., დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 9.

¹⁰ Heinrich B., ebenda, S. 74, Rn. 202.

¹¹ Heinrich B., ebenda, S. 74-75, Rn. 203-204.

¹² Heinrich B., ebenda, S. 76, Rn. 205-206.

ნებასაც, მაგრამ მოკლებული იყოს სოციალურ მნიშვნელობას, რის გამოც, ქმედების სოციალური მოძღვრების თანახმად, გამოირიცხება სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედება.¹³

ქმედების შესახებ დღემდე არაერთი მოძღვრება ჩამოყალიბდა, რომლებიც განსხვავებულად წარმოგვიდგენენ ქმედების შინაარსს. აღნიშნული თეორიებიდან აღსანიშნავია: ქმედების კაუზალური, ფინალური, სოციალური, პერსონალური, ნეგატიური მოძღვრება. დასახელებული თეორიები ქვემოთ მოკლედ იქნება მიმოხილული.

1.3.2. ქმედების კაუზალური მოძღვრება

ქმედების კაუზალური, ნატურალისტური მოძღვრების ავტორებად ითვლებიან დანაშაულის კლასიკური მოძღვრების ფუძემდებლები ლისტი და ბელინგი. ლისტის მიხედვით, ქმედება არის ადამიანური ნების გამომხატველი ზემოქმედება გარე სამყაროზე. ამასთან ერთად, კაუზალური თეორიის მიხედვით, გარესამყაროში ცვლილების გამოსაწვევად საკმარისია მინიმალური ზემოქმედებაც, როგორცაა, მაგალითად შეურაცხყოფა.¹⁴

მაშასადამე, ქმედების კაუზალური მოძღვრება ქმედებად მიიჩნევს გარეგნულად გამოხატულ, ნებელობით ადამიანურ ქცევას. აღნიშნული თეორიისთვის, ფინალური მოძღვრებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანია არა ის, იყო თუ არა ქმედება კონკრეტული მიზნისკენ მიმართული, არამედ ის, ჰქონდა თუ არა ადგილი ნებელობით სხეულებრივ ქცევას. როდესაც მოქმედი პირი განახორციელებს გასროლას, სურდა თუ არა მას მსხვერპლის სიცოცხლის ხელყოფა, არის არა ქმედების, არამედ განზრახვის საკითხი, ვინაიდან განზრახვა ქმედების ნიშანი არ არის. მიზნის არარსებობამ შეიძლება გამოირიცხოს განზრახვა და არა ქმედება. ქმედებასა და შედეგს შორის არსებული მიზეზობრივი კავშირიც არ არის ქმედების ნიშანი.¹⁵

კაუზალური (ნატურალისტური) თეორიის

წინააღმდეგ მიუთითებენ იმას, რომ მას არ შეუძლია მოიცვას უმოქმედობა, ვინაიდან უმოქმედობა არ არის დაკავშირებული კუნთების და ნერვების დაძაბვასთან.¹⁶ ქმედება, მისი თანამედროვე გაგებით, არის გვარეობითი ცნება და აქტიური მოქმედების გარდა მოიცავს უმოქმედობასაც, მაგრამ ეს კაუზალური თეორიის პირობებში შეუძლებელია. კაუზალური თეორიის მიხედვით, ქმედება ვერ იქნება გვარეობითი ცნება, რომელიც თავის თავში მოქმედებასთან ერთად უმოქმედობასაც მოუყრის თავს. ამასთან ერთად უნდა ითქვას ისიც, რომ სისხლისსამართლებრივი გაგებით ქმედების ცნების ასაგებად ყველანაირი სუბიექტური ნიშნის უარყოფაც არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ზოგჯერ სწორედ მიზანი აქცევს კონკრეტულ ქმედებას სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონედ და სოციალურად არაადექვატურ აქტად. მართალია, ქმედება ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშანია, ხოლო მიზანი, ისევე როგორც მოტივი, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტები, რომლებიც ქმედების შემადგენლობის ფარგლებში დიფერენცირებულია (ობიექტური და სუბიექტური ნიშნები), მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მოქმედი პირის მიზანი ანიჭებს ქმედებას სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. მაგალითად, პურის საჭრელი დანის შეძენა სოციალურად ადექვატური ქმედებაა, მაგრამ თუ მას შემძენი ყიდულობს დანაშაულის, მკვლელობის ჩასადენად, აღნიშნული აქტი ვერ იქნება მიჩნეული სოციალურად ადექვატურ ქმედებად და შეიძენს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას (დანაშაულის მომზადება). თუმცა, მიზანი ასეთ მნიშვნელობას არ იძენს ყოველთვის. ეს განსაკუთრებით ეხება გაუფრთხილებლობის შემთხვევებს.

1.3.3. ქმედების ფინალური მოძღვრება

ფინალური თეორიის მიხედვით, ადამიანის ქმედება მიზნითაა დეტერმინირებული. ადამიანი თავის ქმედებას განსაზღვრული მიზნისკენ

¹³ Heinrich B., ebenda, S. 78, Rn. 209.

¹⁴ აღნიშნულზე იხ. Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, S. 241, §8 Rn. 10.

¹⁵ აღნიშნული თეორიის მიმოხილვა იხ. Bauman/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 171-172, §9 Rn. 3-4.

¹⁶ Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, S. 242, §8 Rn. 13.

მიმართავს და ირჩევს იმ მიზეზებს და საშუალებებს, რომლებიც მოქმედი პირის თვალსაზრისით, ამ მიზნის მიღწევას გამოიწვევენ. მიზნის დასახვა, მიზნის მისაღწევი საშუალების არჩევა და მისი განხორციელება რეალურ სამყაროში, შედეგის გამოწვევამდე, წარმოადგენს ადამიანური ქმედების სამ საფეხურს. მესამე საფეხური ნების განხორციელების სახით, არის მიზნით დეტერმინირებული.¹⁷ აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და ნებელობა, მაშასადამე, განზრახვა ქმედების ელემენტია და შესაბამისად, ქმედების შემადგენლობის ნიშანია. თუ განხორციელებულ ქმედებას არ მოჰყვება ფინალურად გამიზნული შედეგი, ადგილი აქვს მცდელობას.¹⁸

ფინალური მოძღვრება სხვადასხვა კუთხიდან იქნა გაკრიტიკებული. ფინალური თეორიის კრიტიკოსები საეჭვოდ მიიჩნევენ ადამიანის ყოველი ქმედების ფინალურად წარმართვას. მაგალითად სახელდება ავტომატიზებული რეაქციები. მაგალითად, ავტომატიზების მართვა, აფექტური მოქმედებები, აფექტური აფეთქება. აღნიშნული ქმედებები შეიძლება წარმოადგენდნენ სისხლისსამართლებრივად რელევანტურ ქმედებებს. თუმცა, დასახელებულ ქმედებებთან მიმართებით ფინალური თეორია სიძნელეებს აწყდება.¹⁹

ფინალური მოძღვრების კრიტიკოსები, ასევე უთითებენ გაუფრთხილებლობით ქმედებებზე, სადაც მათი შეხედულებით, აღნიშნული თეორია ქმედების ფინალობას ვერ ასაბუთებს. მაგალითად, თუ ექთანი პაციენტს შეცდომით მოუსპობს სიცოცხლეს, ვინაიდან სხვა მედიკამენტს მისცემს, ექთნის ქმედება პაციენტის სიცოცხლის მოსპობის მიმართ არ იქნება ფინალური. აღნიშნულ შემთხვევაში გამოირიცხება განზრახ მკვლელობა. პაციენტის სიკვდილი მხოლოდ მიზეზობრივადაა განპირობებული განზრახვის გარეშე. ფინალური მოძღვრება ქმედების შემადგენლობის განხორციელებ

ის მიმართ ფინალურობას განზრახ დელიქტებში მოითხოვს, ხოლო გაუფრთხილებლობით დელიქტებში კი არა, რითაც აღწევს ქმედების „ერთიან ცნებას“.²⁰ გარდა ამისა, გაუფრთხილებლობითი ქმედება, განზრახვი ქმედებისგან განსხვავებით, ვერ იქნება ნეიტრალური შეფასებისგან. თუ განზრახ შესაძლებელია როგორც ცუდი, ისე კარგი საქმის კეთება, გაუფრთხილებლობა იმთავითვე უარყოფით შეფასებას გულისხმობს, იმას, რომ სუბიექტმა დაარღვია სწორი მოქმედების ნორმა.²¹

ფინალური თეორიის ზოგიერთი მიმდევარის აზრით, გაუფრთხილებლობის დროს ქმედების ფინალურობა იმით საბუთდება, რომ დამნაშავის ნება მიმართულია იმ საფრთხისკენ, რომელიც ქმედების განხორციელებით იქმნება, მაგრამ ეს მტკიცება ვერ აღმოჩნდა დამაჯერებელი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასეთ ფინალურობას ადგილი არ აქვს დაუდევრობის დროს.²² მოქმედი პირი აბსტრაქტული საფრთხის შეგნებით მოქმედებს თვითიმედოვნების და არა დაუდევრობის დროს. ამდენად, დაუდევრობასთან მიმართებით საფრთხის შექმნის გაცნობიერებაზე საუბარი საფუძველს არის მოკლებული.

ფინალური თეორიის წარმომადგენელთა თვალსაზრისით, გაუფრთხილებლობის დროს, განზრახვისგან განსხვავებით, ფინალურობა მიმართულია არა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგისკენ, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით ინდიფერენტულ შედეგზე. თუმცა, ფინალური თეორიის კრიტიკოსების შეხედულებით, თუ ფინალური თეორია ცდილობს გაუფრთხილებელი ქმედების ფინალურობა დაასაბუთოს, ამას იგი მხოლოდ იმით აღწევს, რომ თავის პრინციპებზე ხელს იღებს, ვინაიდან გაუფრთხილებელი მოქმედება იმით ხასიათდება, რომ ნებისყოფის შინაარსი და ფაქტიური კაუზალური პროცესი ერთმანეთს არ ემთხვევა.²³

ფინალური თეორიის ნაკლად განიხილავენ

¹⁷ აღნიშნული თეორიის მიმოხილვა იხ. *Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 173, §9 Rn. 7.*

¹⁸ *Baumann/Weber/Mitsch/Eisele, ebenda, S. 173, §9 Rn. 8-9.*

¹⁹ *Baumann/Weber/Mitsch/Eisele, ebenda, S. 174, §9 Rn. 11.*

²⁰ *Baumann/Weber/Mitsch/Eisele, ebenda, S. 175, §9 Rn. 13.*

²¹ *თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 163; თ. წერეთელი, ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა, „საბჭოთა სამართალი“, 1966, 2, გვ. 36.*

²² *Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 175, §9 Rn. 14.*

²³ *თ. წერეთელი, ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა, „საბჭოთა სამართალი“, 1966, 2, გვ. 33-34.*

იმას, რომ ქმედების ფინალობის დადგენა გარკვეულ სირთულეს ქმნის არაპირდაპირი განზრახვის დროსაც, ვინაიდან დამნაშავის მოქმედება იმ მიზნისკენაა მიმართული, რომელიც ქმედების შემადგენლობის მიღმაა. ფინალური მოძღვრების კრიტიკოსთა მიერ დამაკმაყოფილებლად არ მიიჩნევა ის, რომ აღნიშნული თეორია ათანაბრებს შუალედურ მიზანს და გვერდით შედეგს, რომელიც დამნაშავისთვის საბოლოო მიზანს წარმოადგენს. აღნიშნულთან დაკავშირებით სვამენ კრიტიკულ კითხვას, თუ ყველა მიზანი თანაბარმნიშვნელოვანია, როგორ უნდა მოხდეს დამნაშავის ქმედების დიფერენცირება მიზნის მიხედვით²⁴. არაპირდაპირი განზრახვის დროს, დამდგარი შედეგი არ არის დამნაშავის მიერ გამიზნული, იგი წარმოადგენს თანამდევ შედეგს და ამით განსხვავდება იგი პირდაპირი განზრახვისგან, სადაც დამდგარი შედეგი შეიძლება წარმოადგენდეს გამიზნულს. აღნიშნული არ გამორიცხავს დამნაშავის ფინალურ, მიზანდასახულ მოქმედებას არაპირდაპირი განზრახვის დროს, მაგრამ ის მიზანი, რომელიც დამნაშავის ქმედებას საფუძველად უდევს შეიძლება მოკლებულიც იყოს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. სწორედ ეს იწვევს კითხვას, რამდენად მართებული და დამაკმაყოფილებელია სისხლის სამართალში თანაბარ ადგილზე იქნას დაყენებული სისხლისსამართლებრივად რელევანტური და არარელევანტური მიზანი.

ფინალური თეორია ველცელის მოძღვრების მიხედვით, სირთულეს ქმნის არა მხოლოდ გაუფრთხილებლობით, არამედ უმოქმედობით დელიქტებშიც, ვინაიდან უმოქმედობის დროს არანაირი ზემოქმედება არ უნდა იყოს სახეზე, ხოლო მეორე მხრივ, ფინალურობა გულისხმობს ზემოქმედების სურვილს ან განხორციელების სურვილს. ფინალური თეორიის კრიტიკოსები თვლიან, რომ უმოქმედობის დროს ადგილი არ აქვს მიზნის დასახვას და მიზნის მისაღწევად საშუალების არჩევას. მოქმედი პირის ნება არ განიხილება მიზეზობრიობის წარმმართველ ფაქტორად. უმოქმედობის მიზეზობრიობის აღიარების შემთხვევაშიც თვლიან, რომ სახეზე არ არის უმოქმედობის აქტუალური ფინალობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჰანს ველცელი

და არმინ კაუფმანი უმოქმედობას მიიჩნევენ ადამიანური ქმედების მეორე, დამოუკიდებელ ფორმად. თუ მოქმედების დროს სახეზეა აქტუალური ფინალობა, უმოქმედობის დროს წარმოდგენილია პოტენციური ფინალობა.²⁵

როდესაც ხდება ფინალური თეორიის გაკრიტიკება უმოქმედობით დელიქტებთან მიმართებით, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება აღნიშნული კრიტიკა გადამეტებულიც იყოს. აუცილებელია გაიმიჯნოს უმოქმედობით დელიქტები. უმოქმედობით დანაშაულის განხორციელებისას ფინალობა აქტუალური სახით შეიძლება ყოველთვის არ იყოს სახეზე. ეს განსაკუთრებით ეხება იმ უმოქმედობით დელიქტებს, რომლებიც არ გადიან მომზადების და მცდელობის სტადიას. მაგალითად, წმინდა უმოქმედობის დელიქტი. როგორცაა დაუხმარებლობა, განსაცდელში მიტოვება და სხვა. აღნიშნული დანაშაულები შედეგგარეშე, ფორმალურ დანაშაულებს მიეკუთვნებიან და ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშანს არც წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირი. ამდენად არც შეიძლება დასახელებულ დელიქტებთან მიმართებით საკითხის დასმა, დამნაშავის ნება არის თუ არა მიზეზობრიობის წარმმართველი ფაქტორი. დაუხმარებლობის ან განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავის უმოქმედობა არ არის წინასწარ გამიზნული. როგორც კი მოვალეობის სუბიექტი მისთვის დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებს, დანაშაული განხორციელებულია. მოვალეობის შეუსრულებლობა შეიძლება უკავშირდებოდეს სხვადასხვა ფაქტორს. მაგალითად, ავტოავარიისას მძღოლის მიერ დაზარალებულის განსაცდელში მიტოვების დროს შიშს იმასთან დაკავშირებით, რომ სამართალდამცველები დააკავებენ. დაზარალებულის შემთხვევის ადგილზე მიტოვება შეიძლება განპირობებული იყოს შიშით და არა წინასწარ შემუშავებული გადანყვეტილებით, რომელიც კონკრეტული მიზნისკენ იქნებოდა მიმართული. რაც შეეხება შერეული უმოქმედობის დელიქტებს, რომლებსაც ზოგადად, მომზადების და მცდელობის სტადია ახასიათებს, არ არის მოკლებული აქტუალურ ფინალობას. მაგალითად, მკვლელობა. შეიძლება გარანტორმა მიზნად დაისახოს უმოქმედობით მისი ზრუნვის

²⁴ *Baumann/Weber/Mitsch/ Eisele*, ebenda, S. 175, §9 Rn. 16.

²⁵ *Baumann/Weber/Mitsch/ Eisele*, ebenda, S. 176, §9 Rn. 17.

ქვეშ მყოფი პირის სიცოცხლის მოსპობა, სადაც უმოქმედობით გამოწვეული შედეგი იქნება წინასწარ განზრახული, მიზნად დასახული.

ფინალური თეორიის კრიტიკასთან დაკავშირებით *თ. ნერეთელი* მიუთითებდა, რომ მოქმედების ცნებაში განზრახვის შეტანით, ხოლო მართლწინააღმდეგობის შესახებ მსჯელობის საფუძვლად განზრახვის აღიარებით ფინალურმა თეორიამ მართლწინააღმდეგობა წმინდა სუბიექტურ ცნებად გამოაცხადა, რითაც წაშალა ნათელი და მკვეთრი ზღვარი, რომელიც მანამდე არსებობდა მართლწინააღმდეგობის ობიექტური შინაარსის ცნებასა და ბრალის სუბიექტური შინაარსის ცნებას შორის.²⁶ თუმცა, აღნიშნული კრიტიკა არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან მართლწინააღმდეგობის დადგენა მოითხოვს იმის გარკვევას, მოქმედებდა თუ არა მოქმედი პირი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებაში. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების არსებობის საკითხი ვერ გადაწყდება მხოლოდ ობიექტურ გარემოებებზე დაყრდნობით, ქმედების გამამართლებელ სუბიექტურ გარემოებათა გაუთვალისწინებლად, რაც არ ნიშნავს, თვით მართლწინააღმდეგობის ობიექტური ხასიათის უარყოფას. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ხასიათისაა, მაგრამ ობიექტური ხასიათის მართლწინააღმდეგობის თუ მართლზომიერების დადგენისას მხედველობაში მიიღება სუბიექტური ნიშნებიც. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს მიზნის, როგორც სუბიექტური ნიშნის ფუნქციასთან დაკავშირებით, თვით *თ. ნერეთელის* შეხედულებიდანაც, როდესაც მართებულად მიუთითებს, რომ მოქმედი პირის მიზნის მიხედვით, შეიძლება ობიექტურად ორი ერთნაირი ქმედებიდან ერთი მართლწინააღმდეგოდ იქნას მიჩნეული, ხოლო მეორე მართლზომიერად.²⁷

1.3.4. სოციალური მოძღვრება

ქმედების სოციალური მოძღვრების მიხედვით, მნიშვნელოვანი კრიტერიუმია არა ადამიანური ქმედების ფინალობა, არამედ მისი სოციალური მნიშვნელობა. სოციალური მოძღვრების თანახმად, ქმედება შეიძლება შემდეგნაირად დახასიათდეს: „ნებელობითი ქმედება ზეგავენას ახდენს სოციალურ გარესამყაროზე“, ან ნებელობითი ზემოქმედება იწვევს სოციალურად მნიშვნელოვან შედეგს, ან ქმედება არის „სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა“²⁸ ან ქმედება არის „ობიექტურად ბატონობის ქვეშ მოქცეული ქცევა, რომელიც მიმართულია ობიექტურად განჭვრეტადი სოციალური შედეგისკენ“.²⁹

როგორც ცნობილია, სისხლის სამართალს მხოლოდ სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა აინტერესებს. პასუხისმგებლობის დაფუძნება სოციალურად მნიშვნელოვან ქმედებაზე, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შემუშავდეს მისაღები დოგმატური კონსტრუქცია იმ შედეგებისთვის, რომლებიც არ არიან განჭვრეტადი ან რომელზეც არ ხორციელდება ბატონობა. მაგალითად შეიძლება დასახელდეს შემთხვევა, როცა ჭეჭა-ქუხილის დროს ტყეში აგზავნიან მეტოქეს იმ სურვილით, რომ მეხი დაეცეს. მოცემულ შემთხვევაში, სოციალური მოძღვრების მიხედვით, ქმედება სახეზე არ არის,³⁰ ვინაიდან აღნიშნულ მოვლენებზე ბატონობის უნარს ადამიანი მოკლებულია, მას არ შეუძლია გამოიწვიოს ჭეჭა-ქუხილი და ზეგავლენა მოახდინოს ბუნების მოვლენებზე.

სოციალური მოძღვრების კრიტიკოსები სვამენ კითხვას, თუ როგორ უნდა გაიმიჯნოს სოციალურად მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო შედეგები. აღნიშნულთან დაკავშირებით უთითებენ, რომ ეს უნდა იყოს შეფასებითი. თუმცა, აღნიშნავენ იმასაც, რომ ასეთი მიდგომით ქმედებამ შეიძლება მოიცვას ის ფაქტორებიც, რომელიც მნიშვნელოვანია მოგვიანებით საფეხურზე შედეგის ობიექტური შერაცხვისთვის.³¹

²⁶ *თ. ნერეთელი*, ფინალური თეორია ბურჟუაზიულ სისხლის სამართალში და მისი კრიტიკა, „საბჭოთა სამართალი“, 1966, 2, გვ. 34-35.

²⁷ *Церетели Т.*, Причинная связь в уголовном праве, ნიგნში: სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2012, გვ. 220.

²⁸ *Jescheck H.-H., Weigend T.*, Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 223, §23 VI 1; *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau,

40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 36, Rn. 93; *Rengier R.*, Strafrecht, AT, 3. Aufl., München, 2011, S. 41, §7 Rn. 10.

²⁹ სოციალური თეორიის მიმოხილვა იხ. *Baumann/Weber/Mitsch/Eisele*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 176-177, §9 Rn. 18.

³⁰ *Baumann/Weber/Mitsch/Eisele*, ebenda, S. 177, §9 Rn. 19.

³¹ *Baumann/Weber/Mitsch/Eisele*, ebenda, S. 177, §9 Rn. 19.

1.3.5. ქმედების პერსონალური მოძღვრება

არტურ კაუფმანის ქმედების პერსონალური მოძღვრება სოციალურ მოძღვრებასთან ახლოს დგას, რომლის მიხედვითაც, ადამიანური ქმედება გაიგება როგორც „რეალობის პასუხისმგებლიანი გამოხატულება ადამიანის ნებით გამოწვეული კაუზალური შედეგით“.³² როქსინი, რომელიც ამავე მოძღვრების წარმომადგენელია, ქმედებას განმარტავს როგორც „პიროვნულობის გამოხატულებას“. აღნიშნული განსაზღვრება ადამიანური ქმედებიდან გამორიცხავს იმ ზემოქმედებებს, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის სხეულიდან და ხორციელდება „მე“-ს კონტროლის გარეშე, ადამიანის გონებრივ-ფსიქიკური დარღვევების ფონზე. თუ ადამიანი ძილში მოქმედებს ან ადგილი აქვს რეფლექსურ რეაგირებას, გამოირიცხება ადამიანის „პერსონალური გამოხატულება“, რომელიც ხორციელდება გონებრივი და ნებელობითი ბატონობის ქვეშ. ერთი მხრივ, ადამიანის ფიქრები და ნებელობითი ლტოლვა მიეკუთვნება პიროვნების გონებრივ-სულიერ სფეროს, მაგრამ სანამ ისინი რჩებიან შინაგანად, გარეგანი გამოხატულების გარეშე და არ იქნებიან შეკავშირებული იმასთან, რაც გარე სამყაროში მოხდა, ვერ იქნებიან მიჩნეული პიროვნულობის გამოხატულებად, მაშასადამე, ქმედებად.³³

იაკობსი განზრახი და გაუფრთხილებლობითი ქმედების გვარეობით ცნებად მიიჩნევს „ინდივიდუალურად თავიდან აცილებადი შედეგის გამოწვევას“.³⁴ ე. ი. ქმედება მაშინ არის განხორციელებული, თუ არსებობდა შედეგის თავიდან აცილების ინდივიდუალური შესაძლებლობა. აღნიშნული შესაძლებლობა არ არსებობს ძილში მოქმედების და რეფლექსური რეაქციის შემთხვევაში.

იაკობსის მსგავსად ოტოც ქმედებას აკავშირებს პიროვნების შესაძლებლობასთან „აიცილოს თავიდან აკრძალული ქმედება“. აღნიშნული თავიდან აცილებადობის მოდელი რეალურად ანაცვლებს ადამიანურ ქცევას, რომლის მიხედვითაც ქმედება მოიცავს იმ შეფასებებს,

რომლებიც მართლწინააღმდეგობას და ბრალს განეკუთვნება. ეს მკაფიოდ იკვეთება იაკობსის მიერ მოყვანილ მაგალითში: დამნაშავე სახლის სახურავიდან კრამიტს გადააგდებს გზის მიმართულებით. თუ დამნაშავეს არ შეუძლია გააცნობიეროს, რომ იქ, სადაც კრამიტი ისროლა, გზა არის გაყვანილი, ან კრამიტი, რომელიც ისროლა, იქ დავარდება, სადაც გზა გადის, მაშინ ქმედება (კრამიტის სროლა გზის მიმართულებით) არ არის სახეზე.³⁵ თუმცა, ქმედების მოცემულ ცნებას საფუძვლად უდევს ის კრიტერიუმი, რაც მის ბრალეულობას განსაზღვრავს, რაც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ.

1.3.6. ქმედების ნეგატიური ცნება

ქმედების ნეგატიური ცნება მოქმედებითი და უმოქმედობითი დელიქტის გამაერთიანებელ ნიშნად მიიჩნევს არა ნებელობით ქცევას, არამედ ქმედების შემადგენლობის განხორციელების თავიდან აცილებადობას. ქმედების ტრადიციული მოძღვრებისგან განსხვავებით, ქმედების ნეგატიური მოძღვრებისთვის აქტიური ქმედება არ წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის განხორციელების ძირითად ფორმას. პირიქით, შერეული უმოქმედობის დელიქტები მიიჩნევა ქმედების შემადგენლობის სრულად განხორციელების ნამდვილ გამოვლინებად: გარანტის მხრიდან ქმედების შემადგენლობის განხორციელების თავიდან აუცილებადობა თავიდან აცილების შესაძლებლობის მიუხედავად. გარანტის მიერ ქმედების შემადგენლობის განხორციელების თავიდან აუცილებადობა, როგორც გარკვეული ნეგატიური ნიშანი, არის საფრთხის წყარო.³⁶

განსახილველი მოძღვრების საწინააღმდეგოდ მიუთითებენ იმას, რომ ის სავსებით არ აღწერს ადამიანურ ქცევას, არამედ მის სისხლისსამართლებრივ შერაცხვას. ნეგატიური მოძღვრება რომ ქმედების ცნებას არ აყალიბებს, ამის საბუთად სახელდება ის, რომ აღნიშნული მოძღვრება ყურადღების მიღმა ტოვებს წმინდა უმოქმედობის დელიქტებს, მაშინ როცა

³² აღნიშნულ მოძღვრებაზე იხ. *Baumann/Weber/Mitsch/Eisele*, ebenda, S. 178, §9 Rn. 22.

³³ *Roxin C.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, 2006, S. 256, §8 Rn. 44.

³⁴ *Baumann/Weber/Mitsch/Eisele*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 178, §9 Rn. 23.

³⁵ *Baumann/Weber/Mitsch/Eisele*, ebenda, S. 178-179, §9 Rn. 23.

³⁶ აღნიშნულ მოძღვრებაზე იხ. *Baumann/Weber/Mitsch/Eisele*, ebenda, S. 179, §9 Rn. 24.

საკამათოდ არ მიიჩნევა, რომ მასაც საფუძვლად უდევს ადამიანური ქმედება.³⁷

1.4. შედეგი

შედეგში იგულისხმება ის ცვლილება გარესამყაროში, რომელიც ქმედების შემადგენლობითაა გათვალისწინებული და მოსდევს განხორციელებულ ქმედებას. შედეგში ყველანაირი ცვლილება არ მოიაზრება. შედეგი ზოგჯერ ისეთ ცვლილებას გულისხმობს, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერების მონაცემებით შეიძლება დადგინდეს და აღქმადია გრძნობის ორგანოებით. ასეთია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის დაზიანება, ნივთის დაზიანება და სხვა. ცალკეულ შემთხვევებში შედეგი ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებულ შეფასებით ნიშანს წარმოადგენს. ასეთ დროს შედეგის დადგომა დგინდება გონების თვალთ, შეფასების შედეგად. შეფასებითაა ისეთი შედეგი, როგორცაა „უფლებების არსებითი ხელყოფა“, „მნიშვნელოვანი ზიანი“ და ა. შ.

შედეგში მოიაზრება არა მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, არამედ ასევე საფრთხის შექმნაც. სამართლებრივ სიკეთეს შეიძლება შეექმნას აბსტრაქტული ან კონკრეტული, რეალური საფრთხე. შედეგია მხოლოდ კონკრეტული საფრთხის შექმნა, ვინაიდან კონკრეტული საფრთხე კონკრეტული საფრთხის დელიქტებში ქმედების შემადგენლობის ნიშანია. აბსტრაქტული საფრთხე იმიტომ ვერ ჩაითვლება დანაშაულებრივ შედეგად, რომ ის ქმედების თვისებაა და არა ქმედების შემადგენლობის ნიშანი, რომელიც მოსამართლემ უნდა დაადგინოს შეფასების შედეგად. ქმედების ზოგადი საშიშროება, ის რომ ქმედება აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის, მხედველობაში მიიღება ქმედების კრიმინალიზაციის დროს, რაც იმას ნიშნავს, რომ აბსტრაქტული საფრთხე არის არა დანაშაულებრივი შედეგი, არამედ ნორმის შექმნის

საკანონმდებლო მოტივი. დანაშაულებრივ შედეგს რომ კონკრეტული საფრთხე წარმოადგენს და არა აბსტრაქტული, იქიდანაც ჩანს, რომ მიზეზობრივი კავშირი დგინდება არა აბსტრაქტული საფრთხის, არამედ კონკრეტული საფრთხის დელიქტებში (მე-8 მუხ.). იქ სადაც მიზეზობრივი კავშირი დგინდება, საქმე ეხება შედეგიან დანაშაულებს, ხოლო მიზეზობრივი კავშირის დადგენის შეუძლებლობა კი მიუთითებს დანაშაულებრივი შედეგის არარსებობაზე.³⁸

სისხლის სამართლის ლიტერატურაში კონკრეტული საფრთხის შექმნის შედეგად მიჩნევასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს. თუ ავტორთა ნაწილი კონკრეტული საფრთხის შექმნას შედეგად მიიჩნევს,³⁹ მეორე ნაწილი შედეგის ასეთ ფართო ინტერპრეტაციას არ ემხრობა და შედეგის ქვეშ მხოლოდ სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას მოიაზრებს.⁴⁰ თუმცა, ამასთან ერთად, კონკრეტული საფრთხის დელიქტებს შედეგიან (ე. წ. მატერიალურ) დანაშაულებს მიაკუთვნებენ.⁴¹

შედეგს, როგორც ობიექტურ ნიშანს, ყველა ქმედების შემადგენლობა არ ითვალისწინებს. იმის მიხედვით, არის თუ არა შედეგი ქმედების შემადგენლობის ნიშანი, დანაშაულები იყოფა შედეგიან და შედეგარეშე დანაშაულებად. შედეგიან დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება განზრახ მკვლელობის შემადგენლობა (108-ე მუხ.), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შემადგენლობა (117-ე მუხ.). შედეგარეშე დანაშაულებია თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მუხ.), მძევლად ხელში ჩაგდება (144-ე მუხ.), ყაჩაღობა (179-ე მუხ.), ბანდიტიზმი (224-ე მუხ.) და ა. შ.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ შედეგს ვინრო და ფართო გაგებით. შედეგიან და შედეგარეშე დანაშაულებად დაყოფა გამომდინარეობს შედეგის ვინრო გაგებიდან. ფართო გაგებით შედეგი სახეზე შეიძლება იყოს შედეგარეშე დანაშაულებშიც.⁴² შედეგის ფართო გაგებით უშედეგო დანაშაული არც არსებობს.

³⁷ *Baumann/Weber/Mitsch/ Eisele*, ebenda, S. 179-180, §9 Rn. 25.

³⁸ *თ. ციციშვილი*, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 22-26.

³⁹ *ბ. ჰაინრიხი*, შედეგის განხორციელების ადგილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში, ნიგში: ოთარ გამყრელიძე 80, საიუბილეო სამეცნიერო კრებული, თბ., 2016, გვ. 318; *თ. ნერეთელი*, სისხლის სამართლის

პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 417; *მ. უგრეხელიძე*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 4-5.

⁴⁰ *მ. ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 180.

⁴¹ *მ. ტურავა*, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

⁴² *თ. ნერეთელი*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 409-412.

იმის გარკვევას, ესეა თუ არა საქმე შედეგად დასაშაულს, აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც, ვინაიდან თუ განხორციელებულ ქმედებას შედეგი არ მოჰყვება, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულის მომზადებად ან მცდელობად.

1.5. მიზეზობრივი კავშირი, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანი

თუ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი დადგა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს შორის. შეიძლება შედეგი დამდგარი იყოს, მაგრამ მიზეზობრივი კავშირის არარსებობის გამო ქმედების ჩამდენი მაინც დანაშაულის მომზადებისთვის ან მცდელობისთვის დაისაჯოს.

ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, შედეგად დანაშაულებში ქმედების დამთავრებულ დანაშაულად დასაკვალიფიცირებლად აუცილებელია არა მხოლოდ მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს შორის, არამედ შედეგის ობიექტურად შერაცხვაც. შედეგის ობიექტურად შერაცხვის მოძღვრების თანახმად, შედეგის ობიექტური შერაცხვა ქმედების ობიექტური შემადგენლობის დაუნერელი, ნორმატიული ნიშანია. მის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაუფრთხილებლობით და განზრახი დანაშაულის პრობლემატურ შემთხვევებში. სისხლის სამართლის ლიტერატურაში განიხილავენ ობიექტური შერაცხვის გამომრიცხავ გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში მიიღება იმის გასარკვევად, ობიექტურად შეერაცხოს თუ არა შედეგი მოქმედ პირს.⁴³

1.6. ქმედების შემადგენლობის ფაქულტატური ნიშნები

1.6.1. დანაშაულის ხერხი

ქმედების შემადგენლობის არსებითი ხასიათის ობიექტური ნიშნების გარდა არსებობს არაარსებითი, ე. წ. ფაქულტატური ობიექტური ნიშნები, რომელთაგან ერთ-ერთია დანაშაულის

განხორციელების ხერხი, რომელიც ზოგჯერ ძირითადი ქმედების შემადგენლობის ნიშანია, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში კვალიფიციური შემადგენლობის ნიშანი. ქურდობის შემადგენლობა (177-ე მუხ.) დანაშაულის ხერხად ფარულ მოქმედებას მოიაზრებს. აღნიშნული ნიშანი განსხვავებს ქურდობას ძარცვისგან (178-ე მუხ.), სადაც ქმედება აშკარა ხასიათს იძენს. 109-ე მუხლი მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობას.

1.6.2. დანაშაულის ჩადენის დრო

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის ცალკეულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩადენის დროის გათვალისწინება. მაგალითად, 411-ე მუხლით ისჯება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ქმედების განხორციელების დროის გათვალისწინება მნიშვნელოვანია ასევე სსკ-ის 301-ე (უკანონო ნადირობა), 162-ე (არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა), 162¹-ე (კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კომპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა), 163-ე (საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა), 164-ე (ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ხმების არასწორად დათვლა ან არჩევნების შედეგების არასწორად შეჯამება), 164¹-ე (ამომრჩევლის მოსყიდვა), 164²-ე (ყალბი დოკუმენტის საფუძველზე არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღება) და 164³-ე (არჩევნების გაყალბება) მუხლებით ქმედების კვალიფიკაციისთვის.

1.6.3. დანაშაულის ადგილი

დანაშაულის ჩადენის დროის გარდა ცალკეულ შემთხვევებში რელევანტურია დანაშაულის ჩადენის ადგილი და საშუალება. 301-ე

⁴³ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 215-259.

მუხლით უკანონო ნადირობად მიიჩნევა ნებართვის გარეშე ნადირობა როგორც აკრძალულ დროს, ისე აკრძალულ ადგილას. ხოლო 162¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გულისხმობს არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე **კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე**, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ან ძალადობის მუქარა.

1.6.4. დანაშაულის ჩადენის საშუალება და იარაღი

დანაშაულის ჩადენის იარაღი და საშუალება ზოგჯერ გვხვდება ქმედების ძირითადი შემადგენლობის ნიშნად, ხოლო სხვა შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. ისევე და ისევე უკანონო ნადირობის შემადგენლობა შეიძლება დავასახელოთ იმ შემთხვევადაც, როცა დანაშაულის იარაღი და საშუალება ქმედების ძირითადი შემადგენლობის ნიშანია. 301-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უკანონო ნადირობა გულისხმობს ნადირობას არა მხოლოდ აკრძალულ დროს ან ადგილას, არამედ ასევე ნადირობას აკრძალული იარაღით ან საშუალებით. 109-ე მუხლით კი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრულია მკვლელობის განხორციელება ისეთი საშუალებით, რომელიც საშიშია სხვისი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის.

1.7. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ქმედების შემადგენლობა ზემოთ განხილული ობიექტური ნიშნების გარდა შეიცავს სუბიექტურ ნიშნებსაც, რომლებიც ასევე მეტად მნიშვნელოვანია ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისთვის. ქმედების შემადგენლობა არ არის მხოლოდ ობიექტური ნიშნების ერთიანობა, როგორც ეს დანაშაულის კლასიკური სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნდათ. კლასიკური სკოლის წარმომადგენლები ყველა სუბიექტურ ნიშანს დანაშაულის მესამე ნიშანს – ბრალს მიაკუთვნებდნენ, რაც საკითხის არასწორ გადაწყვეტას წარმოადგენდა. მხოლოდ ობიექტურ ნიშნებზე დაყრდნობით შეუძლებელია

ერთი ქმედების შემადგენლობა მეორე ქმედების შემადგენლობისგან გაიმიჯნოს. განზრახ მკვლელობის და გაუფრთხილებლობით სხვისი სიცოცხლის მოსპობის შემადგენლობები ერთმანეთისგან სწორედ სუბიექტური ნიშნებით – შედეგისადმი დამოკიდებულებით განსხვავდებიან. მათ შორის სხვაობა არ არის ობიექტურ ნიშნებში. ორივე დანაშაული შედეგიანია, ერთი და იმავე სიკეთის წინააღმდეგაა მიმართული და დანაშაულის დასრულება ორივე შემთხვევაში უკავშირდება შედეგის დადგომას. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის ტიპის განსაზღვრაში სუბიექტური ნიშნები მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ.

1.7.1. მიზანი

ქმედების შემადგენლობის სუბიექტური ნიშნებია: მიზანი, მოტივი, განზრახვა. ქმედების შემადგენლობაში სუბიექტური ნიშნების შემოტანის თვალსაზრისით პირველად ნაბიჯი გადაიდგა ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენელთა მხრიდან, რომლებმაც ქმედების შემადგენლობის ნიშნად მიიჩნიეს ისეთი სუბიექტური ნიშანი, როგორიც მიზანია. ასე მივიღეთ ქმედების ობიექტური შემადგენლობის გვერდით სუბიექტური შემადგენლობა. მიზანი რომ ქმედების შემადგენლობის სუბიექტური ნიშანია, ამაზე მეტყველებს მიზნით დაფუძნებულ დელიქტთა შემადგენლობები.

მიზანი არა მხოლოდ სსკ-ის შესაბამისი მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ იმის დასადგენადაც, ქმედება განხორციელდა თუ არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებაში, რომელიც ქმედების მართლზომიერების ობიექტური წინაპირობების გარდა გამამართლებელ სუბიექტურ ნიშნებსაც გულისხმობს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზანი. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებაში განხორციელებული ქმედება დასახელებული ნიშნითაა დეტერმინირებული. ობიექტურად ერთნაირი ქმედება მიზნის გათვალისწინებით ერთ შემთხვევაში შეიძლება მართლწინააღმდეგოდ შეფასდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში

მართლობიერად.⁴⁴ მაგალითად, სხვის ბინაში შესვლა თუ ხდება ნებართვის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ირღვევა სხვისი ბინის ხელშეუხებლობა, მართლობიერად შეფასდება, თუ ქმედება განხორციელდა გაზის გაჟონვის გამო გაგუდვისგან ბინაში მყოფი ბავშვის გადასარჩენად. იგივე ქმედება დასახლებული მიზნის გარეშე მართლსაწინააღმდეგოდ შეფასდება.

მოქმედი პირის მიზანი არსებით მნიშვნელობას იძენს დანაშაულებრივი ქმედებით ხელყოფილი სიკეთის განსაზღვრის თვალსაზრისით.⁴⁵ თუ რომელი სიკეთის წინააღმდეგ იყო მიმართული დანაშაულებრივი ქმედება, ამის დადგენაში სწორედ მოქმედი პირის მიზანი გვეხმარება. ობიექტურად ერთნაირი ქმედება მოქმედი პირის მიზნის გათვალისწინებით ერთ შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს სიცოცხლის წინააღმდეგ განხორციელებულად, ხოლო მეორე შემთხვევაში ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულად.

1.7.1.1. მიზანი, როგორც უმართლობის დამაფუძნებელი გარემოება

როგორც ზემო როგორც უკვე აღინიშნა, დელიქტების ერთ-ერთი სახე მიზნით დაფუძნებული დელიქტებია, როგორცაა: 177-ე (ქურდობის), 178-ე (ძარცვის), 179-ე (ყაჩაღობის), 407-ე (გენოციდის) მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობები. დასახლებულ დელიქტებს იმიტომ ჰქვია მიზნით დაფუძნებული, რომ სისხლისსამართლებრივ უმართლობას მიზანი აფუძნებს. აღნიშნული მიზნის გარეშე ქმედება შესაბამისი მუხლებით ვერ დაკვალიფიცირდება. მართლწინააღმდეგობაზე მსჯელობას არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ გარეგანი ხდომილება.⁴⁶ თუ ყველა სუბიექტურ ნიშანს, მათ შორის მიზანს, ყოველთვის ბრალის ნიშნად მივიჩნევთ, მივალთ მცდარ დასკვნამდე, რომ სისხლისსამართლებრივ უმართლობას ბრალის ნიშანი განსაზღვრავს. არ შეიძლება უმართლობას ბრალის ნიშანი განსაზღვრავდეს,

ვინაიდან ბრალი არ არის უმართლობის ნიშანი და ის უმართლობის მიღმაა. უმართლობა შეიძლება განისაზღვრონ მხოლოდ ისეთი ნიშნებით, რომლებიც უმართლობას განეკუთვნებიან.

თუ მიზანი უმართლობას აფუძნებს, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტური ნიშანია, ობიექტურ ხასიათს იძენს და მის შესარაცხად თანამონაწილისთვის საკმარისია მხოლოდ იმის გაცნობიერებაც, რომ ამსრულებელი კონკრეტული მიზნით მოქმედებს. ქურდობაში თანამონაწილეობისთვის არ არის აუცილებელი, თანამონაწილეს სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით მოქმედებდეს. საკმარისია ის, რომ გაცნობიერებული აქვს ამსრულებლის მოქმედების მიზანი. მაშინ როცა თანამონაწილეს არ მოეთხოვება ქურდობის უმართლობის დამაფუძნებელი მიზნით მოქმედება, ამსრულებლისთვის აღნიშნული მიზანი აუცილებელია. სხვაგვარად ქურდობის ამსრულებლობა გამოირიცხება.

1.7.1.2. მიზანი, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება

თუ მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში მიზანი უმართლობას აფუძნებს, ცალკეულ შემთხვევებში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს. 109-ე მუხლი მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს მკვლელობას დანაშაულის დაფარვის ან დანაშაულის ჩადენის გადავილების მიზნით, მკვლელობას მსხვერპლის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით. აღნიშნულ შემთხვევაში მიზანს ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ გარემოებად განიხილავენ.⁴⁷ საგულისხმოდ უნდა მივიჩნიოთ ის შეხედულება, რომელიც მიზნის საფუძველზე

⁴⁴ *Церетели Т.*, Причинная связь в уголовном праве, წიგნში: სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2012, გვ. 220.

⁴⁵ *გ. ნაჭყებია*, წიგნში: სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, თბ., 2016, გვ. 172.

⁴⁶ *ო. გამყრელიძე*, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2013, გვ. 29.

⁴⁷ *ბ. თოდუა*, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამამძიმებელი ან პრივილეგირებული შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანამსრულებლისა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 29-33.

არა მხოლოდ ბრალის, არამედ ასევე უმართლობის გაზრდილ ხარისხზეც მიუთითებს.⁴⁸

მიზანი სისხლისსამართლებრივ უმართლობას აფუძნებს თუ ბრალის ხარისხს განსაზღვრავს ამის გარკვევა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მას აქვს არსებითი მნიშვნელობა როგორც ამსრულებლის, ისე თანამონაწილის ქმედების მართებული კვალიფიკაციისთვის.

როდესაც მიზანი არ არის უმართლობის დამაფუძნებელი ნიშანი მისი მიჩნევა ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ პერსონალურ ნიშნად გამოიწვევს მის შერაცხვას მხოლოდ იმ დამნაშავეისთვის, რომლის მხარესაც ის არის. ბრალის ხარისხის განმსაზღვრელი ნიშნის შერაცხვისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ იმის გაცნობიერება რომ აღნიშნული გარემოება ამსრულებლის მხარესაა. თუ მკვლელისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მიზანი უმართლობის ხარისხის განმსაზღვრელ გარემოებად იქნა მიჩნეული, თანამონაწილისთვის მის შესარაცხად და ქმედების სსკ-ის 109-ე მუხლით დასაკვალიფიცირებლად საკმარისი იქნება ამსრულებლის მიზნის გაცნობიერება.

1.7.1.3. მიზანი, როგორც დანაშაულის მაპრივილეგირებელი გარემოება

მიზანი სსკ-ის ზოგიერთი მუხლით მაპრივილეგირებელ გარემოებად ანუ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ ნიშნადაა გათვალისწინებული. თუ მკვლელობა განხორციელებულია მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით, ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლების მიზნით, ქმედება 110-ე მუხლით კვალიფიცირდება. აღნიშნული მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია კუმულაციურად სხვადასხვა გარემოების არსებობა, რომელთაგან ერთ-ერთია მსხვერპლის ძლიერი ფიზიკური ტკივილისგან გათავისუფლების მიზანი. დამნაშავე მსხვერპლის დაჟინებული თხოვნითაც რომ მოქმედებდეს, ქმედება 110-ე მუხლით მაინც ვერ დაკვალიფიცირდება, თუ მკვლელობა არ არის განხორციელებული ძლიერი ფიზიკური ტკივილისგან მსხვერპლის გათავისუფლების მიზნით.

გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მიზანი ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ გარემოებად მიიჩნევა, როცა ის ამსუბუქებს პასუხისმგებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი პერსონალურ ხასიათს იძენს და პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მიზნის მსგავსად მხოლოდ იმ დამნაშავეს ერაცხება, ვინც აღნიშნული მიზნით მოქმედებს.⁴⁹ თუმცა, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ მიზანს არა მხოლოდ ბრალის, არამედ უმართლობის დამამძიმებელ გარემოებადაც თუ განვიხილავთ, ჩნდება კითხვა, რამდენად მიზანშეწონილი იქნება მაპრივილეგირებელი მიზანი განვიხილოთ ისეთ ნიშნად, რომელიც მხოლოდ ბრალის ხარისხზე მოახდენს გავლენას.

1.7.2. მოტივი

სუბიექტური მომენტებიდან აღსანიშნავია ისეთი გარემოებაც, როგორც არის მოტივი. მოტივი არის ფსიქოლოგიური ცნება, მაგრამ მას აქვს განსაზღვრული მნიშვნელობა სისხლის სამართალში. მანამ სანამ მოტივის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობაზე ვისაუბრებდეთ, უნდა გავარკვიოთ რა მოიაზრება ფსიქოლოგიაში მოტივის ცნების ქვეშ.

ფსიქოლოგიაში მოტივს მოქმედების საფუძველს უწოდებენ. სანამ ადამიანი გადაწყვეტილებას მიიღებს, მას წინ უსწრებს მოტივაციის პროცესი, რომელსაც ბოლოს მოსდევს გადაწყვეტის აქტი.⁵⁰ მოტივაციის ცნებას შეუძლია უპასუხოს კითხვას – რა ამოძრავებს, რა წარმართავს ადამიანის ქცევას.⁵¹

მოტივი ქცევის ღირებულების უპირატესობის გაცნობიერებას უკავშირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სანამ ადამიანი გადაწყვეტდეს მოქმედებას და ჩამოუყალიბდებოდეს მოტივი, აფასებს, თუ რა სახის ქმედება განხორციელოს. ამიტომ გადაწყვეტილების მიღების პროცესს წინ შეიძლება უძღოდეს ხანგრძლივი ფიქრი და ყოყმანი.⁵²

მოტივი არის ის, რაც ქცევას მნიშვნელობას აძლევს, რომლის გარეშეც იგი უბრალო ფიზიკური ფაქტი იქნებოდა.⁵³ ქცევის შეფასება ხდება სწორედ იმის გათვალისწინებით, თუ რა მოტივი ედო მას საფუძველად. ობიექტურად

⁴⁸ ი. დვლიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 79, 136.

⁴⁹ ნ. თოდუა, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

⁵⁰ დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 2006, გვ. 207.

⁵¹ რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1986, გვ. 546.

⁵² დ. უზნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

⁵³ დ. უზნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 210-211.

ერთი და იგივე სახის მოქმედება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მოტივით. მაგალითად, მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იყოს შურისძიების, ეჭვიანობის ან ანგარების მოტივით. ზოგჯერ შეიძლება ქმედებას საფუძვლად ედოს გასაკიცხი მოტივი, რომელიც უარყოფით შეფასებას იმსახურებს, ხოლო ობიექტურად იგივე სახის ქმედება მეორე შემთხვევაში განპირობებული იყოს ისეთი მოტივით, რომელიც მონონების და შექების ღირსია.

ფიზიკურად ერთი და იგივე ქცევა ფსიქოლოგიურად სხვადასხვა ქცევად წარმოგვიდგება იმის მიხედვით, თუ რა მოტივი ედო საფუძვლად. ფსიქოლოგიურად იმდენი ქცევა არსებობს, რამდენ განსხვავებულ მიზანსაც ემსახურება იგი.⁵⁴

ლიტერატურაში ხშირია მოტივის და მიზნის გაიგივების ტენდენცია, რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. მოტივის და მიზნის გამიჯვნასთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი ითქვას: მოტივი მიგვითითებს იმაზე, თუ რატომ განხორციელდა დანაშაული, ხოლო მიზანი არის ის, რისკენაც დამნაშავე მიისწრაფის⁵⁵ ანუ საბოლოო შედეგი.⁵⁶ არსებობს სხვადასხვა სახის მოტივი, როგორცაა: ეჭვიანობა, შურისძიება, ანგარება, შეუწყნარებლობის მოტივი და ა. შ.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში როდესაც ვსაუბრობთ მოტივზე და მის მნიშვნელობაზე, პასუხი უნდა გავცეთ კითხვას, უნდა მოხდეს მოტივის ფსიქოლოგიური ცნების გამოყენება, თუ სისხლის სამართალმა უნდა შეიმუშაოს მოტივის სისხლისსამართლებრივი ცნება? აღნიშნულთან დაკავშირებით მართებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართალმა უნდა გამოიყენოს მოტივის ის ცნება, რომელიც ფსიქოლოგიაშია მიღებული.⁵⁷ თუმცა, ამავდროულად უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართალს აინტერესებს მოტივი არა როგორც ადამიანური ქცევის კაუზალური მიზეზი, არამედ მოტივი, რომე-

ლიც ქმედებას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს. მაშასადამე საქმე ეხება მოტივის ჰერმენევტიკულ ცნებას. ქმედების ჰერმენევტიკა გულისხმობს ქმედების გაანალიზებას შიგნიდან.⁵⁸

როდესაც საუბარია მოტივზე სისხლის სამართალში, მხედველობაშია მოტივი, რომელიც განზრახ ქმედებას უდევს საფუძვლად, ვინაიდან ასეთ დროს აქვს მოტივს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა. მოტივი შეიძლება გაუფრთხილებლობის დროსაც იყოს სახეზე, ვინაიდან ადამიანის მოქმედება, აქტივობა, ყოველთვის განსაზღვრული მოტივით და მიზნით არის წარმართული, მაგრამ გაუფრთხილებლობის დროს არსებული მოტივი სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას არის მოკლებული. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ მოტივი, როგორც პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი, დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოება, ყოველთვის მხოლოდ განზრახ დელიქტებშია წარმოდგენილი.

1.7.2.1. მოტივის ფორმები

სისხლის სამართლის ლიტერატურაში ავტორები გვთავაზობენ მოტივთა ფორმების კლასიფიკაციას. მაგალითად, წინდახედულების მოტივი (*vorausschauendes Motiv*), რომელიც გულისხმობს გარკვეული მიზნის მიღწევის გასაადვილებლად განხორციელებულ ქმედებას. *პ. ალვარტი* მეორე სახედ გამოყოფს თანამდეგ მოტივს (*begleitendes Motiv*), რომელიც საბოლოოდ არ მიიჩნევა გასათვალისწინებლად. შემდეგ სახედ სახელდება რეტროსპექტიული მოტივი (*rückschauendes Motiv*). აღნიშნული გულისხმობს მდგომარეობას, სადაც ვინმე მოქმედებს განსაზღვრული არსებული ფაქტების თუ ქმედებასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომის საფუძველზე.⁵⁹

რეტროსპექტიული მოტივი გადმოცემულია

⁵⁴ დ. უზნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 211.

⁵⁵ გ. ტყეშელიაძე, ნიგნში: გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 142-143; ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 29-30.

⁵⁶ თ. შავგულიძე, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, თბ., 1981, გვ. 70; გ. ტყეშელიაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

⁵⁷ ალ. ვაჩიშვილი, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957, გვ. 7.

⁵⁸ Alwart H., Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, S. 437.

⁵⁹ Alwart H., dasax. naSr., gv. 438.

სიტყვით, რომელიც ქმედების მიზეზზე მიუთითებს (*Weil-Sätze*). აღნიშნული სახის მოტივს ალვარტი უწოდებს „*Weil-Motiv*“-ს. მოტივი, რომელიც მომავალში განსახორციელებელ ქმედებას უკავშირდება გადმოცემულია მიზანდასახულობასთან დაკავშირებული, ფინალური (*Um-zu Satz*) სიტყვით („*Um-zu-Motiv*“-ი). „*Weil-Motiv*“-ი ეფუძნება წარსულში განხორციელებულ ქმედებას. მაგალითად, მე მინდა მეგობარს მივართვა საჩუქარი, იმიტომ რომ, დაბადების დღეს მან დამასაჩუქრა.⁶⁰ როცა ქმედება განპირობებულია „*Weil-Motiv*“-ით, ქმედება წარმოგვიდგება როგორც რეაქცია განცდილ ქმედებასთან დაკავშირებით. „*Um-zu-Motiv*“-ი ამის საპირისპიროს ითვალისწინებს. აქ ქმედების სუბიექტური არსი კონსტრუირებულია მომავალზე.⁶¹

სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიღებულია მოტივთა სხვაგვარი კლასიფიკაციაც, როგორცაა: მორალური, სოციალური, ამორალური, ანტისოციალური მოტივები. აგრეთვე მიუთითებენ ალტრუისტულ, პოლიტიკურ, რელიგიურ, ეგოისტურ მოტივებზე. ხოლო ავტორთა ნაწილი ახდენს მოტივთა კლასიფიკაციას შემდეგი სახით: 1) მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია იდეურ მოვლენებთან: ა) ზოგადსოციალური მოტივები: მორალურ-პოლიტიკური მოტივები (მაგალითად, რასობრივი შეუწყნარებლობა); მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია ესთეტიკურ მოთხოვნილებასთან, ინტერესებთან, მისწრაფებებთან, გემოვნებასთან; რელიგიური ხასიათის მოტივები; ბ) პირადი ხასიათის მოტივები: ეგოისტური ხასიათის მოტივები (კარიერიზმი, შური, ეჭვიანობა, შურისძიება, უპატივცემულობა, სიხარბე, ანგარება); გ) არაეგოისტური მოტივები, გამოხატული პიროვნების კომუნიკაციურ თვისებაში (მომჭირნეობა, სიჯიუტე, თავმოყვარეობა, სიყვარული, სიზარმაცე); მოტივები, დაკავშირებული პიროვნების ხასიათთან (სიამოვნება, უსიამოვნება, კმაყოფილება, უკმაყოფილება, ნაღვლიანობა, სევდა, სიხარული); აფექტური ხასიათის მოტივები; მოტივები, რომლებიც სხვა მოთხოვნილებებს და ინტერესებს

უკავშირდება და სხვა; 2) საგნობრივი ხასიათის მოტივები, რომლებიც საგნისადმი დაინტერესებას უკავშირდება.⁶²

მოტივთა ტიპიზაციას იცნობს არა მხოლოდ სისხლის სამართლის ლიტერატურა, არამედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაც. მაგალითად, სსკ-ის 326-ე მუხლის 1-ლ ნაწილში (საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა) კანონმდებელი მიუთითებს **პოლიტიკურ მოტივზე**, როგორც ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ალტერნატიულ ნიშანზე, ხოლო 341-ე მუხლი (სამსახურებრივი სიყალბე) კი ქმედების სუბიექტურ ალტერნატიულ ნიშნად ითვალისწინებს მოქმედებას **პირადი მოტივით**. ანალოგიური სახის მითითებებს მოტივთან დაკავშირებით ვხვდებით სსკ-ის სხვა მუხლებშიც (მაგალითად, 363-ე მუხლი).

ზემოთ საუბარი იყო მოტივთა კლასიფიკაციაზე, მაგრამ საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ განხილული სახის ყველა მოტივი არის მოტივი, რომელიც ქმედებას განაპირობებს და იძლევა შესაძლებლობას, დადგინდეს, თუ რატომ იქნა ქმედება განხორციელებული და როგორი იყო მოქმედი პირის განწყობა დანაშაულის ჩადენის დროს, რაც ზეგავლენას ახდენს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაზე თუ სასჯელის ზომის განსაზღვრაზე.

1.7.2.2. შეიძლება თუ არა ადგილი ჰქონდეს მოტივთა კონკურენციას?

მოტივზე, როგორც ქცევის ფსიქოლოგიურ საფუძველზე საუბრისას ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა ქმედებას საფუძვლად ედოს სხვადასხვა მოტივი? ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, ქმედების განხორციელებისას შეიძლება სახეზე იყოს მოტივთა სიმრავლე, რომელსაც სხვაგვარად მოტივთა ბრძოლასაც უწოდებენ. აღნიშნული თვალსაზრისით, თუ სახეზეა მოტივთა სიმრავლე ქცევის

⁶⁰ Alwart H., dasax. naSr., gv. 439.

⁶¹ Alwart H., dasax. naSr., gv. 439-440.

⁶² Харашивили Б.В., Вопросы мотива поведения преступника в советском праве, Тбилиси 1963, С. 50-63.

ლიტერატურაში მიღებულია მოტივთა სხვაგვარი კლასიფიკაციაც. იხ. *ი. დვალიძე*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციაზე და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 43-59.

შეფასებისას უნდა მოხდეს იმ მოტივის გათვალისწინება, რომელიც დომინანტურია.⁶³ მაშასადამე, ქმედება შეიძლება ეფუძნებოდეს სხვადასხვა მოტივს. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულ იქნა არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში ცალკეულ ავტორთა მიერ, არამედ ასევე გერმანულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაშიც.⁶⁴

ჰ. ალვარტი თვლის, რომ ქმედებას სხვადასხვა მოტივი რომ ედოს საფუძვლად, საჭიროა მოტივთა ორმხრივი თავსებადობა და იყენებს სპეციალურ ტერმინს იმ შემთხვევის გამოსახატად, როცა სახეზეა ქმედების განმაპირობებელი სხვადასხვა მოტივი. კერძოდ, მას უწოდებს მოტივთა შეკავშირებას (*Motivverknüpfungen*), რომლისგანაც მიჰწავს მოტივთა შეუთავსებლობის შემთხვევას, რომელსაც უწოდებს „მოტივთა კოლიზიას“ (*Motiv-Kollision*). ეს უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ მოტივები ერთმანეთს კი არ შეესაბამებიან, არამედ გამორიცხავენ. ავტორი ასევე ახდენს მოტივთა შეკავშირების სხვადასხვა შემთხვევის კლასიფიკაციას. მაგალითად, მოტივთა შეკავშირების ერთ შემთხვევაში (*Motiv-Kopplung*) ცალკეული მოტივი წარმოაჩენს არა მთლიან ქმედებას, არამედ მის მხოლოდ ერთ ასპექტს. მოტივთა შეკავშირების მეორე შემთხვევაში საქმე ეხება მიზანსა და საშუალებას შორის კავშირს. მოქმედ პირს სურს საშუალება, ვინაიდან სურს მიზანი (შედეგი). მაგალითად, სროლა არის მკვლელობის საშუალება. მეორე მხრივ, სროლასთან მიმართებით მკვლელობა არის მიზანი. სხვა მხრივ, მკვლელობა არის შემდგომი მიზნის, მემკვიდრეობის მიღების საშუალება (მოქმედ პირს სურს ესროლოს, იმიტომ რომ მოკლას და მემკვიდრეობა მიიღოს). მეორე ჯგუფის მოტივთა შეკავშირებისთვის (*Motiv-Implikation*) დამახასიათებელია ის, რომ „ბოლო“ მოტივი წინა მოტივს აფუძნებს და წინა და ბოლო მოტივი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ჰ. ალვარტის თქმით, აქ საქმე ეხება მოტივთა „იერარქიულ რიგს“. მესამე

ჯგუფის მოტივთა შეკავშირების (*Motiv-Konjunktion*) დროს სულ მცირე ორი მოტივი ერთ ქმედებას განაპირობებს. მაშასადამე, სახეზეა თანაბარი რანგის მოტივთა სიმრავლე. აღნიშნულ შემთხვევაში ქმედება შეიძლება არა მხოლოდ ერთი მოტივის საფუძველზე აიხსნას, არამედ სხვადასხვა მოტივების საფუძველზე.⁶⁵

Motiv-Konjunktion-ის მაგალითად აღვარტს მოყავს შემდეგი შემთხვევა: პირი ახორციელებს მკვლელობას ორი მიზეზით. ერთი მხრივ იმისთვის, რომ მის ქვრივთან იქორწინოს, ხოლო მეორე მხრივ, იმისთვის, რომ განყოფილების გამგის თანამდებობა დაიკავოს, რომელიც მანამდე მსხვერპლს ეკავა. მოცემულ შემთხვევაში მკვლელობა განხორციელებულია ორი თანაბარი რანგის მიზნით, რომლებიც საკმარისი აღმოჩნდა ქმედების განსახორციელებლად. სხვა შემთხვევაში შეიძლება ქმედებას საფუძვლად ედოს არა ორი გულზრახვა (*zwei Intentionen*), არამედ მხოლოდ ერთი *Weil-Motiv*-ი. მაგალითად, დამნაშავემ მკვლელობა იმიტომ გადაწყვიტა, რომ განყოფილების გამგე გამხდარიყო და აგრეთვე იმის გამო, რომ მკვლელობა მსხვერპლმა სთხოვა.⁶⁶ მოცემულ შემთხვევაში ავტორი უარყოფს ორი მოტივით მოქმედებას, რაც გასაზიარებელია. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე მსხვერპლის თხოვნასაც ითვალისწინებს მკვლელობასთან დაკავშირებით და ქმედება ხორციელდება თანამდებობის მოპოვების მიზნით, ქმედებას მაინც ერთი მოტივი უდევს საფუძვლად, რომელიც არის ქმედების წარმართველი. თანამდებობის მოპოვების გამო მკვლელობას საფუძვლად შეიძლება ედოს ისეთი მოტივი, როგორც არის კარიერიზმი. ხოლო, თუ თანამდებობის მოპოვება დამნაშავეს სურს მატერიალური გამორჩენის მისაღებად, მოტივად ანგარება შეიძლება მივიჩნიოთ. ორივე მოტივი შეუთავსებელია სიბრალულის მოტივთან, რომელიც შეიძლება ედოს საფუძვლად მკვლელობას მსხვერპლის თხოვნით. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში შეუძლებელია მკვლელობის მოტივებად

⁶³ ალ. ვაჩეიშვილი, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957, გვ. 18; თ. ნერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., 2007, გვ. 268; მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 41; მ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, გვ. 54-55.

⁶⁴ აღნიშნულის შესახებ იხ. Alwart H., Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, S. 436-437, 441.

⁶⁵ Alwart H., dasax. naSr., gv. 441-442.

⁶⁶ Alwart H., dasax. naSr., gv. 442.

დასახელდეს როგორც ანგარება ან კარიერიზმი, ამასთან მსხვერპლის სიბრალული. დასახელებული მოტივებიდან ქმედებას მხოლოდ ერთ-ერთი შეიძლება განაპირობებდეს.

ავტორთა ერთი ნაწილი მიუთითებს, რომ შეიძლება შურისძიებისა და ეჭვიანობის მოტივებს შორის წარმოიშვას კონკურენცია, როცა ეჭვიანობა შურისძიების წარმოშობის საფუძველია. ასეთ დროს ქმედების კვალიფიკაციისას უპირატესობა უნდა მიეცეს მოტივს, რომლითაც დამნაშავე ხელმძღვანელობს. ამიტომ უნდა დადგინდეს დამნაშავეს ნამდვილი მოტივი.⁶⁷ აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. თუ კონკრეტული მოტივი საფუძვლად არ უდევს განხორციელებულ ქმედებას, ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენისას ის არც არსებობდა. ხოლო არარსებული მოტივი არსებულს კონკურენციას ვერ გაუნევედა. ნათქვამის სისწორეს კიდევ უფრო ასაბუთებს ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითი და მსჯელობა, სადაც დამნაშავეს მიერ ცოლის მკვლელობის საფუძვლად დასახელებულია ცოლის ღალატი, რამაც დამნაშავეს შურისძიების მოტივი ჩამოუყალიბა.⁶⁸ თუ დამნაშავემ იცოდა, რომ ცოლი ღალატობდა და ამის გამო მოკლა, დანაშაული მიჩნეულ უნდა იქნას შურისძიების მოტივით ჩადენილად. ეჭვიანობა მაშინ იქნებოდა სახეზე, თუ მოქმედ პირს ეჭვი ექნებოდა იმაზე, რომ ცოლი შეიძლება მოღალატე ყოფილიყო. როდესაც მკვლელობა ხდება ცოლ-ქმრული ღალატის გამო და აღნიშნულზე მოქმედი პირი მკვლელობამდე კი არ ეჭვიანობდა, არამედ დარწმუნებული იყო, ეჭვიანობის მოტივი გამოირიცხება. მოტივთა კონკურენციზე საუბარს მაშინ ექნებოდა საფუძველი, თუ დანაშაულის ჩადენის დროს სახეზე იქნებოდა ორი მოტივი, რაც მეტად საკამათოა.

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში მიუთითებენ, რომ შეცდომა იქნება მკვლელობისას ანგარების გვერდით ქმედების სხვა მოტივის გამორიცხვა. შემთხვევას, როცა სახეზეა მოტივთა სიმრავლე, გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში სპეციალური ტერმინით მოიხსენიებენ (*Motivbündel*) და მიუთითებენ, რომ ასეთ დროს დამნაშავეს პიროვნების

შესაფასებლად უნდა მოხდეს ყველა მოტივის დადგენა და გათვალისწინება, რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების მიღებას. თუმცა, ამავდროულად ხდება დომინანტი მოტივის უპირატესობაზე მითითება.⁶⁹ ჰ. ალვარტი აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს იმ არგუმენტით, რომ მისი შეხედულებით, ანგარების მოტივი არ შეიძლება იყოს მოტივთა სიმრავლის შემადგენელი ნაწილი.⁷⁰

მოტივთა ბრძოლის და კონკურენციის იდეას იზიარებს ასევე ბ. ჯიშკარიანი, რომელსაც აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „ა-ს ავტოავარიის შედეგად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიადგა და სიკვდილის პირას იყო. ამასთანავე, მას აუტანელი ტკივილი ტანჯავდა. ა-მ თავის ცოლს, ბ-ს სთხოვა, მისთვის, ფარულად, ნემსით სანამლავი გაეკეთებინა და ამ კომპარისგან გაეთავისუფლებინა. თხოვნა სრულიად სერიოზული იყო და ა-მ ის ცოლს გარკვეული პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე გაუმეორა. საბოლოოდ, ცოლი მის ნებას დაჰყვა, რათა მეუღლე არ დატანჯულიყო. ამასთანავე, არც იმის საწინააღმდეგო ჰქონდა რაიმე, რომ ა-ს მთელი ქონება მას დარჩებოდა“. ავტორი თვლის, რომ მოცემულ კაზუსში სახეზეა როგორც სიბრალულის, ისე ქონების მიღების (მაშასადამე, ანგარების) მოტივი, თუმცა დომინანტურია სიბრალულის მოტივი. ამას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ ცოლს ქმრისთვის ნემსის გაკეთების გადაწყვეტილება გამდიდრების გამო არ მიუღია, რის გამოც გამდიდრების მოტივს მიიჩნევს არა ძირითად, არამედ „თანამდევ“ მოტივად.⁷¹ ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თუ მოტივი გადაწყვეტილების საფუძველია, არ შეიძლება „თანამდევ“ იყოს. არსებობს „თანამდევ“ არა მოტივი, არამედ შედეგი. მოტივი ყოველთვის ძირითადია. მოტივი გადაწყვეტილებას უდევს საფუძვლად, ამიტომ მოტივს დანაშაულებრივი ქმედების მიზეზად მიიჩნევენ. ის რაც მოქმედების მიზეზი და საფუძველია, არ შეიძლება ძირითადი არ იყოს. თუ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება დამნაშავეს არა გამდიდრების სურვილით, არამედ

⁶⁷ მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2019, გვ. 41.

⁶⁸ მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

⁶⁹ აღნიშნულის შესახებ იხ. Alwart H., Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven

Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, S. 436-437.

⁷⁰ Alwart H., dasax. naSr., gv. 451.

⁷¹ ბ. ჯიშკარიანი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2016, გვ. 54-55.

სიბრალოლის გამო აქვს მიღებული, ეს იმას ნიშნავს, რომ სიბრალოლია მსხვერპლის მკვლელობის მოტივი. მოცემულ შემთხვევაზე ვერ ვიტყვით, რომ სიბრალოლის მოტივმა გაუწია კონკურენცია ანგარების მოტივს, ვინაიდან ანგარების მოტივი საერთოდ არ არსებობდა. ანგარების მოტივით დანაშაულის ჩასადენად არ კმარა ის, რომ „დამნაშავეს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა დანაშაულის შედეგად ქონების მიღებასთან დაკავშირებით“. ანგარების მოტივი მაშინ იქნებოდა სახეზე, თუ დანაშაული სწორედ ქონების მისაღებად იქნებოდა განხორციელებული.

ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის მოსაზრებით, მოტივთა ბრძოლის შესახებ საუბარი სრულიად დაუსაბუთებელია. არავითარი მოტივთა ბრძოლა და მოტივთა შეხლა-შემოხლა არ არსებობს, ვინაიდან არ არსებობს ერთი ქცევა, რომელსაც სხვადასხვა მოტივი შეიძლება ჰქონდეს. ქცევა იმდენივეა, რამდენიცაა მოტივი, რომელიც მას აზრსა და მნიშვნელობას აძლევს. რეალურად ადგილი შეიძლება ჰქონდეს არა მოტივთა, არამედ მოტივაციის ფაქტორთა კონკურენციას.⁷²

გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, გამოირიცხება მოტივთა კონკურენცია და ერთი ქმედების განხორციელება ერთსა და იმავე დროს ერთზე მეტი მოტივით. ეს მით უფრო შეეხება ურთიერთგამომრიცხავი, შინაარსობრივად ურთიერთსაპირისპირო მოტივებით ქმედების განხორციელების საკითხს.

1.7.2.3. მოტივი, როგორც სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამაფუძნებელი გარემოება

სისხლის სამართალში მოტივთან დაკავშირებით მოსაზრება ორად იყოფა. ერთი შეხედულებით, მოტივი ყოველთვის ბრალის ნიშანია.⁷³ მოცემული მოსაზრების წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ მიზანს შეუძლია უმართლობის დაფუძნება, მაგრამ მოტივი მხოლოდ ბრალის ხარისხს განსაზღვრავს.⁷⁴ ხოლო მეორე შეხედულებით, მოტივი ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება განხილულ იქნას ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნად. ეს ეხება იმ შემთხვევებს, როცა მოტივი ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობის ნიშნადაა გათვალისწინებული სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით. ასეთ შემადგენლობებს სხვაგვარად მოტივით დაფუძნებული დელიქტები ეწოდება,⁷⁵ რაც იმას გულისხმობს, რომ მოტივი სისხლისსამართლებრივი უმართლობის დამაფუძნებელი ნიშანია. მოტივი განსაზღვრავს ქმედების უმართლობას. ასეთ შემადგენლობებს მიეკუთვნება საქართველოს სსკ-ის 135-ე (სისხლით ან სისხლის კომპონენტებით უკანონო ვაჭრობა), 174-ე (ბავშვის შეცვლა), 197-ე (ფალსიფიკაცია), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობები.

ჰ. ველცელი თვლიდა, რომ მოტივი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანია, რომელიც ქმედების სოციალურ უღირსობას

⁷² დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 2006, გვ. 212; თ. შავგულიძე, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, თბ., 1981, გვ. 75; დ. კიკნაძე, დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური განგებისათვის, უ. „აღმანახი“, თბ., 2000, 13, გვ. 126; ი. დვალაძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 36; გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 191.

⁷³ მ. უგრეხელიძე, ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1978, 6, გვ. 50; ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 346.

⁷⁴ ო. გამყრელიძე, უმართლობის სუბიექტური ნიშნების საკითხისათვის, „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, 2, გვ. 87.

⁷⁵ თ. შავგულიძე, საზოგადოებრივი აზრი, მართლშეგნება და მოსწავლე ახალგაზრდობა, თბ., 1981, გვ. 72; ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 2005,

გვ. 382-383; ი. დვალაძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 73, 79; მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 340; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, თბ., 2014, გვ. 92; ნ. თოდუა, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამიძიმებული ან პრივილეგირებული შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანამართლებლობასა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 24; Mtschedlischwili-Hädrich K., Der Verbrechens- und Gesellschaftsgefährlichkeitsbegriff im georgischen Strafrecht, Ein Beitrag zur Entwicklung des georgischen Strafrechts, Aachen 2000, S. 116.

აფუძნებს ან ზრდის. მისი თვალსაზრისით, მოტივი რომ ბრალის ნიშანი არ არის, ამაზე მეტყველებს ის, რომ ბრალუენაროს შეუძლია ამ ნიშნით მოქმედებდეს. კერძოდ, განახორციელოს ანგარების მოტივით სხვისი სიცოცხლის მოსპობის შემადგენლობა.⁷⁶ შეურაცხს არ შეუძლია ბრალეული ქმედების განხორციელება, თუმცა აქვს უნარი სსკ-ის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ განახორციელოს.⁷⁷

მოტივს თანამედროვე სისხლის სამართალში მიაკუთვნებენ ქმედების შინაგან მხარეს. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ის შემადგენლობები, რომლებიც გამოირიცხება განსაზღვრული მოტივის გარეშე.⁷⁸

მაშინ, როცა მოტივი უმართლობის დამაფუძნებელ გარემოებადაა გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაში, იგი ობიექტურ ხასიათს იძენს, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტური ნიშანია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ნიშნის არსებობა აუცილებელია ამსრულებლის მხარეს, იმისთვის, რომ ქმედება დანაშაულად დაკვალიფიცირდეს შესაბამისი მუხლით, მაგრამ თანამონაწილის მხარეს მისი არსებობა არ არის აუცილებელი, რაც არ გამოირიცხავს თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციას იმავე მუხლით. თანამონაწილესთან მიმართებით საკმარისია, რომ გაცნობიერებული ჰქონდეს ამსრულებლის მოტივი, რომელიც უმართლობას აფუძნებს. თუ თანამონაწილეს ამსრულებლის მოქმედების მოტივი გაცნობიერებული აქვს, ის თანამონაწილეზეც გადმოვა და თანამონაწილესაც შეურაცხება. მოტივით დაფუძნებულ დელიქტებში სხვაგვარად თანამონაწილის პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელია. მაშინ, როცა მოტივი უმართლობის დამაფუძნებელი გარემოებაა, ამსრულებლის მოტივი თუ თანამონაწილეზე არ გადმოვიდა, თანამონაწილის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს.

როდესაც ვსაუბრობთ ამსრულებლის მოტივის თანამონაწილისთვის შეურაცხვაზე და თანამონაწილის მხარეს გადმოსვლაზე, გასათვალისწინებელია მოტივის ბუნებაც, ის თუ როგორ უნდა განიმარტოს იგი. ამ მხრივ საყურადღებოა ანგარების მოტივი, რომელიც ქართული სსკ-ის არაერთი მუხლით უმართლობის დამაფუძნებელ გარემოებადაა გათვალისწინებული. მართალია, ანგარების გარდა, სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლები სხვა სახის მოტივებსაც ითვალისწინებს, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც ანგარების მოტივია ასახული ქმედების შემადგენლობებში, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ, თუ დამამძიმებელ ნიშნად.

ქმედება ანგარების მოტივითაა განხორციელებული, როდესაც მოქმედი პირი მოქმედებს პირადი გამორჩენის, გამდიდრების, მატერიალური შემოსავლის დაზოგვის, თუ მატერიალური ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით. ქმედების ანგარების მოტივით განხორციელებულად კვალიფიკაციისთვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, მიაღწია თუ არა მოქმედმა გამორჩენის მიზანს. ქმედება ანგარების მოტივით განხორციელებულად მიიჩნევა მაშინაც, როცა მოქმედი პირი გამორჩენის მიზანს ვერ აღწევს. საკითხი იმის თაობაზე, არის თუ არა მკვლელობა ანგარების მოტივით ჩადენილი, როცა მკვლელობის მიზანია ქონების ნაწილის შენარჩუნება, სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოდ მიიჩნევა. ერთი მოსაზრებით, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში (დასახელებული მიზნით მკვლელობისას) მკვლელობა ანგარების მოტივით განხორციელებულად არ ითვლება,⁷⁹ ხოლო საწინააღმდეგო მოსაზრებით, რომელსაც გერმანიის უზენაესი სასამართლოც უჭერს მხარს, მკვლელობა ანგარების მოტივითაა ჩადენილი, როცა მკვლელობა ხორციელდება ადამიანის რჩენის (მზრუნველობის) ან ვალის დაბრუნების (მაშასადამე, მატერიალური)

⁷⁶ *Welzel H., Das Deutsche Strafrecht, Berlin, 1969, S. 79.*

⁷⁷ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, შეუძლებელია შეურაცხი პირის ქმედების მართლწინააღმდეგობის დასაბუთება ქმედების სუბიექტური ნიშნების გათვალისწინებით. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, შეურაცხის ქმედება არამართლზომიერად შეიძლება შეფასდეს შეურაცხის მოქმედების ობიექტური საფრთხიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ მას შეუძლია სხვისი სამართლებრივად დაცული უფლების დარღვევა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. იხ. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი,

სახელმძღვანელო, თბ., 2015, გვ. 310-313; *ლ-გ. კუტალია*, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, დოგმატურ-სისტემური თავისებურებები, თბ., 1999, გვ. 201; *მ. მამნიაშვილი*, სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენება, თბ., 2003, გვ. 34-37.

⁷⁸ *Alwart H., Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, S. 434.*

⁷⁹ *S/S-Eser, §211 Rn. 17; Mitsch, Jus 1996, 124; Joecks W., Strafgesetzbuch, Studienkommentar, 10. Auflage, München, 2012, S. 372-373, §211 Rn. 18-19.*

ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით.⁸⁰ ანგარების მოტივით ქმედება აგრეთვე მაშინაც არის განხორციელებული, როცა პირადი გამორჩენის მიზანი არ არსებობს, თუმცა მოქმედი დაინტერესებულია იმ პირის გამორჩენით და ბედ-ილბლით, ვინც ანგარების მოტივით მოქმედებს. მოქმედი ასეთ დროს არა მხოლოდ ანგარების მოტივით მოქმედი პირის დამხმარეა, არამედ თავადაც მიიჩნევა ანგარების მოტივით მოქმედად. მოცემული მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ანგარების მოტივისთვის არ არის გადამწყვეტი, მოქმედ პირს გამორჩენის მიღება თავისთვის უნდა, თუ სხვისთვის, ვისი ბედ-ილბლითაც არის დაინტერესებული (მაგალითად ოჯახის წევრი).⁸¹ შეიძლება დანაშაულის ჩადენაში პირი მონაწილეობდეს იმის გამო, რომ ამსრულებლის მატერიალური გამორჩენითა და დაინტერესებული, მაგრამ ეს არ ითქმის ყველა შემთხვევაზე. არ არის გამორიცხული, თანამონაწილე დანაშაულში მონაწილეობდეს შურისძიების მოტივით, როცა ამსრულებლის მოტივი ანგარებაა.

გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ გამოთქმული მოსაზრებით, იმისთვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა ქმედება განხორციელებული ანგარების მოტივით, საჭიროა ქმედების მოტივაციის მთლიანი შეფასება. ამავე შეხედულებით, მოტივთა სიმრავლის შემთხვევაში უნდა დადგინდეს რომელი მოტივი იყო გადამწყვეტი, რომლის ზეგავლენითაც იქნა მიღებული მკვლელობის გადაწყვეტილება. როცა დამნაშავე მოქმედებდა არა მხოლოდ გამორჩენის მისაღებად (არამედ სხვა მიზნითაც), ქმედება მაშინ ჩაითვლება ანგარების მოტივით განხორციელებულად, თუ გამორჩენის მიღების განწყობამ დამნაშავეზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა.⁸²

ალვარტი აკრიტიკებს გერმანიის უზენაესი სასამართლოს პოზიციას და აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლო ანგარებას ისეთივე მარ-

ტივ (*einfach*) მოტივად წარმოგვიდგენს, როგორც სხვა მოტივებს. ის არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ანგარება შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა მოტივთან ერთად მოტივთა სიმრავლის სახით, სადაც დასადგენი იქნება „ძირითადი მოტივი“ (*Hauptmotiv*). ალვარტი არ გამორიცხავს მოტივთა სიმრავლის შესაძლებლობას, მაგრამ ამას არ უშვებს მაშინ, როცა ქმედება ანგარების მოტივითაა განხორციელებული. იგი თვლის, რომ მოტივთა სიმრავლის დროს ყველა მოტივი მიიღება მხედველობაში ქმედების გასაგებად (შესაფასებლად). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველა მოტივი არის თანაბარი რანგის. შეუძლებელია მოტივთა კლასიფიკაცია მთავარ და თანამდევი მოტივებად (*Nebenmotiv*). შესაძლებელია კითხვა მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად არსებობდა თუ არა მოტივი. მოკლედ რომ ვთქვათ, ან არსებობს მოტივი ან არ არსებობს. ავტორი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ანგარება როგორც მთავარი მოტივი ისე იქნას პოსტულირებული, ვინაიდან ეს ნიშნავს სხვა თანამდევი მოტივის დაშვებას, რაც მას მართებულად არ მიაჩნია. ანგარება შეიძლება იყოს ერთადერთი მოტივი თანამდევი მოტივის გარეშე.⁸³

ავტორი ზემოაღნიშნულისგან განსხვავებას მოტივთა შეკავშირების შემთხვევას (*Motiv-Implikation*), რომელიც გულისხმობს მოტივთა იერარქიულ რიგს. მას შეესაბამება გამონათქვამი „მთავარი მოტივი“. მაგრამ, გერმანიის უზენაესი სასამართლოს პოზიციით ანგარებას სხვა მოტივებისთვის არ აქვს დამაფუძნებელი ფუნქცია. ანგარების მოტივი შეუძლებელია იყოს უკანასკნელი (*letzte*) მოტივი, ვინაიდან ის მოტივთა ასეთ რიგს არ განეკუთვნება.⁸⁴

ალვარტი სვამს კითხვას, როცა მკვლელობა ჩადენილია მსხვერპლის თხოვნით (გერმანული სსკ-ის 216-ე პარაგრაფი და ქართული სსკ-ის 110-ე მუხლი) ეს გამორიცხავს თუ არა იმის დაშვებას, რომ მკვლელობა ანგარების მოტივით

⁸⁰ BGHSt 10, 399; BGHSt 47, 243; მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, ნიგნში: მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 72-73; გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 204.

⁸¹ თ. ნერეთელი, ნიგნში: ვ. მაყაშვილი, მ. მაჭავარიანი, თ. ნერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 20; მ. ლეკვეიშვილი, ნიგნში:

გ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 74.

⁸² Alwart H., Der Begriff des Motivbündels im Strafrecht – am Beispiel der subjektiven Rechtfertigungselemente und des Mordmerkmals Habgier, GA 1983, S. 443.

⁸³ Alwart H., dasax. naSr., gv. 443-444.

⁸⁴ Alwart H., dasax. naSr., gv. 444.

იყოს განხორციელებული. ავტორი აღნიშნულ კითხვაზე პასუხობს, რომ ერთი მხრივ არ იქნებოდა ალოგიკური, თუ ანგარების მოტივს დავუშვებდით, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავემ მსხვერპლი მისი თხოვნით მოკლა, იმიტომ რომ, დამნაშავემ მსხვერპლის თხოვნა შეიძლება ანგარების მოტივით შეასრულოს. მეორე მხრივ, მითითებული ცალკეული მოტივი შეიძლება ჩართულ იქნას ერთიან კონტექსტში, რომლითაც მხოლოდ ანგარების დაშვება შეიძლება დასაბუთდეს. თუ დავუშვებთ როგორც მკვლელობას მსხვერპლის თხოვნით (გსკ-ს 216-ე პარაგრაფის გაგებით), ისე იმას, რომ დამნაშავე ანგარებით მოქმედებდა, წარმოიშობა კითხვა, რომელი ქმედების შემადგენლობაა განხორციელებული. ვინაიდან ანგარებას როგორც თავდაჭერის მინიმალური მოთხოვნის სულიერ-მორალურ დარღვევას ყველა მოტივის მომცველი შეფასების მოცემა შეუძლია, ეს იმაზე მეტყველებს, რომ გარკვეული თვალსაზრისით, ქმედებასთან ახლოს მყოფი მოტივი მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის შემადგენლობისთვის მნიშვნელოვანია. ის რომ საქმე შეიძლება ეხებოდეს ანგარებით მკვლელობას მსხვერპლის თხოვნით, მოქმედი სამართლის მიხედვით, მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის შემადგენლობისთვის არავითარ როლს არ ასრულებს, არამედ შეიძლება მხოლოდ შესაბამისი მუხლით (მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის პარაგრაფით) გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგისთვის, სასჯელის შეფარდებისთვის ყოფილიყო გასათვალისწინებელი.⁸⁵

თუ გამოირიცხებოდა მსხვერპლის თხოვნით მკვლელობის შემადგენლობა იმის გამო, რომ მსხვერპლის თხოვნასთან დაკავშირებით დამნაშავეს სუბიექტური განცდა არ იქნა სერიოზულად ჩათვლილი, შეიძლება ყოფილიყო გაზიარებული აზრი ანგარების მოტივის არსებობაზე. ალვარტი მიუთითებს გერმანიის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადანყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მის სტატიამი განხილვის საგანია. გასათვალისწინებელია, რომ მსჯავრდებულმა მკვლელობა ჩაიდინა სიბრაულის, თანაგრძობის გამო (*Mitleid*), ამგვარად დანაშაული არ

განხორციელებულა ანგარების მოტივით, ვინაიდან წარმოუდგენელია თანაგრძობის და ანგარების თანაარსებობა.⁸⁶

1.7.2.4. მოტივი, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება

როგორც უკვე აღინიშნა, მოტივი შეიძლება წარმოადგენდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას და მაკვალიფიცირებელ ნიშნად იყოს გათვალისწინებული სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლით. ერთ-ერთი მოტივი, რომელმაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაამძიმოს, არის ანგარების მოტივი. ანგარების მოტივი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა ქართული სსკ-ის 109-ე (განზრახ მკვლელობა), 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), 144-ე (მძევლად ხელში ჩაგდება) და სხვა მუხლებით, სადაც ანგარება არ აფუძნებს უმართლობას, ვინაიდან დამამძიმებელ გარემოებას არ შეიძლება წარმოადგენდეს უმართლობის დამაფუძნებელი გარემოება, რაც ორჯერ შეფასების აკრძალვის პრინციპიდან გამომდინარეობს. გარდა ანგარების მოტივისა, არსებობს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი სხვა სახის მოტივებიც. მაგალითად, 109-ე მუხლით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაა გათვალისწინებული მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით, მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო (შეუწყნარებლობის მოტივი), მკვლელობა გენდერის ნიშნით, მკვლელობა მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც შურისძიების მოტივის კერძო შემთხვევას წარმოადგენს.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ მოტივთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, აღნიშნულ შემთხვევებში რატომ იწვევს მოტივი პასუხისმგებლობის დამამძიმებას? ბრალის მაღალი ხარისხის, თუ ქმედების მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების გამო? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ბრალი ინდივიდუალური,⁸⁷

⁸⁵ Alwart H., dasax. naSr., gv. 445-446.

⁸⁶ Alwart H., dasax. naSr., gv. 446.

⁸⁷ ბრალის ინდივიდუალურ ხასიათზე იხ. Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, Stuttgart, 2012, 238,

Rn. 524; Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, 12. Auflage, 2016, S. 477, §16 Rn. 1. ინდივიდუალურ ბრალზე ქართულ სისხლის სამართალში იხ. შ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 403; ო.

პერსონალური ხასიათისა⁸⁸ და შესაბამისად, ბრალის ნიშანიც მხოლოდ მას უნდა შეერაცხოს, ვის მხარესაც იქნება იგი. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან, რომელიც ასახულია საქართველოს სსკ-ის როგორც 25-ე (ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა), ისე სხვა არაერთ მუხლში.⁸⁹

დამნაშავის მოტივი იმიტომ არის პერსონალური ნიშანი,⁹⁰ რომ მოტივი დამნაშავის პიროვნებაშია და არსად სხვაგან. თავიდან გერმანულ მართლმსაჯულებაში მოტივი ქმედებასთან დაკავშირებულ ნიშნად განიხილებოდა, მაგრამ მოგვიანებით მოტივთან დაკავშირებით შეფასება შეიცვალა და დღეს აღიარებული შეხედულებით იგი მიიჩნევა დამნაშავის პიროვნებასთან დაკავშირებულ გარემოებად.⁹¹

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ მოტივთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოსაზრება ორად იყოფა: ერთი

მოსაზრებით, რომელიც გაზიარებულია როგორც გერმანულ,⁹² ისე ქართულ ლიტერატურაში,⁹³ როდესაც მოტივი ქმედების კვალიფიცირებული შემადგენლობის ნიშანია, იგი ბრალის ხარისხს განსაზღვრავს, როგორც პერსონალური ნიშანი, ხოლო მეორე მოსაზრებით, ქმედების სოციალური საშიშროების,⁹⁴ უმართლობის ხარისხსაც.⁹⁵ მოტივის მიხედვით უმართლობის მოცულობის განსაზღვრის შესაძლებლობაზე მიუთითებენ გერმანელი ავტორებიც.⁹⁶ ამ უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ თუ მოტივს შეუძლია ქმედების უმართლობის დაფუძნება, რატომ არ უნდა შეეძლოს სოციალური საშიშროების ხარისხის განსაზღვრა?

როდესაც დანაშაულის ამსრულებელი მოქმედებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მოტივით, ამსრულებლის ქმედება შესაბამისი მუხლით დაკვალიფიცირდება, მაგრამ როგორ

გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 172-173.

⁸⁸ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით ბრალი კი არ არის პერსონალური ხასიათის, არამედ ბრალის ხარისხი. თუმცა, ამავე დროს მიუთითებენ, რომ ბრალის ხარისხს, რომელიც პერსონალური ხასიათისაა, შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე. იხ. *გ. ნაჭყებია*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2015, გვ. 422. აღნიშნული მოსაზრება შეიძლება საკამათო იყოს, ვინაიდან ქმედების საშიშროება ბრალს არ მოიცავს, საზოგადოებრივად საშიში ქმედება ბრალის გარეშე შეიძლება განხორციელდეს. ქმედების სოციალური საშიშროება ობიექტური ხასიათისაა, რომლის ხარისხს, როგორც წესი, ობიექტური ხასიათის გარემოებები განსაზღვრავს. ქმედების სოციალური საშიშროება და მართლწინააღმდეგობა ბრალის წანამძღვარია. ბრალზე მსჯელობას წინ უძღვის მართლწინააღმდეგობასა და ქმედების სოციალურ საშიშროებაზე მსჯელობა. იხ. *ო. გამყრელიძე*, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის სუბიექტური მხარე, „საბჭოთა სამართალი“, 1970, 1, გვ. 32. აქვე უნდა იქნას გათვალისწინებული ისიც, რომ ქმედების უმართლობას ზოგჯერ სუბიექტური ნიშნები აფუძნებს, რაც წარმოშობს კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ უნდა შეეძლოს აღნიშნულ გარემოებებს უმართლობის ხარისხის განსაზღვრა, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ბრალის ხარისხი მისი წანამძღვარი ქმედების სოციალური საშიშროების და უმართლობის ხარისხს განსაზღვრავს.

⁸⁹ ანალოგიურ რეგულაციას ვხვდებით გერმანული სსკ-ის 28-ე და 29-ე პარაგრაფებში.

⁹⁰ *Heinrich B.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 3. Auflage, Stuttgart, 2012, S. 640-641, Rn. 1349-1350.

⁹¹ *Roxin C.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Band II, München, 2003, S. 244, §27 Rn. 28.

⁹² *Roxin C.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Band I, 4. Auflage, München, 2006, S. 314, §10 Rn. 73; *Eser A.*, in:

Schönke/Schröder, *Strafgesetzbuch, Kommentar*, 27. Auflage, München, 2006, S. 1792, §211 Rn. 6; *Wessels/Beulke/Satzger*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 45. Auflage, Heidelberg, 2015, S. 200-201, Rn. 642; *Lackner K.*, *NSiZ* 1981, S. 348.

⁹³ *ო. გამყრელიძე*, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2011, გვ. 346; *ო. გამყრელიძე*, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 284; *ბ. ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 340; *გ. ნაჭყებია*, წიგნში: *გ. ნაჭყებია, ი. დვალაძე*, (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 232; *ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიძე*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაული, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით, თბ., 2014, გვ. 92; *ი. დვალაძე*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 79; *ნ. თოდუა*, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამძიმებული ან პრივილეგირებული შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანამართლებლობასა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 24.

⁹⁴ *ალ. ვაჩიშვილი*, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957, გვ. 13, 20-21; *გ. ნაჭყებია*, წიგნში: სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ. 248; *Mtschedlischwili-Hädrich K.*, *Der Verbrechens- und Gesellschaftsgefährlichkeitsbegriff im georgischen Strafrecht, Ein Beitrag zur Entwicklung des georgischen Strafrechts*, Aachen 2000, S. 116.

⁹⁵ *ი. დვალაძე*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 73.

⁹⁶ *Paeffgen U.*, *Einmal mehr – Habgier und niedrige Beweggründe*, GA 1982, S. 255; *Jakobs G.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Part 1, 2. Auflage, Berlin, 1991, S. 309, Abschn. 8, Rn. 94.

უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა აღნიშნული ნიშანი მხოლოდ თანამონაწილის მხარეს არის? მაგალითად, თუ მკვლელობაში თანამონაწილე (დამხმარე) მონაწილეობს ანგარების მოტივით, ხოლო ამსრულებელი მოქმედებს ანგარების გარეშე, შურისძიების მოტივით, ამსრულებლის ქმედება 108-ე მუხლით დაკვალიფიცირდება, მაგრამ თანამონაწილის ქმედებაც უნდა დაკვალიფიცირდეს იმავე მუხლით, თუ 109-ე მუხლით, როგორც ანგარებით მკვლელობაში თანამონაწილეობა?

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, მაშინ, როცა ანგარების მოტივი მხოლოდ თანამონაწილის მხარესაა და არა ამსრულებლის, თანამონაწილის ქმედება ამსრულებლის ქმედებასთან ერთად უნდა დაკვალიფიცირდეს იმ მუხლით, რომელიც ქმედების ძირითად შემადგენლობას ითვალისწინებს. მკვლელობის შემთხვევაში ეს იქნება 108-ე მუხლი. ავტორის თვალსაზრისით, ქმედების ასეთი კვალიფიკაციის მიზეზი, თანამონაწილის ქმედება რომ 108-ე მუხლით კვალიფიცირდება და არა 109-ე მუხლით, არის ის, რომ სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლები იწერება ამსრულებლისთვის და არა თანამონაწილისთვის. შესაბამისად, 109-ე მუხლით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების ადრესატია არა თანამონაწილე, არამედ ამსრულებელი. თანამონაწილის ქმედება 109-ე მუხლით დაკვალიფიცირდება მაშინ, როცა აღნიშნული მუხლით კვალიფიცირდება ამსრულებლის ქმედება, თუ თანამონაწილის მხარესაც არის ანალოგიური მოტივი.⁹⁷ ავტორი საკითხის ასეთ გადაწყვეტას ასაბუთებს თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებით.⁹⁸

ზემოაღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. მართალია, სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლები გაანგარიშებულია ამსრულებელზე და არა თანამონაწილეზე, მაგრამ ეს ეხება ქმედების ძირითად შემადგენლობას და არა სუბ-

იექტური ნიშნით კვალიფიცირებულ იმ შემადგენლობებს, სადაც მაკვალიფიცირებელი გარემოება პერსონალური ხასიათისაა. თუ ჩვენ მოვითხოვთ თანამონაწილისთვის სუბიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი გარემოების შესარაცხად იმას, რომ იგივე ნიშანი ამსრულებელსაც შეერაცხოს, ამით უარყოფთ აღნიშნული ნიშნის პერსონალურ ხასიათს, რაც ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ გარემოებათა პერსონალური ხასიათის უარყოფის მომასწავებელია. სუბიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი ნიშნები ობიექტური ხასიათის მაკვალიფიცირებელი ნიშნებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მათ გააჩნიათ პერსონალური ხასიათი.

ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ გარემოებათა პერსონალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის დანაშაულში მონაწილე თითოეულ პირს ინდივიდუალურად შეერაცხება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ამსრულებლის მხარეს. აღნიშნულთან დაკავშირებით არც ის უნდა იყოს გადამწყვეტი, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი სუბიექტური გარემოება სასჯელის ზომაზე აისახება, თუ ქმედების კვალიფიკაციაზეც. შესაბამისად, ნამქეზებელი (თანამონაწილე) დაისჯება ანგარების მოტივით მკვლელობისთვის მაშინაც, როცა ამსრულებელი მოქმედებს ანგარების მოტივის გარეშე.⁹⁹

თანამონაწილეობა აქცესორული ხასიათისაა, მაგრამ თანამონაწილეობის აქცესორობა არ მოითხოვს ამსრულებლის და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციას ერთი და იმავე მუხლით. აქცესორობის რეგულირება მაშინ მოქმედებს მაკვალიფიცირებელ გარემოებებთან მიმართებით და თანამონაწილისთვის დამამძიმებელი გარემოების შესარაცხად ამსრულებლის იმავე მაკვალიფიცირებელი გარემოებისთვის დასჯა მაშინ მიიჩნევა აუცილებელ წინაპირობად, როცა საქმე ეხება არა მოქმედის პიროვნებასთან, არამედ ქმედებასთან დაკავშირებულ გარემოებებს.¹⁰⁰ აქცესორული თეორია გულისხმობს ამსრულებლის და თანამონაწილის

⁹⁷ ნ. თოდუა, ობიექტური და სუბიექტური ნიშნით დამამძიმებელი ან პრივილეგირებული შემადგენლობის გამიჯვნის მნიშვნელობა თანამსრულებლობასა და თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციისას, გურამ ნაჭყებია-75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 34.

⁹⁸ ნ. თოდუა, დასახ. ნაშრ., გვ. 36-37.

⁹⁹ Eisele J., *Strafrecht, Besonderer Teil I., Straftaten gegen die Person und die Allgemeinheit*, 3. Auflage, 2014, S. 55-56, Rn. 141-142; Baumann/Weber/Mitsch/Eisele, *Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch*, 12. Auflage, Bielefeld,

2016, S. 838, 841-842, §26 Rn. 156, 170. ანალოგიური მოსაზრება ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში იხ. ვ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2010, გვ. 205-206.

¹⁰⁰ Hilgendorf E., in: Arzt/Weber/Heinrich/Hilgendorf, *Strafrecht, Besonderer Teil, Lehrbuch*, 2. Auflage, 2009, S. 45, §2 Rn. 28.

მიერ ერთიანი უმართლობის განხორციელებას და არა იმას, რომ თანამონაწილისთვის მაკვალიფიცირებელი გარემოების შესარაცხად აუცილებელ წინაპირობად გამოცხადდეს ამსრულებლის მიერ იმავე ქმედების (სუბიექტური ნიშნით დამძიმებული) შემადგენლობის განხორციელება.

ქართული სსკ-ის 109-ე მუხლით თანამონაწილის დასჯას ანგარების მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის მაშინ შეუშლიდა ხელს ანგარების მოტივის გარეშე ამსრულებლის მოქმედება, თუ ანგარების მოტივით მკვლელობას მივიჩნევდით არა მკვლელობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, მაკვალიფიცირებელ გარემოებად, არამედ ცალკე აღებულ მკვლელობის ისეთ შემადგენლობად, რომლისთვისაც 108-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა არ წარმოადგენს ქმედების ძირითად შემადგენლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ განსახილველი საკითხის გადასაწყვეტად გასათვალისწინებელი და არსებითი მნიშვნელობისაა როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოების ბუნება (ხასიათი), ისე 108-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობათა ურთიერთმიმართება.

1.7.2.5. მოტივი, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება

მოტივი შეიძლება წარმოადგენდეს პასუხისმგებლობის როგორც დამაფუძნებელ ან დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებას. ასეთია სიბრალულის მოტივი მკვლელობის დროს, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მსხვერპლის თხოვნით მკვლელობისას (110-ე მუხ.). მართალია საქართველოს სსკ-ის 110-ე მუხლი ასეთ მოტივზე არ უთითებს და მხოლოდ კონკრეტულ მიზანს ითვალისწინებს (მსხვერპლის ძლიერი ფიზიკური ტკივილისგან გათავისუფლების მიზანი), მაგრამ აღნიშნული მიზანი გულისხმობს სიბრალულის მოტივით განხორციელებულ ქმედებას. თუ ქმედება განხორციელებულია არა სიბრალულის, არამედ შურისძიების ან ანგარების მოტივით, ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება 110-ე მუხლით, ფორმალურად

სახეზე რომც იყოს მსხვერპლის თხოვნა მისი სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით.

ისევე როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მოტივი, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მოტივიც პერსონალური ხასიათის მატარებელია, რაც იმას გულისხმობს, რომ ის რაც ზემოთ ითქვა თანამონაწილის ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ვრცელდება შემამსუბუქებელ (მაპრივილეგირებელ) მოტივზეც.

მაშინ როცა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი მოტივი სსკ-ის არაერთ მუხლშია გათვალისწინებული, იგივეს ვერ ვიტყვით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ მოტივზე.

1.7.3. განზრახვა

ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში განზრახვის გადატანა დანაშაულის ფინალურ მოძღვრებასთანაა დაკავშირებული. თუ მანამდე განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებად განიხილებოდა, ფინალურმა მოძღვრებამ განზრახვა ქმედების სუბიექტურ შემადგენლობაში შეიტანა. ქმედება ქმედების შემადგენლობის ნიშანია, მაგრამ ქმედება ხორციელდება განზრახ ან განზრახვის გარეშე, ამიტომ ქმედების შემადგენლობის ფარგლებში უნდა გაეცეს კითხვას პასუხი, ქმედება განზრახ განხორციელდა თუ განუზრახველად. განზრახვა რომ ქმედების შემადგენლობის ნიშანია ამაზე მიუთითებს სსკ-ის არაერთი მუხლი, რომლებიც ქმედების შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად ითვალისწინებენ განზრახ ან განზრახვის გარეშე განხორციელებულ ქმედებას. განზრახვის არსებობა ან არარსებობა განასხვავებს ერთმანეთისგან 108-ე (განზრახ მკვლელობა), 116-ე (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), 187-ე (ნივთის დაზიანება ან განადგურება) და 188-ე (ნივთის დაზიანება ან განადგურება გაუფრთხილებლობით) მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობებს.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშანია ბუნებრივი განზრახვა, რომელიც არ მოიცავს ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებას და წარმოადგენს შეფასების საგანს.¹⁰¹

¹⁰¹ ო. გამყრელიძე, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, კრებული: სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები,

ექვეყნება თ. შავგულიძის 75 წლის იუბილეს, თბ., 2006, გვ. 37-38.

ქმედება სოციალური ცხოვრების ფაქტია, რომელსაც შეფასება სჭირდება. შეფასება სჭირდება ბუნებრივ განზრახვასაც. ბუნებრივი განზრახვა შეფასებას მოითხოვს. განზრახ შეიძლება განხორციელდეს როგორც მართლსაწინააღმდეგო, ისე მართლზომიერი ქმედება. მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებაში, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში განხორციელებული ქმედებაც არის განზრახვი ქმედება. ამაზე მიუთითებს 108-ე მუხლის სახელწოდებაც, რომელსაც ჰქვია „განზრახ მკვლელობა“. ვინაიდან ბუნებრივი განზრახვა, ისევე როგორც ქმედება, შეფასების საგანს წარმოადგენს და შეფასებისგან ნეიტრალურია, რამდენადაც ქმედება ან განზრახ ხორციელდება ან განზრახვის გარეშე და მისი დადგენა აუცილებელია შესაბამისი მუხლით ქმედების დასაკვალიფიცირებლად, ბუნებრივი განზრახვის, ისევე როგორც განუზრახველობის, მიკუთვნება ქმედების შემადგენლობისთვის, მართებულია.

1.8. ქმედების შემადგენლობის შეფასებითი ნიშნები

ქმედების შემადგენლობის ნიშნები ასევე იყოფა აღწერილობით და შეფასებით ნიშნებად. მართალია, ქმედების შემადგენლობა არ არის დანაშაულის შეფასებითი ნიშანი და აღწერილობით მსჯელობას გამოხატავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ქმედების შემადგენლობის ნიშნებს შორის შეფასებითი ნიშნების გამოყოფა. მაგალითად, როგორცაა განსაკუთრებული სისასტიკე, გარყვნილი ქმედება და ა. შ. თუ აღწერილობითი ნიშნები გრძნობის ორგანოებით აღიქმება, შეფასებითი ნიშანი გონების თვალთ, შეფასების შედეგად დგინდება. აღნიშნული ნიშნები ქმედების შემადგენლობას ვერ აქცევს შეფასებით ნიშნად, ვინაიდან ქმედების სამართლებრივი შეფასება და მართლზომიერების თუ მართლსაწინააღმდეგობის დადგენა დამატებით მსჯელობას მოითხოვს.

2. მართლსაწინააღმდეგობა, როგორც დანაშაულის ნიშანი

ქმედების შემადგენლობის განხორციელება არ არის საკმარისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის. აუცილებელია, რომ განხორციელებული ქმედება არა მხოლოდ ქმედების შემადგენლობის ნიშნებს შეიცავდეს, არამედ ასევე მართლსაწინააღმდეგოც იყოს. თუ ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებაში განხორციელდა, ქმედება მართლზომიერად მიიჩნევა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოირიცხება. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებისას ქურდობის შემადგენლობა ხორციელდება, მაგრამ თუ მას ადგილი ჰქონდა უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში, მიუხედავად ქმედების შემადგენლობის განხორციელებისა, ქმედების მართლსაწინააღმდეგობა გამოირიცხება. ქმედების მართლსაწინააღმდეგობის გამოირიცხვა ქმედების მართლზომიერებაზე მიუთითებს.

თუმცა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე გამოთქმულია განსხვავებული შეხედულებაც, რომლის მიხედვით, ქმედების მართლსაწინააღმდეგობის გამოირიცხვა ავტომატურად არ გულისხმობს ქმედების მართლზომიერებას და რომ მართლსაწინააღმდეგო და მართლზომიერი ქმედების გარდა არსებობს ისეთი ქმედებაც, რომელიც არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო.¹⁰² მოცემული თვალსაზრისის მიხედვით, ასეთ ქმედებას წარმოადგენს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც ხორციელდება ქმედების შემადგენლობის განხორციელების გზით. ქმედების შემადგენლობის განხორციელებით სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი გადის სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან და გადადის სამართლებრივად თავისუფალ სივრცეში. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ ქმედების შემადგენლობა შეფასებისგან ნეიტრალურია, ქმედების შემადგენლობა შეფასების საგანს წარმოადგენს ანუ არც

¹⁰² გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 316-317; გ. ნაჭყებია, დეონტური ლოგიკა და სამართლებრივად თავისუფალი

სივრცის პრობლემა სისხლის სამართალში, „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. XIV, თბ., 2010, გვ. 154.

მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო.

ქმედების შემადგენლობა, მართლაც, არც მართლზომიერია და არც მართლსაწინააღმდეგო, შეფასებისგან ნეიტრალურია, მაგრამ რაც შეეხება განხორციელებულ ქმედებას, შეუძლებელია არც მართლზომიერი იყოს და არც მართლსაწინააღმდეგო. მართალია, შეფასების საგანს წარმოადგენს თუნდაც განხორციელებული ქმედება და მას შეფასება სჭირდება, მაგრამ შეფასების შედეგად თუ დადგინდა რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებაში განხორციელდა და მართლსაწინააღმდეგო არ არის, ნიშნავს იმას, რომ ამით განხორციელებულ ქმედებას მიეცა მართლზომიერი ქმედების შეფასება. მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების შედეგად ქმედების მართლსაწინააღმდეგობა გამოირიცხება, მაგრამ განხორციელებული ქმედება რჩება ქმედების შემადგენლობის შესაბამისი.¹⁰³

ქმედებები შეიძლება დაიყოს სამართლებრივად მონესრიგებულ და ისეთ ქმედებად, რომელსაც სამართლებრივი მონესრიგება არ სჭირდება. ამ უკანასკნელს განეკუთვნება მაგალითად, ჭამა, ძილი, სეირნობა, ჩაცმა. დასახელებული ქმედებები სამართლებრივად ირელევანტურია, სამართალს არ აინტერესებს. მათი განხორციელებით ქმედების შემადგენლობა ვერ განხორციელდება, ვინაიდან სსკ-ის კერძო ნაწილის ნორმებით არ არიან გათვალისწინებული. არც ისინი მიეკუთვნებიან სამართლებრივად ნეიტრალურ ქმედებას და შეიძლება მიჩნეულ იქნას მართლზომიერ ქმედებად იმ თვალსაზრისით, რომ არ ეწინააღმდეგებიან და შესაბამისობაში არიან მოქმედ სამართალთან.

ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგობის ინდიციაა,¹⁰⁴ მართლსაწინააღმდეგობაზე მიუთითებს. თუ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედებაა განხორციელებული აღიძვრება ეჭვი, რომ ქმედება შეიძლება

მართლსაწინააღმდეგო იყოს. ქმედების შემადგენლობასა და მართლსაწინააღმდეგობას შორის ისეთი დამოკიდებულებაა, როგორც კვამლსა და ცეცხლს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ქმედების შემადგენლობა მართლსაწინააღმდეგობის ინდიციაა, ქმედების მართლსაწინააღმდეგობას შემოწმება სჭირდება, არის თუ არა ქმედება მართლსაწინააღმდეგო. ქმედების შემადგენლობა რომ მართლსაწინააღმდეგობის ინდიციაა, არ ნიშნავს იმას, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელების ფაქტის დადგენით ავტომატურად ხდება ქმედების მართლსაწინააღმდეგობის დადგენა. ქმედების შემადგენლობიდან მართლსაწინააღმდეგობაზე პირდაპირი გზით არ ხდება გადასვლა, ვინაიდან მართლსაწინააღმდეგობა არ არის ქმედების შემადგენლობის ნიშანი და ქმედების შემადგენლობის მიღმაა. ამიტომაც ქმედების შემადგენლობის დადგენის შემდეგ ქმედების მართლსაწინააღმდეგობას საგანგებო დადგენა სჭირდება.

მართლსაწინააღმდეგობა გულისხმობს ქმედების დამოკიდებულებას სამართალთან. მართლსაწინააღმდეგობა არის ქმედების წინააღმდეგობა სამართლისადმი („Widerspruch gegen das Recht“).¹⁰⁵ მართლსაწინააღმდეგო ქმედება არის ის ქმედება, რომელიც არღვევს და არ შეესაბამება სამართლებრივ აკრძალვას და მოთხოვნას. სისხლის სამართალი კრძალავს აქტიურ დანაშაულებრივ ქმედებას ან მოითხოვს სავალდებულო მოქმედების განხორციელებას. სწორედ აღნიშნული აკრძალვებისა და მოთხოვნებისადმი შეუსაბამობაა მართლსაწინააღმდეგობა. თუ ქმედების შემადგენლობა სსკ-ის კერძო ნაწილის ნორმის დისპოზიციაშია მოცემული, აკრძალვა და მოთხოვნა გათვალისწინებულია ნორმის იმ ნაწილით, რომელსაც სანქცია ეწოდება.

ერთ-ერთი მოსაზრებით, ქმედების მართლსაწინააღმდეგობის საფუძველი არის სამართლებრივად დაცული სიკეთის და სხვისი უფლების დარღვევა. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ

¹⁰³ *Wessels/Beulke*, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S. 271, Rn. 101.

¹⁰⁴ *Welzel H.*, Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., 1969, S. 80; *Kühl K.*, Strafrecht, AT, 6. Aufl., München, 2008, S. 108; *Haft F.*, Strafrecht, AT, 8. Aufl., München, 1998, S. 71; *Baumann/Weber/Mitsch*, Strafrecht, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Biefeld, 2003, S. 194, § 12 Rn.11; *Ebert U.*,

Strafrecht, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 64; *ქმედ-ლიშვილი-ჭედრიხი*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 339.

¹⁰⁵ *Jeschke H-H., Weigend T.*, Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 233; *ო. გამყრელიძე*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 215.

ლ.გ. კუტალია და გ. ნაჭყებია, რომლებიც აღნიშნულ კონცეფციაზე დაყრდნობით ასაბუთებენ შეურაცხადი პირის ქმედების მართლწინააღმდეგობას და უთითებენ, რომ შეურაცხს არ ეკისრება არანაირი სისხლისსამართლებრივი მოვალეობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას შეუძლია იმოქმედოს მართლწინააღმდეგოდ, ვინაიდან მას ძალუძს დაარღვიოს სხვისი უფლება, ხელყოს სხვისი სიკეთე.¹⁰⁶

თუ ჩვენ ქმედების მართლწინააღმდეგობას სხვისი უფლების დარღვევასა და სხვისი სიკეთის ხელყოფაზე დავაფუძნებთ, ჩნდება კითხვა, თუ რას უნდა დაეფუძნოს დაუხმარებლობის (129-ე მუხ.) დროს უმოქმედობის მართლწინააღმდეგობა? დაუხმარებლობის დროს ადგილი არ აქვს სხვისი უფლების დარღვევას და არც სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას. დაუხმარებლობის დროს ქმედების მართლწინააღმდეგობის დასაბუთება ისევ და ისევ მოვალეობის დარღვევით არის შესაძლებელი და ეს მოვალეობა არის განსაცდელში მყოფი პირისთვის დახმარების აღმოჩენის მოვალეობა, რომელიც პირველ რიგში მორალური მოვალეობაა, მაგრამ სისხლის სამართალს იგი სამართლებრივი მოვალეობის რანგამდე ჰყავს აყვანილი.

ქმედება სამართლებრივ აკრძალვას შეესაბამება ან ეწინააღმდეგება. ქმედება მართლწინააღმდეგოა ან მართლზომიერი. ქმედება არ შეიძლება სამართლის ნორმას სანახევროდ ეწინააღმდეგებოდეს ან შეესაბამებოდეს. შესაბამისად, მართლწინააღმდეგობას არ გააჩნია ხარისხები,¹⁰⁷ მაშინ როდესაც სისხლისსამართლებრივ უმართლობას და ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას აქვს ხარისხები. უმართლობა შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები სიმძიმის.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში საკამათოა საკითხი იმის თაობაზე, კრძალვას თუ არა სისხლის სამართლის ნორმა რაიმე სახის

ქმედებას, არსებობს თუ არა სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა ანუ მართლწინააღმდეგობის დაყოფა დარგებად. მართლწინააღმდეგობის არსთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა თეორიები.

ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, რომელიც გერმანელი მეცნიერის, კარლ ბინდინგის ნორმათა თეორიის სახელითაა ცნობილი, ქმედების მართლწინააღმდეგობა გულისხმობს ქმედების წინააღმდეგობას იმ ნორმისადმი, რომელიც სისხლის სამართლის კანონს მიღმაა. დამნაშავე არღვევს იმ აკრძალვას, რომელიც სისხლის სამართლის მიღმა მყოფ ნორმასთანაა დაკავშირებული. დამნაშავე სისხლის სამართლის ნორმას კი არ არღვევს, არამედ ასრულებს. სისხლის სამართალი დანაშაულებრივ ქმედებას კი არ კრძალავს, არამედ სჯის.¹⁰⁸ აღნიშნული თეორია ეყრდნობა იმ არგუმენტს, რომ თუ ქურდმა ქურდობის შემადგენლობაში აღწერილი ქმედება არ განახორციელა, ქმედება ქურდობის მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. იმისთვის, რომ ქურდობა განხორციელებულად ჩაითვალოს, განხორციელებული ქმედება უნდა შეიცავდეს ქურდობის შემადგენლობის ყველა ნიშანს. საკმარისია თუნდაც ერთი ნიშნის არარსებობა, ქურდობის შემადგენლობა რომ გამოირიცხოს.

მაიერის კულტურის ნორმათა თეორიის მიხედვით, მართლწინააღმდეგობა გულისხმობს ქმედების წინააღმდეგობას კულტურის ნორმებისადმი.¹⁰⁹ ბინდინგის თეორიის მსგავსად, აღნიშნულ თეორიასაც მართლწინააღმდეგობა არ ესმის ვინ როდ. მაიერის თეორიის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ მოქმედი, პოზიტიური სამართლის ნორმა სათანადოდ ან სრულად ვერ გამოხატავს სამართლიანობის მოთხოვნას და დაცილებულია მას. ასეთ დროს იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას კულტურის ნორმები. თუ ქმედება მკვეთრად ეწინააღმდეგება ცივილიზებული სამყაროს კულტურულ

¹⁰⁶ ლ.გ. კუტალია, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, თბ., 1999, გვ. 84-85; ლ.გ. კუტალია, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, გვ. 496; გ. ნაჭყებია, ნიგნძი: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ. 196-197.

¹⁰⁷ Ebert U., *Strafrecht*, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 29; ი. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 86.

¹⁰⁸ აღნიშნულ თეორიაზე იხ. თ. ნერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 100-109;

გ. ნაჭყებია, ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის საკითხისათვის, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2006, 1, გვ. 72; *Ткешелиадзе Г.*, Судебная практика и уголовный Закон, Тб., 1975, с. 48, 53. მართლწინააღმდეგობას ანალოგიურად განმარტავს ი. გამყრელიძე. იხ. ი. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, 83-84, გვ. 253-254.

¹⁰⁹ მაიერის თეორიის ანალიზი იხ. თ. ნერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, IV ტომი, თბ., 2010, გვ. 109-115.

შეხედულებებს, მოქმედი პირი ვერ იმართლებს თავს იმით, რომ მისი ქმედება შეესაბამებოდა მოქმედი სამართლის ნორმას ან მეთაურის მიერ გაცემულ ბრძანებას. ამის მაგალითად შეიძლება დასახელდეს გერმანიის კედლის მცველთა საქმე.

კულტურის ნორმათა თეორიის საწინააღმდეგოდ შეიძლება იმის თქმა, რომ კულტურის ნორმები სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ქვეყანაში განსხვავებულია, რამაც შეიძლება ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენისთვის ერთიანი მასშტაბის პოვნას ხელი შეუშალოს. გარდა ამისა, ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენა კულტურის ნორმების მიხედვით, შეიძლება გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდიოდეს კანონიერების პრინციპთანაც, რამეთუ ქმედების მართლზომიერების საკითხის გარკვევა ხდება არა საკანონმდებლო, არამედ კანონს მიღმა მყოფი კრიტერიუმებით, რაც განჭვრეტადობის პრინციპსაც შეიძლება არ შეესაბამებოდეს. ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება დასახელდეს შემთხვევა, როცა ქმედების დასჯადობა ეფუძნება საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებს, კონვენციებს, რომელთაც უპირატესი ძალა ენიჭებათ ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით. თუმცა, აქ საქმე ეხება განსაკუთრებული ტიპის აკრძალვას და ნორმას, რომელიც იმპერატიული ნორმის სახელითაა ცნობილი. ასეთ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება მაგალითად, გენოციდი. აღნიშნული ქმედების დასჯადობა შესაძლებელია მაშინაც, როცა ის არ არის გათვალისწინებული ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით. თუმცა, გენოციდის შემადგენლობა ასახულია საქართველოს სსკ-ის 407-ე მუხლში. ის რომ იმპერატიული ხასიათის საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმით აკრძალული ქმედება შეიძლება დაისაჯოს ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი აკრძალვის არარსებობის პირობებშიც, არ ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს და წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას, რომელიც არ ეხება ნებისმიერი ტიპის ქმედებას.

ერთიანი მართლწინააღმდეგობის თეორიის შესაბამისად, მართლწინააღმდეგობა გულისხმობს ქმედების წინააღმდეგობას მთელი მართლწინააღმდეგობისადმი. ქმედება მართლწინააღმდეგობას ან ეწინააღმდეგება ან შეესაბამება. აღნიშნული თეორიის მიხედვით, მართლწინააღმდეგობა არ იყოფა დარგებად. თუ ქმედება მართლწინააღმდეგობა სამართლის ერთ დარგში, მართლწინააღმდეგობა სხვა დარგების მიხედვითაც. სამართლის ერთი დარგით ნებადართული ქმედება არ შეიძლება მეორე დარგმა აკრძალოს და, პირიქით, ერთი დარგით აკრძალული ქმედება მეორე დარგმა ნებადართულად გამოაცხადოს.¹¹⁰ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებანი არა მხოლოდ სისხლის სამართლიდან, არამედ სამართლის სხვა დარგებიდანაც გამომდინარეობენ.¹¹¹

ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, მართლწინააღმდეგობა იყოფა დარგებად. არსებობს ქმედების მართლწინააღმდეგობა არა ზოგადად, ქმედების მთელი მართლწინააღმდეგობისადმი დამოკიდებულების მიხედვით, არამედ სამართლის კონკრეტული დარგის ნორმისადმი მიმართების გათვალისწინებით. მართლწინააღმდეგობა შეიძლება დაიყოს სისხლისსამართლებრივ, სამოქალაქოსამართლებრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ და ა. შ. მართლწინააღმდეგობად. ქმედება შეიძლება სამოქალაქოსამართლებრივად მართლწინააღმდეგობა იყოს, მაგრამ არ იყოს მართლწინააღმდეგობა სისხლისსამართლებრივი გაგებით. ქმედება რომ სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგობად ჩაითვალოს, უნდა შეესაბამებოდეს სსკ-ის კონკრეტული მუხლით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას. გარდა ამისა, შეიძლება მოქმედი პირის, მაგალითად, პოლიციელის ქმედების სისხლისსამართლებრივი გაგებით მართლწინააღმდეგობა გამოირიცხოს აუცილებელი მოგერიების საფუძველზე, მაგრამ ქმედება ჩაითვალოს მართლწინააღმდეგობად საპოლიციო სამართლის მიხედვით და შესაბამისად, დაეკისროს პასუხისმგებლობა.¹¹²

¹¹⁰ Roxin C., *Strafrecht*, AT, Band I, München, 2006, S. 613, § 14 E, Rn. 31, 32; *Baumann/Weber/Mitsch*, *Strafrecht*, AT, Lehrbuch, 11. Aufl., Biefeld, 2003, S. 302, § 16 Rn. 7; *Wessels/Beulke*, *Strafrecht*, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S.101, Rn. 274; *Ebert U.*, *Strafrecht*, AT, 3. Aufl., Heidelberg, 2001, S. 74.

¹¹¹ *Rengier R.*, *Strafrecht*, AT, 3. Aufl., München, 2011, S. 134.

¹¹² *Frister H.*, *Strafrecht*, Allgemeiner Teil, 7. Auflage, 2015, S. 227, 16. Kapitel, Rn. 36.

მართლწინააღმდეგობა დგინდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებების გამორიცხვით, რაც მართლწინააღმდეგობის ნეგატიურ დადგენაზე მიუთითებს. დგინდება თუ არა მართლწინააღმდეგობა ყოველთვის ნეგატიურად, ამაზე სისხლის სამართლის ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი შეხედულებით, მართლწინააღმდეგობა ნეგატიურად მხოლოდ კლასიკურ დელიქტებში დგინდება. ხოლო ბლანკეტურ დელიქტებში მართლწინააღმდეგობის დადგენა ხდება პოზიტიურად,¹¹³ რომელშიც გულისხმობენ იმას, რომ ჯერ უნდა დადგინდეს იმ წესების დარღვევა, რომელიც სისხლის სამართლის მიღმაა და შემდეგ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების არარსებობა. თუმცა, აღნიშნული წესების დარღვევის დადგენით რეალურად ბლანკეტური შემადგენლობის ნორმატიული, შეფასებითი ნიშანი დგინდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ბლანკეტურ დელიქტებშიც მართლწინააღმდეგობა დგინდება ნეგატიურად. მბლანკეტურ დელიქტებში სისხლის სამართლის მიღმა მყოფი წესების დარღვევის დადგენა თუნდაც ის წარმოადგენდეს მართლწინააღმდეგობის დადგენის შემადგენელ ნაწილს, ეს მაინც არ არის საკმარისი და აუცილებელია იმის გარკვევა, არის თუ არა სახეზე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოება. აღნიშნულ გარემოებათა გამორიცხვის გარეშე მართლწინააღმდეგობა ვერ დადგინდება როგორც დელიქტსაც არ უნდა ეხებოდეს საქმე.

2.1. მართლწინააღმდეგობა განზრახ და გაუფრთხილებლობით დელიქტებში

მართლწინააღმდეგობა განზრახ და გაუფრთხილებლობით დანაშაულებში განსხვავებული მასალისგან აიგება. თუ განზრახ დელიქტებში მართლწინააღმდეგობა სამართლის ნორმისადმი ქმედების წინააღმდეგობაა, გაუფრთხილებლობით დელიქტებში, პირველ რიგში, საქმე ეხება წინდახედულობის ნორმისადმი წინააღმდეგობას და აღნიშნული გზით სა-

მართლის ნორმის მოთხოვნის დარღვევას. მართალია, გაუფრთხილებლობის დროსაც არ გამოირიცხება სამართლის ნორმის დარღვევა და სამართლის ნორმის დარღვევის გარეშე მართლწინააღმდეგობა არ არსებობს, მაგრამ სამართლის ნორმის დარღვევა ხდება წინდახედულების ნორმის დარღვევის შედეგად. გაუფრთხილებლობა რომ წინდახედულობის ნორმის დარღვევას გულისხმობს, ამაზე მიუთითებს საქართველოს სსკ-ის მე-10 მუხლიც, სადაც მოცემულია გაუფრთხილებლობის სახეების საკანონმდებლო დეფინიცია.

3. ბრალი, როგორც დანაშაულის ნიშანი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოითხოვს მოქმედი პირის ინდივიდუალურ ბრალს. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი არის თანამედროვე სისხლის სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც აქვს კონსტიტუციური რანგი და გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან.¹¹⁴ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, ერთი მხრივ, გულისხმობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას მხოლოდ ბრალეულად მოქმედი პირისთვის და, მეორე მხრივ, სასჯელის შეფარდებას ბრალის ხარისხის შესაბამისად.

ქმედება მაშინ არის ბრალეულად განხორციელებული, როდესაც მართლწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი შეიძლება გაიკიცხოს და პასუხისმგებლობა დაეკისროს. შესაბამისად, ბრალს განმარტავენ როგორც ინდივიდუალურ, პერსონალურ გასაკიცხაობას,¹¹⁵ რაც ბრალის ინდივიდუალურ, პერსონალურ ხასიათზე მიუთითებს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაუფრთხილებლობით დანაშაულთან დაკავშირებით ავტორთა ერთი ნაწილი ერთმანეთისგან მიჯნავს ინდივიდუალურ და გაუფრთხილებლობით ბრალს და ინდივიდუალური ბრალის არსებობას დასაშვებად მიიჩნევენ საპატივებელ გარემოებათა არსებობისას, რასაც გაუფრთხილებლობითი ბრალის გამომრიცხავ

¹¹³ *ო. გამყრელიძე*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 84-85; *ი. დვალაძე*, წიგნში: გ. ნაჭყებია, ი. დვალაძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 243-244.

¹¹⁴ *Heinrich B.*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 3. Auflage, Stuttgart, 2012, S. 238-239, Rn. 524-525; *Rengier R.*, *Strafrecht, AT*, 3. Aufl., München, 2011, S. 224, §24 Rn. 1.

¹¹⁵ *Jescheck H.-H., Weigend T.*, *Lehrbuch des Strafrechts*, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 404; *Heinrich B.*, ebenda, S. 238, Rn. 524.

გარემოებად თვლიან. აღნიშნული შეხედულების მიხედვით, ერთმანეთისგან იმიჯნება ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა და ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა,¹¹⁶ რაც საკამათოდ უნდა იქნას მიჩნეული. მართებულია ის შეხედულება, რომელიც გაუფრთხილებლობით დელიქტებში ვალდებულების, მოთხოვნის შესრულების შეუძლებლობას მიიჩნევს არა ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის მიღმა, არამედ როგორც გვარეობით ცნებას, რომელიც გაუფრთხილებლობით დელიქტებში აერთიანებს ყველა საპატიებელ გარემოებას, ვინაიდან ვალდებულების, მოთხოვნის შესრულების შეუძლებლობა სხვა არაფერია, თუ არა სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობის არარსებობა, რაც ინდივიდუალური ბრალის გამომრიცხავ გარემოებად უნდა იქნას მიჩნეული გაუფრთხილებლობით დელიქტებშიც.

მოქმედი პირის ბრალი ემყარება ადამიანის ნების თავისუფლებას. ყოველ ადამიანს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამართლის ან უმართლობის სასარგებლოდ.¹¹⁷ თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება უმართლობის სასარგებლოდ, შეიძლება მოქმედი პირი პერსონალურად გაიკიცხოს. გასაკიცხაობა გამოირიცხება, თუ თავისუფალი გადაწყვეტილების მიღება არ იყო შესაძლებელი.¹¹⁸

კ. როქსინის შეხედულებით, პირი მაშინ მოქმედებს ბრალეულად, როცა ის სისხლისსამართლებრივ უმართლობას ახორციელებს, მიუხედავად იმისა, რომ მას კონკრეტულ სიტუაციაში ნორმის მონოდების შესაბამისად მოქმედება შეეძლო და ჰქონდა საკმარისი უნარი იმისთვის, რომ ეხელმძღვანელა საკუთარი თავისთვის, ფსიქიკურად შეეძლო განეხორციელებინა ალტერნატიული მართლზომიერი

ქმედება. ამგვარად ბრალეულად განხორციელებული ქმედება, როგორც წესი, პრევენციული თვალსაზრისით სისხლისსამართლებრივად დასჯადია. როქსინი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირებს ორ პირობას: მოქმედი პირის ბრალს და სისხლისსამართლებრივი სასჯელის პრევენციულ საჭიროებას. როცა კანონმდებელი ქმედების შემადგენლობაში განსაზღვრულ ქმედებას აღწერს, გამოდის იქიდან, რომ მართლწინააღმდეგობის და ბრალის არსებობისას, ჩვეულებრივ მის მიმართ ბრძოლა სისხლისსამართლებრივი სასჯელის საშუალებით უნდა განხორციელდეს.¹¹⁹ როქსინს საკამათოდ მიაჩნია ბრალის მიჩნევა სასჯელისთვის საკმარის პირობად. მისი შეხედულებით, სასჯელისთვის ბრალი არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა. როქსინი აღნიშნულ დასკვნამდე მიდის იმის შედეგად, რომ ერთმანეთისგან იმიჯნავს ბრალს და პასუხისმგებლობას.¹²⁰ მიუხედავად იმისა, რომ როქსინის მოძღვრებაში ბრალი არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკმარის პირობას, ის მაინც ინარჩუნებს სასჯელისთვის აუცილებელი წინაპირობის ფუნქციას, ვინაიდან სასჯელის დამნაშავეს ბრალთან დაკავშირებით ხდება სახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი იძულების საზღვრის დადგენა.¹²¹

ქმედება ბრალეულად რომ იქნას მიჩნეული სახეზე არ უნდა იყოს ბრალის გამომრიცხავი არცერთი გარემოება. თუ მართლწინააღმდეგო ქმედებას, მაგალითად სხვისი ჯანმრთელობის დაზიანებას ახორციელებს ფსიქიკურად ან მცირეწლოვანების გამო შეურაცხი,¹²² ბრალი გამომრიცხება. როდესაც სახეზეა სამივე ნიშანი – ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და

¹¹⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 594-596.

¹¹⁷ Wessels/Beulke, Strafrecht, AT, Die Straftat und ihre Aufbau, 40. Aufl., Heidelberg, 2010, S.144-145, Rn. 397.

¹¹⁸ Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, Stuttgart, 2012, S. 239, Rn. 526.

¹¹⁹ Roxin C., Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 852, § 19 Rn. 3.

¹²⁰ Roxin C., Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 855, § 19 Rn. 9.

¹²¹ Roxin C., Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 859, § 19 Rn. 18.

¹²² ფსიქიკურად შეურაცხის, სულით ავადმყოფის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე

სისხლის სამართლის ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული. გაბატონებული შეხედულებით, სამართლის ნორმის მოთხოვნას ერთნაირად არღვევს შერაცხადიც და შეურაცხადიც, ხოლო შეურაცხადობა ბრალს გამომრიცხავს. იხ. ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 170, 323. მეორე მოსაზრებით, სულით ავადმყოფი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება არა იმიტომ, რომ არ შეუძლია შეასრულოს ნორმატიულად სავალდებულო მოთხოვნები, არამედ იმიტომ, რომ მას ნორმატიული მოვალეობები არც ეკისრება მათი შესრულების შეუძლებლობის გამო. იხ. ლ.გ. კუჭალა, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, თბ., 1999, 187. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, შეურაცხს შეუძლია თუ არა თუნდაც მართლწინააღმდეგო

ბრალი, მოქმედ პირს სასჯელი შეიძლება შეეფარდოს შესაბამისი ნორმით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. ქმედების შემადგენლობის და მართლწინააღმდეგობის ერთიანობა გვაძლევს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, მაგრამ ის არ მოიცავს ბრალს. სისხლისსამართლებრივი უმართლობა შეიძლება ბრალის გარეშე განხორციელდეს. მიუხედავად იმისა, რომ ბრალის გარეშე განხორციელებული სისხლისსამართლებრივი უმართლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს, მას მაინც შეიძლება მოჰყვეს გარკვეული შედეგი. მართლწინააღმდეგო ქმედების წინააღმდეგ ნებადართულია თავდაცვითი ქმედება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. არ არის აუცილებელი, რომ თავდამსხმელი ბრალეულად მოქმედებდეს. საკმარისია ისიც, რომ თავდასხმა მართლწინააღმდეგოა. გარდა ამისა, ლიმიტირებული აქცესორული თეორიის მომხრეთა მიხედვით, თანამონაწილეობა დასაშვებია ამსრულებლის უმართლობაში, ამსრულებლის არაბრალეული ქმედების პირობებშიც, თუმცა საკამათოა აღიარებს თუ არა აღნიშნულ თეორიას საქართველოს სსკ.

დანაშაულის აგებულებაში პირველ ადგილს იკავებს ქმედების შემადგენლობა, მეორეს - მართლწინააღმდეგობა, ხოლო მესამეს - ბრალი. დანაშაულის ნიშნების აღნიშნული თანმიმდევრობა იქიდან გამომდინარეობს, რომ ბრალი არ არსებობს მართლწინააღმდეგო ქმედების ანუ უმართლობის გარეშე, ხოლო მართლწინააღმდეგო ქმედება ქმედების შემადგენლობის გარეშე. ბრალს წინ უძღვის სისხლისსამართლებრივი უმართლობა, უმართლობა ბრალის ნანამძღვარია. მართლწინააღმდეგო ქმედება კი ხორციელდება ქმედების შემადგენლობის განხორციელების შედეგად. თუმცა, მხოლოდ ქმედების

შემადგენლობა არ არის საკმარისი ქმედების მართლწინააღმდეგობისთვის, ვინაიდან ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედება მართლზომიერადაც შეიძლება განხორციელდეს (აუცილებელი მოგერიების ვითარებაში).

3.1. ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური თეორია

ბრალის მოძღვრებამ განვითარების ვრცელი გზა გაიარა. დღემდე ბრალზე არაერთი თეორია ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი თეორია, რომელმაც პირველად შემოგვთავაზა ბრალის განსაზღვრება, სისხლის სამართალში წმინდა ფსიქოლოგიური თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია დანაშაულის კლასიკური მოძღვრების წარმომადგენელთა სახელს უკავშირდება, რომლებიც ერთმანეთისგან მიჯნავდნენ უმართლობას და ბრალს. ყველა ობიექტურ ნიშანს უმართლობას მიაკუთვნებდნენ, ხოლო სუბიექტურ ნიშნებს ბრალს. აღნიშნული თეორიის მიხედვით, ბრალი არის დამნაშავის ფსიქიკური კავშირი ქმედებით გამონვეულ შედეგთან, განზრახვა და გაუფრთხილებლობა კი - ბრალის სახეები. ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის ცნობილი წარმომადგენლები იყვნენ *ბური, ლისტი, კოლრაუში* და *რადბრუხი* (თავის ადრინდელ შრომებში). აღნიშნულმა თეორიამ კრახი განიცადა და დღეს უკვე ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენს, ვინაიდან თანამედროვე სისხლის სამართალში მას არავინ არ უჭერს მხარს.

ბრალის ფსიქოლოგიური ცნება ნორმატიულმა ცნებამ ჩაანაცვლა, რომელსაც გზა გაუკვლია 1907 წელს გამოცემულმა *ფრანკის* ნაშრომმა - „ბრალის ცნების აგებისათვის“. *ფრანკი* მიუთითებდა, რომ მოქმედი პირის ბრალეულობა მისატყვებელი უკიდურესი აუცილებლობის დროს შეუძლებელია დასაბუთდეს

ქმედების განხორციელება, ვინაიდან ნორმატიული მოთხოვნის დარღვევის გარეშე მართლწინააღმდეგო ქმედება როგორ შეიძლება განხორციელდეს? ის, ვისაც ნორმატიული მოვალეობის შესრულება არ ეკისრება, აღნიშნული სახის მოვალეობას როგორ დაარღვევს? ფსიქიკურად შეურაცხის მიმართ სოციალური ხასიათის ღონისძიების გამოყენება ხომ არ ეფუძნება შეურაცხის სოციალურად საშიშ ქმედებას? ქმედება სოციალურად საშიშად შეიძლება შეფასდეს მაშინაც, როცა ის არ მიიჩნევა მართლწინააღმდეგოდ. მართლწინააღმდეგო ქმედება სოციალურად საშიშია, მაგრამ სოციალურად საშიში ყველა ქმედება ყოველთვის

არ არის ამავედროულად მართლწინააღმდეგოც. დასმულ კითხვაზე ლ-გ. კუტალია აღნიშნავს, რომ შეურაცხს ძალუძს იმოქმედოს მართლწინააღმდეგოდ, ვინაიდან შეუძლია დაარღვიოს სხვისი სისხლისსამართლებრივად დაცული უფლება. იხ. ლ-გ. კუტალია, დასახ. ნაშრ., გვ. 201. სწორედ სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის უნარი არის ის, რის გამოც მიუთითებენ ყველას მიმართ სამართლის ერთნაირი საზომის დანესებაზე, შეურაცხის შესაძლებლობაზე განახორციელოს მართლწინააღმდეგო ქმედება.

ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ვინაიდან უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში მოქმედმა პირმა იცის რას აკეთებს. გარდა ამისა, სულით ავადმყოფს შეიძლება სურდეს იმ ქმედების განხორციელება, რომელსაც ახორციელებს და ისიც იცოდეს, რომ აღნიშნული ქმედება დანაშაულია. ამასთან ერთად *ფრანკი* მიუთითებდა იმაზეც, რომ დაუდევრობის დროს შეუძლებელია მოქმედი პირის ფსიქიკური კავშირის დადგენა ქმედებით გამოწვეულ შედეგთან. შესაბამისად, დაუდევრობის დროს ბრალის დასადგენად საჭიროა ბრალის ახალი განსაზღვრების ჩამოყალიბება.¹²³

წმინდა ფსიქოლოგიური თეორიის მარცხი გამოიწვია იმან, რომ მას არ შეეძლო ერთმანეთისგან გაემიჯნა ბრალეული და არაბრალეული ქმედება. ფსიქიკური კავშირი ქმედებასთან და ქმედებით გამოწვეულ შედეგთან მოქმედ პირს აქვს არა მხოლოდ ბრალეული, არამედ ასევე მართლზომიერი ქმედების დროსაც. აუცილებელი მოგერიების დროს მომგერიებელმა იცის, რომ მისი ქმედება გამოიწვევს თავდამსხმელის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას, რაც ქმედებასთან ფსიქიკური კავშირის არსებობაზე მიუთითებს.

3.2. ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური (შერეული) თეორია

როგორც ზემოაღნიშნულმა ცხადყო, წმინდა ფსიქოლოგიური თეორია ვერ პასუხობდა მის წინაშე დასმულ შეკითხვებს. ამან კი ხელი შეუწყო ახალი თეორიის ჩამოყალიბებას ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის სახით, რომელმაც ბრალის ახალი განსაზღვრება შემოგვთავაზა და ბრალის ცნებაში შეფასებითი მომენტი შემოიტანა.

ფრანკის შეხედულებით ბრალი არის გასაკიცხაობა (*Schuld ist Vorwerfbarkeit*). აკრძალული ქმედება მის ჩამდენს მაშინ შეიძლება

ბრალად შეერაცხოს, როდესაც შესაძლებელია მისი გაკიცხვა, რომ მან ეს განახორციელა.¹²⁴ ფრანკის მიერ ჩამოყალიბებული თეორია ფსიქიკურ და შეფასებით ელემენტებს გვერდიგვერდ აყენებდა.¹²⁵ შესაბამისად, აღნიშნული თეორია ბრალის შერეულ თეორიად შეიძლება ჩაითვალოს. ხოლო წმინდა შეფასებითი თეორია წარმოადგენდა მომდევნო ეტაპს ბრალის მოძღვრების განვითარებაში.

ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ მოძღვრებას აქვს სხვადასხვა მიმდინარეობა. თუ *ფრანკი* ბრალს გასაკიცხაობად წარმოგვიდგენს, სხვები (*გოლდშმიტი*) მიიჩნევენ, რომ ბრალი მავალე-ბელი ნორმის დარღვევაში გამოიხატება. ისინი ერთმანეთისგან განასხვავებენ ორი სახის ნორმას: ნორმები, რომელთა დარღვევა ასაბუთებს ქმედების ობიექტურ უმართლობას და (მავალე-ბელი) ნორმები, რომელთა დარღვევაც წარმოშობს ბრალეულ ქმედებას. ბრალის გამომრიცხავი უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი მოქმედებს განზრახ, მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ არაბრალეულად, ვინაიდან მოქმედს ვერ მოვთხოვთ სწორად, ნორმის შესაბამისად მოქმედებას.¹²⁶

ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ბრალი არის არა ყოველგვარი, არამედ გასაკიცხი ფსიქიკური კავშირი ქმედებასთან და ქმედებით გამოწვეულ შედეგთან. ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორია, ისევე როგორც წმინდა ფსიქოლოგიური მოძღვრება, განზრახვას და გაუფრთხილებლობას განიხილავდა ბრალის ფორმებად. აღნიშნული მოძღვრების წარმომადგენლებად ქართულ სისხლის სამართალში შეიძლება მივიჩნიოთ *თ. წერეთელი* და *ვ. მაყაშვილი*, რომელთა შეხედულებებმა შემდგომ განვითარება ჰპოვეს მათი მონაფეების ნაშრომებში.¹²⁷

თ. წერეთლის მოძღვრებასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ ის თითქოს

¹²³ Roxin C., Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 855-856, §19 Rn. 10-11.

¹²⁴ აღნიშნულის შესახებ იხ. Roxin C., Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 857, §19 Rn. 12.

¹²⁵ აღნიშნულის შესახებ იხ. Roxin C., Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 858, §19 Rn. 14.

¹²⁶ თ. წერეთელი, თანამედროვე ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა მოძღვრება ბრალზე და მისი კრიტიკა, „საბჭოთა სამართალი“, 1974, ნ. გვ. 8.; ლ.გ. კუტალია, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, თბ., 1999, გვ. 51-52.

¹²⁷ მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 7; თ. შავგულიძე, ბრალის მესამე ფორმა სისხლის სამართალში, წიგნში: იურიდიული ძიებანი, თ. წერეთლის 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1977, გვ. 79; ვ. ტყეშელიაძე, წიგნში: გ. ნაჭყებია, ი. დვალაძე, (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 54.

უფრო მეტად ბრალის ფსიქოლოგიური თეორიისკენ იხრებოდა,¹²⁸ რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მან ბრალის ცნებაში შეფასებითი ნიშანი შეიტანა გასაკიცხაობის სახით, რაც სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ *თ. ნერეთლის* კონცეფცია სწორედ დანაშაულის ნეოკლასიკურ და ბრალის ნორმატიულ-ფსიქოლოგიურ მოძღვრებას წარმოადგენდა. ბრალის *თ. ნერეთლისეულ* ცნებაში ბრალი არ წარმოადგენს უბრალოდ ფსიქიკურ კავშირს ქმედებასთან და ქმედებით გამონვეულ შედეგთან.

თ. ნერეთელი ბრალს განმარტავდა საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებად, რომელიც გაკიცხვის ღირსია. მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის აუცილებლად მიაჩნდა ბრალის ცნებაში ზნეობრივი გაკიცხვის მომენტის შეტანა. მისი თვალსაზრისით, „მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აღიქმება სასჯელი მესამე პირებისა და თვით მსჯავრდებულის მიერ როგორც სამართლიანი და ზნეობრივად გამართლებული რეაქცია საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი პირის მიმართ“.¹²⁹ *თ. ნერეთელი* მიუთითებდა, რომ პასუხისმგებლობის საფუძველია მხოლოდ ისეთი ქმედობა, რომლის მიმართ პირს ჰქონდა ფსიქიკური დამოკიდებულება მოქმედების დროს. ეს ფსიქიკური დამოკიდებულება სწორედ განზრახვასა და გაუფრთხილებლობაში გამოიხატება. ფსიქიკური დამოკიდებულების ეს ორი სახე იძლევა საფუძველს მორალურ-პოლიტიკური გაკიცხვისათვის. გაკიცხვა კი არ არის ბრალი, არამედ გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება. განზრახვა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით ყოველთვის არის ბოროტი განზრახვა, დოლუს მალუს. იგი თავიდანვე გულისხმობს უარყოფით შეფასებას, ვინაიდან სუბიექტი ითვალისწინებს თავისი დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტიურ ნიშნებს, სურს ან უშვებს ამ უმოქმედობის მავნე შედეგს და შეგნებული აქვს მისი საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. სწორედ ამ ნიშნების

ერთობლიობა, რაც მთლიანად ფსიქიკურ სფეროში მიმდინარეობს და რომელშიც ვლინდება დამნაშავის ანტისოციალური განწყობილება დანაშაულის ჩადენის მომენტში, წარმოადგენს საფუძველს, აღნიშნული ფსიქიკური პროცესის ბრალეული შეფასებისთვის. ბრალის ნორმატიული ცნება მიუღებელია, მაგრამ არა იმიტომ, რომ მან ბრალის ცნებაში შეფასებითი მომენტი შეიტანა, არამედ იმის გამო, რომ ბრალის ცნება მთლიანად შეფასებით მსჯელობამდე დაიყვანა და დამნაშავის ფსიქიკიდან მოსამართლის ფსიქიკაში გადაიტანა. ნორმატიულმა თეორიამ გადაწყვიტა კავშირი დამნაშავის შინაგანი, ფსიქიკური ცხოვრების პროცესებსა და შეფასებით მსჯელობას შორის, რის გამოც შიშველი შეფასებით მსჯელობა ჰაერში ჩამოეკიდა.¹³⁰

უნდა აღინიშნოს, რომ *როქსინი*ც გამოთქვამს კრიტიკას ბრალის წმინდა ნორმატიულ თეორიასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ის თუ რამდენად შეუძლია ბრალის პრინციპს სახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი იძულების ფარგლების დადგენა, დამოკიდებულია იმაზე, როგორ იქნება ბრალის ცნება შინაარსობრივად განსაზღვრული. ბრალის ნორმატიული ცნება მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ბრალეული ქმედება უნდა იყოს „გასაკიცხი“. თუმცა, ეს არის ფორმალური განსაზღვრება და არ პასუხობს კითხვას, რომელ შინაარსობრივ წინაპირობაზეა დამოკიდებული გასაკიცხაობა. ეს არის ბრალის მატერიალური განსაზღვრების საკითხი. აღნიშნულ კითხვას, თუ რა იგულისხმება ბრალის მატერიალური შინაარსის ქვეშ, ნორმატიული თეორიის წარმომადგენლები სხვადასხვაგვარად პასუხობენ.¹³¹

გ. მაყაშვილი ბრალს მიიჩნევდა საზოგადოებრივად საშიში ქმედებისადმი ისეთ ფსიქიკურ დამოკიდებულებად, რომელიც გასაკიცხია სამართლებრივი და ზნეობრივი თვალსაზრისით.¹³² ამავე მოსაზრებას იზიარებს *მ. უგრეხელიძე*, როცა მიუთითებს, რომ ბრალი

¹²⁸ *ლ. ხარანაული*, გაუფრთხილებლობის ევოლუცია დანაშაულის კლასიკური მოძღვრებიდან თანამედროვე სისტემამდე (დოგმატურ-სისტემური ანალიზი), „სამართლის ჟურნალი“, 2018, 1, გვ. 192.

¹²⁹ *თ. ნერეთელი*, ბრალის ცნების განვითარება საბჭოთა სისხლის სამართალში, „საბჭოთა სამართალი“, 1967, 4, გვ. 40; *Церетели Т.*, К вопросу о понятии вины, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, 1, გვ. 129.

¹³⁰ *თ. ნერეთელი*, თანამედროვე ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა მოძღვრება ბრალზე და მისი კრიტიკა, „საბჭოთა სამართალი“, 1974, 6, გვ. 13.

¹³¹ *Roxin C.*, *Strafrecht*, AT, Band I, München, 2006, S. 859, § 19 Rn. 19.

¹³² *გ. მაყაშვილი*, წიგნში: *თ. ნერეთელი*, *გ. ტყეშელიაძე*, (რედ.), საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 47.

არა ყოველგვარი, არამედ მორალურად გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულებაა. ბრალი არის არა წმინდა ფსიქოლოგიური ცნება, არამედ სოციალურ-ეთიკური კატეგორია, რომელიც გულისხმობს საკუთარი ქცევისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულების გასაკიცხობას.¹³³

ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას ბრალის ცნებაში ვერც შეფასებითი ნიშნის შემოტანამ უშველა, ვინაიდან დაუდევრობის დროს ბრალეულობის დასაბუთება ისეთივე შეუძლებელი აღმოჩნდა, როგორც წმინდა ფსიქოლოგიური თეორიისთვის. გარდა ამისა, ერთ ცნებაში იქნა თავმოყრილი შეფასების საგანი და შეფასება, რაც ასევე აღმოჩნდა კრიტიკის საგანი. შეფასება და შეფასების საგანი სხვადასხვა სინამდვილის მოვლენებია, რომელთა ერთად გაერთიანება მეთოდოლოგიურად მცდარ მიდგომად იქნა მიჩნეული.¹³⁴

ბრალის ფსიქოლოგიური (როგორც წმინდა, ისე შერეული) თეორიის ნაკლს წარმოადგენდა ასევე ისიც, რომ აღნიშნული თეორიის მიხედვით შეუძლებელი იყო ბრალის ხარისხის განსაზღვრა. ფსიქიკური კავშირი ქმედებასთან და შედეგთან მოქმედ პირს აქვს ან არა აქვს. ფსიქიკურ კავშირს არ შეიძლება ჰქონდეს ხარისხი. ბრალის ხარისხის განსაზღვრის შეუძლებლობა კი ხელს უშლის სასჯელის ზომის თანაზომიერად განსაზღვრას. ბრალის ხარისხის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია პროპორციული სასჯელის ზომა შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენს.

3.3. ბრალის წმინდა შეფასებითი, ნორმატიული თეორია

ბრალის მოძღვრებაში ნორმატიულ-ფსიქოლოგიური თეორიის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ბრალის წმინდა ნორმატიული თეორია, რომელმაც ბრალის ცნება განმინდა ყოველგვარი ფსიქოლოგიური მინარევებისგან და

ბრალი წმინდა შეფასებით ცნებად გამოაცხადა.¹³⁵ ნორმატიული მოძღვრების მიხედვით, ბრალი არის გასაკიცხაობა ჩადენილი უმართლობის გამო.¹³⁶ თუმცა, ავტორთა ერთი ნაწილის განმარტებით, ნორმატიული თეორიის მიხედვით, ბრალი უნდა განიმარტოს როგორც მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა ჩადენილი დანაშაულის გამო.¹³⁷ აღნიშნული შეხედულება არის საკამათო, ვინაიდან გაკიცხვა პროცესია და ის არ შეიძლება გამოხატავდეს იმას, რაც არის ბრალი.

ნორმატიული თეორიის წარმომადგენლებმა განზრახვა, რომელიც ფსიქოლოგიურ ელემენტებს შეიცავს, გაიტანეს ბრალის ცნებიდან და გადაიტანეს ქმედების შემადგენლობაში. ქმედების შემადგენლობაში განზრახვის გვერდით მოუნახეს ადგილი გაუფრთხილებლობასაც. ფსიქოლოგიური თეორიისგან განსხვავებით, განზრახვა და გაუფრთხილებლობა განიხილება არა ბრალის ფორმებად, არამედ ქმედების შემადგენლობის ნიშნებად. თუმცა, მართებულად უნდა იქნას მიჩნეული ის შეხედულება, რომლითაც გაკრიტიკებულია გაუფრთხილებლობის მიკუთვნება ქმედების შემადგენლობისადმი. კრიტიკის ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ თუ განზრახვა შეფასებისგან ნეიტრალურია და შეფასება სჭირდება, გაუფრთხილებლობა შეფასებას გულისხმობს.¹³⁸

ბრალის ნორმატიულ თეორიას დღეს მომხრეებთან ერთად ჰყავს კრიტიკოსებიც.¹³⁹ ნორმატიული თეორიის კრიტიკოსთა თვალსაზრისით, ბრალის გაიგივება ნორმატიულ შეფასებასთან და ბრალის ფორმების უარყოფა ნიშნავს უფორმო შინაარსის აღიარებას, რასაც ბრალის ამორფულ ცნებამდე მივყავართ.¹⁴⁰

ბრალის ნორმატიული მოძღვრების კრიტიკოსთა თვალსაზრისით, ბრალის განსაზღვრება, რომელიც ბრალს განმარტავს გასაკიცხაობად, ბრალის მხოლოდ გარეგან აღწერილობას

¹³³ *მ. უგრეხელიძე*, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, გვ. 7.

¹³⁴ *ო. გამყრელიძე*, შერაცხვის პრობლემა სისხლის სამართალში და ბრალის ნორმატიული ცნების დასაბუთების ცდა, კრებულში: სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები, ეძღვნება თ. შავგულიძის 75 წლის იუბილეს, თბ., 2006, გვ. 36-37.

¹³⁵ *ო. გამყრელიძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

¹³⁶ *ო. გამყრელიძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 44.

¹³⁷ *მ. ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., 2013, გვ. 207; *მ. ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 403-404.

¹³⁸ *ო. გამყრელიძე*, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

¹³⁹ *ლ.გ. კუტალია*, ბრალი სისხლის სამართალში, თბ., 2000, გვ. 457.

¹⁴⁰ *ლ.გ. კუტალია*, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, თბ., 1999, გვ. 228.

წარმოგვიდგენს და არაფერს არ გვეუბნება ბრალის არსზე.¹⁴¹

ბრალის მიჩნევა დანაშაულის შეფასებით ნიშნად მართებულია, მაგრამ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ბრალის შეფასებითობასთან ერთად მიუთითებენ მის ფაქტობრივ მხარეზე და ბრალს ფაქტობრივ კატეგორიას მიაკუთვნებენ, რასაც იმით ხსნიან, რომ ბრალის ფაქტობრივი ხასიათის უარყოფა მიგვიყვანდა მისი დადგენის შესაძლებლობის უარყოფამდე, რაც ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპსაც სრულ უშინაარსობად აქცევდა.¹⁴² თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: არა მხოლოდ ბრალის დანაშაულის შეფასებითი ნიშანი, არამედ მართლწინააღმდეგობაც, რომელიც არ არის ფაქტობრივი ხასიათის ნიშანი და გულისხმობს დამოკიდებულებას ქმედებასა და სამართალს შორის, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მართლწინააღმდეგობის დადგენა შეუძლებელია? რასაკვირველია, მართლწინააღმდეგობის შეფასებითობა არ გამორიცხავს მისი დადგენის შესაძლებლობას. მართლწინააღმდეგობა დგინდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებათა გამორიცხვით. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები კი გულისხმობს ფაქტობრივი ხასიათის გარემოებებს. ეს ეხება განსაკუთრებით, ობიექტური ხასიათის გამამართლებელ წინაპირობებს. იგივე შეიძლება ითქვას ბრალზეც, რომელიც შეიძლება დადგინდეს ბრალის გამომრიცხავ გარემოებათა გამორიცხვით.

ბრალის ნორმატიულ თეორიასთან დაკავშირებით როქსინი ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ ბრალის ნორმატიული ცნება იყო დიდი წინადადგმული ნაბიჯი ბრალის ფსიქოლოგიურ ცნებასთან მიმართებით, მაგრამ ნორმატიული თეორიის საპირისპიროდ ამავდროულად მიუთითებს, რომ გასაკიცხაობა არის აუცილებელი, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარისი პირობა პასუხისმგებლობისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით როქსინი მიუთითებს აუცილებელი მოგერიების ექსცესზე. ასეთიური აფექტის დროს საჭიროდ არ მიიჩნევა აუცილებელი მოგერიების

ფარგლების გადაცილებაზე რეაგირება სასჯელის გამოყენებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, როქსინს მიზანშეწონილად მიაჩნია ბრალის ნორმატიული ცნების განვითარება ნორმატიული პასუხისმგებლობის ცნებით.¹⁴³

3.4. ბრალი, როგორც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, ბრალი არის მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც გამოიხატება განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით. მაშასადამე, ბრალი არის უპასუხისმგებლობის სინონიმი.¹⁴⁴ სისხლის სამართლის ნორმის ადრესატი სწორედ ამ უპასუხისმგებლობას გადაჰყავს პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტიდან ნეგატიურში. უპასუხისმგებლობა არის პასუხისმგებლობის ასპექტების კავშირის ფორმა. წარმოდგენილი შეხედულებით, ბრალი არის დანაშაულის სუბიექტური მიზეზი.

ბრალის წარმოდგენილი განსაზღვრება ერთგვარად ენათესავება ბრალის სოციოლოგიურ ცნებას, რომლის მიხედვითაც ბრალი არის პასუხისმგებლობის გრძნობის უკმარისობა.¹⁴⁵

3.5. ბრალი, როგორც განწყობა

ერთ-ერთი განსაზღვრების მიხედვით, ბრალი განმარტებულია როგორც დამნაშავის გარკვეული შინაგანი განწყობილება,¹⁴⁶ ხოლო განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებადაა მიჩნეული.¹⁴⁷ აღნიშნული შეხედულების წარმომადგენელი ბრალის აუცილებელ ელემენტად მიიჩნევს ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ბრალის ცნების სრული კონსტრუირებისთვის და იგი მოითხოვს შეფასებით ელემენტსაც, რომელიც

¹⁴¹ ლ.გ. კუტალია, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

¹⁴² ლ.გ. კუტალია, დასახ. ნაშრ., გვ. 127.

¹⁴³ Roxin C., Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 858, §19 Rn. 15.

¹⁴⁴ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2011, გვ. 362; გ. ნაჭყებია,

ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001.

¹⁴⁵ აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ლ.გ. კუტალია, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, თბ., 1999, გვ. 38.

¹⁴⁶ ალ. ვაჩეიშვილი, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957, გვ. 24.

¹⁴⁷ ალ. ვაჩეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25.

ბრალის პრობლემას დააკავშირებს სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზნებთან.¹⁴⁸ ამ გზით ბრალის ცნება უკავშირდება სასჯელის მიზნების საკითხს.¹⁴⁹ მართებულად არის გამოთქმული მოსაზრება, რომ ბრალეული გაკიცხვის საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს სამართლებრივად მტრული განწყობა. ბრალეული გაკიცხვის საყრდენ ნერტილს წარმოადგენს კონკრეტული ქმედება. კერძოდ, ქმედების შემადგენლობის შესაბამისი და მართლსაწინააღმდეგო ქმედება (უმართლობა).¹⁵⁰ ბრალეული გაკიცხვის საგნად სამართლებრივად მტრული განწყობის მიჩნევა სისხლის სამართალს განწყობის სამართლად აქცევდა. თანამედროვე სისხლის სამართალი არის არა განწყობის, არამედ ქმედების სამართალი. ადამიანს არ შეიძლება პასუხისმგებლობა განწყობისთვის დაეკისროს.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, ბრალი ასევე განიმარტება როგორც ბოროტი ნებისყოფა.¹⁵¹ ხოლო სხვა ავტორები ბრალეულობის შინაარსს „განწყობილებაში“, „ხასიათში“, პიროვნების ფსიქიკურ „თავისებურებაში“ ხედავენ.¹⁵² აღნიშნულ შეხედულებათა გაზიარებაზე შეიძლება იყოს დაკავშირებული საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა ბრალის ხარისხის განმსაზღვრელ გარემოებად მივიჩნიოთ დანაშაულის რეციდივი, დამნაშავის წარსული ცხოვრება.

დანაშაულის რეციდივთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ცნების შეტანა კანონმდებლობაში მიუთითებს კანონმდებლის ნებაზე ბრალის ხარისხის დადგენის საჭიროებასთან დაკავშირებით,¹⁵³ რაც საკამათოდ უნდა მივიჩნიოთ. ბრალის ხარისხი უნდა განისაზღვროს იმ გარემოებებით, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულთან და არა დამნაშავის წარსულთან. მართალია, დანაშაულის ჩადენას, ხშირად მოქმედი პირის ხასიათიც განაპირობებს, მაგრამ ბრალის ხარისხი არ შეიძლება აღნიშნული გარემოების მიხედვით

განისაზღვროს.

მართალია, განწყობა არ არის ბრალეული გაკიცხვის საგანი, მაგრამ მაინც მიიღება მხედველობაში სასჯელის დანიშვნის დროს,¹⁵⁴ როგორც დანაშაულის პრევენციისთვის გასათვალისწინებელი ფაქტორი.

3.6. ბრალი, როგორც სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა

ბრალის განსაზღვრებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფორმალური ცნების ჩამოყალიბება, არამედ ის თუ რა არის მისი შინაარსობრივი მხარე ანუ ბრალეული გაკიცხვის საგანი. მნიშვნელოვანია ბრალის ისეთი განსაზღვრება, სადაც თვალსაჩინოდ იქნებოდა წარმოდგენილი ბრალეულად მოქმედი პირის შინაგანი მდგომარეობა და ის კრიტერიუმი, რომელსაც ბრალუნარიანი უნდა აკმაყოფილებდეს. ამ თვალსაზრისით, მეტად საგულისხმოა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ბრალი განიმარტება როგორც სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა (*Anders-Handeln-Können*).¹⁵⁵

იმისთვის, რომ პირი ბრალუნარიანად იქნას მიჩნეული, უნდა ჰქონდეს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა. ასეთ შესაძლებლობას ნორმის ადრესატი სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს მოკლებული. ეს შეიძლება იყოს ასაკი, ფსიქიკური მდგომარეობა და ა. შ. სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა შეიძლება ჰქონდეს ფიზიკურ პირს, ადამიანს. მაგრამ რაც შეეხება იურიდიულ პირს, რომელიც ორგანიზაციული წარმონაქმნია, ცალკეულ ავტორთა მიერ არ განიხილება სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობის მქონე სუბიექტად, რაც საკამათოს ხდის იურიდიული პირის ბრალუნარიანობას. აღნიშნული მოსაზრების წარმომადგენლები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ გაკიცხვა არის არა ბრალი, არამედ სასჯელი. ხოლო ბრალი გაკიცხვის საფუძველია.¹⁵⁶

¹⁴⁸ ალ. ვაჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

¹⁴⁹ ალ. ვაჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

¹⁵⁰ Heinrich B., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 3. Auflage, Stuttgart, 2012, S. 240, Rn. 528.

¹⁵¹ ალ. ვაჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

¹⁵² ალ. ვაჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 137.

¹⁵³ ალ. ვაჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

¹⁵⁴ Heinrich B., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 3. Auflage, Stuttgart, 2012, S. 240, Rn. 528.

¹⁵⁵ Streng F., *Schuld, Vergeltung, Generalprävention*, ZStW 1980, S. 638. ასევე იხ. გ. ნაჭყებია, ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა სისხლის სამართალში, თბ., 1975, გვ. 6.

¹⁵⁶ ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის ცნება, „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“, 2016, 1, გვ. 8. www.dgstz.de; ო. გამყრელიძე, როცა მეცნიერებს აღარაფერს ეკითხებიან..., „მართლმსაჯულება და კანონი“, 2018, 1, გვ. 8.

ბრალის ნორმატივისტული თეორიის ზოგერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ გასაკიცხაობა ბრალის შედეგია და არა თვით ბრალი. სუბიექტი შეიძლება დავუქვემდებაროთ გაკიცხვას მაშინ, როდესაც და რამდენადაც ის ბრალეულია.¹⁵⁷ ბრალი როგორც გაკიცხვის წინამძღვარი წარმოადგენს არა გაკიცხვას, შეფასებას, არამედ შეფასების ობიექტს.¹⁵⁸

იმისთვის რომ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, უნდა დადგინდეს, რომ მას მოქმედების მომენტში ჰქონდა სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა. პირს, რომელსაც სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა არ გააჩნია, შეუძლებელია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპზე აგებულმა სისხლის სამართალმა პასუხისმგებლობა დააკისროს.¹⁵⁹ სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა ახასიათებს ადამიანს, მაგრამ ის არ არის დამახასიათებელი ყველა ადამიანისთვის. ამიტომ უნდა დადგინდეს, ხომ არ იყო კონკრეტული პირი მოკლებული სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას.

ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკული შეხედულების თანახმად, სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა როგორც კრებითი ცნება ნორმატიულ შეფასებას ვერ შეიგუებს. აღნიშნული მოსაზრებით, ფსიქიკური დამოკიდებულების სამართლებრივ-ნორმატიული შეფასება ლოგიკურად დასაშვებია, ხოლო პირის შესაძლებლობა იმოქმედოს საკუთარი შეფასებისამებრ ვერ შეფასდება, რის გამოც იგი ვერ დამკვიდრდება ბრლის განმსაზღვრელ შეფასების ობიექტად.¹⁶⁰ ავტორის შეფასებით, სუბიექტს ბრალად უნდა შეერაცხოს არა უმართლობის ცოდნა ან ცოდნის შესაძლებლობა, არამედ ის, რომ შეეძლო ემოქმედა სხვაგვარად, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურისა და ნებელობითის ორგანულ მთლიანობას.¹⁶¹

ზემოაღნიშნული კრიტიკა არ არის სათანადოდ, დამაჯერებლად არგუმენტირებული. სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა შეიძლება დაექვემდებაროს შეფასებას, ვინაიდან ის მიუთითებს პირის შესაძლებლობაზე ნორმის

მოთხოვნის შესრულებასთან დაკავშირებით. როდესაც დგინდება რომ პირს შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა, ნიშნავს იმას, რომ მას ჰქონდა მართლზომიერი მოქმედების შესაძლებლობა. ხოლო რაც შეეხება ფსიქიკურ კავშირს ქმედებასთან და ქმედებით გამოწვეულ შედეგთან, არაფერს არ მიუთითებს დადებითი ან უარყოფითი სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, ვინაიდან ფსიქიკური კავშირი მოქმედ პირს შეიძლება ჰქონდეს როგორც მართლსაწინააღმდეგო, ისე მართლზომიერი ქმედების დროს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბრალი შეფასების ობიექტია და მოითხოვს დადგენას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის შეიძლება წარმოადგენდეს როგორც შეფასების, ისე დადგენის ობიექტს. ამიტომ არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბრალი შეიძლება იყოს დადგენის ან შეფასების ობიექტი, მაგრამ არა ერთდროულად როგორც შეფასების, ისე დადგენის ობიექტი.¹⁶² ბრალი რომ დადგენას მოითხოვს, ამაზე მიუთითებს ბრალის გამომრიცხავ გარემოებათა არსებობა. იმიტომ დგინდება იყო თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე ბრალის გამომრიცხავი გარემოება, რომ ამით დადგინდეს ბრალის არსებობის საკითხი. ბრალი რომ დადგენის ობიექტს არ წარმოადგენდეს, ბრალის გამომრიცხავ გარემოებებზე მსჯელობაც აზრს დაკარგავდა. ბრალი ასევე შეიძლება იყოს შეფასების ობიექტი, ვინაიდან ის არის სასჯელის შეფარდების საფუძველი. სასჯელი კი გაკიცხვა და შეფასებაა. შეფასება შეფასების ობიექტის გარეშე არ არსებობს. სასჯელის შეფარდების საფუძველი ბრალია, რაც კარგად მიუთითებს ბრალზე, როგორც შეფასების ობიექტზე. მართლწინააღმდეგობის მსგავსად, ბრალი ამავედროულად შეფასებით მომენტებსაც შეიცავს იმ გაგებით, რომ პიროვნების ბრალეულობა იძლევა უმართლობის ჩამდენის გაკიცხვის შესაძლებლობას. უმართლობის ბრალეულად ჩამდენი შეიძლება გაიკიცხოს, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქმედი სუბიექტი გაკიცხვის ღირსია, რაც უკვე გარკვეულ შეფასებას გულისხმობს.

¹⁵⁷ ლ.გ. კუტალია, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, თბ., 1999, გვ. 54.

¹⁵⁸ გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულ აღნიშნულ შეხედულებაზე იხ. ლ.გ. კუტალია, დასახ. ნაშრ., 179.

¹⁵⁹ ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008, გვ. 21.

¹⁶⁰ ლ.გ. კუტალია, ბრალის ნორმატივისტული მოდელი, თბ., 1999, გვ. 46-47.

¹⁶¹ ლ.გ. კუტალია, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

¹⁶² ლ.გ. კუტალია, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

4. იურიდიული პირი, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი

სსკ-ის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად ფიზიკურ პირთან ერთად მიჩნეულია იურიდიული პირიც, რომელსაც პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს კოდექსის კერძო ნაწილის ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სსკ-ი თავიდან, როდესაც მიიღეს, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტად არ მიიჩნევდა. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა პირველად 2006 წლის 25 ივლისის კანონით განისაზღვრა და მას კოდექსში სპეციალური თავიც მიეძღვნა. კოდექსით არის განსაზღვრული სასჯელთა სახეები, რომელიც იურიდიულ პირთა მიმართ გამოიყენება.

იურიდიული პირის პასუხისმგებლობის იდეამ თავის დროზე დიდი მხარდაჭერა მოიპოვა საერთო (პრეცედენტული) სამართლის სისტემის ქვეყნებში. ინგლისელმა მოსამართლეებმა იურიდიული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით განაჩინი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გამოიტანეს. თუმცა, ბრალზე ტრადიციული შეხედულება, რომლის მიხედვითაც, იურიდიულ პირს არ შესწევს ბრალეული ქმედების განხორციელება, შეირყა საფრანგეთში. საფრანგეთში კორპორაციების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე სანქციები მე-17 საუკუნეში განისაზღვრა.¹⁶³

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას დღეს არაერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ

საკითხს ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მონინალმდეგეები. მონინალმდეგეები იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკრიტიკებენ სხვადასხვა კუთხიდან. საკამათოდ მიიჩნევა იურიდიული პირის ბრალუნარიანობა,¹⁶⁴ სისხლისსამართლებრივი გაგებით ქმედებაუნარიანობა¹⁶⁵ და სასჯელუნარიანობა.¹⁶⁶

იურიდიული პირის ბრალუნარიანობასთან დაკავშირებით, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სადავოა სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა, ის თუ რამდენად შეიძლება იურიდიული პირი მიჩნეულ იქნას ნებისყოფის სუბიექტად, რომელსაც სხვაგვარად ქცევა მოეთხოვება. იურიდიული პირის ბრალის დადგენა ტოლფასი იქნება მისი გაკიცხვის, მაგრამ როგორ შეიძლება გაიკიცხოს ის, ვისაც არ შეუძლია გააცნობიეროს გაკიცხვის შინაარსი? ამდენად, რთულია იურიდიული პირისთვის სასჯელის შეფარდება განხილულ იქნას როგორც გასაკიცხაობის გამოხატულება. აღნიშნული შეხედულებაა გამოთქმული გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც.¹⁶⁷ იქ სადაც იურიდიული პირის ბრალეულობა სადავოა, სადავო ხდება მისი სასჯელუნარიანობაც. სასჯელუნარიანი მხოლოდ ის სუბიექტი შეიძლება იყოს, ვის მიმართაც შესაძლებელია სასჯელის მიზნების მიღწევა. იმისთვის, რომ კონკრეტული სუბიექტის დასჯით სასჯელის მიზნების მიღწევა შესაძლებელი გახდეს, აუცილებელია შეეძლოს დანაშაულით გამოწვეული, სასჯელთან დაკავშირებული ნეგატიური შედეგების გაცნობიერება და აქედან გამომდინარე დანაშაულისგან თავის შეკავება. იურიდიული პირის ბრალუნარიანობას და სასჯელუნარიანობას საკამათოს ხდის ის, რომ მას

¹⁶³ ი. გაბისონია, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო თავისებურებები, „პროფესია ადვოკატი“, 2007, 2, გვ. 68; ი. გაბისონია, იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკვანძო საკითხები, „ცხოვრება და კანონი“, 2007, 2, აგვისტო-სექტემბერი, გვ. 11.

¹⁶⁴ Wessels/Beulke/Satzger, Strafrecht, AT, 46. Aufl., Heidelberg, 2016, S. 44-45, Rn. 141; Krey/Esser, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Auflage, Stuttgart, 2016, S. 45-46, Rn. 111; Peglau J., Unbeantwortete Fragen der Strafbarkeit von Personenverbänden, Zeitschrift für Rechtspolitik (ZRP), 2001, S. 407; Mitsch, in: Baumann/Weber/Mitsch/Eisele, Strafrecht, Allgemeiner

Teil, Lehrbuch, 12. Auflage, Bielefeld, 2016, S. 101, §6 Rn. 12; Jescheck/Weigend, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Auflage, Berlin, 1996, S. 227, §23, VII; შ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თარგმნა ე. სუმბათაშვილმა, თბ., 1999, გვ. 229.

¹⁶⁵ Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, München, 2006, S. 262, §8 Rn. 59; Heinrich B., Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Auflage, Stuttgart, 2016, S. 68, Rn. 198.

¹⁶⁶ Hirsch H.-J., Strafrechtliche Verantwortlichkeit von Unternehmen, ZStW 1995, S. 296; Peglau J., Unbeantwortete Fragen der Strafbarkeit von Personenverbänden, Zeitschrift für Rechtspolitik (ZRP), 2001, S. 408.

¹⁶⁷ BVerfGE 20, S. 336.

არ ახასიათებს შესაბამისი კოგნიტური და ვოლუნტატური მომენტები.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა საკამათოა და ავტორთა ერთი ნაწილი გაუმართლებლად მიიჩნევს, მან მაინც მოიპოვა აღიარება ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რაც ფიქციის თეორიის გამოხატულებად უნდა იქნას მიჩნეული. ფიქციის თეორიის მიხედვით, იურიდიულ პირს მიენერება ფიზიკური პირის თვისებები.¹⁶⁸

II. ქმედების მცირე მნიშვნელობა, როგორც დანაშაულის გამომრიცხავი გარემოება

სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარისი არ არის, რომ ქმედება კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების შემადგენლობის ნიშნებს ფორმალურად შეიცავდეს. გასათვალისწინებელია ქმედებით გამოწვეული ზიანი და შექმნილი საფრთხე. თუ ქმედება რომელიმე ქმედების შემადგენლობის ნიშნებს ფორმალურად შეიცავს, მაგრამ არ იწვევს ისეთ ზიანს ან საფრთხეს, რომელიც აუცილებელს ხდის ქმედების ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, დანაშაული გამოირიცხება. მოცემული დებულება მატერიალური გაგებით მართლწინააღმდეგობის დასადგენად ქმედების სოციალური საშიშროების მნიშვნელობაზე მიუთითებს. მართლწინააღმდეგობის დაყოფას ფორმალურ და მატერიალურ მართლწინააღმდეგობად საფუძველი დაუდო ლისტმა, რომელიც მატერიალურად მართლწინააღმდეგოდ თვლიდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმებით სამართლებრივად დაცულ ინტერესზე თავდასხმას.¹⁶⁹

სისხლის სამართლის ლიტერატურაში არაერთგვაროვანი შეხედულებაა გამოთქმული ქმედების მცირე მნიშვნელობაზე, სოციალური

საშიშროების მიმართებაზე დანაშაულის ნიშნებთან. მაშინ როდესაც ერთ-ერთი შეხედულებით, ქმედების მცირე მნიშვნელობა ქმედების შემადგენლობას გამორიცხავს და მართლწინააღმდეგობის მატერიალური გაგებით არსებობა დასტურდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების გამორიცხვით,¹⁷⁰ მეორე მოსაზრებით, ქმედების მცირე მნიშვნელობა დანაშაულს გამორიცხავს ბრალის მცირე მნიშვნელობიდან, მცირედი უპასუხისმგებლობიდან, მცირე გასაკიცხაობიდან გამომდინარე, დანაშაულის მეოთხე საფეხურზე. აღნიშნული თვალსაზრისის მიხედვით, თუ მცირე მნიშვნელობის ქმედებას სოციალურად ადექვატურად ჩავთვლით, დაზარალებულს წაერთმევა პროპორციული აუცილებელი მოგერიების უფლება.¹⁷¹ მესამე შეხედულებით, ქმედების დაბალი სოციალური საშიშროების შემთხვევაში მატერიალური მართლწინააღმდეგობა გამოირიცხება და მატერიალურად მართლწინააღმდეგოდ ქმედება განიმარტება სამართლებრივი სიკეთის სოციალურად საზიანო ხელყოფისას.¹⁷² სწორედ ეს უკანასკნელი მოსაზრება არის გასაზიარებელი ქმედების მცირე მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ქმედების მცირე მნიშვნელობის დადგენის გადატანა დანაშაულის მეოთხე ეტაპზე, ბრალის შემდგომ და მისი მიჩნევა ბრალის მნიშვნელობის განმსაზღვრელ გარემოებად, ნიშნავს იმას, რომ მცირე მნიშვნელობის ქმედების ჩამდენის მიმართ არ გამოირიცხოს აუცილებელი მოგერიების უფლება და თუ მცირე მნიშვნელობის ქმედებას მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, განხორციელებული ქმედება ჩაითვალოს არა მკვლელობად, არამედ აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით მკვლელობად, რაც არ მიიჩნევა საკითხის მართებულ გადაწყვეტად.

ქმედების სოციალური საშიშროების შეფასებისას მხედველობაში მიიღება როგორც ქმედებით გამოწვეული რეალური ზიანი ან შექმნილი საფრთხე, ისე მოქმედი პირის განზრახვა.

¹⁶⁸ უფრო ვრცლად იხ. თ. ცქიტიშვილი, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ნიგნში: ნ. თოდუა, მ. ივანიძე, ლ. ფაფიაშვილი, ი. ხერხეულიძე, თ. ცქიტიშვილი, სანქციები სისხლის სამართალში, თბ., 2019, გვ. 256-393.

¹⁶⁹ Лист Ф.Ф., Учебник уголовного права, Общая часть, М., 1903, С. 145-146.

¹⁷⁰ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 325.

¹⁷¹ ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ნიგნში: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, (რედ.), სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 304.

¹⁷² Roxin C., Strafrecht, AT, Band I, München, 2006, S. 601, § 14 B, Rn. 4; Jescheck H.-H., Weigend T., Lehrbuch des Strafrechts, AT, 5. Aufl., Berlin, 1996, S. 234.

შეიძლება რეალურად გამონვეული ზიანი მცირე იყოს, მაგრამ მოქმედი პირის განზრახვის გათვალისწინებით ქმედება სოციალურად საზიანოდ, მატერიალურად მართლსაწინააღმდეგოდ შეფასდეს. თუ ჯიბის ქურდობას ეხება საქმე, ქმედება იმის მიხედვით ფასდება, რისი დაუფლებაც ობიექტურად შეძლო დამნაშავემ, მაგრამ ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობა მაინც გამოირიცხება, ვინაიდან დამნაშავე ფსიქოლოგიურად განწყობილი იყო ნებისმიერი ღირებულების ნივთის დაუფლებისთვის. მცირე მნიშვნელობის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხდება მაშინ, როცა ქმედება ობიექტურადაა მცირე მნიშვნელობის და მოქმედ პირსაც აქვს ეს გაცნობიერებული ქმედების განხორციელების მომენტში.

ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ქმედების მცირე მნიშვნელობის დასადგენად მხედველობაში იქნა მიღებული არა მხოლოდ ქმედებით ობიექტურად გამონვეული ზიანი, არამედ ასევე მოქმედი პირის ეკონომიკური მდგომარეობა, ის, რომ მოქმედება განახორციელა ეკონომიკურად გაჭირვებულმა პირმა,¹⁷³ რაც არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს, ვინაიდან ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ბრალის ხარისხის განსაზღვრისთვის.

ქმედების მცირე მნიშვნელობის შესაფასებლად შეიძლება არა მხოლოდ მოქმედი პირის, არამედ დაზარალებულის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებაც, რაც დამოკიდებულია ქმედების შემადგენლობის ტიპზეც. ზოგიერთ დანაშაულთან მიმართებით აღნიშნული გარემოება კარგავს მნიშვნელობას ქმედების მნიშვნელობის შესაფასებლად. ასეთია ქურდობის შემადგენლობა. სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, ქურდობა მაშინ იწვევს მნიშვნელოვან ზიანს, როცა ნაქურდალის ღირებულება აღემატება 150 ლარს. აღნიშნული ნორმის პირვანდელი რედაქცია ასეთ დათქმას არ ითვალისწინებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეს შეეძლო დაზარალებულის ეკონომიკური მდგომარეობა შეეფასებინა და ისე გა-

ნესაზღვრა ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზიანს ან იყო თუ არა ქმედება მცირე მნიშვნელობის. 177-ე მუხლის შენიშვნის მოქმედი რედაქციის მიხედვით, ქმედებით გამონვეული ზიანი ფასდება მხოლოდ ნაქურდალის ღირებულების გათვალისწინებით და მხედველობაში არ მიიღება დაზარალებულის მატერიალური მდგომარეობა. აღნიშნული დებულება ვრცელდება როგორც ქურდობაზე, ისე საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულებზე და არა ყველა შემთხვევაზე.

ქმედების სოციალური საშიშროების შეფასება მნიშვნელობას იძენს არა ყოველთვის, არამედ ცალკეულ შემთხვევებში. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ქმედების შემადგენლობის განხორციელებას აქვს ადგილი. თუ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ და ეკონომიკურ დანაშაულებთან მიმართებით ქმედების საშიშროების შეფასება აქტუალობას იძენს, აღნიშნული საკითხი არც დაისმის განზრახ მკვლელობის შემადგენლობის განხორციელებისას, რაც დაცული სამართლებრივი სიკეთიდან გამომდინარეობს. სიცოცხლის ხელმყოფი ქმედება შეუძლებელია შეფასდეს მცირე მნიშვნელობის მქონედ. ხოლო ის საგანი, რომელშიც საკუთრებაა განსხეულებული, შეიძლება იყოს მცირე მნიშვნელობის. ამიტომაც ქმედების მნიშვნელობის შეფასება განსაკუთრებით საყურადღებოა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში.

მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის ხელმყოფი ქმედება ვერ შეფასდება მცირე მნიშვნელობის ქმედებად, ზოგჯერ ასეთი შეფასება შეიძლება მიეცეს სხვისი სიცოცხლის ხელყოფისთვის განხორციელებულ ქმედებას, თუ საქმე ეხება მზადებას დანაშაულის ჩასადენად. ყველა ქმედება არ შეიძლება მიჩნეულ იქნას დანაშაულის მომზადებად, მიუხედავად მოქმედი პირის განზრახვისა. დანაშაულის მომზადებად ისეთი ქმედება მიიჩნევა, რომელიც ახლოს არის დანაშაულის მცდელობასთან. დანაშაულის მცდელობასთან ქმედების სიახლოვე, ქმედების საშიშროებაზე მიუთითებს. ისეთი ქმედება მიიჩნევა მოსამზადებელ ქმედებად, რომელიც სცდება სოციალური ადექვატურობის ფარგლებს, რაც თავისთავად მეტყველებს ქმედების

¹⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, 2002, 3, გვ. 258.

სოციალურ საშიშროებაზე.¹⁷⁴

III. დასჯადობა, როგორც დანაშაულის ნიშანი?

დანაშაულის ნიშნებთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, იგი მხოლოდ იმ სამი ნიშნით ხასიათდება, რომელიც დანაშაულის სტრუქტურული ელემენტებია (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი), თუ არსებობს სხვა ნიშნებიც, რომელიც დანაშაულს გამოარჩევს სხვა სამართალდარღვევებისგან? ამასთან ერთად, საინტერესოა, ისჯება თუ არა დანაშაული ყოველთვის და დანაშაულის დამატებითი ნიშანი ხომ არ უკავშირდება მის დასჯადობას?

როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს დასჯად ქმედებას და აწესებს შესაბამის სასჯელს. მაშასადამე, არ არსებობს დასჯადი ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა შესაბამისი სასჯელის გარეშე. სასჯელი დანაშაულის იურიდიული შედეგია. დანაშაული და სასჯელი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. სასჯელის გამოყენება მხოლოდ დანაშაულის ჩამდენის მიმართ ხდება, დანაშაულის ჩადენას კი მოსდევს დამნაშავეისთვის სასჯელის შეფარდება. თუ ქმედება საზოგადოდ არ იწვევს სასჯელის შეფარდებას, ეს ქმედება, როგორც წესი, დანაშაულად ვერ ჩაითვლება.¹⁷⁵

როდესაც კანონმდებელი გარკვეულ ქმედებას დანაშაულად აცხადებს, იქვე სასჯელსაც აწესებს და დანაშაულის ჩამდენს სასჯელით ემუქრება. დანაშაული არის ის ქმედება, რომელსაც მართლწესრიგი სასჯელით ემუქრება.¹⁷⁶ ამიტომ, დასჯადობას, ავტორთა

ერთი ნაწილი, დანაშაულის აუცილებელ ნიშნადაც განიხილავს¹⁷⁷ და თვლის, რომ ისეთი ქმედებაა დანაშაულებრივი, რომელიც პრინციპულად დასჯადია¹⁷⁸ და სასჯელის მუქარითაა აკრძალული. სწორედ სისხლისსამართლებრივი დასჯადობის კუთხით ხდება უმართლობათა გამიჯვნა.

სამართლის და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა უმართლობაა, მაგრამ ყველა უმართლობა არ არის დასჯადი.¹⁷⁹ ზოგჯერ უმართლობის განხორციელება იწვევს არა სასჯელს, არამედ სხვა სახის რეაქციას.¹⁸⁰ არსებობს სამოქალაქო სამართლებრივი უმართლობაც, რომელიც ასევე სამართლებრივი სიკეთის დაზიანებასთანაა დაკავშირებული, თუმცა არ იწვევს სასჯელს. დასჯადია მხოლოდ დანაშაული, როგორც ბრალეულად განხორციელებული სისხლისსამართლებრივი უმართლობა.¹⁸¹

თუმცა, ავტორთა მეორე ნაწილი აღნიშნულ დებულებას საკამათოდ თვლის. მაგალითად, *ო. გამყრელიძე* არ ემხრობა დანაშაულის სამი ნიშნის (ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი) გვერდით, დამატებით ნიშნად დასახელდეს ქმედების დასჯადობა, ვინაიდან დანაშაულის თითოეული ნიშანი სასამართლოში დადგენას მოითხოვს და უხერხულობას შექმნიდა სასამართლოში იმის მტკიცება, რომ დანაშაული დასჯადი ქმედებაა.¹⁸² ხოლო ცნობილი ქართველი იურისტი *ლ. ანდრონიკაშვილი* მიიჩნევდა, რომ დასჯადობა არ არის დანაშაულის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი.¹⁸³ მას მხედველობაში ჰქონდა ის, რომ მართალია, ზოგადად, დანაშაულის ჩადენას მოსდევს დანაშაულის ჩამდენის მიმართ სასჯელის გამოყენება, მაგრამ არსებობს შემთხვევებიც, როცა დანაშაულის ჩამდენი დაუსჯელი რჩება.

¹⁷⁴ აღნიშნულ საკითხზე იხ. *ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011.

¹⁷⁵ *გ. ტყემელიძე*, ნიგნში: გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., 2007, გვ. 349.

¹⁷⁶ *Jescheck H-H., Weigend Th.*, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1996, S. 50.

¹⁷⁷ *Ebert U.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2001, S. 111.

¹⁷⁸ *თ. ნერეთელი*, *გ. ტყემელიძე*, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 62; *ლ. სურგულაძე*, სისხლის სამართალი, დანაშაული, თბ., 2005, გვ. 55; *გ. ნაჭყებია*, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება (ლექციების კურსი), თბ., 2002, გვ. 162-164; *მ. ტურავა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 37; *ლ. ხარანაული*, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული

და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 187.

¹⁷⁹ *Ebert U.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2001, S. 28.

¹⁸⁰ *Jescheck H-H., Weigend Th.*, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, Berlin, 1996, S. 50.

¹⁸¹ *Ebert U.*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2001, S. 28.

¹⁸² *ო. გამყრელიძე*, დასკვნა დოც. გ. ნაჭყებიას სადოქტორო დისერტაციაზე „სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი“, ჟურნალი „აღმანახი“, 2000, 13, გვ. 19.

¹⁸³ *ე. მაყაშვილი*, *ლ. ანდრონიკაშვილის* მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა, „საბჭოთა სამართალი“, 1963, 3, გვ. 63-64.

კერძოდ, მოსამართლეს უფლება აქვს, ცალკეულ შემთხვევებში, დანაშაულის ჩამდენს სასჯელი პირობით დაუნიშნოს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დანაშაულის ჩამდენის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველებს.

სისხლის სამართალი იცნობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან დანაშაულის ჩამდენის გათავისუფლებას ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, მაგრამ შეიძლება თუ არა სასამართლომ ქმედება დანაშაულად ცნოს სასჯელის დაუნიშნავად სხვა საფუძველით?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება,¹⁸⁴

რომლითაც სამი პირი ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი „მარისუანის“ უკანონო შექმენისა და შენახვისათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით¹⁸⁵ დამნაშავეებად ცნეს სასჯელის დაუნიშნავად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გასათვალისწინებელია კ. როქსინის შეხედულება, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, ბრალს დასჯადობის არასაკმარის პირობად ასახელებს და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საჭირო პირობად განიხილავს სასჯელის გამოყენების აუცილებლობას დანაშაულის პრევენციისთვის, რაც იმას გულისხმობს, რომ ბრალეული და დამნაშავე პირი ყოველთვის არ ისჯება, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ამის პრევენციული აუცილებლობა. შესაბამისად, დასჯადობა არ წარმოადგენს დანაშაულის ნიშანს.

¹⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება, საქმე 392აპ-15, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2016, 10-12, გვ. 17-52.

¹⁸⁵ აღნიშნული ნორმით ისჯება „ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა“.

საერთაშორისო ფინანსური სანქციების რეჟიმების მნიშვნელობა და მათი გამოყენების პრაქტიკა

მარიამ რობაქიძე

„კოჟორიძე და იურისტების“ იურიდიული ფირმის ადვოკატი

„რალაც უფრო დიდი, ვიდრე ომი“¹ - ასე აღწერა ეკონომიკური სანქციები აშშ-ის 28-ე პრეზიდენტმა, ვუდრო უილსონმა, 1919 წელს. „გამოიყენეთ ეს ეკონომიკური, მშვიდობიანი, ჩუმი, მომაკვდინებელი ნამალი და აღარ იქნება საჭირო ძალა“ - ამბობდა ის. მართლაც, საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნებასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თანამედროვე მსოფლიოში, ყველაზე ხშირად გამოყენებად იარაღს ეკონომიკური სანქციები წარმოადგენს. ისინი გამოიყენება როგორც კონკრეტული ინდივიდების, ისე სახელმწიფოების მიმართ, რათა თავიდან იქნას აცილებული ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმის საერთაშორისო მშვიდობასა თუ ადამიანის უფლებებს. საერთაშორისო სანქციები, როგორც წესი, მიზნად ისახავს ფინანსური დაბრკოლებების შექმნას სამიზნე სუბიექტისთვის, შესაბამისად, მათ განხორციელება და იმპლემენტაციაში ჩართულია არა მხოლოდ რომელიმე ქვეყნის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაცია, არამედ ფინანსური სექტორიც.

საერთაშორისო პოლიტიკას, ეკონომიკასა

და სამართალში სანქციების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, მათი ეფექტიანობა უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება კომერციული ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაზე, ვინაიდან, სწორედ მათ აქვთ სანქცირებული სუბიექტების აქტივებზე წვდომის, მათი გაყინვისა თუ სხვადასხვა ტრანზაქციის დაბლოკვის შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი გეო-პოლიტიკური აქტორების მიერ დაწესებული სანქციების გამოყენებისათვის თავის არიდების მცდელობამ, სხვადასხვა დროს, საკმაოდ მძიმე შედეგები მოუტანა უმსხვილეს ფინანსურ ინსტიტუტებს. 2009 წლის დეკემბერში „Credit Suisse-მა“ 536 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით ჯარიმა გადაიხადა, ირანის წინააღმდეგ აშშ-ის სანქციების რეჟიმის დარღვევის გამო. კერძოდ, „Credit Suisse-ი“ სისტემატურად აწარმოებდა მრავალმილიონიან გადარიცხვებს ისე, რომ მალავდა მისი ირანელი კლიენტების ვინაობას.²

აშშ-ის ფედერალური და შტატების მიერ მიღებული სანქციების რეჟიმების დარღვევის გამო, სხვადასხვა დროს, სოლიდური ოდენობით

¹ Mulder N., *The Economic Weapon – The Rise of Sanctions as a Tool of Modern War*, New Haven and London: Yale University Press, 2022, P. 16.

² Burrell P., Mitchell R., Savell D., *Financial and Trade Sanctions: What Banks Need to Know*, *Banking Law Journal* vol. 129, no. 6, June 2012, 511, PP. 510-521.

ჯარიმები გადაიხადეს „Commerzbank-მა“ (გერმანია, 2015 წელს)³, „BNP Paribas-მა“ (საფრანგეთი, 2014 წელს)⁴, „Standard Chartered Bank-მა“ (ჰონგ-კონგი, 2012 წელს)⁵.

ეს ტენდენცია მიუთითებს, რომ უცხოური სანქციების გამოყენებაზე უარის თქმამ, კომერციულ ფინანსურ ინსტიტუტს მნიშვნელოვანი რეპუტაციული და ფინანსური ზიანი შეიძლება მოუტანოს. საფრთხე, ცხადია, ქართულ კომერციულ ბანკებზეც ვრცელდება. მით უმეტეს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დასავლეთის განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქართული ბანკები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი საერთაშორისო პარტნიორებზე, შესაბამისად, ასეთი პარტნიორობის დაკარგვამ შესაძლებელია ფინანსური ინსტიტუტი გაკოტრებამდეც მიიყვანოს.⁶

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის სახელმწიფოზე თავდასხმას, რუსეთის წინააღმდეგ ფინანსური სანქციების არაერთი რეჟიმის გამოყენება მოჰყვა. ამ ფონზე, კიდევ უფრო აქტუალური გახდა ეროვნული ფინანსური ინსტიტუტების მიერ საერთაშორისო ეკონომიკური სანქციების გამოყენების პრობლემა. იმ პირობებში, როდესაც უცხოური სანქციები ქართული ნორმატიული წესრიგის ნაწილი არ არის, პრობლემურია, რა სამართლებრივი საშუალებებით შეუძლია კომერციულ ბანკს მათი გამოყენება ან ამ საფუძვლით თანამშრომლობის გაგრძელებაზე უარის თქმა სანქცირებული კონტრაქტისთვის.

1. საერთაშორისო ფინანსური სანქციების ისტორია

მიუხედავად იმისა, რომ სანქციები განსაკუთრებით აქტუალური მე-20 საუკუნიდან გახდა, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ისინი იყო ხშირად გამოყენებადი მექანიზმები.⁷

სავაჭრო ემბარგოს, ბლოკადებს, სავაჭრო მარშრუტების შეზღუდვას, როგორც ეკონომიკურ სანქციას, აქემენიდების სპარსეთის იმპერია იყენებდა დაპირისპირებული სახელმწიფოების ეკონომიკის შესასუსტებლად, იმისთვის, რომ დაემორჩილებინა ისინი და საკუთარი პოლიტიკის გავლენის ქვეშ მოექცია.⁸

ეკონომიკური სანქციის გამოყენების ერთ-ერთი უძველესი პრეცედენტი, ასევე, ათენის პოლისის მიერ მეგარაზე, სპარტას მოკავშირეზე, იმპორტის აკრძალვის დაწესება იყო, რაც ჯერ კიდევ პელოპონესის ომამდე, ძვ.წ. 432 წელს მოხდა.⁹

მსგავს ზომებს საკმაოდ აქტიურად იყენებდა მე-14 საუკუნის იტალიაც, მაგალითად, გველფებსა და გიბელინებს შორის ომის დროს, იტალიის ზოგიერთ ქალაქს რომის პაპმა ეკონომიკური იძულების ზომები დაუწესა.¹⁰

მიუხედავად ანტიკურ სამყაროსა და შუა საუკუნეების ეპოქაში პოპულარობისა, ეკონომიკური სანქციების გამოყენების მაქსიმალიზაცია, მოგვიანებით, მე-20 საუკუნეში დაიწყო, როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო იმ მოსაზრებას, რომ სანქციები შეიძლებოდა გამხდარიყო შეიარაღებული კონფლიქტის ალტერნატივა.¹¹

³ <https://www.justice.gov/opa/pr/commerzbank-ag-admits-sanctions-and-bank-secrecy-violations-agrees-forfeit-563-million-and> [25.05.2023].

⁴ <https://www.justice.gov/opa/pr/bnp-paribas-agrees-plead-guilty-and-pay-89-billion-illegally-processing-financial> [25.05.2023].

⁵ <https://www.justice.gov/opa/pr/standard-chartered-bank-agrees-forfeit-227-million-illegal-transactions-iran-sudan-libya-and> [25.05.2023].

⁶ რუსიაშვილი გ., საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები და მათი გავლენა ნაციონალური ბანკების მიერ დადებულ ხელშეკრულებებზე, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N 2/2023, 2023, 26, გვ. 26-57.

⁷ Szabados T., *Economic Sanctions in EU Private International Law*, Studies In Private International Law, Hart Publishing, 2019, PP. 6.

⁸ იქვე.

⁹ Hufbauer G., Schott J., Elliot K., Oegg B., *Economic Sanctions Reconsidered*, Washington Dc: Peterson Institute For International Economics – 3rd ed., 2007, PP 9.

¹⁰ Szabados T., *Economic Sanctions in EU Private International Law*, Studies In Private International Law, Hart Publishing, 2019, PP. 8.

¹¹ Hufbauer G., Schott J., Elliot K., Oegg B., *Economic Sanctions Reconsidered*, Washington Dc: Peterson

ამ პერიოდიდან ეკონომიკური სანქციების გამოყენება მასიურად დაიწყო სახელმწიფოებმა და სხვადასხვა ორგანიზაციებმა. 1920 წელს შექმნილი ერთა ლიგის პაქტის მე-16 მუხლი, ნევრი სახელმწიფოსთვის აწესებდა ეკონომიკურ სანქციებს იმ შემთხვევაში, თუ ეს სახელმწიფო წამოიწყებდა ომს.¹²

1925 წელს ერთა ლიგის სანქციების დაკისრების საფრთხე დაემუქრა საბერძნეთს ბულგარეთში შეჭრის გამო, თუმცა სწორედ სანქციების შიშით, შეიარაღებული ჯარები საბერძნეთმა მალევე გამოიყვანა ბულგარეთიდან.¹³

1931-33 წლებში, იაპონიის მანჯურიაში შეჭრის შემდეგ (მანჯურიის კრიზისი) ერთა ლიგამ იაპონიას ეკონომიკური სანქციები დაუწესა, რომლებიც მოიცავდა იარაღის ემბარგოს, სავაჭრო შეზღუდვებსა და სხვა ეკონომიკურ ზომებს, თუმცა საბოლოოდ, იაპონიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინაშე სანქციები არაეფექტური აღმოჩნდა.¹⁴

ერთა ლიგამ სანქციები იტალიასაც დაუწესა 1935 წელს, ეთიოპიაში შეჭრის შემდეგ. ფინანსური სანქციები მოიცავდა იარაღის ემბარგოს, სტრატეგიული მასალების იმპორტის შეზღუდვას და ფინანსური ტრანზაქციების აკრძალვას, თუმცა ისინი ეფექტური არც იტალიის პოლიტიკის წინააღმდეგ აღმოჩნდნენ.¹⁵

მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ, ეკონომიკური სანქციების გამოყენების პრაქტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა და კონფლიქტების მოსაგვარებლად თუ საერთაშორისო მშვიდობის შესანარჩუნებლად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღი გახდა.

1977-94 წლებში გაერომ გამოიყენა სანქციები სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის რეჟიმზე ზეწოლის მიზნით. სანქციები მოიაზრებდა იარაღისა და ნავთობის ემბარგოს, ისევე როგორც

ფინანსური ტრანზაქციების შეზღუდვას. სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის რეჟიმის დამხობისა და დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, სწორედ ეკონომიკური სანქციები აღმოჩნდა.¹⁶

1990-2003 წლებში, ერაყის ქუვეითში შეჭრის შემდეგ, გაერომ ფინანსური სანქციები ერაყსაც დაუწესა, მათ შორის, სავაჭრო ემბარგო, შეზღუდვა ნავთობის ექსპორტზე და აქტივების გაყინვა. სანქციები მიზნად ისახავდა ერაყის ქუვეითიდან გასვლასა და მის განიარაღებას, რასაც სერიოზული ჰუმანიტარული შედეგები მოჰყვა და, საბოლოოდ, 2003 წელს გაუქმდა.¹⁷

ამრიგად, მე-20 საუკუნიდან ეკონომიკური სანქციების გამოყენებადობა, ისევე როგორც მათი ეფექტურობა თანდათან იზრდებოდა და შეიარაღებული კონფლიქტის ალტერნატივაც გახდა.

ფინანსური სანქციები თანამედროვე მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვისა და მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნების კუთხით, კვლავ აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახელმწიფოსა და ორგანიზაციის მიერ.

2. ეკონომიკური სანქციების მნიშვნელობა და ძირითადი სახეები

ეკონომიკური სანქციების საკანონმდებლო დეფინიცია საერთაშორისო სამართალში არ არსებობს, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური სანქცია, წარმოადგენს საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომელიც მიღებულია იმ მიზნით, რომ ადრესატ სახელმწიფოში გარკვეული ცვლილება გამოიწვიოს. ეს შეიძლება იყოს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის აღკვეთა, საომარი მოქმედებების შეჩერება ან

Institute For International Economics – 3rd ed., 2007, PP 10.

¹² Rahmat M., *Unilateral Sanctions in International Law: A Quest for Legality*, Economic Sanctions under International Law, Asser Press, 2015, 73, PP. 71-83.

¹³ Szabados T., *Economic Sanctions in EU Private International Law*, Studies In Private International Law, Hart Publishing, 2019, PP 7.

¹⁴ Lowenfeld A., *International Economic Law*, Oxford University Press- 2nd ed., 2008, PP. 863.

¹⁵ Szabados T., *Economic Sanctions in EU Private International Law*, Studies In Private International Law, Hart Publishing, 2019, PP 7.

¹⁶ Bierstecker Th., Hudakova Z., *UN Targeted Sanctions: Historical Development and Current Challenges*, Research Handbook On Economic Sanctions, Edward Elgar Publishing, 2021, 108, PP. 107-125.

¹⁷ Hurd I., *After Anarchy: Legitimacy and Power in the United Nations Security Council*, Princeton University Press, 2007, PP. 69.

მასობრივი განადგურების იარაღის შემუშავების/გამოყენების ხელშეშლა.¹⁸ ამის მიუხედავად, ეკონომიკურ სანქციებს შესაძლოა ჰქონდეს განსხვავებული მიზანიც, თუმცა, როგორც წესი, ისინი საერთაშორისო სამართლის დარღვევის საპასუხოდ, კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებულ იძულებით ზომებს წარმოადგენენ.¹⁹ განსაკუთრებით მკაცრი ეკონომიკური სანქციები, ძირითადად, არ გამოიყენება ისეთი ქმედებების მიმართ, რომლებიც არამეგობრულია, თუმცა ექცევა ნორმატიული წესრიგის ქვეშ, არამედ, განსაკუთრებით მკაცრი სანქციების რეჟიმები გამოიყენება მხოლოდ საერთაშორისო კანონმდებლობის აშკარა და უხეში დარღვევის შემთხვევაში.²⁰

ეკონომიკური სანქციები მრავალფეროვანია და შესაძლებელია გამოყენებული იყოს ემბარგოს, აქტივების გაყინვის, ფინანსური ტრანზაქციების, საკომუნიკაციო არხების, საჰაერო კავშირების შეზღუდვის, გარკვეული პირებისთვის მგზავრობის აკრძალვის ფორმით.²¹

ემბარგოს ცნება თავდაპირველად გამოიყენებოდა უცხოური გემების დასაკავებლად, იმისათვის, რომ ამას გავლენა მოეხდინა იმ სახელმწიფოზე, რომლის ალმის ქვეშაც გემი ცურავდა. მოგვიანებით, ტერმინმა ემბარგომ შეიძინა უფრო ზოგადი მნიშვნელობა და ვაჭრობის შეზღუდვასთან გაიგივდა. ფართო გაგებით, ემბარგო მოიცავს საქონლის ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ცნების ქვეშ ისეთ ფინანსურ სანქციებსაც მოიაზრებენ, როგორცაა ფიზიკური პირების აქტივების გაყინვა ან ეკონომიკური ურთიერთობების განყვეტა.²²

ეკონომიკური სანქციები ბევრად უფრო ფართო საკითხია, ვიდრე კლასიკური გაგებით (ექსპორტისა და იმპორტის შეზღუდვა) გამოყენებული ემბარგო, ვინაიდან კომერციული ვაჭრობის შეწყვეტის გარდა, ის მოიცავს სახელმწიფოების, ორგანიზაციების ან კონკრეტული ინდივიდების საკუთრებაში არსებული აქტივების გაყინვის შესაძლებლობასაც.²³

ეკონომიკური სანქციების მნიშვნელოვანი ფორმაა ფინანსური ტრანზაქციების შეზღუდვა და აქტივების გაყინვა, ისევე როგორც საერთაშორისო ფინანსურ სისტემაზე წვდომის შეწყვეტა. ასეთი ტიპის ფინანსური სანქციები მიზნად ისახავს ადრესატი მხარის შესაძლებლობების შეზღუდვას ბიზნესის წარმართვის, კაპიტალზე წვდომის ან ფინანსური სახსრების სხვა ქვეყნებში გადატანის კუთხით.²⁴

სამოგზაურო აკრძალვები და სავიზო შეზღუდვები ფინანსური სანქციების კიდევ ერთი სახეა, რომელიც გულისხმობს სამიზნე ქვეყანასთან ან მთავრობასთან დაკავშირებული პირების გადაადგილების შეზღუდვას სანქციის მიმღებ ქვეყანაში. ეს ზომები მიზნად ისახავს ისეთი მნიშვნელოვანი პირების იზოლირებას, როგორცაა ხელისუფლების წარმომადგენლები ან ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ფიგურები, მათი საერთაშორისო მობილურობის შეზღუდვასა და დიპლომატიური ჩართულობის შემცირებას.²⁵

ეკონომიკური სანქცია მიიღება ცალმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე, საერთაშორისო სამართლის განსხვავებული სუბიექტების - სახელმწიფოს, რეგიონალურ

¹⁸ Lowenfeld A., *International Economic Law*, Oxford University Press- 2nd ed., 2008, PP. 850.

¹⁹ Abi-Saab G., *The Concept of Sanction in International Law*, United Nations Sanctions and International Law, Kluwer Law International, 2001, 32–33, PP. 29-41.

²⁰ Asada M., *Definition and legal justification of sanctions*, *Economic Sanctions in International Law and Practice*, Routledge Publishing, 2020, 4-5, PP. 3-24.

²¹ Spruyt W., *A Legal Analysis of the Duty on Banks to Comply with Targeted Financial Sanctions*, *Journal of South African Law*, no. 1, 2020, 24, PP. 1-34

²² Szabados T., *Economic Sanctions in EU Private International Law*, *Studies In Private International Law*, Hart Publishing, 2019, PP/ 9-10.

²³ Szabados T., *Economic Sanctions in EU Private International Law*, *Studies In Private International Law*, Hart Publishing, 2019, PP. 9.

²⁴ Jonsson C., Tallberg J., *Transnational Access: Findings and Future Research*, *Transnational Actors in Global Governance: Patterns, Explanations and Implications*, Palgrave Macmillan, 2010, 241, PP. 237-251.

²⁵ Sossai M., *Legality Of Extraterritorial sanctions*, *Economic Sanctions in International Law and Practice*, Routledge Publishing, 2020, 65, PP. 62-81.

რი ორგანიზაციის (მაგალითად, ევროპის კავშირი) ან გლობალური ორგანიზაციის (მაგ. გაერო) მიერ.²⁶ მიუხედავად იმისა, რომ სანქციების დაწესება საერთაშორისო საჯარო სამართლის რეგულირების სფეროა, ისეთი ტიპის სანქციის გამოყენებისას, როგორცაა მაგალითად, აქტივების გაყინვა ან ქონებაზე სხვა ტიპის შეზღუდვის დაწესება, აქტიურად არიან ჩართული ეროვნული ფინანსური ინსტიტუტები - ბანკები. შესაბამისად, სანქციების აღსრულებაში ჩართული კერძო სამართლის სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კერძო სამართლის შესწავლის საგანია.

3. საერთაშორისო სანქციების რეჟიმების მიმოხილვა

3.1 გაეროს სანქციების ორგანო და მის მიერ მიღებული სანქციების გამოყენების შესაძლებლობა

სანქციების არსებობა, ნებისმიერი სამართლებრივი სისტემისათვის, კანონის აღსრულებისა და სამართლებრივი წესრიგის შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. საერთაშორისო სამართალში, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოთა სუვერენულობის პრინციპს ეფუძნება, საერთაშორისო სანქციები გამოიყენებოდა ცალმხრივად და დეცენტრალიზებულად. მე-20 საუკუნეში, საერთაშორისო სამართლის განვითარების პარალელურად, გაჩნდა სანქციების მიმღები ცენტრალიზებული ორგანოს შექმნის სა-

ჭიროება. პირველ ეტაპზე, ამ როლს ასრულებდა ერთა ლიგა, მოგვიანებით კი, გაეროს უშიშროების საბჭოს მიენიჭა სანქციების დაწესების კომპეტენცია.²⁷

გაეროს უშიშროების საბჭო ჩამოყალიბებულია გაეროს წესდების საფუძველზე და სანქციების მიმღებ ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს. თუმცა მისი კომპეტენცია შეზღუდულია მხოლოდ მშვიდობის დაცვის სფეროთი და არ შეუძლია სანქციების დაწესება საერთაშორისო სამართლის სხვა ნებისმიერი ტიპის დარღვევაზე.²⁸

გაეროს მიერ დაწესებული სანქციების რეჟიმი ეფუძნება წესდების VII თავს, სადაც საუბარია მსოფლიო მშვიდობისთვის საფრთხის შემქმნელი აგრესორული ქმედებების შესახებ.²⁹ ამ თავის მიხედვით, სანქციები წარმოადგენს პოლიტიკურ პასუხს საერთაშორისო მშვიდობის დარღვევაზე და არა იურიდიულ პასუხს საერთაშორისო სამართლის დარღვევაზე.³⁰

გაეროს სანქციები მიზნად ისახავს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების გაძლიერებას, რომელიც, თავის მხრივ, მიიღება მშვიდობის შენარჩუნების ან აღდგენის მიზნით, დამრღვევის მიერ მათი შესრულების იძულებით. სანქციების მიზანია შეცვალოს იმ წევრი სახელმწიფოს ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის/არღვევს საერთაშორისო მშვიდობას.³¹

გაეროს წესდება უშიშროების საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას სანქციები, როგორც იძულების მექანიზმი, გამოიყენოს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად.³² გარდა ამისა, უშიშროების საბჭოს ადმინისტრაციული

²⁶ Szabados T., *Economic Sanctions in EU Private International Law*, Studies In Private International Law, Hart Publishing, 2019, PP. 10.

²⁷ Achilleas Ph., *United Nations and Sanctions*, Economic Sanctions in International Law and Practice, Routledge Publishing, 2020, 24, PP. 24-39.

²⁸ Zamani S.G., Mazaheri J., *The Need for International Judicial Review of UN Economic Sanctions*, Economic Sanctions under International Law Unilateralism, Multilateralism, Legitimacy, and Consequences, Asserpress, 2015, 222, PP. 219-237.

²⁹ UN Charter, Chapter VII - ob. <https://www.un.org/en/about-us/un-charter>.

³⁰ Achilleas Ph., *United Nations and Sanctions*, Economic Sanctions in International Law and Practice, Routledge Publishing, 2020, 25, PP. 24-39.

³¹ Supplement to the Agenda for Peace: Position paper of the Secretary-General on the Occasion of the 50th Anniversary of the United Nations, U.N. Doc. A/50/60, S/1995/1 (January 25, 1995), para. 66, ხელმისაწვდომია: <https://digitallibrary.un.org/record/168325?ln=en>

³² UN Charter, Article 94, paragraph 2: „თუ საქმის რომელიმე მხარე არ ასრულებს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით დაკისრებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს შეუძლია მიმართოს უსაფრთხოების საბჭოს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციით მიმართავს მხარეს ან

სანქციების გამოყენება შეუძლია იმ წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც არღვევს წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს.³³ ასეთი სანქცია უკიდურესი და საგამონაკლისო ხასიათისაა და წევრის გარიცხვას გულისხმობს, რაც სანქციების ორგანოს ჯერ-ჯერობით არ გამოუყენებია.³⁴ გაერო, როგორც წესი, ამჯობინებს დიალოგის შენარჩუნებას იმ სახელმწიფოსთან, რომელიც არღვევს წესდების დებულებებს, თუნდაც უხეშად.³⁵

სანქციების დაწესება არის უშიშროების საბჭოს ექსკლუზიური უფლებამოსილება, სხვა არც ერთ ორგანოს გაეროს წესდება ამ უფლებამოსილებას არ ანიჭებს. გენერალურ ასამბლეას ასევე შეუძლია წესდების მე-7 თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში რეზოლუციის მიღება, რასაც მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვს.³⁶

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული სანქციების გადახედვა არ ექვემდებარება არც გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და არც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას. ფაქტობრივად, უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება არც ერთ ორგანოს არ აქვს - საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გადასინჯვა მხოლოდ თავად საბჭოს შეუძლია.³⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ³⁸

და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ³⁹ სხვადასხვა საქმეში აღნიშნეს, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში არ შეიძლება უარყოფილ იქნეს ადამიანის ძირითადი უფლებები და მათ მიმართ პატივისცემა.

2009 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ, იმ მიზნით, რომ შექმნილიყო სანქციების გადასინჯვის ბერკეტი, ჩამოაყალიბა ომბუდსმენის სამსახური, რომლის ამოცანაა ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში საბჭოს მიერ გამოყენებულ სანქციებთან დაკავშირებით სხვადასხვა პირის საჩივრის განხილვა. სანქცირებულ პირთა სიაში მოხვედრილ სუბიექტებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია მათ მიმართ გამოყენებული ზომების ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ, რის შემდეგაც, მათ შეუძლიათ წარუდგინონ შუამდგომლობა ომბუდსმენს, რომელიც, თავის მხრივ, დეტალურად და მიუკერძოებლად შეისწავლის საქმის გარემოებებს და ანგარიშს წარუდგენს უსაფრთხოების საბჭოს, სადაც განმარტავს სიიდან ამოღების ან დატოვების მიზეზებს.⁴⁰ საბოლოო გადაწყვეტილებას, საკითხთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭო იღებს.

რაც შეეხება, სანქციების ორგანოს მიერ დაწესებული სანქციის შესრულების სავალდებულობას გაეროს წევრი ნებისმიერი ქვეყნისთვის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა გაეროს წესდების სა-

მიიღებს შესაბამის ზომებს გადაწყვეტილების აღსასრულებლად.”

³³ UN Charter, Article 6: “გაეროს წევრი, რომელიც გამოუდგებოდა არღვევს წინამდებარე წესდებაში მოცემულ პრინციპებს, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით, გენერალურმა ასამბლეამ შეიძლება გარიცხოს ორგანიზაციიდან.”

³⁴ Achilleas Ph., *United Nations and Sanctions, Economic Sanctions in International Law and Practice*, Routledge Publishing, 2020, 25, PP. 24-39.

³⁵ იქვე.

³⁶ Zamani S.G., Mazaheri J., *The Need for International Judicial Review of UN Economic Sanctions, Economic Sanctions under International Law Unilateralism, Multilateralism, Legitimacy, and Consequences*, Asserpress, 2015, 225, PP. 219-237.

³⁷ იქვე.

³⁸ CJEU, *European Commission and Others v. Yassin Abdullah Kadi, Joined Cases C-584/10 P, C-593/10 P and C-595/10, Judgment of the Court (Grand Chamber), July 18, 2013 Para 22*; ხელმისაწვდომია: <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?docid=139745&doclang=EN>

³⁹ ECHR, *case of Bosporus Hava Yollari Turizm Ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland*, application no. 45036/98, Judgment of the Court (Grand Chamber), June 30, 2005, para 75-76, ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/fre#%7B%22fulltext%22:%5B%22Bosporus%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%22CHAMBER%22%22itemid%22:%5B%22001-69564%22%22%7D>.

⁴⁰ Achilleas Ph., *United Nations and Sanctions, Economic Sanctions in International Law and Practice*, Routledge Publishing, 2020, 27, PP. 24-39.

ფუძველზე. თუმცა, საქართველოს შემთხვევაში, არსებობს დამატებითი სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გაეროს სანქციებს პირდაპირ მოქმედ სამართლად აღიარებს - „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლი.⁴¹ აღნიშნული დებულება ქმნის გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების პირდაპირ გამოყენების საფუძველს, რაც ნიშნავს, რომ გაეროს მიერ დასანქცირებულ პირთან სახელშეკრულებო ურთიერთობაზე უარის თქმის საფუძველი ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შეუძლებლობა იქნება.

3.2 ევროპის კავშირის სანქციების მიმოხილვა და მათი გამოყენების შესაძლებლობა

ევროპის კავშირი სამი ტიპის სანქციების რეჟიმს იყენებს: 1. სანქციები, რომლებიც გაეროს მიერაა მიღებული და იმპლემენტირებულია ევროპის კავშირის კანონმდებლობაში; 2. გაეროს მიერ დაწესებული სანქციების ევროპის კავშირის მიერ იმპლემენტირება გამკაცრებული ფორმით; 3. ევროპის კავშირის სანქციების ავტონომიური რეჟიმები, როგორც კავშირმა გამოიყენა სირიის, ვენესუელას, რუსეთის მიმართ.⁴²

კავშირის სანქციები შეიძლება მიმართული იყოს მესამე ქვეყნების მთავრობების, არასამთავრობო ერთეულების (მაგ. კომპანიები) ან

კონკრეტული ინდივიდების მიმართ.⁴³ სანქციების დიდი ნაწილი მიემართება ფიზიკურ პირებს - ინდივიდებს და მოიაზრებს როგორც აქტივების გაყინვის, ისე სამოგზაურო აკრძალვების დაწესების შესაძლებლობას, თუმცა ევროპის კავშირს ასევე შეუძლია სექტორული ზომების გამოყენება, როგორცაა ეკონომიკური და ფინანსური შეზღუდვები (მაგ. საბანკო სერვისების შეზღუდვა) ან იარაღის ემბარგო (ევროპის კავშირის სამხედრო სიაში მითითებული საქონლის ექსპორტის აკრძალვა).⁴⁴

როგორც წესი, ევროპის კავშირი ცდილობს მინიმუმადე შეამციროს სანქციების ის უარყოფითი შედეგი, რომელიც შეიძლება აისახოს მოსახლეობაზე, ამიტომ კავშირის სანქციები, ძირითადად, არ ეხება სახელმწიფოს ან მოსახლეობას, არამედ მიმართულია კონკრეტული პოლიტიკის, მისი განხორციელების საშუალებებისა და განმახორციელებელი პირების მიმართ.⁴⁵

სანქციების მიღების, მოხსნის, შეცვლის ან განახლების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს ევროპის საბჭო, თუმცა იქამდე სანამ საკითხს საბჭო განიხილავს, ის შესაბამის სამუშაო ჯგუფებს გაივლის.⁴⁶ სანქციებთან დაკავშირებული რეგულაციის მისაღებად საბჭოს ევროპის კავშირის კომისია მიმართავს, რომელიც ასევე პასუხისმგებელია საბჭოს მიერ მიღებული სანქციების წევრი სახელმწიფოების მიერ იმპლემენტაციაზე.⁴⁷

⁴¹ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი ნაწილი: „გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული ტერორიზმის დაფინანსებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად მოქმედი გაეროს სანქციების კომიტეტის მიერ სანქციადაკისრებულ პირთა სიაში განხორციელებული ცვლილება (პირის სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანა ან ამ სიიდან ამოღება ან პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილება) პირდაპირი მოქმედების ძალას იქონს გაეროს სანქციების კომიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.“

⁴² Beaucillion Ch., *The European Union's position and practice with regard to unilateral and extraterritorial sanctions*, Research Handbook On Unilateral and

Extraterritorial Sanctions, Edward Elgar Publishing, 2021, 112, PP. 110-130.

⁴³ Giumelli F., *Implementation of Sanctions: European Union, Economic Sanctions in International Law and Practice*, Routledge Publishing, 2020, 120, PP.116-136.

⁴⁴ იქვე, 122.

⁴⁵ Tzanakopoulos A., *Sanctions Imposed Unilaterally by the European Union: Implications for the European Union's International Responsibility*, *Economic Sanctions under International Law Unilateralism, Multilateralism, Legitimacy, and Consequences*, Asserpress, 2015, 151, PP. 145-165.

⁴⁶ Beaucillion Ch., *The European Union's position and practice with regard to unilateral and extraterritorial sanctions*, *Research Handbook On Unilateral and Extraterritorial Sanctions*, Edward Elgar Publishing, 2021, 110-111, PP. 110-130.

⁴⁷ იქვე.

დანესებული სანქციების რეჟიმები სავალდებულოა ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის. რეგულაციები პირდაპირ გამოიყენება ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში და სავალდებულოდ შესასრულებელია, როგორც ფიზიკური პირების, ისე დანესებულებების, მათ შორის, ეკონომიკური ოპერატორების მიერ.⁴⁸

მსოფლიოს მასშტაბით, ევროპის კავშირს დანესებული აქვს 30-ზე მეტი ავტონომიური და გაეროსაგან გადმოტანილი სანქციების რეჟიმი. მათ შორის, 2020 წელს, საბჭომ ადამიანის უფლებათა დასაცავად მიიღო გლობალური სანქციების რეჟიმი, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევაზე რეაგირებას. მისი გამოყენება შესაძლებელია იმ პირების ან დანესებულებების მიმართ, რომლებიც ჩართულნი არიან ადამიანის უფლებების დარღვევაში, წამებასა თუ არაადამიანურ მოპყრობაში, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში, გენდერულ ძალადობაში, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვაში და ა.შ.⁴⁹

ევროპის კავშირის სანქციებს პირდაპირი ამკრძალავი მოქმედება მხოლოდ კავშირის წევრი ქვეყნებისთვის აქვს. კავშირის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნებში, ისევე როგორც ევროპის ეკონომიკური ზონის ქვეყნებში, რომელთა შორის საქართველოცაა, ევროპის კავშირის სანქციების რეჟიმის ასამოქმედებლად საჭიროა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა, რასაც ევროპის კავშირი მიესალმება.⁵⁰ თუმცა სანქციების რეჟიმი საქართველოსთვის პირდაპირ არ მოქმედებს და მისი გამოყენების

საფუძველი ვერც ასოცირების შეთანხმება იქნება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რეჟიმი პირდაპირ არის გათვალისწინებული ასოცირების შეთანხმებით.⁵¹

3.3 აშშ-ის სანქციების მიმოხილვა

ამერიკის შეერთებული შტატები იყენებს სამი ტიპის ეკონომიკურ სანქციას: 1. ვაჭრობისა და ფინანსური სანქციები, რომლის ადმინისტრირებასაც სახაზინო დეპარტამენტის უცხოური აქტივების კონტროლის სამსახური ახდენს; 2. ექსპორტის კონტროლთან დაკავშირებული სანქციები, რომელთა ადმინისტრირებას კომერციის დეპარტამენტი ახდენს; 3. იარაღთან დაკავშირებული სანქციები, რომელთა ადმინისტრირებას სახელმწიფო დეპარტამენტი ახდენს.⁵² სამივე ტიპის სანქციის დანესება მიეკუთვნება აშშ-ის პრეზიდენტის უფლებამოსილებას, რომელიც აშშ-ის საგარეო ურთიერთობებზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს.⁵³

აშშ-ის სანქციების რეჟიმები ემყარება ორ ძირითად ნორმატიულ ბაზას, რომელთაგან თითოეული პრეზიდენტს ანიჭებს ფართო უფლებამოსილებას დაანესოს სანქციები სხვადასხვა გეო-პოლიტიკურ ვითარებაში. ერთ-ერთი ასეთი აქტია 1917 წლის კანონი „მტერთან ვაჭრობის შესახებ“ (TWEA), რომელიც პრეზიდენტს ანიჭებს უფლებამოსილებას სანქციები დაუნესოს მტრულად განწყობილ ქვეყნებს, ომის პერიოდში.⁵⁴ მეორე აქტი არის „საერთაშორისო საგანგებო ეკონომიკური უფლებამოსილების აქტი“ (IEEPA), რომელიც უფლებას აძლევს პრე-

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ https://www.eeas.europa.eu/eeas/european-union-sanctions_en#10705 [03.06.2023]

⁵⁰ Tzanakopoulos A., Sanctions Imposed Unilaterally by the European Union: Implications for the European Union's International Responsibility, *Economic Sanctions under International Law Unilateralism, Multilateralism, Legitimacy, and Consequences*, Asserpress, 2015, 159, PP. 145-165.

⁵¹ რუსიაშვილი გ., საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები და მათი გავლენა ნაციონალური ბანკების მიერ დადებულ ხელშეკრულებებზე, შედარებითი

სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N 2/2023, 2023, 42, გვ. 26-57.

⁵² Savey J., Unilateral Sanctions: An Effective Foreign Policy Tool in Myanmar, *Willamette Law Review*, vol. 50, no. 3, 2014, 375, PP. 371-400.

⁵³ Delmonte L.M., Economic Sanctions, Iraq, and U.S. Foreign Policy, *Transnational Law & Contemporary Problems*, vol. 11, no. 2, 2001, 359, PP. 345-378.

⁵⁴ Kohl T., In and Out of the Penalty Box: U.S Sanctions and Their Effects on International Trade, *Research Handbook On Economic Sanctions*, Edward Elgar Publishing, 2021, 394, PP. 388-411.

ზიდენტს სანქციები დაანესოს საგანგებო მდგომარეობის დროს, მშვიდობიანობის პერიოდშიც.⁵⁵

აშშ-ის პრეზიდენტი სანქციების გამოყენების უფლებამოსილებას ახორციელებს აღმასრულებელი ბრძანების (Eos) გამოცემით, რომელიც აშშ-ის მთავრობას ავალდებულებს შესრულდეს პრეზიდენტის ბრძანება.⁵⁶ თავის მხრივ, აშშ-ის უცხოური აქტივების კონტროლის დეპარტამენტი (OFAC) არის ის ძირითადი სამთავრობო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია სანქციების რეჟიმის განხორციელებაზე, პრეზიდენტის აღმასრულებელი ბრძანებების შესაბამისი რეგულაციების გამოცემით. ასევე, OFAC განიხილავს სხვადასხვა დაინტერესებული პირის განაცხადს სანქციების სიიდან ამოღებასთან დაკავშირებით.⁵⁷

აშშ-ის სანქციები, გავრცელების არეალისა და სამიზნე სუბიექტების მიხედვით იყოფა ორ ნაწილად: პირველადი და მეორეული სანქციები. პირველადი სანქციები, ვრცელდება აშშ-ის მოქალაქეებზე და მის რეზიდენტებზე, მიუხედავად იმისა თუ სად არიან ისინი ფიზიკურად, ასევე ყველა სუბიექტსა თუ ერთეულზე, რომელიც აშშ-ში მდებარეობს. პირველადი სანქციები ასევე ვრცელდება ისეთ ტრანზაქციებზე, რომელიც სრულდება აშშ-ის გავლით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი შემსრულებლები და ბენეფიციარები აშშ-ის გარეთ მდებარეობენ/იმყოფებიან.⁵⁸

რაც შეეხება, მეორეულ სანქციებს, ის მიზნად ისახავს არაამერიკელებისთვის დაბრკოლების შემქნას, რომ სანქცირებულ ქვეყნებსა და პირებთან სხვადასხვა ტიპის ფინანსურად მნიშვნელოვან ურთიერთობებში არ შევიდნენ. შესაბამისად, სანქციები ვრცელდება ნებისმიერ სუბიექტზე, მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი

კუთვნილების, საცხოვრებელი ადგილისა თუ ადგილმდებარეობისა. მეორეული სანქციები ვრცელდება მხოლოდ ისეთ სუბიექტებზე, რომლებიც მნიშვნელოვან ტრანზაქციაში შედიან აშშ-ის მიერ სანქცირებულ სახელმწიფოსთან და ამგვარად საფრთხეს უქმნიან აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებასა და საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს.⁵⁹

ამ დროისთვის აშშ-ს აქვს 38 აქტიური სანქციების პროგრამა, რომელიც მიემართება საქმიანობათა ფართო სპექტრს მთელს მსოფლიოში - ადამიანის უფლებების დარღვევიდან, ტერორიზმამდე და ბირთვული იარაღის გავრცელებამდე.⁶⁰

3.4 დიდი ბრიტანეთის სანქციების რეჟიმების მიმოხილვა

დიდი ბრიტანეთის სანქციების რეჟიმის სამართლებრივ საფუძველს, ევროპის კავშირის დატოვების შემდეგ, რამოდენიმე საკანონმდებლო აქტი წარმოადგენს, მათ შორის უმთავრესია 2018 წლის „სანქციებისა და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო აქტი“.⁶¹

გაერთიანებული სამეფოს სანქციების ორი ტიპი არსებობს, გეოგრაფიული - კონკრეტული ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული და თემატური - კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული სანქციები.⁶² დიდი ბრიტანეთი იყენებს როგორც გაეროს მიერ დაწესებულ, ისე საკუთარი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების მიზნების შესაბამისად დაწესებულ ავტონომიურ სანქციებს.⁶³

გაერთიანებულ სამეფოში სანქციების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და სანქციების აღსრულებაზე პასუხისმგებლობას რამოდენიმე უწყე-

⁵⁵ იქვე.
⁵⁶ Savey J., Unilateral Sanctions: An Effective Foreign Policy Tool in Myanmar, Willamette Law Review, vol. 50, no. 3, 2014, 376, PP. 371-400.
⁵⁷ იქვე.
⁵⁸ Savey J., Unilateral Sanctions: An Effective Foreign Policy Tool in Myanmar, Willamette Law Review, vol. 50, no. 3, 2014, 377, PP. 371-400.
⁵⁹ Kohl T., In and Out of the Penalty Box: U.S Sanctions and Their Effects on International Trade, Research

Handbook On Economic Sanctions, Edward Elgar Publishing, 2021, 394, PP. 388-411.
⁶⁰ <https://ofac.treasury.gov/sanctions-programs-and-country-information> [10.06.2023].
⁶¹ <https://www.gov.uk/government/collections/uk-sanctions-regimes-under-the-sanctions-act> [15.03.2023].
⁶² იქვე.
⁶³ <https://www.gov.uk/government/collections/financial-sanctions-regime-specific-consolidated-lists-and-releases> [15.03.2023].

ბა იზიარებს. საერთაშორისო სანქციებთან დაკავშირებულ, მთავრობის საერთო პოლიტიკაზე პასუხისმგებელია საგარეო და თანამეგობრობის განვითარების ოფისი (FCDO). უშუალოდ ფინანსური სანქციების ადმინისტრირებას ახორციელებს მონარქის ხაზინა, კონკრეტულად, ფინანსური სანქციების განხორციელების სამსახური (OFSI), რომელიც 2016 წელს შეიქმნა. სავაჭრო სანქციებისა და ემბარგოების ადმინისტრირებას საერთაშორისო ვაჭრობის დეპარტამენტი ახორციელებს, რომელიც სამხედრო და ორმაგი დანიშნულების ნივთების ლიცენზირების სისტემას, ასევე სხვა სავაჭრო სანქციების აღსრულებას ზედამხედველობს.⁶⁴

„სანქციებისა და ფულის გათეთრების სანინაალმდეგო აქტის“ ფარგლებში მიღებული სანქციები ვრცელდება გაერთიანებული სამეფოს მთელს ტერიტორიაზე მყოფ პირებზე, ასევე გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ მყოფ მის მოქალაქეებსა და გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირებზე. დიდი ბრიტანეთის სამთავრობო პოლიტიკაა სანქციების გავრცელება გვირგვინზე დამოკიდებულ მინებზე, რათა სანქციების ეფექტიანობა მაქსიმალურად გაიზარდოს.⁶⁵

4. რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გამოყენებული სანქციების რეჟიმები

2014 წელს რუსეთის ფედერაციამ ყირიმის ოლქში დააორგანიზა რეფერენდუმი, რომლის შედეგებმაც მხარი დაუჭირა ყირიმის ოლქის უკრაინისაგან გამოყოფის იდეას. უკრაინისა და მისი მხარდამჭერი სახელმწიფოების თანახმად, რეფერენდუმს არ გააჩნდა ლეგიტიმაცია და, შე-

საბამისად, არ იყო კანონიერი. ამის საპირისპიროდ, რუსეთი აცხადებდა, რომ რეფერენდუმი ჩატარდა დემოკრატიის პრინციპებისა და საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით, რის შემდეგაც დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი ყირიმის ოლქის რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაციის მიზნით. რუსეთის მხრიდან ყირიმის ანექსიას მოჰყვა მის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების რეჟიმების მასიური დაწესება - ევროპის კავშირის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, კანადის, იაპონიისა და სხვა სახელმწიფოების მხრიდან.⁶⁶

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო უკრაინის წინააღმდეგ მასობრივი საომარი მოქმედებები, რასაც საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ კვლავ მასშტაბური სანქციების დაწესება მოჰყვა, ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში.⁶⁷

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან ერთ წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგაც, საერთაშორისო თანამეგობრობა ცდილობს სანქციების დაწესების საშუალებით შეაკავოს რუსეთის აგრესია უკრაინის სახელმწიფოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ.

4.1 ევროპის კავშირის მხრიდან რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გამოყენებული ფინანსური სანქციები

2022 წლის 22 თებერვალს, ევროპის კავშირმა დაგმო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება უკრაინის დონეცკისა და ლუჰანსკის ოლქების დამოუკიდებელ სუბიექტებად აღიარების შესახებ და შემდგომი გადაწყვეტილება ამ ტერიტორიაზე რუსული ჯარების გაგზავნის შესახებ.⁶⁸

⁶⁴ <https://www.gov.uk/guidance/uk-sanctions> [15.03.2023].

⁶⁵ <https://www.gov.uk/government/collections/uk-sanctions-regimes-under-the-sanctions-act> [15.03.2023].

⁶⁶ Hayashi M., Russia: The Crimea question and autonomous sanctions, *Economic Sanctions in International Law and Practice*, Routledge Publishing, 2020, 224-230, PP. 223-244.

⁶⁷ Alpert R., Feldberg P., Dalling R., Rhum K., Cottingham A., Jardaneh K., Worby M., *National Security, Sanctions,*

and Export Controls Taking Stock: Russia-Ukraine Sanctions and Export Controls, Jenner&Bloch, 2022, PP. 2-3, ხელმისაწვდომია: <https://www.jdsupra.com/legalnews/taking-stock-russia-ukraine-sanctions-9378692/>.

⁶⁸ Restrictive measures in view of Russia's actions destabilising the situation in Ukraine (sectoral restrictive measures), Adopted by EU, 31.07.2023, PP. 1-2, ხელმისაწვდომია:

2022 წლის 23 თებერვალს, ევროპის საბჭომ მიიღო სექტორული შემზღუდავი ზომები, რომელთა საშუალებით დაწესდა რუსეთის ფედერაციის, მისი მთავრობისა და ცენტრალური ბანკის დაფინანსების აკრძალვა.⁶⁹

2022 წლის 24 თებერვალს რუსული შეიარაღებული ძალების მხრიდან უკრაინაზე შეტევის დაწყების შემდეგ, საბჭომ მიიღო დამატებითი შემზღუდავი ზომები, რომელიც დაემატა უკვე არსებულ, 2014 წლიდან მოქმედ, ყირიმის აგრესიისა და მინსკის შეთანხმების შემდეგ დაწესებულ სანქციებს. ეს ზომები კრძალავს ორმაგი დანიშნულების საქონლისა და ისეთი პროდუქციის ექსპორტს, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს რუსეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების ზრდას: აკრძალულია სახელმწიფო დაფინანსება ან ფინანსური დახმარება რუსეთთან ვაჭრობისთვის ან ინვესტიციებისთვის; აკრძალულია საქონლისა და ტექნოლოგიის ექსპორტი ნავთობის გადამუშავებაში გამოსაყენებლად; სანქციები კრძალავს მთელ რიგ ფინანსურ ურთიერთობებს და ტრანზაქციებს რუსეთთან.⁷⁰

2022 წლის 28 თებერვალს საბჭომ მიიღო დამატებითი ზომები რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული არაპროვოცირებული და გაუმართლებელი სამხედრო აგრესიის საპასუხოდ. სანქციები მოიცავს

რუსეთის ცენტრალურ ბანკთან ყველა ტრანზაქციის აკრძალვას⁷¹, ევროკავშირის საჰაერო სივრცეში გადაფრენის აკრძალვას და რუსი გადაზიდვების ევროპის კავშირის აეროპორტებზე წვდომას.⁷²

გარდა ამისა, 2022 წლის 1 მარტს საბჭომ მიიღო დამატებითი ზომები, რომელთა საშუალებით, ძირითადი რუსული ბანკები გამოირიცხა SWIFT-დან - მსოფლიოს დომინანტი ფინანსური ტრანზაქციების სისტემიდან.⁷³

2022 წლის 9 მარტს ევროპის საბჭომ მიიღო დამატებითი სანქციები საზღვაო ნავიგაციის საქონლისა და რადიოკავშირის ტექნოლოგიების რუსეთში ექსპორტთან დაკავშირებით.⁷⁴

ევროპის კავშირის მხრიდან გამოყენებული ამკრძალავი ზომების ფარგლებში დასანქცირდნენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, მათთან დაკავშირებული მსხვილი ბიზნესმენები, ბანკები და ფინანსური სექტორის სხვა აქტორები, სამხედრო, საჰაერო, სანაოსნო, სამანქანო სექტორში ოპერირებადი კომპანიები. ფიზიკური პირების წინააღმდეგ დაწესებული სანქციები მოიცავს აქტივების გაყინვასა და სამგზავრო შეზღუდვებს, ხოლო ორგანიზაციების მიმართ გამოყენებული სანქციები, ძირითადად, აქტივების გაყინვას მოიაზრებს.⁷⁵

[https://www.sanctionsmap.eu/api/v1/pdf/ regime?id\[\]=26&lang=en](https://www.sanctionsmap.eu/api/v1/pdf/ regime?id[]=26&lang=en) .

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ Council Decision (CFSP) 2022/327 of 25 February 2022 amending Decision 2014/512/CFSP concerning restrictive measures in view of Russia's actions destabilising the situation in Ukraine, § 9-16, ხელმისაწვდომია: <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/3b680aa5-968a-11ec-b4e4-01aa75ed71a1/language-en/format-PDF/source-251965855> .

⁷¹ Council Decision (CFSP) 2022/335 of 28 February 2022 amending Decision 2014/512/CFSP concerning restrictive measures in view of Russia's actions destabilising the situation in Ukraine, ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv:OJ.L_.2022.057.01.0004.01.ENG&toc=OJ:L:2022:057:TOC .

⁷² Council Regulation (EU) 2022/334 of 28 February 2022 amending Council Regulation (EU) No 833/2014

concerning restrictive measures in view of Russia's actions destabilising the situation in Ukraine, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32022R0334> .

⁷³ Council Decision (CFSP) 2022/346 of 1 March 2022 amending Decision 2014/512/CFSP concerning restrictive measures in view of Russia's actions destabilising the situation in Ukraine, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32022D0346> .

⁷⁴ Council Decision (CFSP) 2022/399 of 9 March 2022 amending Decision 2012/642/CFSP concerning restrictive measures in view of the situation in Belarus and the involvement of Belarus in the Russian aggression against Ukraine, ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/eli/dec/2022/399> .

⁷⁵ <https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/restrictive-measures-against-russia-over-ukraine/sanctions-against-russia-explained/> [17.06.2023].

მოგზაურობის აკრძალვები ზღუდავს სანქცირებული პირების ევროპის კავშირის ტერიტორიაზე შესვლას ან ტრანზიტს - სახმელეთო, საჰაერო თუ საზღვაო გზით. აქტივების გაყინვა გულისხმობს, რომ კავშირის ბანკებში სანქცირებული პირებისა და ორგანიზაციების ანგარიშებზე არსებული თანხები ბლოკირებულია, ასევე აკრძალულია ნებისმიერი სახსრების ან აქტივების პირდაპირ ან ირიბად მათთვის ხელმისაწვდომობა. შედეგად, 21.5 მილიარდი ევროს ღირებულების ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების კუთვნილი აქტივებია გაყინული ევროპირს კავშირის მიერ და ამასთან, რუსეთის ცენტრალური ბანკის 300 მილიარდი ევროს ღირებულების აქტივი დაიბლოკა ევროპის კავშირსა და დიდი შვიდიანის ქვეყნებში.⁷⁶

ეკონომიკური სანქციების ფარგლებში ევროპის კავშირმა რუსეთს არაერთი იმპორტისა და ექსპორტის შეზღუდვა დაუწესა. ევროკომისიის მონაცემებით, 2022 წლის თებერვლიდან ევროპის კავშირმა აკრძალა 43,9 მილიარდ ევროზე მეტი საქონლის ექსპორტი რუსეთში და 91,2 მილიარდი ევროს იმპორტირებული საქონელი. ეს ნიშნავს, რომ 2021 წელთან შედარებით ამჟამად სანქცირებულია ექსპორტის 49% და იმპორტის 58%.⁷⁷

4.2 აშშ-ის მხრიდან რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გამოყენებული სანქციები

შეერთებული შტატები რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს 2014 წელს ყირიმის უკანონო ანექსიის შემდეგ იყენებს.⁷⁸ 2022 წელს რუსე-

თის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, აშშ-ის სანქციები გამკაცრდა და უფრო მასშტაბური გახდა. შეერთებული შტატები ევროპის კავშირთან და სხვა მოკავშირეებთან ერთად, სანქციებს უწესებს რუსულ აქტივებს, საერთაშორისო ვაჭრობასა და ომში ჩართულ ეკონომიკურ სექტორებს, აგრეთვე კონკრეტულ პირებსა და სუბიექტებს, რომლებიც მონაწილეობენ სანქცირებულ საქმიანობებში.⁷⁹

აშშ-ის სანქციების მიზანია შეასუსტოს რუსეთის ომის წარმოების პოტენციური მისი ფინანსური შესაძლებლობებისა და ეკონომიკის შესუსტებით და რუსეთის სხვადასხვა ინდუსტრიული თუ ენერჯეტიკული სექტორების ტექნოლოგიურ საშუალებებზე წვდომის შეწყვეტით.

აშშ-ის სანქციები ვრცელდება არამხოლოდ კონკრეტულ პირზე ან ორგანიზაციაზე, არამედ მათ შეუძლიათ კონკრეტული იურისდიქციის დაფარვა. უკრაინასთან მიმდინარე ომის კონტექსტში, აშშ-მ დაასანქცირა რუსეთის მიერ კონტროლირებადი უკრაინის ტერიტორია - ყირიმი, ლუგანსკი, დონეცკი, ხერსონი, ზაპოროჟიე.⁸⁰

2022 წლიდან რუსეთის წინააღმდეგ აშშ-მ გამოიყენა უპრეცედენტო სანქციები, რომლებიც მოიცავენ ბაზრის მრავალ მოთამაშესა და სექტორს. მათ შორის, ორმაგი დანიშნულების საქონელზე საექსპორტო კონტროლის დაწესება, ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების აქტივების ბლოკირება და მათთან ტრანზაქციების აკრძალვა. ასევე, აშშ-მ სანქციები დააწესა მესამე მხარეების მიმართ, რომლებიც თანამშრომლობენ რუსეთთან - ეხმარებიან მას სანქციების თავიდან აცილებაში.⁸¹

⁷⁶ <https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/restrictive-measures-against-russia-over-ukraine/sanctions-against-russia-explained/> [17.06.2023].

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ OFAC, Ukraine/Russia Related Sanctions Programs, Updated June, 2016, PP. 1-3, ხელმისაწვდომია: <https://ofac.treasury.gov/media/8741/download?inline>.

⁷⁹ European Parliament, Russia's war on Ukraine: US sanctions, Briefing, PP. 1-2, ხელმისაწვდომია: [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2023/739358/EPRS_BRI\(2023\)739358_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2023/739358/EPRS_BRI(2023)739358_EN.pdf).

⁸⁰ European Parliament, Russia's war on Ukraine: US sanctions, Briefing, February 2023, PP. 1-2, ხელმისაწვდომია:

[https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2023/739358/EPRS_BRI\(2023\)739358_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2023/739358/EPRS_BRI(2023)739358_EN.pdf)

⁸¹ U.S Department of Treasury, With Over 300 Sanctions, U.S. Targets Russia's Circumvention and Evasion, Military-Industrial Supply Chains, and Future Energy Revenues, Press release, May 19, 2023, ხელმისაწვდომია:

<https://home.treasury.gov/news/press-releases/jy1494>

2022 წლის სექტემბერში, აშშ-ს ადმინისტრაციამ გამოიყენა მეორადი სანქციები რუსეთთან კავშირში მყოფი კომპანიების წინააღმდეგ და დაასანქცირა მესამე ქვეყნების კომპანიები - Sinno Electronics Co., Limited (ჩინური კომპანია) და Taco LLC (სომხური კომპანია), იმ მოტივით, რომ ისინი თანამშრომლობდნენ სანქცირებულ რუსულ კომპანიასთან.⁸²

უკრაინის ომის კონტექსტში სანქციები ასევე მოიცავს ბელორუსს (ომში ჩართვის გამო) და ირანს (რუსეთის ომის ტექნოლოგიით დახმარებისთვის, მაგალითად, სამხედრო დრონების მიწოდების გზით).⁸³

აშშ-მ რუსეთს დაუნესა ფინანსური სანქციები ყველა იმ ბიზნესის წინააღმდეგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითად ინდუსტრიებთან, როგორცაა თავდაცვა, ენერჯეტიკა, ალმასის მოპოვება, ტელეკომუნიკაციები და ტრანსპორტი, ასევე ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები. აიკრძალა ტრანზაქციები რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდთან. სანქციები ფარავს ტრანზაქციებს რუსეთის ცენტრალურ ბანკთან, რაც გავლენას ახდენს დოლარში დენომინირებული უცხოური რეზერვების მოზიდვის უნარზე. სანქცირებულია რუსეთის ფინანსთა სამინისტროსთან და ეროვნული სიმდიდრის ფონდთან დაკავშირებული ტრანზაქციებიც.⁸⁴

აშშ-ის სანქციები ასევე შეეხება რუსული ნავთობის, თხევადი ბუნებრივი აირის (LNG), ნახშირის და სხვა ენერჯეტიკული პროდუქტების იმპორტის აკრძალვას და რუსეთთან ნორმალურ

რი სავაჭრო ურთიერთობების შეჩერებას.⁸⁵ ასევე, აიკრძალა რუსული ოქროს, ბრილიანტის, ზღვის პროდუქტებისა და ალკოჰოლური სასმელების იმპორტი.⁸⁶

მომსახურების განწევა აიკრძალა ისეთ სფეროებში, როგორცაა ბულალტერია, კორპორატიული ფორმირება, მენეჯმენტის კონსულტაცია და კვანტური გამოთვლები.⁸⁷

აიკრძალა რუსეთში ნებისმიერი ტიპის ინვესტიციის განხორციელება, ისევე როგორც აღმოსავლეთ უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში.⁸⁸

აშშ-მ აკრძალა რუსული საჰაერო ხომალდებისა და ავიახაზების ფრენა აშშ-ის საჰაერო სივრცეში (პირადი და კომერციული ფრენები). ასევე აიკრძალა რუსეთის გემების აშშ-ის პორტებში შესვლა.⁸⁹

აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შეზღუდა რუსი ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების წვდომა აშშ-ში არსებულ ქონებაზე და დაუნესა მათ შეზღუდვები ტრანზაქციებზე. სანქცირებულ პირთა სიაში მოხვდნენ რუსეთის ფედერაციის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, შეიარაღებული ძალების მეთაურები, რუსეთის ცენტრალური ბანკის თანამდებობის პირები, რეგიონული გუბერნატორები და ა.შ. გარდა ამისა, შეერთებულმა შტატებმა სანქციები დაუნესა უამრავ რუს ოლიგარქსა და მათ ოჯახის წევრებს. ათასობით რუს ოფიციალურ პირს და სამხედრო პერსონალს აეკრძალა შეერთებულ შტატებში შესვლა.⁹⁰

⁸² Alpert R., Feldberg P., Dalling R., Rhum K., Cottingham A., Jardaneh K., Worby M., National Security, Sanctions, and Export Controls Taking Stock: Russia-Ukraine Sanctions and Export Controls, Jenner&Bloch, 2022, PP. 4-5, ხელმისაწვდომია: <https://www.jdsupra.com/legalnews/taking-stock-russia-ukraine-sanctions-9378692/>
⁸³ European Parliament, Russia's war on Ukraine: US sanctions, Briefing, February 2023, P. 3.
⁸⁴ European Parliament, Russia's war on Ukraine: US sanctions, Briefing, February 2023, P. 3.
⁸⁵ იქვე.
⁸⁶ Alpert R., Feldberg P., Dalling R., Rhum K., Cottingham A., Jardaneh K., Worby M., National Security, Sanctions, and Export Controls Taking Stock: Russia-Ukraine

Sanctions and Export Controls, Jenner&Bloch, 2022, PP. 4-5.
⁸⁷ U.S Department of Treasury, With Over 300 Sanctions, U.S. Targets Russia's Circumvention and Evasion, Military-Industrial Supply Chains, and Future Energy Revenues, Press release, May 19, 2023.
⁸⁸ იქვე.
⁸⁹ Alpert R., Feldberg P., Dalling R., Rhum K., Cottingham A., Jardaneh K., Worby M., National Security, Sanctions, and Export Controls Taking Stock: Russia-Ukraine Sanctions and Export Controls, Jenner&Bloch, 2022, PP. 4-5.
⁹⁰ Alpert R., Feldberg P., Dalling R., Rhum K., Cottingham A., Jardaneh K., Worby M., National Security, Sanctions, and Export Controls Taking Stock: Russia-Ukraine

აშშ-ის სანქციები შეეხო რუსეთის ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანეს კომპანიებს, რომელთა შორისაცაა შვიდი უმსხვილესი ბანკი, მათ შორის, ყველაზე დიდი ორი ბანკი („Sberbank“ და „VTB Bank“), რომლებიც ერთად შეადგენენ ყველა საბანკო დეპოზიტის 80%-ს, ასევე სახელმწიფო განვითარების ბანკი „VEB-ი“ და რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების ფონდი. სხვა მნიშვნელოვან კომპანიებს მიეკუთვნება თავდაცვის, სამრეწველო და ტექნოლოგიური კონგლომერატი „Rostec“, მსოფლიოში უმსხვილესი ალმასის მომპოვებელი კომპანია „Alrosa“, ფოლადის მწარმოებლები „Severstal“ და „MMK“, ტექნოლოგიების განვითარების პარკი „Skolkovo“ და „Nord Stream 2 AG“. სანქციები ასევე მოიცავს კომპანიებს, რომლებიც ოპერირებენ საჰაერო, კოსმოსურ და თავდაცვის სექტორში, ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობენ დეზინფორმაციისა და რუსული პროპაგანდის გავრცელებაში და სხვა სუბიექტებსა და პირებს, რომლებიც თავს არიდებენ სანქციებს. შეზღუდვები ასევე დაუწესდა სახელმწიფო ენერგეტიკულ კომპანია „Gazprom-ს“ და რუსეთის უმსხვილეს საზღვაო და სატვირთო გადაზიდვებზე ფირმა „Sovcomflot-ს“, ასევე რუსეთის რკინიგზას.⁹¹

4.3 დიდი ბრიტანეთის მხრიდან რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ გამოყენებული ეკონომიკური სანქციები

ბრექსიტის შემდეგ, გაერთიანებულმა სამეფომ საკუთარი სანქციების ჩარჩო შექმნა „სანქციების და ფულის გათეთრების სანინააღმდეგო აქტის“ (SAMLA) საფუძველზე. 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა სანქციების პირველი რეჟიმი დაუწესა რუსეთის ფედერაციას (ე.წ. რუსეთის სანქციები). მოგვიანებით, 2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის ე.წ. „რუსეთის სანქციებში“ შევიდა შესწორებები, რომლითაც რუსეთს დაუწესდა არაერთი დამატებითი ეკონომიკური სანქცია.

შესწორება 1-ის რეგულაციების შედეგად, გაერთიანებულ სამეფოს სანქციების დაწესება შეუძლია იმ პირთა მიმართ, რომლებიც დაკავშირებული არიან რუსეთის მთავრობასთან: (1) ახორციელებენ ბიზნესს რუსეთის მთავრობასთან დაკავშირებული ორგანიზაციის საშუალებით; (2) აწარმოებენ რუსეთის მთავრობისთვის ეკონომიკური მნიშვნელობის ბიზნესს; (3) აწარმოებენ ბიზნესს რუსეთის მთავრობისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სექტორში; (4) ფლობენ ან აკონტროლებენ ზემოთ ჩამოთვლილ პირებს/სუბიექტებს პირდაპირ ან არაპირდაპირ.⁹²

შესწორება 2-ის რეგულაციები ძალაში შევიდა 2022 წლის 1 მარტს და, ძირითადად, დააწესა ახალი სანქციები ფინანსური სექტორისთვის, მათ შორის გაერთიანებული სამეფოს ფინანსურ ინსტიტუტებს აკრძალა ურთიერთობის დამყარება ან გაგრძელება სანქცირებულ პირთან ან იმ დაწესებულებასთან, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის ან კონტროლდება სანქცირებული პირის მიერ.⁹³

შესწორება 3-ის რეგულაციები ძალაში შევიდა 2022 წლის 1 მარტს. ისინი აწესებენ დამატებით შეზღუდვებს საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით და აფართოებენ ორმაგი დანიშულების საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. აკრძალვებს აქვს გამონაკლისები, მათ შორის, სამომხმარებლო ნივთები, სამომხმარებლო ტექნიკა და მოსახლეობის ფართო მასებისთვის საჭირო სხვა პროდუქტი.⁹⁴

სანქციების დაწესების შემდეგ, გაერთიანებულმა სამეფომ საკუთარი სანქციების ჩარჩო შექმნა „სანქციების და ფულის გათეთრების სანინააღმდეგო აქტის“ (SAMLA) საფუძველზე. 2014 წელს ყირიმის ანექსიის შემდეგ, დიდმა ბრიტანეთმა სანქციების პირველი რეჟიმი დაუწესა რუსეთის ფედერაციას (ე.წ. რუსეთის სანქციები). მოგვიანებით, 2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის ე.წ. „რუსეთის სანქციებში“ შევიდა შესწორებები, რომლითაც რუსეთს დაუწესდა არაერთი დამატებითი ეკონომიკური სანქცია.

Sanctions and Export Controls, Jenner&Bloch, 2022, PP. 5-6.

⁹¹ European Parliament, Russia's war on Ukraine: US sanctions, Briefing, February 2023, P. 3.

⁹² The Russia (Sanctions) (EU Exit) (Amendment) Regulations 2022, Article 3, ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/uksi/2022/123/regulation/3/made>

⁹³ The Russia (Sanctions) (EU Exit) (Amendment) (No 2) Regulations 2022 (SI 2022/194), Article 4, ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/uksi/2022/194/contents/made>

⁹⁴ The Russia (Sanctions) (EU Exit) (Amendment) (No 3) Regulations 2022 (SI 2022/195), Article 3, 6, ხელმისაწვდომია:

შესწორება 4-ის რეგულაციები ძალაში შევიდა 2022 წლის 1 მარტს. ის რუსული გემების დიდი ბრიტანეთის პორტებში შესვლის კრძალავს. რეგლამენტი ითვალისწინებს გარკვეულ გამოწვევებს პორტში შესვლის აკრძალვისგან, მათ შორის, საგანგებო სიტუაციებში.⁹⁵

შესწორება 5-ის რეგულაციები ასევე 2022 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში. ის აწესებს შეზღუდვას ფინანსური მომსახურების მიწოდებაზე. ეს სანქციები ფართოა და მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი რუსული სუბიექტებისთვის შესაბამისი ფინანსური სერვისების მიწოდების შეზღუდვას.⁹⁶

შესწორება 7-ის რეგულაციები 2022 წლის 30 მარტიდან მოქმედებს. ის აფართოებს „რუსეთის რეგულაციების“ მოქმედების სფეროს და იძლევა პირის დასაქციების შესაძლებლობას აღწერილობის და არა მხოლოდ სახელის საფუძველზე. ასევე, ყირიმის ოლქის წინააღმდეგ მიმართული სანქციები, შესწორების შედეგად, ვრცელდება დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებზეც.⁹⁷

შესწორება 8-ის რეგულაციები შევიდა ძალაში 2022 წლის 14 აპრილს. ისინი აწესებენ ახალ აკრძალვებს და შეზღუდვებს ნავთობის გადამუშავების საქონელსა და ტექნოლოგიებზე, ასევე რკინისა და ფოლადის საქონელთან დაკავშირებით.⁹⁸

შესწორება 12-ის რეგულაციები ძალაში შევიდა 2022 წლის 19 ივლისს. სანქციები ახალ შეზღუდვებს ითვალისწინებს რუსეთში ინვესტიციებზე და კრძალავს შემდეგ საქმიანობას: (1)

რუსეთში მდებარე მიწაზე ნებისმიერი საკუთრების პირდაპირი შეძენა; (2) ნებისმიერი ასეთი საკუთრების ირიბად შეძენა: (i) პირდაპირ ან ირიბად რუსეთთან დაკავშირებული პირისთვის; (ii) რუსეთთან დაკავშირებული პირის სასარგებლოდ; (3) რუსეთთან დაკავშირებულ პირზე/დანესებულებაზე უშუალოდ საკუთრების მოპოვება ან კონტროლი, პირდაპირი და არაპირდაპირი გზით; (4) რუსეთთან დაკავშირებულ პირთან პირდაპირ ან ირიბად ერთობლივი სანარმოს შექმნა; (5) წარმომადგენლობითი ოფისის გახსნა ან ფილიალის/შვილობილი კომპანიის დაარსება რუსეთში. აღნიშნული შესწორების მიზნებისთვის პირი (გარდა ფიზიკური პირისა) დაკავშირებულია რუსეთთან, თუ ის დაფუძნებულია რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად ან ოპერირებს რუსეთში.⁹⁹

შესწორება 14-ის რეგულაციები ძალაში 2022 წლის 22 ივლისს შევიდა. ისინი აწესებენ ახალ სავაჭრო შეზღუდვებს პროფესიულ და ბიზნეს სერვისებთან, რუსეთის ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვადასხვა არსებით საქონელთან, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებთან, ოქროს, ქვანახშირისა და ნახშირთან დაკავშირებით. პროფესიული და საქმიანი სერვისების თვალსაზრისით, აკრძალულია შემდეგი სერვისების პირდაპირი ან ირიბი მიწოდება „რუსეთთან დაკავშირებული პირისთვის“: (1) საბუნებრივად მომსახურება; (2) ბიზნესისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო მომსახურება; (3) საზოგადოებასთან ურთიერთობის სერვისები.¹⁰⁰

<https://www.legislation.gov.uk/ukxi/2022/195/contents/made>

⁹⁵ The Russia (Sanctions) (EU Exit) (Amendment) (No. 4) Regulations 2022 (SI 2022/203), Part 3, ხელმისაწვდომია:

<https://www.legislation.gov.uk/ukxi/2022/203/contents/made>

⁹⁶ The Russia (Sanctions) (EU Exit) (Amendment) (No 5) Regulations 2022 (SI 2022/205), Article 3, ხელმისაწვდომია:

<https://www.legislation.gov.uk/ukxi/2022/205/contents/made>

⁹⁷ The Russia (Sanctions) (EU Exit) (Amendment) (No 7) Regulations 2022 (SI 2022/395), Article 6, 10, ხელმისაწვდომია:

<https://www.legislation.gov.uk/ukxi/2022/395/contents/made>

⁹⁸ The Russia (Sanctions) (EU Exit) (Amendment) (No 8) Regulations 2022 (SI 2022/452), Article 4, ხელმისაწვდომია:

<https://www.legislation.gov.uk/ukxi/2022/452/contents/made>

⁹⁹ The Russia (Sanctions) (EU Exit) (Amendment) (No 12) Regulations 2022 (SI 2022/801), Article 3, 4, ხელმისაწვდომია:

<https://www.legislation.gov.uk/ukxi/2022/801/contents/made>

¹⁰⁰ The Russia (Sanctions) (EU Exit) (Amendment) (No 14) Regulations 2022 (SI 2022/850), ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukxi/2022/850/contents/made>